საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№16 (107)

11 – 17 მაისი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

info@geworld.net

საბა მეტრეველი:

## ქართული მეცნიერება სულს ღაფავს

7



2

## ლეღვის ფოტოლეცვენა

მეუფე იობი:

16

## ჩვენი ხსნა მართლმადიდებელ ერთა ერთობაშია



ოტია იოსელიანი:

## ჩვენ უკვე განწირული ქვეყანა ვართ და ვინ რას შვება და რატომ, ვერავინ გიპასუხებს





3

«ნაცები» ოტია იოსელიანის ბაუშვობის ხეივანსაც ჩეხავენ...

## სამოქალაქო ომის წინათგრძნობა, ანუ ფსიქოდელური გაბაასება დელფინთან

5



რაზე ისაუბრა ლევან ჩიტაძემ დაპატიმრებამდე ორი დღით ადრე?

8

კაპიტულაციის დღე, ანუ «VASHADZE KAPUT!»

9

დიმიტრი ომანაძე:

რასაც სააკაშვილი ღვენილებს უკეთებს, ომის პერიოდში არქიბასაც არ გაუკეთებია

14

კატობრიობის ბედის გადამწყვეტი გამარჯვება

15

გურამ ოდიშარია:

6

## ქართველებსა და აფხაზებს შორის დანაღმული ველია და ისეთი ადამიანები უნდა შევარჩიოთ, ვინც იცის ამ ველზე სიარული



თამაზ დიასამიძე:

## ბათუმში აზიზის მეჩეთის აშენება ჩვენთვის ძალიან სახიფათოა

12



# ეს კოკა აუცილებლად წყალზე გატყდება

## «სესნამ» «ზენიტკებს» გადაუფრინა...

**საქართველოში საქმეები რომ დაალაგა, მიხეილ სააკაშვილი მფრინავობის დაუფლებას შეუდგა. ისწავლა და შარშან დაგვარწმუნა, რომ შეუძლია შტურვალთან ჯდომა და თან დისპეტჩერებთან ინგლისურად ლაპარაკი. გასულ ორშაბათს კი ზუგდიდის აეროპორტის ასაფრენ ზოლზე „სესნას“ ტიპის თვითმფრინავით დაეშვა, რომელსაც თვითონ მართავდა.**

დაშვებით კი დაეშვა, მაგრამ დიდ უბედურებას გადავრჩით. აი, რას გვამცნობს ერთ-ერთი სააგენტო:

**„როცა ზუგდიდელები აეროპორტში შეიკრიბნენ და ცაში სააკაშვილის თვითმფრინავის გამოჩენას ელოდნენ, გალში მდებარე რუსულ სამივე სამხედრო ბაზაზე „მზადყოფნა №1“ გამოცხადდა: ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები, ძირითადად, „ზენიტკები“ და „დედამიწა-ჰაერი“ ტიპის რაკეტები მზადყოფნაში იქნა მოყვანილი“.**

საქმე ისაა, იტყობინებიან სააგენტოები, რომ ზუგდიდის აეროპორტში დასაშვებად საქართველოს პრეზიდენტის „სესნას“ გალის რაიონის უკიდურესი აღმოსავლეთის ნაწილის თავზე უნდა გადაეფრინა. რუსები მდინარე ენგურს სახელმწიფო საზღვრად მიიჩნევენ და, ბუნებრივია, „სესნას“ ამგვარ მანევრს სახელმწიფო საზღვრის დარღვევად აღიქვამდნენ.

**„სხვათა შორის, გალში გამართულ ერთ-ერთ ხუთმხრივ (ქართული, აფხაზური, რუსული მხარეები პლუს გაერო და ევროკავშირის დამკვირვებლები) შეხვედრაზე რუსებმა მოითხოვეს, რომ ყველა სამოქალაქო მარშრუტი, რომელიც ზუგდიდისკენ ან ზუგდიდიდან განხორციელდებოდა, მათთან ყოფილიყო შეთანხმებული, წინააღმდეგ შემთხვევაში მკაცრი ზომების გატარებით დაიმუქრნენ.**

**ამ შემთხვევაში რუსებმა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები კი მოიყვანეს სრულ მზადყოფნაში, მაგრამ თვითმფრინავის მიმართულებით გასროლა ან, მით უმეტეს, მისი ჩამოგდება ვერ გაბედეს,“ — წერს ამ ინფორმაციის ძვირფასი ავტორი.**

„ვერ გაბედეს“ თუ უფრო მეტი ჭკუა აღმოაჩნდათ, ვიდრე „სესნას“ ონავარ პილოტს, რომლის თვითმფრინავთან დაკავშირებულმა „გამბედაობამ“ ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში გორიდან „გააოცა მსოფლიო“? **„პრეზიდენტის „სესნას“ არც ავიაგამანადგურებლები აცილებდა და არც სამხედრო ვერტმფრენი... მაშ, რატომ შეშფოთდა აგრერიგად გენერალიტეტი?“** — კითხულობს ამ ინფორმაციის გამავრცელებელი საშუალება.

კოლეგებო, სააკაშვილს უმაღლესი კლასის პილოტაჟის დემონსტრირება რომ დაეწყო და რამე დამართოდა, მერე მოდი და უმტკიცე, რუსული რაკეტის ბრალი რომ არ იყო. თანაც — სააკაშვილი ლეგენდარული მფრინავი-გამომცდელი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ კოკინაკი არ არის და არაფერი არ იყო გამორიცხული.

**კოკინაკი, კოქტეილი, „კოკა-კოლა“ და, უბრალოდ, კოკა — ჭურჭელი, რომელიც ამჯერად არ გატყდა, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ, ადრე თუ გვიან, კოკა წყალზე ტყდება? ჰოდა, გაიჩალიჩებს ეს კოკაა თუ მიშაა თუ შუქურაა, ერთხელაც გაიჩალიჩებს... ან ჩამოაგდებენ, ან თავისით ჩამოვარდება და... მაშინ გვიტირეთ მოთქმით... თბილისში ხომ გვაქვს კაჩინსკის ქუჩა, ჰოდა, დანარჩენი პოლონელებმა იდარდონ, ვარშავაში რომ მოუწევთ „სამიშე“ ქუჩის სახელდახელოდ შერჩევა...**

გამოკითხვა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ბობოხიძემ, შესაძლოა, საკუთარ თავს იგივე გაუჩალიჩოს, რაც თავის დროზე ირინა სარიშვილს დაემართა. წლების წინ ირინა სარიშვილი ასეთივე დაჟინებით მოითხოვდა 5%-იანი საარჩევნო ბარიერის 7%-მდე აწევას. როდესაც ბარიერი 7%-მდე გაიზარდა, ედპ-ის მაშინდელ ლიდერს ისე გაუხარდა, თითქოს ჯეკპოტი მოიგო. სარიშვილი მოქკავშირის მაშინდელ ლიდერებს გადაეხვია და ბარიერის გაზრდა მხურვალედ მიულოცა. ყველას ეგონა, რომ სარიშვილს მომავალ პარლამენტში ადგილი დაჯავშნილი ჰქონდა, მაგრამ არჩევნების შემდეგ ედპ-ის ყოფილი ლიდერი საკანონმდებლო ორგანოს მიღმა დარჩა.**

# ლელვის ფოთოლცვენა

**ცოტა ხნის წინათ „ქართული პარტიის“ პოლიტიკურმა მდივანმა ეროსი კიწმარიშვილმა ოპოზიციურ „რვიანს“ მოუწოდა, თავი გაანებოს „გაშიშვლებული რეჟიმის ლეღვის ფოთლის ფუნქციაში გადასვლას“ და ცვლილებების რეალურად განხორციელებისთვის დადგნენ იქ, სადაც ქართველი ხალხია.**
**აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური „რვიანი“ 2010 წლის ოქტომბერში შეიქმნა და მასში გაერთიანდნენ: „ახალი მემარჯვენეები“, „ეროვნული ფორუმი“, „თავისუფალი დემოკრატები“, კონსერვატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია, „საქართველოს გზა“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ და „ხალხის პარტია“.**
**საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით, „საქართველო და მსოფლიომ“ გადაწყვიტა, გამოკითხვა ჩაეტარებინა და რესპონდენტებს ასეთი კითხვა დაუსვა: შეგიძლიათ თუ არა მინიმუმ სამი ადამიანის დასახელება „რვიანიდან“, ვინც, თქვენი აზრით, ხელისუფლებისთვის ლეღვის ფოთლის ფუნქციას ასრულებს?**





**როლანდ ჯალაღანია, გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი:** — იმ ადამიანების სამეული თუ უნდა დავასახელო, ვინც ხელისუფლებასთან თანამშრომლობს, ჩემი აზრით, უპირველესად ესენი არიან ირაკლი ალასანია, კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური.



**გიორგი ლაღიძე, პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერი:** — ოპოზიციურ „რვიანს“ ხელისუფლებასთან მჭიდრო და თბილი ურთიერთობა რომ აქვს, ეს, ალბათ, ახალი ამბავი არაა. არც ის გამიკვირდება, ზოგიერთ წარმომადგენელს უფრო სხვა ფუნქციაც რომ ეკისრა, როგორიცაა ამ რეჟიმის ლეღვის ფოთლის მდგომარეობაში ყოფნა. ასეთებად შემიძლია დავასახელო დავით გამყრელიძე და ირაკლი ალასანია.



**ვიქტორ ცაავა, პოლიტოლოგი:** — ჩემი აზრით, ამ ხელისუფლებისთვის ლეღვის ფოთლის ფუნქციას, პირველ რიგში, „რესპუბლიკელების“ ლიდერი დავით უსუფაშვილი და „დემოკრატების“ ლიდერი ბაჩუკი ქარდავა ასრულებენ. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ხელისუფლება არაფერს დათმობს, მაგრამ პოლიტიკური პროცესების გასაჭიანურებლად დიალოგს მართავენ.



**დიმიტრი ლორთქიფანიძე, პარლამენტის წევრი:** — პერსონალიებზე ნამდვილად არ მინდა ყურადღების შეჩერება, არაკორექტულად მიმაჩნია. ოპოზიციურ „რვიანზე“ კი შემიძლია გითხრათ, რომ ის საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში იმყოფება. მათი დამოკიდებულება სახელისუფლო პოზიციასთან დაკავშირებით შედეგზე ნამდვილად არაა ორიენტირებული. „რვიანმა“ უნდა იფიქროს იმ აქციებსა და ღონისძიებებზე, რომლებიც გამოიყვანს მათ ამ რთული მდგომარეობიდან. ასე რომ, „რვიანს“ ერთ სუბიექტად განვიხილავ. სანამ ისინი ერთიან პოზიციას წარმოადგენენ, მათგან რომელიმეს გამოყოფა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.



**ადა მარშანია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი:** — ლეღვის ფოთლის ფუნქციას ყველა ასრულებს. მთელი ეს ოპოზიციური „რვიანი“ ამითაა დაკავებული. მათგან სამის გამოყოფა ნამდვილად მიჭირს. ჩემთვის ყველა ერთნაირია. პოლიტიკური სპექტრი საქართველოში, დიდი ხანია, მკვდარია და მათი სახელების გახსენებაც არ მინდა.



**ნანა დევდარიანი, ჟურნალისტი, ყოფილი ომბუდსმენი:** — იმისათვის, რომ მე ოპოზიციური „რვიანიდან“ რომელიმე პერსონაზე დამაჯერებლად ვისაუბრო, ამის დამადასტრებელი ფაქტებიც უნდა გამაჩნდეს. ამ პოლიტიკოსებიდან არც ერთი არ უარყოფს, რომ ხელისუფლებასთან თანამშრომლობს. მოლაპარაკებაც თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმაა. ამის იქით თუ ვინმე გარიგებაში შევა, ეს არ დაიმალება და აუცილებლად გამოაშკარავდება.



**გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:** — ოპოზიციური „რვიანს“ მე ონანისტებს ვეძახი. ისინი ხელისუფლების სასარგებლო მოთამაშეები არიან. ეს ყველამ იცის. რაც შეეხება იმას, რომელ პოლიტიკურ სუბიექტს მივიჩნევ მათგან ხელისუფლების რეჟიმისთვის ლეღვის ფოთლის ფუნქციის შემსრულებლად, დასახელებისგან თავს შევიკავებ. არ მინდა მათგან რომელიმეს გამოყოფა, რადგან ყველა თანაბარ დამნაშავედ მიმაჩნია საზოგადოების გაბიაბურებაში.



**დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:** — ზოგადად, ეს ოპოზიციური „რვიანი“ რისთვის შეიქმნა, არ მესმის. რა აზრი აქვს მის არსებობას, ვინმემ იცის? პირველ რიგში, ამ ფუნქციის ერთ-ერთ შესანიშნავ შემსრულებლად დავასახელებ „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერ გიორგი თარგამაძეს. სხვების გამოყოფა მიჭირს.

მოამზადა
**ლილი მიროტაძე**

# ბობოხიძემ და მაჭავარიანმა ამოხეთქილი წყლის გამო იჩხუბეს

**მიხეილ მაჭავარიანმა და აკაკი ბობოხიძემ იჩხუბეს. ამ კამათს თვითმხილველები არ ჰყავს, ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტები ამ ფაქტს არ შესწრებიან, მაგრამ სხვადასხვა გზით ინფორმაციამ მასმედიის ყურამდე მაინც მიაღწია.**

**ცნობილია, რომ თავის დროზე პარლამენტის ქუთაისში გადატანის იდეა „ნაცებმა“ სწორედ ბობოხიძის პირით გაახმიანეს და ამის შემდეგ კონსტიტუციაში სათანადო ჩანაწერიც კი გააჩინეს.**

**ახლა კი მაჭავარიანი და აკაკი ბობოხიძე ერთმანეთს იმის გამო წაკიდებიან, რომ ქუთაისში, პარლამენტის მშენებარე შენობის საძირკველში გრუნტის წყალი ამოსულა.** მაჭავარიანს „ნოვატორული წინადადების ავტორისთვის“ უსაყვედურებია, მშენებლობისთვის ადგილი სწორად არ არის შერჩეულიო. არც გაგულისებულ ბობოხიძეს უცდია წყენის დამალვა და...

მოკლედ, გრუნტის წყლების გამო ამტყდარი კამათი უმრავლესობის წევრებსაც გაუგიათ, მაგრამ პირში წყალს იგუბებენ და პრესას ამის შესახებ არაფერს ეუბნებიან. **ისე, ცნობისთვის: მაჭავარიანის გაბრაზებას ყველა ერიდება, რადგან პირველი ვიცესპიკერი ყველაფერს იმახსოვრებს და სამაგიეროს გადახდის შანსს ხელიდან არასოდეს უშვებს.**

**მიხეილ მაჭავარიანთან ჩხუბის შემდეგ აკაკი ბობოხიძე ქუთაისში „საზეიმო ღონისძიებაზე“ აღარ დაპატიჟეს. არადა, რა დაპატიჟება უნდოდა მაჟორიტარ დეპუტატს ქუთაისში?! მაგრამ ფაქტია, რომ იმ დროს, როდესაც კახა ბაინდურაშვილი და ზურაბ მელიქიშვილი მეორე დედაქალაქში ჩავიდნენ, ბობოხიძე იქ არ დახვედრიათ.**

პარლამენტის ბიუროს სხდომაზე მისულ ბობოხიძეს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, რატომ არ იმყოფებოდა ქუთაისში, რაზეც ბობოხიძემ თბილისში საქმეები მოიმიზეზა. პარლამენტში კი ხუმრობენ — ბობოხიძე „მოტეხეს“ და ქუთაისში არ წაიყვანესო.

**ბობოხიძემ, შესაძლოა, საკუთარ თავს იგივე გაუჩალიჩოს, რაც თავის დროზე ირინა სარიშვილს დაემართა. წლების წინ ირინა სარიშვილი ასეთივე დაჟინებით მოითხოვდა 5%-იანი საარჩევნო ბარიერის 7%-მდე აწევას. როდესაც ბარიერი 7%-მდე გაიზარდა, ედპ-ის მაშინდელ ლიდერს ისე გაუხარდა, თითქოს ჯეკპოტი მოიგო. სარიშვილი მოქკავშირის მაშინდელ ლიდერებს გადაეხვია და ბარიერის გაზრდა მხურვალედ მიულოცა. ყველას ეგონა, რომ სარიშვილს მომავალ პარლამენტში ადგილი დაჯავშნილი ჰქონდა, მაგრამ არჩევნების შემდეგ ედპ-ის ყოფილი ლიდერი საკანონმდებლო ორგანოს მიღმა დარჩა.**

გამორიცხული არ არის, რომ სარიშვილის ბედი აკაკი ბობოხიძემაც გაიზიაროს და პარლამენტის ქუთაისში გადატანის ინიციატორი პარლამენტს გარეთ აღმოჩნდეს...

ამის დაჯერება იმ ადამიანებს ნამდვილად გაუჭირდებათ, ვისაც ახსოვს წლების წინათ პარლამენტს მიღმა დარჩენილი აკაკი ბობოხიძის ნათქვამი: **„ხელისუფლებაში მოსახვედრად ეშმაკსაც კი შევეკვრებიო“.**

ბობოხიძე ერთადერთი არ არის, ვინც მიხეილ მაჭავარიანის „რისხვა“ დაიმსახურა. რამდენიმე დღის წინათ სხდომის წამყვანმა მაჭავარიანმა მთავრობის საპარლამენტო მდივანს დემონსტრაციულად გამოურთო მიკროფონი.

**პარლამენტის სხდომაზე შეკამათება მაშინ მოხდა, როდესაც ერთ-ერთ კანონპროექტს განიხილავდნენ, რომელიც თბილისსა და რუსთავს შორის სამარშრუტო ტაქსების მოძრაობასა და მგზავრთა ეფექტიან მომსახურებას შეეხებოდა.**

მაჭავარიანი იმის გამო აღშფოთდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობა სამი თვის მანძილზე ვერ ჩამოყალიბდა. გია ხუროშვილმა კი სცადა, მაგრამ ვიცესპიკერმა ახსნა-განმარტების საშუალება არ მისცა. მაჭავარიანმა მთავრობის საპარლამენტო მდივანი იმით „დასაჯა“, რომ მიკროფონი გამოურთო.

**ამაზე ხუროშვილს მაინც და მაინც დიდად არ უდარდია, რადგან მაჭავარიანი მთავრობის საპარლამენტო მდივანზე სერიოზულად არ გაბრაზებულა.**

**ნანა ნაცვლიშვილი**

## აკაკი ბობოხიძეს ირინა სარიშვილი დაემართა



„კილომეტრ-ნახევრის სიგრძისაა ის ქუჩა. თავიდან ბოლომდე გავაყოლეთ ხეივანი. ერთი ქალი გადმოდგა მაშინ თავისი ბინის აივნიდან და ჩამომძახა: ბატონოო, რავა ტყულად რგავთ მაგას მანდო.
— რატომ, ქალბატონო? — მე ვუთხარი.
— მაგას ძროხა გადაგიჭამს და გახმებაო.
— შენი სახლის წინ ვრგავ და მე გადამიჭამს?!“

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ოტია იოსელიანი: ჩვენ უკვე განწირული ქვეყანა ვართ და ვინ რას შვება და რატომ, ვერავინ გიპასუხებს

**კლასიკოსად აღიარებულმა ქართველმა მწერალმა ოტია იოსელიანმა 15 წლის წინათ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, საფუძველი ჩაუყარა ხეივანს, თავისი ხელით (მეგობრებიც მოიხმარა) დარგო სხვადასხვა ჯიშის ხეთა ნერგები.**



«ნაცები» ოტია იოსელიანის გაშენებულ ხეივანსაც ჩეხავენ...

— მაშინ შაშიაშვილი იყო იქანა და ქე გვიჭერდა მხარს. კილომეტრ-ნახევრის სიგრძისაა ის ქუჩა. თავიდან ბოლომდე გავაყოლეთ ხეივანი. ერთი ქალი გადმოდგა მაშინ თავისი ბინის აივნიდან და ჩამომძახა: ბატონოო, რავა ტყულად რგავთ მაგას მანდო.

— რატომ, ქალბატონო? — მე ვუთხარი.

— მაგას ძროხა გადაგიჭამს და გახმებაო.

— შენი სახლის წინ ვრგავ და მე გადამიჭამს?!

**ძროხა არა, მაგრამ მიდგომიან ამ დღეებში მერიის ბიჭები თხუთმეტწლოვან ხეებს და გადაუჭრიათ. შეწუხდა მწერალი, ძალიან შეწუხდა და ტელეფონით აუწყა „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას ხეივნის მჩეხელთა „ვაჟკაცობის“ ამბავი.**

**ახლახან ბათუმის ბულვარში გადაჭრეს და ამოძირკვეს ხეივანი. იქაური მთავრობის მეთაური ვარშალომიძე, რომლის სახელის დახსომებით თავი არ შემიწუხებია, გადმოდგა ტელესარკმელში და მომცინარემ (სააკაშვილისგან თუ გადაიღო მუდმივხალისიანობის ეს ნიღაბი) ფილოსოფიური სიბრძნით განსაჯა: — ძველი ახლით უნდა შეიცვალოს, ასეაო ცხოვრებაში.**

**ეგეც — სენეკა და ბახუს სპინოზა!**

— ჩვენში სიცოცხლე არაფერი ჰგონიათ. ჰოდა, მაგი თუ არ გავარკვიეთ, რატომ აკეთებენ ამას, მასე როგორ დავბნელდებით? არაფერი არ უნდა არსებობდეს? გავაშენე და ახლა ჭრიან! იყოს ხე გახარებული, ვის უშლის?

**— ყველაფერი ძველის ამოძირკვას ხომ არ აპირებენ ახალგაზრდები?**

— ახალგაზრდები სადაა ქუთაისში?! აზროვნება უკვე დაიკარგა, გაქრა და დარჩა ეს გამოთაყვანებული ხალხი, რომელიც ეძებს საჭმელს. სადაც იპოვის, სამშობლოც იქ არის.

მენშევიკები რომ გეიქცნენ აქედან, ხომ არ დაბრუნდებოდნენ უკან? არა. დახვრეტდნენ და იმიტომ.

**— კი, ალბათ.**

— დაბრუნდებოდნენ და გათავებული იყო მაგათი საქმე. დარჩნენ პარიზში. ჰოდა, 54 პროცენტი ნოსტალგიით დეიხოცა იქ.

ახლახან ჩამოვედი ავსტრიიდან. ვნახე იქაური ჩვენებურები, მაგრამ ნოსტალგიის მაინც და მაინც არაფერი წამიკითხია იმათ სახეზე. ძლომაზე იყო... ვისაც შეეძლო, კარგი ფერ-ხორცი ადევს. თუ რამე იშოვა, სუქდება.

რა სამსახური აქვს და — ხვეტავს. რასაც აქანე არ იზამს.

**— მეეზოვეა.**

— აქანე თავი მოეჭრება. გაზაფხულია ახლა. კაცი დღე და ღამე მინდორში უნდა იყოს, სახლში არ უნდა შედიოდეს: ბარვა, თესვა, სხვლა! რასაც ახლა დათეს, იმას მოიმკი, ხომ? კაციშვილი ყურს არ იბარტყუნებს. ბიჭო, კანადელმა ფერმერმა მოიწიოსო თავისთვისაც და ჩემთვისაცო! გაგიგია?!

**— თავს როგორა გრძნობთ, ბატონო ოტია, როგორ ხართ?**

— კარგად მტერი იქნა ახლა. თუა ვინმეა კარგად, ცოტა შორს გოუარეთ, არაფერი მოგწიოთ! ქე გითხარი ეს ამასწინათ. გაასწარით!

საშინელ ამბავს რომ ბეჭდავთ გაზეთში და ამ დროს პორტრეტი ადევს ზედ — გალი-მებულიიი! გახეული აქვს პირი ყურებამდე. რა ჯანდაბაა, რომ აცინებს?!

სადა გვყავს ჟურნალისტები, თვარა მისი ნათქვამი და განწყობილება უნდა იყოს ერთნაირი, ხომ?

**— კი.**

— ჰოდა, კვდება ის კაცი სიცილით. წაიკითხავ და არ გაგეცინება! ა-რა ვართ! ჩვენ უკვე განწირული ქვეყანა ვართ და ვინ რას შვება და რატომ, ვერავინ გიპასუხებს.

ამას უნდა ჭკუა.

**— ახლა რევოლუციაზე რომ ლაპარაკობს ოპოზიცია, თქვენ რა შეხედულების ხართ ამაზე?**

— კი ვუთხარი აქანე, ის რომ იყო ჩამოსული, ალასანია. არ გაგიწყრეთ ღმერთი, წვეთი სისხლი არ დაღვაროთ, თორემ მოგიბრუნდებათ აგერ, ჯარები რომ ყავს პოლიციის, იგი, გაგვჟუჟავს სუყველას და უფრო მაგრად დაჯდება იმ ადგილზე, სადაც ზის. გაგვჟუჟავს და გეიქცევა. როგორც მე მაგის ხასიათი ვიცი და ბუნება, ესაა გარდაუვალი. ღმერთი არ გაგიწყრეთ, არ მისცეთ საბაბი, რომ ამოჟლიტოს ქვეყანა.

**— აბა, სიყვარული გადაარჩენს საქართველოს?**

— სიყვარული ყველაფერს გადაარჩენს, რომ გვქონდეს, მაგრამ სიყვარული სახადივით კი არ დაგემართება. სიყვარული არის ნიჭის, ცოდნის, ერთგულების, განათლების, კულტურის, ზნეობის — ყველაფერ ამის ერთობლიობა. გეიგე? მაგი რომ გვქონდეს, — კი, მარა მაგან უკვე მოჭამა ჭირი! რაღა დროის სიყვარულია...

**პაუზა და:**

— გაარკვიე, თუ კაცი ხარ, ვინ ეჭიდავება ჩემ დარგულ ხეებს!

**ბატონ ოტიასთან საუბარი გასულ შაბათს შედგა, არასამუშაო დღეს. იმას კვირა მოჰყვა, „კიდევ უფრო არასამუშაო დღე“. ორშაბათი უქმე იყო, 9 მაისი — გამარჯვების დღესასწაული.**

**ალბათ, ამიტომ არავინ უპასუხა ჩვენს სატელეფონო ზარებს მერიაში, თორემ მომკალით და ვერ დავიჯერებ, რომ ტელეფონები იმიტომ უდგათ, რომ პრაქტიკულად შეგვიქმნან წარმოდგენა, თუ რას ნიშნავს „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.**

**ამასობაში ერთ-ერთმა ტელეარხმა დაგვდო პატივი და გაგვარკვია, რომ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ბატონ ოტიას თაოსნობით გაშენებული ხეივანი ამოძირკვეს იმიტომ, რომ პალმები გააშენონ.**

**პალმებს ძროხები არ ეტანებიან.**

**არმაზ სანებლიძე**

# შს სამინისტრომ შარშან მხოლოდ საწვავში 23 მილიონი დახარჯა

**ვანო მერაბიშვილმა კიდევ ერთი პოლიციის შენობა ძველი თბილისის რაიონში გახსნა, ცხადია, შუშის, რადგან, მისი განმარტებით, შუშის შენობებში მუშაობაც გამჭირვალეა. გამჭვირვალობის რა მოგახსენოთ, მაგრამ მეტად ძვირიც ჯდება და მოუხერხებელიც კია ამ შენობებში მუშაობა, ვინაიდან იქ ვენტილაციის სერიოზული პრობლემები იქმნება, თანაც დაკავებულის წამება იმ შემინულ ადგილას კი არ ხდება, სადაც გამომძიებლები სხედან, არამედ — წინასწარი დაკავების საკნებში.**

„საქართველო და მსოფლიო“ წერდა, რომ მთავარი შუშის შენობის მოწყობა, 2010 წლის ბიუჯეტის პირველი ექვსი თვის მონაცემებით, 5 მილიონამდე დაჯდა. 5 მილიონი რა მოსატანია, როცა ამ უწყებას ბიუჯეტი 2011 წელს 566 მილიონი აქვს. აქედან **სხვა ხარჯები, რაც, ძირითადად, ბიუროკრატიულ ფუფუნებას ხმარდება, 6 მილიონ 432 ათასი ლარია.** ასე რომ, სახელმწიფოს ხარჯზე მოთხოვნების დაკმაყოფილება ყველა ჩინოვნიკისთვის ადვილად ხელმისაწვდომია.

**მხოლოდ კვებაზე საქართველოში ყველაზე საკვანძო უწყებამ — შს სამინისტრომ 1 მილიონ 561 ათას 576 ლარი დახარჯა, „ლუკოილსა“ და „ვისოლისგან“ საწვავის შეძენაზე კი — 23 მილიონ 514 ათას 440 ლარი.**

მაშინ, როცა პოლიციამ დროებითი თავშესაფრის ადგილებიდან დევნილები გამოყარა, შს სამინისტრო ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე ე. წ. მოდულის შენობის გამწვანებასა და მოპირკეთებაზე 220 ათას 591 ლარს ხარჯავს, შენობის უკანა ფასადის შელამაზებაზე — 372 ათას 475 ლარს, ხოლო ამ ეზოს სარწყავი საშუალებების მონტაჟზე — 39 ათას 777 ლარს. ამ შენობის ღობის დემონტაჟი და ნაწრთობი შუშით ღობის მოწყობის სამუშაოები 398 ათას 920 ლარი დაჯდა, ვიდეოსისტემებით აღჭურვა — 116 ათას 400 ლარი. ჯამში ეს თანხა მილიონზე მეტს შეადგენს... დამეთანხმებით, რომ ასეთი თანხა წლების წინ მიწისძვრითა თუ სხვა ფაქტორების გამო საერთო საცხოვრებლებში მყოფ და ხშირ შემთხვევაში თავშესაფრის გარეშე დარჩენილ ბევრ მოქალაქეს მოუწესრიგებდა საყოფაცხოვრებო პრობლემებს.

**საოფისე, ელექტრო და საყოფაცხოვრებო ტექნიკა მერაბიშვილის უწყებას 531 ათას 823 ლარი დაუჯდა.** საინტერესოა, ასეთს რა ელექტრო და საყოფაცხოვრებო ტექნიკას იძენს სამინისტრო, რომლის აპარატურაც (ტელევიზორები, მაცივრები) ისედაც განახლებულია.

აბრები განათებითა და წარწერით POLICE უბრალო არ გეგონოთ, მათი ღირებულება 8850 ლარია, 2010 წელს შსს-ს 17 ასეთი აბრა შეუძენია, როგორც ჩანს, პოლიციის ახალი შენობებისთვის. ერთი გარე განათების დეკორაციული ბოძის სანათში მერაბიშვილის უწყებას 65 ათას 284 ლარი მიუცია. კიდევ კარგი, აღნიშნულ ბოძებს ყველა შენობის წინ არ იდგამენ.

## გარე განათების დეკორაციულ ბოძში მერაბიშვილის უწყებამ 65 ათასი ლარი გადაიხადა

მოგეხსენებათ, **ძალზე მოდურია ავტომანქანების ჩამორთმევა ბრალდებულებისთვის და მათი შსს-ს ბალანსზე აყვანა. ამ დროისთვის ასეთი მეთოდით მითვისებული სხვადასხვა ღირებულების ასობით მანქანა ჰყავს სამინისტროს, ბევრი მათგანი კი, რომელსაც პოლიციელებს არ აკადრებენ, აუქციონზე იყიდება. მიუხედავად ამისა, სამინისტრო ასობით ავტომანქანას იძენს ყოველწლიურად. 2010 წელს მათ „ტოიოტა ჰაილუქსის“ 117 მანქანა შეუძენიათ 4 მილიონ 878 ათას 900 ლარად, ანუ თითო მანქანაში 41 ათას 700 ლარი გადაუხდათ. შსს-ს შენაძენი ამით არ ამოწურულა, „ტოიოტასგან“ მათ კიდევ 6 მილიონ 803 ათას 500 ლარისა და 1 მილიონ 788 ათას 400 ლარის ავტომანქანები შეიძინეს.**

შს სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის დასუფთავება „სუფთა სამყაროსთვის“ და „ემ თი ემ გრუპისთვის“ მიუნდვია. ახლახან საკრებულოს წევრმა თინათინ ხიდაშელმა გაახმიანა, რომ „სუფთა სამყარო“ დეპუტატ არჩილ გეგენავას ეკუთვნის და მთელ სახელმწიფო აპარატს ეს ფირმა ემსახურება, მხოლოდ ვანო მერაბიშვილის უწყებას ადმინისტრაციული შენობის დასუფთავებისთვის მისთვის 141 ათასი ლარი გადაუხდია, „ემ თი ემ გრუპისთვის“ კი — 20 ათას 130 ლარი.

მერაბიშვილის უწყება საჩუქრებსაც არიგებს. სასაჩუქრე სუვენირები მათ შარშან 218 ათას 130 ლარი დაუჯდა; 36 ათასი ლარის 30 ათასი ა-4 ფორმატის სურათი დაუბეჭდავთ, ქსელური კავშირგაბმულობის საშუალებებში კი 1 მილიონ 238 ათას 737 ლარი დაუხარჯავთ. **თბილისი-გორის ავტობანზე ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის შეძენა-მონტაჟი, არსებული სამეთვალყურეო სისტემის გაუმჯობესების მიზნით, 200 ათასი ლარი დაჯდა.** ამის შემდეგ, ალბათ, აღარ გაგიკვირდებათ, რატომ მოგდით ასე ხშირად 100-ლარიანი ჯარიმა იმ მაგისტრალზე გავლისთვის, რომელიც ჩქაროსნულია და მისი გაკეთებიდან დღემდე პრეზიდენტი გვარწმუნებს, რომ ბათუმში 2 საათში შეგვეძლება ჩასვლა. მაგრამ ეს მგზავრობა, ჯარიმების გათვალისწინებით, საკმაოდ ძვირი რომ დაგიჯდებათ, ფაქტია.

## მოდულის შენობის გარემონტებაში ბიუჯეტიდან მილიონ ორასი ათასი ლარი დაიხარჯა

**სოფო გელაშვილი**

საქართველო და მსოფლიო

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**რაც შეეხება სააკაშვილის პოლიციელებს, ბევრი ადამიანი, რომელთაც მათთან უშუალო ურთიერთობა ჰქონია, (ოღონდაც არა ტელეკამერების და უცხოელი სტუმრების თვალთახედვის არეში) დაჟინებით ირწმუნება, რომ ისინი მხოლოდ რამდენიმე ათეულ, მეტწილად უცენზურო, სიტყვას იყენებენ. ამასთანავე, დელფინებს ემოციური თანაგრძნობა ახასიათებთ, რაც სააკაშვილის პოლიციელების შემთხვევაში სერიოზული ეჭვის ქვეშ არაერთგზის დამდგარა.**

# სამოქალაქო ომის წინათგრძნობა,

## ანუ ფსიქოდელური გაბაასება დელფინთან



**6 მაისს მიხეილ სააკაშვილი ბათუმში პოლიციელებისა და დელფინების გარემოცვაში გამოჩნდა. პოლიციელები ცდილობდნენ, თავიანთი მწყობრით მზე განესახიერებინათ, ხოლო ერთ-ერთი დელფინი სააკაშვილს გაესაუბრა. იყო ამ სანახაობაში რაღაც უაღრესად ფსიქოდელური, რაღაც ისეთი, რაც კარლოს კასტანედას ყველაზე თამამ ხილვებშიც არ მოელანდებოდა. პოლიციელების მიერ მზის განსახიერებას თავი რომ დავანებოთ, საინტერესო კია, რა აზრის მიტანა სურდა დელფინს თანამოსაუბრემდე? ამ თემას მოკლედ შევეხოთ, შემდეგ კი განვიხილოთ სააკაშვილის გამოსვლა პოლიციელთა წინაშე, რომელიც რამდენიმე საგანგაშო სიგნალს შეიცავდა.**

### ფაქტები ძუძუმწოვართა ცხოვრებიდან

დელფინებს სააკაშვილის პოლიციელებზე უფრო მეტი ტვინი აქვთ და ეს მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტია. არა, ხუმრობის გარეშე, დელფინის ტვინი საშუალოდ 1700 გრამს იწონის, ადამიანისა — 1400 გრამს; ამასთანავე, დელფინს ორჯერ მეტი ტვინის ხვეული აქვს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დელფინის „ლექსიკონში“ 14 ათასამდე სიგნალია, რომელთა მეშვეობით ისინი ერთმანეთთან ურთიერთობენ. ეს (დაახლოებით) საუნივერსიტეტო განათლების მქონე ადამიანის სიტყვათა აქტიურ მარაგს უდრის.

**რაც შეეხება სააკაშვილის პოლიციელებს, ბევრი ადამიანი, რომელთაც მათთან უშუალო ურთიერთობა ჰქონია, (ოღონდაც არა ტელეკამერების და უცხოელი სტუმრების თვალთახედვის არეში) დაჟინებით ირწმუნება, რომ ისინი მხოლოდ რამდენიმე ათეულ, მეტწილად უცენზურო, სიტყვას იყენებენ. ამასთანავე, დელფინებს ემოციური თანაგრძნობა ახასიათებთ, რაც სააკაშვილის პოლიციელების შემთხვევაში სერიოზული ეჭვის ქვეშ არაერთგზის დამდგარა.**

„საქართველო და მსოფლიოს“ რუბრიკა „არსენალი“ წერდა, რომ დელფინები, რომლებსაც სამხედრო მიზნებით გამოყენებას უპირებდნენ, უარს ამბობდნენ იმაზე, რომ ადამიანებისთვის შეეტიათ, უმძიმეს სტრესულ მდგომარეობაში ვარდებოდნენ და შემდგომი გამოყენებისთვის გამოუსადეგარი ხდებოდნენ.

**როგორც ცნობილია, შსს-ს თანამშრომელთათვის მსგავსი ქცევა მაინც და მაინც დამახასიათებელი არ არის. ფაქტია, დელფინს ყოველდღიურ ულუფაზე რაღაც უფრო დიდი ღირებულებები აქვს და ერთ-ერთი სხვისი სიცოცხლის ხელშეუხებლობაა.**

რისთვის მივიდა სააკაშვილი დელფინთან? ცნობილია, რომ ტელეეკრანებზე ბავშვებთან და ფაუნის იმ წარმომადგენლებთან ერთად გამოჩენა, რომლებიც დადებით ემოციებს აღძრავენ, პოლიტიკოსის იმიჯისთვის მომგებიანია. ალბათ, ამიტომ სააკაშვილი მუდამ ცდილობს, ახალ ამბებში სკოლის მოწაფეებისა და სტუდენტების გარემოცვაში მოხვდეს, სამხედრო ნაწილებში ვაჟიშვილთან ერთად დადის და, საერთოდ, ნებისმიერ დადებით კონტექსტს აქტიურად იყენებს. ასე რომ, ბათუმში დელფინს თავზე რომ დაადგა, თავისთავად გასაკვირი არაა. სხვა საკითხია, წაადგება თუ არა ეს მის იმიჯს. ძნელი სათქმელია!

ბევრისთვის სააკაშვილის იმიჯი არა მხოლოდ შეილახა, არამედ, უბრალოდ, განადგურდა 2008 წლის აგვისტოში, როდესაც ის გორის ცენტრში ჰიპოტეტურ რუსულ თვითმფრინავს გაურბოდა, შემდეგ კი შეშინებული სახით მიწაზე იწვა. საზოგადოების ამ ნაწილის თვალში სააკაშვილი იქცა პოლიტიკოსად იმიჯის გარეშე, მარტივად რომ ვთქვათ, „სახის გარეშე“ და მათ დამოკიდებულებას არა მხოლოდ დელფინი, არამედ მამაზეციერიც ველარ შეცვლის. თუმცა, ასეთი მძიმე ფონის მიუხედავად, სახელისუფლო პროპაგანდამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს კადრები მაქსიმალურად ბევრ მაყურებელს ენახა.

**საინფორმაციო სივრცეში, როგორც ჩანს, საგანგებოდ „შემოაგდეს“ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სააკაშვილმა „დელფინის ხახაში ლამის თავი ჩაყო“, სავარაუდოდ, იმისთვის, რომ ინტერნეტმომხმარებლებში ამ სიუჟეტის მიმართ ინტერესი გაეღვივებინათ. ვერაფერს ვიზამთ, როდესაც არსებითად სათქმელი არაფერი რჩება, ასეთი იაფფასიანი ტრიუკების გამოყენება იწყება.**

**შემდეგ „ახალ ამბავს“, რომლის მიზანი სააკაშვილისადმი ინტერესის რეანიმირება იქნება, ალბათ, ასეთი სათაური ექნება „ორანგუტანგმა სააკაშვილს აგური ესროლა“, სინამდვილეში კი აღმოჩნდება, რომ სააკაშვილმა შიმპანზეს ბანანი მიაწოდა (ან პირიქით).**

და მაინც, რა „უთხრა“ დელფინმა სააკაშვილს? საერთოდ, დელფინები ადამიანებზე გაცილებით უფრო სწრაფად „საუბრობენ“ და მათ რამდენიმე წამში უფრო მეტი ინფორმაციის გადმოცემა შეუძლიათ, ვიდრე, მაგალითად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პროგრამა, წესდება და პოლიტიკური პლატფორმა შეიცავს. **სახელისუფლო პროპაგანდის ზოგიერთი საშუალება ირწმუნებოდა, რომ დელფინი სააკაშვილის მიმართ უაღრესად თბილ დამოკიდებულებას ავლენდა, ხოლო იმ ადამიანების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, რომლებსაც ეს ვიდეო ვაჩვენე, ჩათვალა, რომ დელფინმა „თქვა“: „გადადექი!“ ან „დაგვეხსენი!“ და უამრავი სხვა რამ, რის ზუსტი ციტირება აქ ერთობ უხერხულია.**

სხვათა შორის, ერთი ვერსია მეორეს არ გამორიცხავს. აზრი იმის შესახებ, რომ საუკეთესო გამოსავალი (კეთილი დასასრულით) სააკაშვილისთვის ხელისუფლების და, ზოგადად, პოლიტიკის სასწრაფოდ დატოვებაა, იმდენად გავრცელდა, რომ გამორიცხული არაა, რომ ძუძუმწოვართა ფართო მასებში, კერძოდ კი დელფინების ვიწრო წრეში, შეაღწია. თუმცა სააკაშვილი წასვლას არსად აპირებს, მეტიც — მისმა გამოსვლამ პოლიციის აღლუმზე შეიძლება დაგვაფიქროს, რომ საკუთარი მდგომარეობის განმტკიცებისთვის მან საკმაოდ საშიში, მთელ რიგ საფრთხეებთან დაკავშირებული გზა აირჩია.

### აქეთ – მზე, იქით – მთვარე...

**მაშ ასე, 6 მაისს, ბათუმში პოლიციელების მწყობრი ცდილობდა, მზე და მისი სხივები განესახიერებინათ, მიხეილ სააკაშვილი კი მათ კმაყოფილი უყურებდა. ისე, უკანასკნელი დასამახსოვრებელი შემთხვევა, როდესაც ფორმიანი ადამიანების მწყობრმა რთული გეომეტრიული ფიგურის ფორმა მიიღო, რამდენიმე ათეული წლის წინათ შუაგულ ევროპაში დაფიქსირდა (ის ისტორია ძალიან ცუდად დასრულდა). უბრალოდ, მაშინ ბნელოდა და იმ ადამიანებს ჩირაღდნები ეჭირათ. იმ დონის რეჟისურას სააკაშვილის ხელისუფლება, ცხადია, ვერ „გაქაჩავდა“, მაგრამ ამ საქმეში მთავარი ხომ დაწყებაა. თუმცა კორდებალეტის პრობლემებს თავი დავანებოთ და უშუალოდ სააკაშვილის გამოსვლაზე გადავიდეთ.**

„დღეს ჩვენთვის განსაკუთრებული დღეა, — თქვა სააკაშვილმა, — მიუხედავად იმისა, რომ ცაზე მზე არ არის, მზე გამოჩნდა აქ, ბათუმის ახალ ბულვარზე. მზე გააკეთეთ თქვენ, თქვენი კოლონებით. აქაურობა თქვენი აქ ყოფნით გაათბეთ, ისევე, როგორც, უკვე რამდენიმე წელიწადია, თქვენი მუშაობით, თქვენი არსებობით ასხივებთ საქართველოსთვის, გამოსცემთ სითბოს და კაშკაშა სინათლე შეგაქვთ რეგიონის ბევრ ქვეყანასა და, გაზვიადების გარეშე ვამბობ, მთელ მსოფლიოში“.

**კაცმა რომ თქვას, ამ ბედკრულ პლანეტაზე, ალბათ, სულ სამი ადამიანი ცხოვრობდა, რომელთაც ზემოთქმულზე კვალიფიციური კომენტარის გაკეთება შეეძლოთ (ზიგმუნდ ფროიდი, კარლ იუნგი და ავლიპ ზურაბაშვილი), დღეს ცოცხალი არც ერთი მათგანი აღარ არის, ამიტომ აჯობებს წინარე პასაჟი კომენტარის გარეშე დავტოვოთ.**

სააკაშვილის გამოსვლის ყველაზე ყურადსაღები მონაკვეთი ასე ჟღერდა: „დღეს ქართულ სახელმწიფოს, უპირველესად, ებრძვის ის, ვისაც საქართველოში კორუფციის, ორგანიზებული და კრიმინალური დანაშაულის დაბრუნება სურს. დღეს ჩვენს ქვეყანას ებრძვის ის, ვინც ადრე განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა. მაშინ მხოლოდ მათ ჰქონდათ პრივილეგიები, მხოლოდ ისინი დადიოდნენ კარგი მანქანებით, მხოლოდ მათ ჰქონდათ სახლში დენი, რადგან გენერატორების შეძენა მხოლოდ მათ შეეძლოთ; მხოლოდ მათი შვილები სწავლობდნენ კარგ სკოლებში. მათ ასევე, სხვა ადამიანების დამცირებისა და შევიწროების პრივილეგიაც ჰქონდათ. უპირველეს ყოვლისა, დღეს გებრძვით ის, ვინც ვერ აიტანა, რომ საქართველოში კარიერა კეთდება არა ნაცნობობითა და ნათესაობით, არამედ უნარით — უანგაროდ ემსახურო სამშობლოს, ემსახურო შენს მოქალაქეებს და საქართველოს მომავალს. დღეს ქართულ სახელმწიფოს ებრძვის ორგანიზებული დანაშაული, რომელიც განიდევნა სახელმწიფოდან. დააკვირდით, რა მხრივ გვიტევენ ყველაზე მეტად, უტევენ ჩვენს პოლიციას, მანდატურებს, პენიტენციურ რეფორმას, რადგან ყოველივე ეს განასახიერებს ახალ საქართველოს. ასევე უტევენ საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და ქვეყნის მომავლის იდეას“.

საერთოდ, ნებისმიერი კრიზისის უკან, მისი საინფორმაციო მოდელი დგას, რომლის ფორმირება უფრო ადრე იწყება ვიდრე პროცესები კულმინაციას მიაღწევს. მისი მთავარი დანიშნულება იმის მარტივი ახსნაა, ვინ, რატომ და რისთვის იბრძვის ამა თუ იმ კონფლიქტის ფარგლებში. სააკაშვილის გამოსვლის ამ მონაკვეთმა შეიძლება დაგვაფიქროს, რომ ის ცდილობს კრიმინალები და ხელისუფლების (რიგი) ოპონენტები „ერთ ქვაბში მოხარშოს“ და ერთ (ერთიან) მოწინააღმდეგედ წარმოაჩინოს. კრიტიკაზე ოპონენტების მხრიდან (მაგ. მანდატურების ინსტიტუტის) და დანაშაულებრივ მოქმედებაზე (მაგ. ბრძოლა სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ) სააკაშვილი ერთ კონტექსტში საუბრობს და ერთსა და იმავე ზმნას — **უტევს** იყენებს.

**ამასთანავე, მტრული ძალა წარმოჩენილია როგორც პოლიციელების უშუალო მოწინააღმდეგე („გებრძვით“), ხოლო საკმაოდ გამჭვირვალე ქვეტექსტი მიანიშნებს იმაზე, რომ ამ ძალის მხრიდან პოლიციელების ამჟამინდელ პრივილეგიებს შეიძლება საფრთხე დაემუქროს. სააკაშვილისეულ მოდელში „ჩვენ-ისინი“ ერთ მხარეს მმართველი ჯგუფი და პოლიციაა წარმოჩენილი, მეორეს კი ლამის სისხლის სამართლის დამნაშავედ გამოცხადებული მოწინააღმდეგე; ხოლო ვინაიდან რიგით პოლიციელებს უჭირთ იმის გარჩევა, თუ ვინ უტევს „ქვეყნის მომავლის იდეას“ და რას წარმოადგენს ეს იდეა ზოგადად (თუ ბუნებაში არსებობს), ალბათ, იგულისხმება, რომ ამას სააკაშვილი და მისი გარემოცვა აუხსნიან.**

რა ვითარებაში გაკეთდა ეს განცხადება? მოლაპარაკება „კონსტრუქციულ“ ოპოზიციასთან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ჩიხშია შესული და ამ მიმართულებით სახარბიელო პერსპექტივა ჯერჯერობით არ ჩანს, ხოლო „რადიკალური“ ოპოზიცია ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლებისთვის ემზადება. კომუნიკაცია პოლიტიკურ ძალებს შორის მნიშვნელოვან წილად შეწყვეტილია. ხელისუფლება მანევრირებას არ ცდილობს, „რვიანთან“ მოლაპარაკების რეანიმირებას არ ჩქარობს, ხოლო „სახალხო კრებას“ დიალოგისკენ ფორმალურადაც კი არ მოუწოდებს.

**ამ დროს სააკაშვილი პოლიციას ისეთ ტონალობაში მიმართავს, რომ მის გამოსვლას მხოლოდ „ხალხის მტრების“ ხსენება აკლია. მისი გამოსვლიდან მომდევნო დღეს, 7 მაისს, რუსთავში მცირერიცხოვანი საპროტესტო აქციის დროს აბსოლუტურად უწყინარ ვითარებაში (ინციდენტის ვიდეოჩანაწერი სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს) პოლიციამ „სახალხო კრებისა“ და მოძრაობა „არას“ აქტივისტები დააკავა; ზოგს პატიმრობა მიესაჯა, ზოგი კი დააჯარიმეს.**

### სამოქალაქო ომის წინათგრძნობა

როგორც ჩანს, ხელისუფლება აპირებს საკმაოდ ხისტად იმოქმედოს, და, სავარაუდოდ, 21 მაისამდე, როდესაც „სახალხო კრების“ ფართომასშტაბიანი გამოსვლაა დაგეგმილი, დაპირისპირების გრადუსი კიდევ უფრო აიწევს. თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა და სააკაშვილი მთავარ აქცენტს პოლიციის ▶

ტახირ არველაძის ქონება საზოგადოებას თვალში „ვარდების რევოლუციის“ პირველივე ხანებში მოხვდა, მაშინ, როცა ცნობილი გახდა, რომ მისი სახლი ამერიკის ელჩს 10 ათას დოლარად ჰქონდა ნაქირავები. თუ როგორი სახლი ექნებოდა მას, ფასის გათვალისწინებით, ალბათ, ადვილი წარმოსადგენია. რევოლუციის შემდეგ იგი მშენებლობის ბიზნესით დაკავებულა და დღემდე აქტიურად იძენს ბინებს.

ნაც-ძარცვა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ძალისმიერ მოქმედებაზე გადაიტანს, მასშტაბური შეტაკება პოლიციელებსა და დემონსტრანტებს შორის, პრაქტიკულად, გარდაუვალი გახდება. ყველაზე პარადოქსული, ყველაზე საშინელი ამ სიტუაციაში ისაა, რომ არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ხელისუფლება ცდილობს, ქვეყანას ეს პერსპექტივა აარიდოს. სახეზეა მხოლოდ ძალისმიერი მოქმედება, ქვის ხანის დროინდელი დაყოფა „ჩვენ-ისინი“ და სიძულვილით გაჯერებული სიტყვები „დღეს ჩვენს ქვეყანას ებრძვის ის...“; ეს, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომის რიტორიკაა.

**შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილმა ჩათვალა, რომ „სახალხო კრება“ მასთან აპრიორი ძალისმიერი მეთოდებით დაპირისპირებას აპირებს და ძალიან მკვეთრი საპასუხო მოქმედებისთვის მოემზადა. გამორიცხული არაა, რომ სააკაშვილის წარმოსახვამ, საპროტესტო აქციებისგან მომდინარე საფრთხე გააზუქა და მან ჩათვალა, რომ სხვა მეთოდები, უხეში ძალის გამოყენების გარდა, უბრალოდ, არ იმუშავებს. სახელისუფლო პროპაგანდა დღედაღამ ისტერიულად გაჰკივის ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის ჰიპოტეტურ გეგმებზე; სიტყვებმა „რევოლუცია“, „არეულობა“ და „სისხლისღვრაც“ კი საზოგადოების ყოველდღიურ ლექსიკონში საკმაოდ მოცულობითი ადგილი დაიკავა.**

მიუხედავად იმისა, თუ რა მოგველის ათიოდე დღეში, ალბათ, უმჯობესი იქნება, ამ მოვლენებს ცივი გონებით მივუდგეთ და ერთი ძველი ისტორია გავიხსენოთ. 1688 წელს ირლანდიელმა ფიზიკოსმა უილიამ მოლინიემ ჯონ ლოკს მისწერა წერილი, სადაც ასეთი კითხვა დაუსვა: „თუ დაბადებიდან ბრმა ადამიანი სხვადასხვა გეომეტრიულ ფიგურებს ხელს შეახებს და ასე დაიმახსოვრებს მათ, შეძლებს თუ არა ის მათ ამოცნობას მაშინ, როდესაც თვალი აეხილება, ისე, რომ ხელი არ შეახოს?“. ლოკს ეს კითხვა ისე მოეწონა, რომ თავის წიგნში ჩართო. მოგვიანებით, ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მოლინიეს კითხვის პასუხია „არა“. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც, რამდენიც უნდა ვიფიქროთ რევოლუციაზე (ან პირიქით, მისი ჩახშობის შედეგად დამყარებულ სასტიკ დიქტატურაზე) და მის ცალკეულ ნიშნებზე ვისაუბროთ, როდესაც მომავალში მას შევეჯახებით, თავიდან მაინც „ვერ ვიცნობთ“ მას, მიუხედავად იმისა, რომ მის წარმოდგენასა და მოვლენათა განვითარების პროგნოზირებას ამდენი ხანი მოვანდომეთ.

**ეს ახალი, სრულიად განსხვავებული რეალობა იქნება. მისი აღწერა დღეს, წინა წლების პოლიტიკური თამაშისთვის დამახასიათებელ, ძველ სტერეოტიპებზე დაყრდნობით, პრაქტიკულად, შეუძლებელია.**

**ისე, საინტერესოა, მაინც რა უთხრა ასეთი დელფინმა მიხეილ სააკაშვილს?!**

**დიმიტრი მონიავა**

**თბილისის მერიის პროექტი „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ ახალ ეტაპზე გადავიდა. ამჯერად მერია ტენდერში გამარჯვებულ ფირმას კვადრატულ მეტრში 400 დოლარს გადაუხდის, ანუ ბინებს გამოისყიდის, რაც იმას ნიშნავს, რომ სამშენებლო ფირმებს გასაყიდი ბინები არ დარჩებათ და, შესაბამისად, ზარალი ნულამდე დავა.**

# ტახირ არველაძის «სიმდიდრე შეუწონავი»

## თბილისის მერია «ნაცმოძრაობის» ფავორიტთა სამშენებლო ბიზნესს ლობირებს



**სამშენებლო ბიზნესი რომ საქართველოში ძალიან მომგებიანია, მითუმეტეს თუ ხელისუფლება მფარველობს, ბევრმა პროექტმა დაამტკიცა. ამიტომაც დაკავდნენ ამ ბიზნესით უშიშროების საბჭოს მდივნის – გიგა ბოკერიას მამა, ლევან ბოკერია და მისი ცოლის და – რუსუდან ჩერგოლეიშვილი, თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის მეუღლე – სოფო ჩიქოვანი, ქვემო ქართლის გუბერნატორის – დავით კირკიტაძის მამა.**

თბილისის მერიის ინფორმაციით, ამ პროექტის პირველი ეტაპის შედეგად ავარიული სახლის ნაცვლად ახალაშენებული სახლით 422 ოჯახი დაკმაყოფილდა, ქალაქმა კი 62 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი გამოთავისუფლებული ფართი მიიღო. მთლიანობაში ხარჯმა 54 მილიონ ლარს გადააჭარბა, თუმცა, უგულავას განცხადებით, ამ ხარჯის გაღებას მერია თბილისელების ინტერესების გათვალისწინებით დათანხმდა. ასევე შეჩერებული მშენებლობების გასაახლებლად და სამუშაო ადგილების აღსადგენად ამჯერად პროექტი უფრო ფართომასშტაბიანია: თუ პირველ ეტაპზე ბინით ათეულობით ოჯახი დაკმაყოფილდა, ახლა ასეულობით ათასი ადამიანი დაკმაყოფილდება. საუბარია მილიონობით კვადრატულ მეტრ ფართობზე. მეორე ეტაპზე მერია ჯერ მხოლოდ საუბრობს, თუმცა პირველ ეტაპს ძალიან ხმაურიანი განცხადებები მოჰყვა ოპოზიციის მხრიდან. საუბრობდნენ იმაზე, რომ პროექტში ძირითადად ხელისუფლების მიერ ლობირებულმა ფირმებმა გაიმარჯვეს. მათ თანხები ბიუჯეტიდან წინასწარ ჩაერიცხათ და საკმაოდ დიდი მოგებაც ნახეს.

**სამშენებლო ბიზნესი რომ საქართველოში ძალიან მომგებიანია, მითუმეტეს თუ ხელისუფლება მფარველობს, ბევრმა პროექტმა დაამტკიცა. ამიტომაც დაკავდნენ ამ ბიზნესით უშიშროების საბჭოს მდივნის — გიგა ბოკერიას მამა, ლევან ბოკერია და მისი ცოლის და — რუსუდან ჩერგოლეიშვილი, თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის მეუღლე — სოფო ჩიქოვანი, ქვემო ქართლის გუბერნატორის — დავით კირკიტაძის მამა. მშენებლობის ბიზნესში მოიაზრებენ ასევე ქალაქის მერ უგულავასა და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძეს.**

„საქართველო და მსოფლიომ“ ამ ბიზნესში კიდევ ერთი „ნაციონალის“ — წლების მანძილზე საქართველოს მთავრობის წევრის, ამჟამად კი ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორის, გიორგი არველაძის მამა — ტახირ არველაძე აღმოაჩინა. იგი 1992-95 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი გახლავთ. ალბათ, ტახირ არველაძეს „ნაციონალურ“ ხელისუფლებასთან პრობლემები არ შექმნია, პირიქით მისი ბიზნესი აყვავებას სწორედ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ იწყებს. თუმცა გაჭირვებას არველაძე არც მანამდე უჩიოდა სახელმწიფო სტრუქტურებში მიღებული შემოსავლების წყალობით.

**ტახირ არველაძის ქონება საზოგადოებას თვალში „ვარდების რევოლუციის“ პირველივე ხანებში მოხვდა, მაშინ, როცა ცნობილი გახდა, რომ მისი სახლი ამერიკის ელჩს 10 ათას დოლარად ჰქონდა ნაქირავები. თუ როგორი სახლი ექნებოდა მას, ფასის გათვალისწინებით, ალბათ, ადვილი წარმოსადგენია.**

**რევოლუციის შემდეგ იგი მშენებლობის ბიზნესით დაკავებულა და დღემდე აქტიურად იძენს ბინებს.**

ბოლოს ოქროყანის №5-ში მდებარე შენობა-ნაგებობებით დაინტერესებულა, კერძოდ, ოთხსართულიანი შენობით, რომლის ფართობით 1625.60 კვ.მეტრია.

ტახირ არველაძე საახალწლოდაც ეძებდა თურმე ობიექტებს და დეკემბრის ბოლოს ბათუმში, გორგასლის ქუჩაზე მდებარე, შპს „ჯორჯიან ექსპრესის“ 570 კვ.მ-ის ფართობისთვის დაუდგამს თვალი. 2010 წლის 23 ივლისს კი საჯარო რეესტრში ამონაწერი მოუმზადებია, წერეთლის გამზირზე მდებარე ბინასთან დაკავშირებით. მისი განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოექცა ნიაღვრის ქუჩაც.

როგორც საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული განცხადებებიდან ჩანს, ტახირ არველაძე შპს „დან დიუნურ ინტერნეიშენალთან“ ერთად მუშაობს. მათი თანამშრომლობა სათავეს ჯერ კიდევ 2005 წლიდან იღებს. ამ კომპანიას, „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდსა“ და ტახირ არველაძეს ერთად დაუიპოთეკებიათ „საქართველოს ბანკში“ ნიაღვრის №4-ში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 1862 კვ.მ. ფართზე მდებარე 7493 კვ.მ. ფართობის შენობა-ნაგებობა. მოკლედ ოპერაციები მეტისმეტად უცნაურია. **2005 წლის 25 იანვარს, მაშინ, როცა კრედიტები ჩვეულებრივ მოკვდავებზე არ გაიცემოდა, „საქართველოს ბანკმა“ „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის“ ქონება 10-წლიანი ვადით თოთხმეტ პროცენტად იპოთეკით დატვირთა 600 ათასი და 500 ათასი დოლარის სესხის სანაცვლოდ. ამავე შენობაში მდებარე „დან დიურ ინტერნეიშენელის“ სასარგებლოდ კი „თიბისი“ ბანკმა 2005 წლის 5 აგვისტოს 120 თვის ვადით წლიური ოთხი პროცენტიდან 24 პროცენტის დარიცხვით მილიონი დოლარის სესხი გასცა. იმავე წლის 2 ნოემბერს „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი“ კვლავ იღებს სესხად 100 ათას დოლარს ამავე მისამართზე რეგიტრირებული ქონების იპოთეკით დატვირთვით, 10-წლიანი ვადით, 14 პროცენტად. როგორც ჩანს, ამ ოპერაციამ და დაბალ პროცენტში გაცემულმა შეღავაღიანმა სოლიდურმა სესხებმა შემდგომში არველაძის ბიზნესის მომგებიანი განვითარება განაპირობა.**

2007 წლის 10 აგვისტოს ტახირ არველაძე საკუთრების რეგისტრაციას ითხოვს მშენებლობადამთავრებულ ბინაზე. მან ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ტროლეიბუსების პარკის ტერიტორიაზე 150 კვ.მ ფართობის ახალი ბინა ჩაიბარა, რომელშიც ფული 2005 წლის 26 აგვისტოს დაუბანდებია. 2005 წლის 6 ივნისით არის დათარიღებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელშიც მითითებულია, რომ, სანოტარო წესით, 2005 წლის 16 მაისს დამოწმებულა ჩუქების ხელშეკრულება დელისის მე-3 ქუჩის მიმდებარე 316 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომლის მეპატრონეც, ამავე დოკუმენტის თანახმად, ტახირ არველაძე გახლავთ. ვინ აჩუქა ეს ნაკვეთი მას, უცნობია. ამავე ქუჩაზე ფიქსირდება ტახირ არველაძის სახელზე 248,50 კვ.მ საცხოვრებელი ფართიც.

უამრავ გარიგებაში უკვე დამოუკიდებლად მონაწილეობს შპს „დან დიურ ინტერნეიშენელი“. 2011 წლის 11 მარტს მომზადებული ამონაწერის თანახმად, ამ ფირმას საკმაოდ სოლიდური მშენებარე ობიექტი აქვს ბესიკის ქუჩაზე. 18966 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობიდან, რომელიც მაღალი კლასის სახლი უნდა იყოს, ვინაიდან მას, 6601 კვ.მ. ბინების ფართის გარდა, აქვს ტექნიკური სარდაფი, საზაფხულო, საოფისე, კომერციული ავტოსადგომებისა და დამხმარე ფართები. აქაც სწორედ ტახირ არველაძე ფიქსირდება ერთ-ერთ მესაკუთრედ შპს „დან დიურ ინტერნეიშენელთან“ ერთად. იგი 6778 კვ.მ. შენობა-ნაგებობების მეოთხედ წილს ფლობს (381.25 კვ.მ.).

ამავე კომპანიას ეკუთვნის კოჯრის გზაზე ოქროყანის სპორტული ბაზის მიმდებარედ საკმაოდ დიდი ფართობი, ასევე უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსსა და ქავთარაძის ქუჩას შორის მდებარე ქედი და სხვა უამრავი პრესტიჟული ადგილი, რომელთა ჩამონათვალიც საკმაოდ შორს წაგვიყვანს. ალბათ, აღნიშნული მასალებიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ **ხელისუფლების წარმომადგენლების ბიზნესი ყვავის, მაშინ, როცა ყველა დამოუკიდებელ ბიზნესმენს სახელმწიფო მაკონტროლებლებს უსევს და ხელოვნურ ბარიერებს უქმნის.**

იმ ფირმებს კი, რომლებიც მათი მფარველობის ქვეშ იმყოფება, მერიამ „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ პირველი ეტაპის ფარგლებში 54 მილიონი უფეშქაშა, მეორე ეტაპზე კი თანხები, სავარაუდოდ, უნდა გაათმაგდეს.

**სოფო გელაშვილი**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**სოხუმში, ერთი ჩემი ნაცნობი ქართველი, გვარად ჯიშკარიანი და მისი თანატოლი აფხაზი ახალგაზრდა ერთად იზრდებოდნენ. როდესაც ომი დაიწყო, აფხაზმა ქართველს უთხრა, მე ჩემს ხალხთან უნდა დავდგე, მაგრამ ერთი ჯავშანჟილეტი მაქვს და შენ გაძლევ, ჩაიცვი, რომ ჩემმა ნასროლმა ტყვიამ არ მოგკლასო. ის ახალგაზრდა აფხაზი ომში დაიღუპა... სხვა ხალხებისთვის გაუგებარია და ხშირად უკითხავთ, თუ ომია, ქართველს რატომ აძლევს ჯავშანჟილეტსო. ასეთი თავისებურებები ახასიათებდა აფხაზებისა და ქართველების ურთიერთობებს. ბევრი საერთო გვქონდა და ტრაგედიაც სწორედ ის იყო, რომ ჩვენ ვხოცავდით ერთმანეთს.**

# გურამ ოდიშარია: ქართველებსა და აფხაზებს შორის დანაღმული ველია და ისეთი ადამიანები უნდა შევარჩიოთ, ვინც იცის ამ ველზე სიარული

**„როდესაც ძალზე მომენატრები, ფიქრებში
გესაუბრები ხოლმე. და განა გაიგებს
ვინმე ამქვეყნად, თუ ვინ ხარ შენ ჩემთვის?
ამის ახსნა ხომ სიტყვებით შეუძლებელია!
არაფერი მაქვს დასამალავი, არც მოსარიდებელი, დე,
ვიყო სენტიმენტალურიც — მე შენ მიყვარხარ!
ვხედავდი, როგორ გამსხვრევდა ომი, როგორ ნაწილ-ნაწილ გაკვდინებდა, გძარცვავდა, გწვავდა, გაწამებდა,
მაგრამ ვერაფერი მოვიმოქმედე მის შესაჩერებლად.
ველარ გიშველე, სოხუმო!
მაპატიე უსუსურობა! შემინდე!
განა ოდესმე წარმოვიდგენდი ომს შენს დიად
დღესასწაულში? სისხლს შენს ქუჩებში? ცხედრებს
შენს ზღვაში? გადაბუგულ შენობებს, გადამწვარ ხეებს,
ყვავილებს? ცეცხლწაკიდებლ ცას? “...**

**ეს არის ნაწყვეტი გურამ ოდიშარიას ნაწარმოებიდან, ერთი შეხედვით ოპტიმისტური, მაგრამ ამავე დროს მტკივნეული სახელწოდებით „სოხუმში დაბრუნება“. რთულია, ემოციების გარეშე წაიკითხო აფხაზეთიდან დევნილი მწერლის ნაწარმოებები, თითოეული სტრიქონი აღსარებას გავს საკუთარი თავის, ხალხისა თუ სამშობლოს წინაშე. მოთხრობების წერა ომის შემდეგ დაიწყო. წერს და პარალელურად სახალხო დიპლომატიის ეგიდით აფხაზებთან დიალოგსაც არ ერიდება, ვინაიდან, მიაჩნია, რომ, პირველ რიგში, ადამიანები უნდა დავიბრუნოთ.
ახლახან აფხაზ მწერალთან ერთად აზერბაიჯანში იმყოფებოდა. შეხვედრის მიზანსა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე გურამ ოდიშარია გვესაუბრება.**



**— ჩემი ნოველები პირველად აფხაზებმა თარგმნეს და თავისუფალ აფხაზურ პრესაში („ეხო აფხაზიი“) დაბეჭდეს. ამის შემდეგ მეც ვთარგმნე და დავბეჭდე აფხაზი მწერლების ნოველები, რის შემდეგაც შევხვდი მათ და გადავწყვიტეთ, ერთად გამოგვეცა წიგნი, სადაც დაიბეჭდებოდა ქართველი და აფხაზი მწერლების ნაწარმოებები.**

2003 წელს გამოვეცით კიდეც სახელწოდებით „Время жить“, სადაც, ქართველი და აფხაზი მწერლების ნაწარმოებების გარდა, ოსი, აზერბაიჯანელი და სომეხი მწერლების თხზულებებიც დაიბეჭდა.

აზერბაიჯანშიც ჩვენი მორიგი შეხვედრა შედგა. უახლოეს მომავალში ვაპირებთ ამ მწერლების ნაწარმოებების ალმანახის გამოცემას. დღეს ძალიან ცოტა რამ გვაკავშირებს და სწორედ კულტურასა და ხელოვნებაშია ის რეზერვი, რაც ჩვენს გაერთიანებას შეძლებს.

**მამაჩემი პოლკოვნიკი კაცი იყო და კარგად მახსოვს, როდესაც გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლები მიმდინარეობდა, ახალ ამბებს ბახის, ბეთჰოვენისა და ვაგნერის მუსიკის თანხლებით გადმოსცემდნენ, ანუ იმდროინდელი ხელისუფლება ამით გერმანელებს ეუბნებოდა, რომ თქვენ კი არა, ფაშიზმს ვებრძვითო. არსებობს რაღაც, რაც პოლიტიკაზე მაღლა დგას.**

2002 წელს, მე და აფხაზმა მწერალმა, იქაური პარლამენტის წევრმა, ბათალ კობახიამ თბილისი, სოხუმი და ცხინვალი ერთად მოვიარეთ. ამას წინათ ერევანში ვიყავით და, როდესაც ქართველ და აფხაზ მწერლებს ერთად გვხედავდნენ, უკვირდათ: თქვენ ხომ მტრები ხართ და ერთად რა გინდათო.

**— თქვენს ნაწარმოებებს თარგმნიან და კითხულობენ აფხაზეთში, როგორია აფხაზების დამოკიდებულება ამ ყველაფრისადმი და რა დაამსხვრევს დღეს „მტრის ხატს“, რომელიც ორივე მხრიდან შეიქმნა?**

— როდესაც თემურ ჩხეიძემ დადგა სპექტაკლი „ზღვა, რომელიც შორია“, სადაც ორი მეგობარი — აფხაზი და ქართველი კამათობს. და ის არ გავს არც ერთი პოლიტიკოსის კამათს, ვინაიდან ეს არის ორი მეგობრის კამათი. ეს ყველაფერი რეალობიდან ავიღე, რადგან, როდესაც სოხუმზე ვწერ, მე ყველაფერს სითბოთი ვიხსენებ, მე ვერ გავიხსნებ სოხუმს მოჭრილი თავებით და ვერ გავიხსენებ, როგორ ვხოცავდით ერთმანეთს. ჩემს ნაწარმოებში, „სოხუმში დაბრუნება“ ერთი ეპიზოდი აღვწერე, რომელიც ერთმა ხანშიშესულმა სოხუმელმა მიამბო. სოხუმის დატოვების შემდეგ არ მეძინა, მთელი ღამეები ვეწამებოდი, ბოლოს ასეთ რამეს მივაკვლიე, სოხუმში დავიწყე დაბრუნება, ძილის წინ სულ სოხუმში დავხეტიალობ და მერე ტკბილად მეძინება. წარმოვიდგენ სასტუმრო „აფხაზეთის“ წინ ვარ, ყავახანაში ვხვდები მეგობრებს, მათთან ერთად შამპანურს ვსვამო. ამ კაცმა ასე შეძლო სოხუმში დაბრუნება...

**სოხუმში, ერთი ჩემი ნაცნობი ქართველი, გვარად ჯიშკარიანი და მისი თანატოლი აფხაზი ახალგაზრდა ერთად იზრდებოდნენ. როდესაც ომი დაიწყო, აფხაზმა ქართველს უთხრა, მე ჩემს ხალხთან უნდა დავდგე, მაგრამ ერთი ჯავშანჟილეტი მაქვს და შენ გაძლევ, ჩაიცვი, რომ ჩემმა ნასროლმა ტყვიამ არ მოგკლასო. ის ახალგაზრდა აფხაზი ომში დაიღუპა...**

სხვა ხალხებისთვის გაუგებარია და ხშირად უკითხავთ, თუ ომია, ქართველს რატომ აძლევს ჯავშანჟილეტსო. ასეთი თავისებურებები ახასიათებდა აფხაზებისა და ქართველების ურთიერთობებს. ბევრი საერთო გვქონდა და ტრაგედიაც სწორედ ის იყო, რომ ჩვენ ვხოცავდით ერთმანეთს.

თავად ბათალ კობახიაც დაინტერესებულია, რომ ქართულ-აფხაზური დიალოგი დაიწყოს. საბოლოოდ ეს რა შედეგს გამოიღებს, ამის პროგნოზირება რთულია. მაგრამ, ჩემი აზრით, დიალოგი აუცილებელია, როცა ქართველებსა და აფხაზებს შორის დიალოგი გაწყდა, ომიც მაშინ დაიწყო. როდესაც მე მათთან მოსალაპარაკებლად მივდივარ, არასდროს არ წარმოვადგენ რომელიმე პარტიას ან ორგანიზაციას.

**— თქვენ გქონდათ შემოთავაზება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიიდან, პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის სურვილი რატომ არ გაქვთ?**

— როგორც მწერალმა, პოლიტიკოსებთან ურთიერთობისას ბევრი ისეთი რამ დავინახე, რაც კულისებს მიღმაა. დავინახე, თუ როგორ ამზადებენ „კერძს“. და ბევრ შემთხვევაში ძალიან წიწაკიანი და „უგემური“ აღმოჩნდა და არ მომეწონა. ხშირად ეს იყო შემთხვევით შექმნილი ერთიანობა პარტიის შიგნით. თუნდაც ავიღოთ ხელისუფლებაში ოდესღაც მყოფი ადამიანები, რომლებიც დღეს ოპოზიციაში არიან. საქართველოში ჯერ არ ვართ მზად იმ უნივერსალური შედეგიანი გაერთიანებისთვის, სადაც ერთმანეთის პატივისცემისა და აზრების გათვალისწინებით რეალურ შედეგს მივაღწევთ.

**— რა უშლის ხელს საქართველოში პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას?**

— მიზეზი ბევრია. **მაგალითისთვის ბალტიისპირეთი ავიღოთ, მათ აქვთ თავისი პოლიტიკური კულტურა, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია. როდესაც ჩვენ 20 წლის წინათ ვკეტავდით რკინიგზას, ვაწყობდით ფაბრიკა-ქარხნების, სკოლების გაფიცვებს, იქ მიტინგებს მხოლოდ შაბათკვირას ატარებდნენ, რადგან, უპირველესად, სახელმწიფო პოლიტიკაზე ფიქრობდნენ და არა — პარტიების პოლიტიკაზე.**

**როდესაც ქართველ და აფხაზ მწერლებს ერთად გვხედავდნენ, უკვირდათ: თქვენ ხომ მტრები ხართ და ერთად რა გინდათო**

კიევში მწერალ ივან დრაჩს პრეზიდენტობა შესთავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა. პრეზიდენტობა არ იყო მისი საქმე და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა არ აიღო. ჩვენთან ყველას ლიდერობა უნდა. ჰოლანდიაში მინისტრები და დეპუტატები ველოსიპედებით დადიან, ჩვენთან რა მანქანებით დაგრიალებენ?! არ ვიცით კრიტიკა, მხოლოდ ლანძღვა-გინება გვესმის ტელეეკრანიდან თუ გაზეთების ფურცლებიდან და, რაც ყველაზე ცუდია, ვერც ჩვენს შეცდომებსა და დანაშაულობებზე ვერ ვსწავლობთ.

მე ყოველთვის ომის წინააღმდეგი და დიალოგის მომხრე ვიყავი. არსებობს ომი, რომელსაც საკუთარ თავთან აგებ; ასეთი იყო სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ომი. ეს ყველაფერი გადაჭარბებულმა ეგოცენტრულმა სურვილებმა გამოიწვია. ქართველებსა და აფხაზებს შორის დანაღმული ველია და ისეთი ადამიანები უნდა შევარჩიოთ, ვინც იცის ამ ველზე სიარული. დიდი სიფრთხილეა საჭირო.

ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა. აქამდე არსად მითქვამს და პირველად თქვენთან მოვყვები. მე ვიყავი ჟურნალ „რიწის“ რედაქტორი. როდესაც დაძაბულობა იწყებოდა, მოვიდნენ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ადლეიბა და ცნობილი მწერლები: ბაგრატ შინკუბა, ალექსი გოგუა, ალექსი ჯონუა, ჯუმა ახუბა, ნიკოლოზ კვიწინია და სხვები და დაისვა საკითხი, რაღაც საშინელება ახლოვდება და, იქნებ, არ გავწყვიტოთ დიალოგიო. არ დამავიწყდება ბაგრატ შინკუბა, რომელმაც მაშინ განაცხადა, აფხაზებმა რუსებს წერილი მისწერეს, რომელსაც ხელი არ მოვაწერე, რადგან რაღაც ცუდისკენ მიდის ყველაფერიო. ვრცელი წერილი იყო, მაგრამ ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, ვინაიდან სოფლებისთვის სახელების გადარქმევა მიმდინარეობს, ამ ადგილებს ძველი აფხაზური სახელები დავუბრუნოთო. შევქმნათ საერთო აფხაზ-ქართველ მეცნიერთა ჯგუფი, რომლებიც შეისწავლიან ამ პროცესსო. დაისვა მეორე საკითხიც, მაშინ იყო რამდენიმე ფონდი, რომლებიც მრავალშვილიან ოჯახებს ასახლებდნენ აფხაზეთში. ჩვენ ვიყავით 250 ათასი, აფხაზები 90 ათასამდე. მან თქვა, მართალია, დემოგრაფიულად ქართველებს ვერასდროს დაგეწევით, მაგრამ, იქნებ, შევქმნათ ერთობლივი ჯგუფი, არ გვინდა ხალხის გაღიზიანება და სხვა ტერიტორიაზე ჩავასახლოთ ეს ხალხი, რადგან ამ ფაქტს ვიღაცები ცუდად გამოიყენებენო. საქართველოსგან გამოყოფაზე აშკარად არ საუბრობდნენ, მაგრამ ეწერა, თუ ასე გაგრძელდა, გამოვეყოფითო. ეს ხდებოდა 1989-90 წლებში.უკვე დაძაბულობა იყო ქვეყანაში.

**გამიხარდა, რადგან ყოველთვის დიალოგის მომხრე ვიყავი, მაგრამ გარეთ დამხვდა რამდენიმე კაცი, ე.წ. ქართველი რადიკალები. მკითხეს, რაზე ისაუბრეთო. მაშინ მოღალატედ გამომაცხადეს, როგორ თუ აფხაზებს ელაპარაკებიო. ჩვენ ვართ პოლიტიკური ლიდერები და ჩვენ ვწყვეტთ ყველაფერს, შენ ვინ ხარ და რას წარმოადგენო. ერთმა ლიდერმა, რომელიც დღეს ცოცხალიც აღარაა, ასე მითხრა, არ განახო აფხაზებთან შესული და დალაპარაკებულიო. მეორე დღეს ქართველების მიტინგი იყო, მართალია, ჩემი გვარი არ უთქვამთ, მაგრამ გამოაცხადეს, მწერალთა კავშირში ერთი ქართველი კაცია, რომელიც მოღალატეობრივ პოლიტიკას აწარმოებსო. მაშინდელი ნათქვამი ფრაზები ახლაც მახსოვს: მამულიშვილნო, ნახეთ რა ხდება, ცოტა გონს მოეგონ ეს ვაჟბატონები, ბევრს ნუ ლაპარაკობენო. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და იგივე ხალხი მეუბნება, შენ აფხაზეთში ბევრი მეგობარი გყავს, დაელაპარაკე აფხაზებს და ჩვენც ჩაგვრთეო.**

**არადა, ამ სიგიჟეების წყალობით, აფხაზებთან ურთიერთობის ბოლო ძაფი გაწყვიტეს. ვიღაცებს შექმნილი ჰქონდათ ცრუ ილუზიები. დღეს ეს ადამიანები ისევ პოლიტიკაში არიან, არ მინდა მათი დასახელება, რადგან ვებრძვი ბოროტებას და არა ბოროტს, დანაშაულს და არა დამნაშავეს, პერსონალურმა მტრობამ და სიძულვილმა კინაღამ ქვეყანა შეიწირა.**

**— თქვენ სახალხო დიპლომატიის კუთხით აქტიურად მუშაობთ, გყავთ აფხაზი მეგობრები, რატომ არ იყენებს ხელისუფლება თქვენი სახით ამ ბერკეტებს?**

— ილუზია სახალხო დიპლომატიისადმი არავის არ უნდა ჰქონდეს, რომ ის ყველაფერს მოაგვარებს, მაგრამ ის აკეთებს იმას, რაც ოფიციალურ უწყებებს არ შეძლია. თავის დროზე უნდა მოგვარებულიყო ყველაფერი, დღეს უკვე პლანეტარული გახდა ეს კონფლიქი. ჩვენი ერის ენერგია უფრო მეტად დაქსასულობისკენაა მიმართულია, როგორც ეს იყო 20 წლის წინათ, ვიდრე ერთიანობისკენ.

**— რუსეთს რა როლი აკისრია ამ კონფლიქტის მოგვარებაში, საზოგადოების ნაწილის აზრით, მის გარეშე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელია, ზოგი კი პირიქით ფიქრობს. თქვენ გაქვთ მათთან ურთიერთობა, რას ფიქრობს აფხაზი საზოგადოება?**

— ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში რუსეთის როლი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არა — გადამწყვეტი. უმთავრესია, ქართულ-აფხაზური დიალოგი. ნებისმიერი მეზობელი ქვეყნის როლი მნიშვნელოვანია. რუსეთი უაზრაზარი სახელმწიფოა და მასთან ურთიერთობისას ყველაფერი ცივი გონებით უნდა განვსაჯოთ. რუსებმა რომ მოგვცენ ჩაურევლობის პირობა, დაველაპარაკებით ერთმანეთს? პირველ რიგში, სიძულვილი უნდა გალღვეს.

**— მზად არიან აფხაზები ჩვენთან სასაუბროდ?**

— და ჩვენ, ქართველები, მზად ვართ? თუ მთელი ისტორიის განმავლობაში ქართველები და აფხაზები ერთად ვაგებდით ეკლესია-მონასტრებს, ვაშენებდით სახელმწიფოს, არც გვაქვს უფლება, დღეს საერთო ენა არ გამოვნახოთ, პირველ რიგში, ადამიანები უნდა დავაბრუნოთ და მერე — ტერიტორია. არ არის ჩამოყალიბებული ქართული პოლიტიკა. აფხაზეთის ომის შემდეგ, სახელმწიფო დონეზე ომის ანალიზი ვერ დავინახე. საჭიროა სამხედრო ანალიზიც. როგორც ვიცი, აფხაზეთის ომის 15-16 მარტის ბრძოლები ისწავლება რუსეთში, როდესაც ქართველებმა წარმატებას მიაღწიეს სოხუმის დაცვისას და ისინი აანალიზებენ და სწავლობენ, რა შეცდომები დაუშვეს ამ ბრძოლებისას. ჩვენთან ეს არ ხდება.

**— რამდენიმე ხნის წინათ ხელისუფლებამ აფხაზი ბავშვები ჩამოიყვანა, თუ მოახდენს ამგვარი აქციები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაზე გავლენას?**

— **გააჩნია, როგორ გააკეთებ ამას, ბავშვებით სპეკულირება არ შეიძლება. ისე არ უნდა მოიქცე, რომ მერე ეს ვიღაცამ გამოიყენოს. არ მიყვარს სიტყვა პიარი, ვცეთ პატივი ამ ბავშვებს, ჩამოვიყვანოთ, მაგრამ პოლიტიკური პიარის მსხვერპლად არ უნდა ვაქციოთ.**

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

**მოვა დრო, თვალები აგვეხილება, ყურებიდან ბამბას გამოვიღებთ, რეალურად შევაფასებთ და ავწონ-დავწონით არსებულს. მაშინ უკვე მორალური უფლება გვექნება, უკეთესი მოვითხოვოთ. ყველაზე სამწუხარო მაინც ისაა, რომ ჩვენს ეპოქაში, როცა საყოველთაო კულტურული დეკადანსია და როცა ყველაზე მწვავედ დგას პიროვნების კრიზისის პრობლემა, ინდივიდუალიზმის დიდი დეფიციტი იგრძნობა ირგვლივ. ასეთ ფონზე კი ბევრი რამ მეცნიერულ ძალაზეა დამოკიდებული, იმ ბირთვზე, რომელიც არ დაემონება, არ დაუჩოქებს არც ერთ ხელისუფლებას, არც ერთი ხელისუფალის ნავში არ ჩაჯდება, პირადი კეთილდღეობისთვის ლიქვნასა და პირფერობას არ იკადრებს, არ გაუტყდება გასაჭირს.**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# საბა მეტრეველი: ქართული მეცნიერება სულს ღაფავს

## ეროვნულ ღირებულებებს არაკომპეტენტური ადამიანები შეესივნენ და ძირი გამოუთხარეს

**მაშინ, როცა სახელმწიფო პრიორიტეტად გართობასა და დროსტარებას მიიჩნევს, რა თქმა უნდა, მეცნიერების განვითარებაზე ზრუნვისთვის დრო, ობიექტური მიზეზების გამო, არ რჩება. ამ პოლიტიკამ კი ქართული მეცნიერება სადამდე მიიყვანა, ჩვენი რესპონდენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საბა მეტრეველი საუბრობს:**

— დღეს ქართველი მეცნიერი ყველაზე დაუცველი, მიუსაფარი და ულუკმაპუროა. მას არც ჯანმრთელობის დაზღვევა, არც საარსებო მინიმუმს მიახლოებული ხელფასი და არც შრომის მოტივაცია აქვს. ქართული მეცნიერება დღეს სულს ღაფავს.

როცა მეცნიერებათა აკადემიის ყოფილ ინსტიტუტებში მეცნიერის საშუალო ხელფასი 150 ლარია, რაზე უნდა ილაპარაკოს კაცმა! იმ მათხოვრული დაფინანსებით კი, რომელსაც ჩვენთვის იმეტებს „ეროვნული ხელისუფლება“, ახალ წიგნს იყიდის მეცნიერი, საწერ საშუალებას, სამეცნიერო მივლინებით წავა სადმე თუ ადამიანის უმთავრეს მონაპოვარს — სიცოცხლის უფლებას შეინარჩუნებს?!

**— რა კონკრეტული პრობლემების წინაშეა დღეს ქართული მეცნიერება?**

— ერთი უმთავრესი პრობლემა ქართული მეცნიერების დაუფინანსებლობაა; მეორე — ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. **პრემიერ-მინისტრის — ნიკა გილაურის მიერ ხელმოწერილი საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ივლისის დადგენილებით, მსოფლიოში ცნობილ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს სახელმწიფო უნივერსიტეტებს უერთებენ! ამ გადაწყვეტილებით მათ მხოლოდ კუთვნილი მოძრავი ქონება დაუკანონდათ — მაგიდები, კომპიუტერები და არა შენობები, როგორც თავის დროზე გვითხრეს.** საბაზრო ეკონომიკის პირობებში თურმე ყველაფერი იყიდება, სინდისის გარდა, და ეს ნაგებობებიც საპრივატიზაციო ნუსხაში მოხვდა!

**ქუჩაში გამოყრილი და სხვადასხვა ინსტანციას შეკედლებული ერთ დროს ასეთ პრესტიჟულ შენობებში განთავსებული ქართული მეცნიერება ახლა დროისა და ეპოქის მსხვერპლია!**

მეცნიერის დონე მაღალი ვერ იქნება, თუ საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე გამოსვლის ან სამეცნიერო მივლინებაში წასვლისა და მუშაობის შესაძლებლობა არ მიეცა. ამისთვის საჭირო რაც არის, კარგად მოგეხსენებათ. არა მგონია, ქართველ მეცნიერს რომელიმე უცხოელ კოლეგაზე ნაკლები უნარი და ინტერესები ჰქონდეს!

გარდა ამისა, მეცნიერმა უნდა წეროს. სამეცნიერო პუბლიკაციების დონე და ხარისხი კი მაშინ ამაღლდება, როცა მკვლევარს საარსებო პრობლემა მოეხსნება. თანაც მონოგრაფიის გამოქვეყნება უამრავ ფინანსურ და ბიუროკრატულ პრობლემასთანაა დაკავშირებული. ამდენად, მეცნიერის პრობლემათა სფერო საკმაოდ მრავალმხრივია მწირი დაფინანსების მიზეზით.

მეცნიერული აზრის გაუთვალისწინებლად სახელმწიფო ვერ ჩამოყალიბდება. სრული ანაქრონიზმი იქნება იმის მტკიცება, საჭიროა თუ არა მეცნიერება ქვეყნისთვის. სამწუხაროდ, ვისაც ეს არ ესმის, სწორედ მის ხელშია ჩვენი ბედი.

**დღეს ბევრს საუბრობენ სასკოლო რეფორმაზე. როგორ წარმოგიდგენიათ, შესაბამისი მეცნიერული კვლევებისა და მიდგომების გარეშე ეს პრობლემა გადაიჭრება?! რამდენიც უნდა ვიფიქროთ, რომ განათლებული თაობა გვჭირდება, ეს არ განხორციელდება, თუ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება არ ჩამოვუყალიბეთ ახალგაზრდობას. ამ იდეოლოგიის გარეშე საგანმანათლებლო რეფორმა წარმატებული ვერასდროს იქნება.**

დავუშვათ, ვიღაცას ამ ქვეყნისთვის ზედმეტად მიაჩნია სამეცნიერო მათემატიკური სკოლა იმ უაზრო მოტივით, რომ სხვაგანაც მშვენივრად იკვლევენ მეცნიერების ამ დარგსო. ასეთი მიდგომა ხომ, რბილად რომ ვთქვათ, სასაცილოა! **ქართველი ერის ისტორიასა და ლიტერატურას რომელ სახელმწიფოში შეისწავლიან? დასავლეთიდან ველოდოთ ქართული მეცნიერული აზრის ამობრწყინებას თუ ჩრდილოეთიდან?! ქართველის გარდა, ვინ უნდა იკვლიოს ჩვენი ლიტერატურა, ენა, ისტორია და კულტურა?! გავა დრო და მერე ვინ ამოავსებს ამ ვაკუუმს?!**

**— ხელისუფლების აზრით, ამ ეტაპზე საქართველოსთვის მეცნიერება ფუფუნებაა. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ამ ტექსტს თავისი ქვეტექსტიც აქვს. გააჩნია, როგორ მიიღებ ამას: ირონიულად თუ სიამაყით! **რა თქმა უნდა, ფუფუნებაა საერთაშორისოდ აღიარებული, შეფასებული და დაფასებული ქართული ფსიქოლოგიური სკოლა და დიმიტრი უზნაძე, მათემატიკაში — ნიკო მუსხელიშვილი, ფიზიოლოგიაში — ივანე ბერიტაშვილი, აღმოსავლეთმცოდნეობაში — გიორგი წერეთელი, გეოლოგიაში — ალექსანდრე ჯანელიძე, ენათმეცნიერებაში — არნოლდ ჩიქობავა, ფილოლოგიაში — კორნელი კეკელიძე, ისტორიოგრაფიაში — ივანე ჯავახიშვილი...** თუ ეს ზედმეტია ქვეყნისთვის, მაშინ უმჯობესია, გვითხრან! ჩვენ არ ვსაუბრობთ მხოლოდ წარსულზე. დღეს ამ კორიფეთა მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები ემსახურებიან საუნივერსიტეტო სასწავლო და სამეცნიერო საქმეს.

თანამედროვე მსოფლიოში ბევრს საუბრობენ ცოდნის ეკონომიკის შესახებ და განვითარებულ ქვეყნებში კარგად იციან ნამდვილი მეცნიერების ფასიც. რადგან ჩვენს ხელისუფლებას ორიენტაცია დასავლური ღირებულებებისკენ აქვს, ადრე თუ გვიან მას მაინც მოუწევს, ანგარიში გაუწიოს სამეცნიერო ძალას, უფრო მეტიც, მისი მითითებებით იხელმძღვანელოს.

**— როგორ ფიქრობთ, მეცნიერებისა და განათლების განვითარებას შეგნებულად უშლიან ხელს საქართველოში?**

— არა მგონია, მთლად ასე იყოს საქმე! ჯერ ერთი, რაც უნდა შეავიწროვო და სული ამოხადო მეცნიერებას, ის მაინც მოძებნის თავის თავში თვითგადარჩენის ძალას. უბრალოდ, ასეთი პოლიტიკით მისი განვითარება შეფერხდება, თუმცა მეცნიერული აზრი არ მოკვდება და ის ამ ზეწოლას გაუძლებს! XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საკმაოდ ჩამოვრჩით საერთაშორისო სტანდარტებს. მოტივაცია აღარაა და გონებრივი შესაძლებლობებიც, შესაბამისად, მოდუნდა. არ იზრდება თაობა. ხელისშემშლელი ფაქტორი მრავლადაა.

არ მინდა, დავიჯერო, რომ ვინმე მიზანმიმართულად ანგრევს მეცნიერებას, განათლებასა და კულტურას. პრობლემა ისაა, რომ **არაკომპეტენტური და საქმეში ჩაუხედავი ადამიანები შეესივნენ და ძირი გამოუთხარეს ეროვნულ ღირებულებებსა და ფასეულობებს! როცა სკოლაში რეფორმის სახელით გაუგებარი და სასწავლო პოლიტიკის დამანგრეველი პროცესები დაიწყო, მაშინ ეს გამარჯვებად მიიჩნიეს და თურმე მერე მიხვდნენ, რომ ინტეგრირებული სწავლება არაეფექტური ყოფილა!**

ჩვენც ველოდებით, როდის გაუბრწყინდება გონება ყოვლისშემძლე ხელისუფალს და როდის მიხვდება, რომ, მაგალითად, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში მეტყველების კათედრის გაუქმება დანაშაულია; რომ უნივერსიტეტებში სამეცნიერო ნაწილისა და კაბინეტების გაუქმება მიუტევებელია; რომ **სამსახურში მისული მეცნიერი ქუჩაში გადმოყრილ ავეჯსა და საკანცელარიო ნივთებს არ უნდა დასდევდეს; რომ კადრების ოპტიმიზაციის სახელით სამსახურიდან არ უნდა ერეკებოდეს ხალხს; რომ არ უნდა აფიქრებინოს ადამიანებს: „რა საჭიროა ჰუმანიტარული თუ ტექნიკური მეცნიერების კვლევა და განვითარება, მასში უზარმაზარი თანხების ჩადება, როცა დიდ-ბატონი ახტალაში აშენებს სამკურნალო-გამაჯანსაღებელ სანატორიუმს, ხოლო ფარცხანაყანევში — ევროპაში ყველაზე დიდ კაზინოს!..“**



**საბა-ფირუზ მეტრეველი** — ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი-აგიოლოგი, ჟურნალისტი, ხელოვნებათმცოდნე.

1994 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1997 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის ასპირანტურა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალობით. 1998 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „მხატვრული სიტყვის ფუნქციისათვის ადრეულ ქართულ აგიოგრაფიაში“; 2004 წელს მიენიჭა ფილოლოგიის დოქტორის წოდება.

1998 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად; 2009 წლიდან საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის მოსამზადებელი ცენტრის ლექტორ-მასწავლებელია; 2011 წლიდან აგრარული უნივერსიტეტის პროფესორია.

არის ხუთი წიგნისა და 40-მდე სამეცნიერო გამოკვლევის, 60-ზე მეტი ჟურნალისტური პუბლიკაციის ავტორი.

რაც შეეხება ეჭვს იმის შესახებ, რომ ვიღაცას სურვილი აქვს, საქართველო მოსამსახურე ქვეყნად გადაიქცეს, უნდა გაგიცრუოთ იმედები და გითხრათ, რომ ეს არ მოხდება! ამაზე დიდი გასაჭირი ჰქონია ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას, მაგრამ მაინც დამდგარა ფეხზე. ხომ გაგიგონიათ, „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“! მეტი მოთმინება და დროა საჭირო, ალბათ, რომ ამ სასჯელს გავუძლოთ!

ყველა ერი იმ ხელისუფლების ღირსია, რომელიც ჰყავს. **მოვა დრო, თვალები აგვეხილება, ყურებიდან ბამბას გამოვიღებთ, რეალურად შევაფასებთ და ავწონ-დავწონით არსებულს. მაშინ უკვე მორალური უფლება გვექნება, უკეთესი მოვითხოვოთ. ყველაზე სამწუხარო მაინც ისაა, რომ ჩვენს ეპოქაში, როცა საყოველთაო კულტურული დეკადანსია და როცა ყველაზე მწვავედ დგას პიროვნების კრიზისის პრობლემა, ინდივიდუალიზმის დიდი დეფიციტი იგრძნობა ირგვლივ. ასეთ ფონზე კი ბევრი რამ მეცნიერულ ძალაზეა დამოკიდებული, იმ ბირთვზე, რომელიც არ დაემონება, არ დაუჩოქებს არც ერთ ხელისუფლებას, არც ერთი ხელისუფალის ნავში არ ჩაჯდება, პირადი კეთილდღეობისთვის ლიქვნასა და პირფერობას არ იკადრებს, არ გაუტყდება გასაჭირს, სიმართლისა და პატიოსნების, მამულიშვილობისა და ქვეყნის მსახურების პიროვნულ მაგალითად იქცევა.**

მაინც გვეშველება, რადგან ისტორიული განვითარების კანონზომიერებაა ასეთი — თავად არსებულში აუცილებლად დაიბადება წინააღმდეგობა და ხელოვნურად დამუხრუჭებული მთელი ძალით ამოქმედდება.

**— როგორ ფიქრობთ, ასეთ პირობებში მომავალ თაობას გაუჩნდება სურვილი, მეცნიერულ მუშაობაში ჩაებას?**

— ახლა პრაგმატული თაობა მოდის და ძალიან ცოტას აქვს რთულ სამეცნიერო მუშაობაში ჩაბმის მიზანი, რაც გასაკვირი არ უნდა იყოს. ასეთი დაფინანსების პირობებში მუშაობის სურვილი ნორმალურ ადამიანს რატომ უნდა გაუჩნდეს, თანაც თანამედროვე ყოფაში, ახალი გამოწვევების ფონზე?!

**ფუფუნებაში მეცნიერს არც ერთი რეჟიმის დროს არ უცხოვრია, რადგან მეცნიერული შრომა იმთავითვე გამორიცხავს შვებასა და განცხრომას — ეს ერთგვარი მსხვერპლშეწირვა, რაღაც სასიამოვნო უღელში თავის გაყოფა, ახალი აზრის ძიება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, ჭეშმარიტებისკენ სწრაფვაა. მეცნიერული შრომა მოითხოვს სიზუსტეს. რთულია, ვინმეს დააძალო ასეთი ცხოვრება, თანაც მაშინ, როცა იცი, რომ განწირული ხარ შიმშილისთვის, როცა არავის სჭირდები, როცა ზედმეტი ხარ საზოგადოებისთვის...**

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ვემსახურები ქართულ ლიტერატურას, მე ამაში ვხედავ ჩემს ბედნიერებას და ამ ფორმით გამოვხატავ უძლეველ სიყვარულს იმ ერთი რამის მიმართ, დაფარვა რომ სჭირდება (ალბათ, მიმიხვდით გ. დოჩანაშვილის პერიფრაზს, სამშობლოს სიყვარულს ვგულისხმობ)!

**— რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, ქართული მეცნიერება გადარჩენისა და განვითარების გზას ისევ რომ დაადგეს?**

— პირველ რიგში, სახელმწიფო მიდგომა და პოლიტიკა უნდა შეიცვალოს მეცნიერების მიმართ, სამეცნიერო დარგების განვითარება უნდა მოხერხდეს, მეცნიერის შრომა და ღირსება სათანადოდ უნდა დაფასდეს და შეფასდეს. გარდა ამისა, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სურვილი, რომ მეცნიერება იყოს ქვეყნის პრესტიჟი და ეკონომიკური მოგების წყარო. ოღონდ ეს მომავალზე გათვლით, რადგანაც წმინდა ეკონომიკური და ბიზნესთვალსაზრისით ყველა ქვეყანაში მეცნიერება წამგებიანია.

კარგი მეცნიერი კარგ უნივერსიტეტს ნიშნავს, იქ მიღებული ცოდნა კი მომავლის ბაზისია და ასე შემდეგ. ეს ერთი მთლიანობაა. ასე რომ, სწორად გააზრებული სახელმწიფო პოლიტიკა აუცილებლობის გათვალისწინებით გულისხმობს განვითარებულ მეცნიერებას, ამის გარეშე ქვეყნის სერიოზულ წინსვლაზე საუბარი ილუზიაა.

მთავარი მაინც ისაა, რომ ჩვენ შეგნებული გვქონდეს მისია და აუცილებლობა მეცნიერებისა, სწორად გვესმოდეს მისი როლი და ადგილი საზოგადოების, სახელმწიფოებრივი განვითარების, ეროვნულ-ნაციონალური ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში.

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

„ძირითადი დამნაშავეები და მკვლელები სანდროს საქმეზე დაუსჯელი დარჩნენ. თუ ვერ შევძელით სანდროს მკვლელების საბრალდებო სკამზე დასმა, საქართველოში სამართლიანობა ვერ აღდგება, იმიტომ, რომ, როგორც ჩემი ზურას საქმეში, იქაც ყველა დამნაშავე მაღალჩინოსანია, რომლებიც ქვეყანაში ბევრ რამეს წყვეტენ და არ შეიძლება მკვლელები მართავდნენ ქვეყანას“.

ლაშა ჩხარტიშვილი:



# მსოფლიომ უკვე აღიარა, რომ საქართველოს მართავს მკვლელების მფარველი მიხეილ სააკაშვილი

ყოფილ კორტებთან, იქ, სადაც 5 წლის წინათ შს სამინისტროს თანამშრომლებმა, სპეცოპერაციის შედეგად, ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი მოკლეს, პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები შეიკრიბნენ. მანამდე კი თბილისის ქუჩებში ავტომანქანების კოლონა მოძრაობდა პლაკატებით: „გადაარჩინე სიცოცხლე“, „არ შეგრჩებათ ზურა ვაზაგაშვილი“, „დაისაჯოს ზურა ვაზაგაშვილის მკვლელები“, „საქართველო — მკვლელი ბრიგადების გარეშე“ და ა.შ. ეს აქცია საქართველოში, სამწუხაროდ, არც პირველია და არც უკანასკნელი, რადგან ჯერ კიდევ 2009 წელს ლაშა ჩხარტიშვილის მიერ გამოქვეყნებულ არასრულ სიაში 2003-2009 წლებში პოლიციელთა მიერ ადამიანის სიცოცხლის მოსპობის 63 ფაქტი დაფიქსირდა. შესაბამისად, საქართველოში უამრავი შვილმოკლული მშობელი უცხადებს პროტესტს არსებულ რეჟიმს. ერთ-ერთმა მათგანმა, გურამ გირგვლიანმა ახლახან მიიღო სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, რასაც საეჭვოდ დაემთხვა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემკვეთებს შორის საზოგადოების მიერ დასახელებული, შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის ვასილ სანოძის სიცოცხლისთვის სახიფათოდ დაჭრის ფაქტი.

„საქართველო და მსოფლიომ“ იმ შედეგების შეჯამება გადაწყვიტა, რომლებიც შვილმოკლულმა ოჯახებმა მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად მიიღეს. ცხადია, პირველ რიგში, სანდრო გირგვლიანის მამას დავუკავშირდით და სანოძის ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ, მაგრამ მან ამ საკითხზე საუბარი არ ისურვა. იური ვაზაგაშვილმა კი შვილის მკვლელობიდან ხუთი წლის თავზე ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ, მიუხედავად მუდმივი მცდელობისა, ამ ქვეყანაში ვერაფერს მიაღწიეს და მათი შვილების მკვლელები დღემდე თანამდებობებს ინარჩუნებენ.



**იური ვაზაგაშვილი,** ზურა ვაზაგაშვილის მამა:

— 2 მაისს ხუთი წელი შესრულდა იმ ტრაგიკული დღიდან, როცა ამ ხელისუფლებამ გააუბედურა ჩემი ოჯახი. ხუთი წლის განმავლობაში ვებრძვით ამ უსამართლობას. მაგრამ რამდენიმე ოჯახმა მხოლოდ იმას მივაღწიეთ, რომ ქუჩაში დახვრეტები ისე აღარ ხდება, როგორც ადრე. მაგრამ ამ სისხლისმსმელებმა ტაქტიკა შეცვალეს და ციხეებში გადაინაცვლეს. დღე არ გავა, ვინმე არ გამოასვენონ იქიდან. ამ ქვეყანაში ძალა აღმართს ხნავს. ჩვენი საქმე გაგზავნილია სტრასბურგში. ველოდებით სასამართლოს გადაწყვეტილებას. ღრმად ვართ დარწმუნებული, სანდროს საქმის ანალოგიური დასკვნა იქნება ზურას შემთხვევაშიც.

**— გირგვლიანის საქმე ახსენეთ, ძალიან საეჭვოდ დაემთხვა ვასილ სანოძის დაჭრის ფაქტი ამ გადაწყვეტილების გახმაურებას.**

— ვინც სასამართლოს გადაწყვეტილებას გაეცნო, დამეთანხმება, რომ ამ ხელისუფლებას ამით თავში კომბალი ჩაარტყეს. რაც შეეხება სანოძის ფაქტს, უბრალოდ, დეტალებში აშკარად ბევრი უზუსტობაა. მის სიკვდილს, ჯობს, ცოცხალი იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ აუცილებლად უნდა დაიწყოს გამოძიება, აუცილებლად უნდა დაისაჯონ მკვლელები. **ძირითადი დამნაშავეები და მკვლელები სანდროს საქმეზე დაუსჯელი დარჩნენ. თუ ვერ შევძელით სანდროს მკვლელების საბრალდებო სკამზე დასმა, საქართველოში სამართლიანობა ვერ აღდგება, იმიტომ, რომ, როგორც ჩემი ზურას საქმეში, იქაც ყველა დამნაშავე მაღალჩინოსანია, რომლებიც ქვეყანაში ბევრ რამეს წყვეტენ და არ შეიძლება მკვლელები მართავდნენ ქვეყანას.**

ამ ხელისუფლებამ პირველად ბუტა რობაქიძე დახვრიტა, მერე — სანდრო გირგვლიანი, ზურა ვაზაგაშვილი; მეტრო „სამგორთან“ დახვრიტეს მურმან გიორგაძე, რომან სურმანიძე, მერაბ ართმელაძე; ქუთაისელები: ზვიად ბაბუხადია, ვალერი ბენდელიანი, ბუთხუზ ჭილილია. ურეკში იარაღის მიბჯენით მოკლეს ანა ვართანიანი, რომლის მკვლელიც ახლახან დათა ახალაიამ მაღალ თანამდებობაზე დანიშნა. ასევე მოკლულია ლევან ოდიკაძე და სხვა უამრავი ადამიანი. საზოგადოებამ უნდა შევძლოთ, ვანოს და მიშას თამადობით ეს მკვლელები ციხეში ჩავსვათ.

**როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონსერვატიული პარტიის წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა 2009 წელს პოლიციის მიერ მოკლულთა სია გამოაქვეყნა. ამ სიას დღემდე კიდევ ბევრი ადამიანი დაემატა.**

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

— სია, რომელიც მე ღია წყაროებზე დაყრდნობით 2009 წელს გამოვაქვეყნე, მოიცავს მხოლოდ პოლიციელების მიერ ჩადენილ სიცოცხლის მოსპობის ფაქტებს. მათ გარკვეულ ნაწილზე ჩვენ სრულფასოვანი ინფორმაცია მოვიპოვეთ და საზოგადოებას დავანახეთ, რომ ეს ადამიანები მოკლული არიან, მათი მკვლელები კი — დაუსჯელნი; რომ ეს შემთხვევები პოლიციელების მხრიდან თავდაცვის მიზნით არ მომხდარა. ეს სია არასრულია, რადგან შსს-სთვის, საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის და საქართველოს უზენაესი სასამართლოსთვის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადებით მიმართვის მიუხედავად, მათგან პოლიციელების მიერ სიცოცხლის მოსპობის ფაქტების ოფიციალური სტატისტიკის შესახებ (მის მოტივაციაზე და შეფასებაზე არ იყო საუბარი) ინფორმაცია ვერ მივიღე, გარდა უზენაესი სასამართლოსი, რომელმაც განაცხადა, რომ სტატისტიკას არ აწარმოებენ მუხლობრივად, რაც, ვფიქრობ, შეგნებულად არის გაკეთებული, რომ ასეთი ინფორმაცია არ გასცენ. აქედან გამომდინარე, ეს სია არასრულია. **იმ პერიოდისთვის ასზე მეტი ადამიანი იყო ▶**

# რაზე ისაუბრა ლევან ჩიტაძემ დაპატიმრებამდე ორი დღით ადრე?

**ახალგაზრდული მოძრაობა „არას“ ორგანიზებით, ახლახან საზოგადოებამ კიდევ ორი ახალი პროექტი — „სამართალი მოდის“ და „ამხილე ჯალათი“ იხილა. „საქართველო და მსოფლიო“ ახალგაზრდული მოძრაობა „არას“ ლიდერს, ლევან ჩიტაძეს, დაპატიმრებამდე ორი დღით ადრე ესაუბრა. იგი ქალაქ რუსთავში სწორედ მაშინ დააკავეს, როდესაც მოძრაობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად მორიგ აქციას პოლიციის მაღალჩინოსნის, ვალერი დუღაშვილის სახლთან მართავდა. რა „შავი სია“ აქვს „არას“, ვინ იქნება მათი შემდეგი „მსხვერპლი“ და რა „დამსახურების“ სანაცვლოდ აწინაურებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში თანამშრომლებს, მოძრაობა „არას“ წარმომადგენლები — ლევან ჩიტაძე და გიორგი ფარესაშვილი გვესაუბრებიან.**



გიორგი ფარესაშვილი:

## ერთ-ერთი აქციის დროს ჩვენი პროვოცირება სურდათ, გამგეობის შენობიდან შუშის ბოთლი გვესროლეს

**გიორგი ფარესაშვილი:**

— ჩვენი მიზანია, ვამხილოთ ის პირები, რომლებიც მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დროს იტაცებდნენ, ცემდნენ და აპატიმრებდნენ დემონსტრანტებს, მათ ოჯახებზე ახდენდნენ ზეწოლას და მაღალი თანამდებობა და პრივილეგიები სწორედ ამგვარი სისასტიკის წყალობით მოიპოვეს, დღეს კი სისხლში გასვრილი ხელებით შსს-ს მაღალ პოსტებზე სხედან. **ჩვენს „შავ სიაში“ სწორედ ასეთი ადამიანები მოხვდნენ. ისინი იმის მიხედვით სარგებლობენ პრივილეგიებით, თუ რა დანაშაულობები აქვთ ჩადენილი. ორი ტიპის სია გვაქვს, ერთი ეხება ძალოვანებს, მეორე კი — საშუალო რანგის ჩინოვნიკებს, რომლებიც კანონს არღვევენ.**

ჩვენ უკვე გავმართეთ რამდენიმე აქცია და შეჩერებას არ ვაპირებთ. აქცია გავმართეთ **გოდერძი ნატროშვილის** სახლთან, რომელიც ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს უფროსი იყო, ამჟამად კი ისანი-სამგორის შს სამმართველოს ხელმძღვანელობს და მას დიდი წვლილი მიუძღვის ხელისუფლების დანაშაულებრივ საქმიანობაში. 2007 წელს იგი მონაწილეობდა მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დარბევებში, ხოლო, 2009 წლიდან გოდერძი ნატროშვილი უკვე თავად ხელმძღვანელობდა დარბევებს. აღსანიშნავია, რომ **2010 წელს, როდესაც ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის დროს რატი მაისურაძე, შოთა აფხაიძე და სხვა უდანაშაულო ადამიანები დაიჭირეს, სწორედ ნატროშვილმა დადგა ეს სპექტაკლი.**

რაც შეეხება შსს-ს სხვა მაღალჩინოსნებს, ფურცელაძის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტს ხელმძღვანელობდა **ირაკლი ყიფშიძე,** რომელიც ამჟამად ძველი თბილისის შს სამმართველოს უფროსია და აღსანიშნავია, რომ ის სწორედ შემდეგ დააწინაურეს, რაც სპორტულ ტანისამოსში გამოწყობილი ზონდერ-ჯგუფს ხელმძღვანელობდა და მშვიდობიანი აქცია დაარბია. მისი მსხვერპლია შაკო გოგინაშვილი, ვისაც პოლიციელის დაჭრას აბრალებენ. არადა, ამის დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებები არ არსებობს. ბევრი ადამიანი დასახიჩრდა ამ ინციდენტის დროს, მაგრამ არც ერთ ე.წ. სამართალდამცველს პასუხი არ უგია.

ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ არანაკლებ დამნაშავეა, **ვანო მერაბიშვილის ბიძა (დედის ძმა), გვარად თუმანიშვილი,** რომელსაც საკუთარი სახერხი საამქრო აქვს მესხეთ-ჯავახეთში და აბასთუმნის მოსახლეობას მერაბიშვილი და მისი ოჯახი ეკოტერორიზმს უწყობს. აბასთუმნის ობსერვატორიის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეები მთლიანად გაჩეხეს, ამ საკითხზე ჩვენ უახლოეს მომავალში ბრიფინგს გავმართავთ.

**ლევან ჩიტაძე:**

— „შავ სიაში“ მოხვედრილ ადამიანთა უმრავლესობამ თანამდებობრივი აღმასვლის გზაზე თითქმის ერთნაირი საფეხურები გაიარა და, ვინც უფრო მეტი სისასტიკე გამოიჩინა, დღეს მით უფრო პრივილეგირებულია. **2003 წლიდან რომ მივადევნოთ თვალი, თავდაპირველად ეს ადამიანები პოლიციის რიგითი თანამშრომლები იყვნენ, მას შემდეგ კი, რაც 2007-2009 წლებში მათ განსაკუთრებული სისასტიკით შეასრულეს დავალებები, რაც გამოიხატებოდა ადამიანების ცემაში, დაშინებასა და სახლებში შევარდნაში, ისინი დააწინაურეს.** მაგრამ ამ ადამიანების მოღვაწეობის დეტალები საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. უფრო მეტიც, დაუზუსტებელი ინფორმაციით, **ძალოვანებს ოქროს საფერფლეები თავად მერაბიშვილმა აჩუქა, მაგრამ მოვა დრო და ქართველი ხალხი ამ საფერფლეებს მათ თავზე გაადამსხვრევს.**

ყველა დამნაშავე კანონის ფარგლებში დაისჯება, ეს ყველაფერი კი 21 მაისს უნდა გააკეთოს ქართველმა ხალხმა.

**— თქვენ აწყობთ აქციებს პოლიციის მაღალჩინოსნების სახლებთან, თუ მოჰყვა ამ ფაქტს მათი მხრიდან გამოხმაურება ან ხელის შეშლის მცდელობა თუ ყოფილა? ▶**

**ახლა სიჩუმე დანაშაულია. თუ ჩუმად ხარ, ესე იგი გარიგებული ხარ სააკაშვილთან და მერაბიშვილთან. ვერავინ დაასაბუთებს, როგორ აიშენა 15-მილიონიანი სასახლე ვანო მერაბიშვილმა, რომელიც ბიძაშვილზე აქვს გაფორმებული და ახლა მეორესაც იშენებს.**

სამართალი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**◀ მოკლული. ჩვენ მხოლოდ 63 უდანაშაულო ადამიანზე შევძელით ინფორმაციის მოგროვება, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ხელისუფლებამ მოკლა.** ჩვენ მაშინ კომისიის შექმნის იდეაც გვქონდა. ჯერჯერობით ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ იმედია, სააკაშვილის რეჟიმის დასრულების შემდეგ კომისია შეიქმნება, რომელიც ყველას აგებინებს პასუხს — დაწყებული რიგითი მკვლელიდან, დამთავრებული მიხეილ სააკაშვილით. მის მიერ მკვლელების მფარველობაც დაადასტურა არამხოლოდ ჩვენმა განცხადებებმა, არამედ — სტრასბურგის სასამართლომაც.

**— თქვენი აზრით, რამ განაპირობა ის, რომ პოლიციელების მიერ ქუჩაში ადამიანების დახოცვის ფაქტები შემცირდა?**

— ის, რომ 2006-2007 წლების შემდეგ პოლიციელების მიერ ქუჩაში ადამიანების დახოცვის მკვეთრი შემცირება შეინიშნება, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების დამსახურებაა, პირველ რიგში ქალბატონ ირინა ენუქიძის, ბატონ იური ვაზაგაშვილის, გამცემლიძეების, რობაქიძეების ოჯახების. მათი წვლილი ამ ბრძოლაში გადამწყვეტი იყო, გარკვეული როლი შევასრულეთ: „თანასწორობის ინსტიტუტმა“, „კონსერვატორებმა“, პოლიტიკურმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა. თუმცა **დღეს ძალიან მძიმე მდგომარეობაა ციხეებში. ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ყველაზე ჩაკეტილ სისტემაში, სადაც არც არასამთავრობო ორგანიზაციებს და არც ჟურნალისტებს უშვებენ, დახოცოს ადამიანები.** შარშან, ომბუდსმენის ანგარიშის მონაცემებით, პენიტენციალურ სისტემაში 142 ადამიანი გარდაიცვალა; აქედან ერთ მესამედს ძალადობის ნიშნები აღენიშნებოდა, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი მოკლეს. ასე რომ, თავმოსაწონი არაფერია. ჩვენ ბოლომდე უნდა მივიყვანოთ ეს ბრძოლა, ყველა მკვლელი ციხეში უნდა აღმოჩნდეს და დასრულდეს მკვლელების მფარველობა მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით.




**— საკმაოდ საეჭვო მდგომარეობაში დაიჭრა თავი ვასილ სანოძემ. როგორია თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით?**

— ეს არის ხელისუფლების წარმომადგენელი მკვლელების ნამოქმედარი. არ მგონია, ასეთ მკვლელებს სინდისი აწუხებდეთ და ამის გამო თავის მოკვლა შეეძლოთ. ხელისუფლება პირველივე წუთებიდან ასაიდუმლოებდა ამ ფაქტს (მხოლოდ მეორე დღეს, შუადღისას გაავრცელა ინფორმაცია), ე.ი. ისინი რაღაცას მალავენ და ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს გარჩევა ხელისუფლების რიგებში არსებულ მაღალჩინოსან მკვლელებს შორის.

**— უკავშირებთ ამას გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის გადაწყვეტილებას?**

— არ გამოვრიცხავ, სააკაშვილის რეჟიმს გადაეწყვიტა, მკვლელობის ამ ერთ-ერთ ორგანიზატორზე გადაეტეხა ჯოხი. ვინაიდან მაფია არ ინდობს მოწმეებს, არ ინდობს საკუთარი ჯგუფის შედარებით სუსტ წევრებს, როცა სჭირდება, წირავს მათ. სანოძე გირგვლიანის მკვლელობისა თანამონაწილე და მნიშვნელოვანი მოწმეა, მაგრამ არა ერთადერთი. იქ იყო დათა ახალაია, გურამ დონაძე, ოლეგ მელნიკოვი და მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია. თითოეულ მათგანს აქვს თავისი წვლილი გირგვლიანის მკვლელობის დაგეგმვაში. **მსოფლიომ უკვე აღიარა, რომ საქართველოს მართავს მკვლელების მფარველი მიხეილ სააკაშვილი. როგორც წესი, პოლიციელები კლავდნენ, ისინი კი წააქეზა სააკაშვილმა, მათ შორის — პარლამენტის ტრიბუნიდან, როცა ამბობდა, რომ ისე უნდა ესროლათ, ხელი არ აკანკალებოდათ.** ამ ავბედითი გამოსვლის მეორე დღეს 19 წლის ახალგაზრდა დახვრიტეს პეკინის ქუჩაზე. გურამ დონაძე სამი ადამიანის — გირგვლიანის, რობაქიძისა და გამცემლიძის საქმეებში ფიგურირებს. მის ფუნქციას მოკლული ადამიანების დამნაშავეებად გამოცხადება წარმოადგენდა. ხშირ შემთხვევაში მკვლელობებთანაც ჰქონდა კავშირი და მკვლელობის გარემოების გაყალბებასთან და ფალსიფიცირებასთანაც. ვაზაგაშვილის, გამცემლიძისა და სხვათა საქმეები, რა თქმა უნდა, სტრასბურგში მიაღწევს წარმატებებს, მაგრამ, იმედია, ქართული საზოგადოება შეძლებს მანამდე ამ მკვლელებს, მათ შორის სააკაშვილს, გაათავისუფლებინოს სახელისუფლო სკამები და საქართველოში შექმნას სამართლიანი სასამართლო, რომელიც პასუხს აგებინებს სააკაშვილსაც, მერაბიშვილსაც, ადეიშვილსაც, რურუასაც, ახალაიებსაც, კოდუებსაც, სანოძესაც და სხვებს, ვისი სახელიც მკვლელობებს უკავშირდება.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

---

**◀ გიორგი ფარესაშვილი:**

— პირველი აქცია „ამხილე ჯალათის“ ფარგლებში ჩატარდა **კობა ჩადუნელის** სახლთან, რომელიც რიგითი პოლიციელი იყო და სწორედ დარბევებში მონაწილეობის წყალობით გახდა გლდანი-ნაძალადევის მესამე განყოფილების უფროსი. არადა, წინა ხელისუფლების დროს სამსახურიდან საერთოდ გაათავისუფლეს.

თუმცა აღსანიშნავია, რომ 4 მაისს, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობასთან გამართული ერთ-ერთი აქციის დროს, ჩვენი პროვოცირება სურდათ, გამგეობის შენობის მეორე სართულიდან შუშის ბოთლი გვესროლეს. ამ ფაქტის დამადასტურებელი ფოტომასალაც გვაქვს.

**ლევან ჩიტაძე:**

— ჩვენი მიზანია, ამ ადამიანებმა გაითავისონ, რომ, თუ დროულად გამოვლენ, საჯაროდ მოიხდიან ბოდიშს და დანაშაულს აღარ გაიმეორებენ, ხალხმა შეიძლება აპატიოს. მაგრამ ეს მხოლოდ რიგით პოლიციელებს ეხება, თორემ **გივი თარგამაძეს, გიგა ბოკერიას, ვანო მერაბიშვილსა და მათ სანათესაოს, მუხლებზეც რომ დაუჩოქონ ქართველ ხალხს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეპატიოს. ყველა სათანადოდ უნდა დაისაჯონ.**

ოპოზიციური პარტიები უნდა იდგნენ ხალხთან. ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე იმისთვის წასვლა, რომ ხელისუფლებამ ოდესმე არჩევნები დანიშნოს, აბსურდია.

**— ოპოზიციურ „რვიანს“ გულისხმობთ?**

— არამარტო „რვიანს“. ჩემს კომპეტენციას ამჯერად სცილდება და მე არ დავიწყებ საუბარს, ვინ სწორი გზა აირჩია და ვინ — მცდარი, მაგრამ მე იქ ვდგავარ, სადაც ხალხია. შექმნის დღიდან მოძრაობა „არა“ უპირისპირდება ხელისუფლებას და არ წასულა მასთან არც მოლაპარაკებაზე და არც გარიგებაზე; ყველანარად ვცდილობთ, ეს ძალადობრივი რეჟიმი ქვეყნიდან განვდევნოთ. „რვიანს“ რაც შეეხება, ისინი სისხლიანი რეჟიმის ლეგიტიმაციას ახდენენ. მთავარია ქართველი ხალხი დადგეს ერთად და არა — პარტიები. ხალხმა უნდა გამოაცხადოს მზაობა ბრძოლისთვის. **ახლა სიჩუმე დანაშაულია. თუ ჩუმად ხარ, ესე იგი გარიგებული ხარ სააკაშვილთან და მერაბიშვილთან. ვერავინ დაასაბუთებს, როგორ აიშენა 15-მილიონიანი სასახლე ვანო მერაბიშვილმა, რომელიც ბიძაშვილზე აქვს გაფორმებული და ახლა მეორესაც იშენებს.**

**— როგორ ფიქრობთ, რა შეცდომები დაუშვა ოპოზიციამ?**

— 2009 წელს ბევრი პარტია გაერთიანდა საერთო მიზნისთვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ოპოზიციონერი, მაგალითად, პაატა დავითაია, ხელისუფლების აგენტი ყოფილა. თათბირებიდან ინფორმაცია პირდაპირ სააკაშვილთან და მერაბიშვილთან მიდიოდა. ასევე ყველა ოპოზიციონერს სხვადასხვა აზრი ჰქონდა კონკრეტულ საკითხებზე და პოლიტიკური ქულების დაწერას უფრო ცდილობდა, ვიდრე გამარჯვების მიღწევას.

ახლაც ასეა, პარტიებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ბევრი პარტია მიდის და ევაჭრება სააკაშვილს, რათა ერთი-ორი ადგილი დაუთმოს პარლამენტში.

**— რომელ პარტიებს გულისხმობთ?**

**გიორგი ფარესაშვილი:**

— „რვიანში“ შემავალ თითქმის ყველა პარტიას. ყველამ ვიცით, რომ დღეს ხელისუფლებასთან მოლაპარაკება მასთან ვაჭრობას ნიშნავს. ზოგიერთ ოპოზიციონერს ხელისუფლებაზე არანაკლები დანაშაული აქვს ჩადენილი, იგივე პაატა დავითაიას, „ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას“, ისინი ხელისუფლების დაკვეთას ასრულებენ. თურმე ყველა ის ძალა, რომელიც აქციების დაწყების კონკრეტულ თარიღს აცხადებს, რუსეთთანაა შეკრული. ძალიან ვთხოვ, ბაჩუკი ქარდავამ „ეროვნულ-დემოკრატიული“ პარტიის ქმედებები გაიხსენოს, როდესაც პირველი კანონიერი ხელისუფლება დაამხეს. პირდაპირ ვიტყვი: სწორედ ედპ-ს კისერზეა ბევრი უდანაშაულო ადამიანის დაღუპვა! მათ კისერზეა თუნდაც ზუგდიდის ბატალიონის 22 კაცის დაღუპვა.

**ლევან ჩიტაძე:**

— ბაჩუკი ქარდავას მიშას ფულები აინტერესებს და, სავარაუდოდ, იმიტომ აკეთებს ამგვარ განცხადებებს. საჭიროა კონკრეტული ქმედებები და არა — ლაი-ლაი.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**



**ლევან ჩიტაძე: ეს ადამიანები პოლიციის რიგითი თანამშრომლები იყვნენ, 2007-2009 წლებში ადამიანების ცემის, დაშინებისა და სახლებში შევარდნის საზღაურად დააწინაურეს**

---

# კაპიტულაციის დღე, ანუ «Vashadze Kaput!»

**8 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად, ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკო. „ჩვენი სამინისტრო ამ დღეს ტრადიციულად აღნიშნავს 8 მაისს და, სიმართლე გითხრათ, მე მომხრე ვარ, რომ ეს დღესასწაული გადავიტანოთ 8 მაისს, როდესაც მთელი კაცობრიობა აღნიშნავს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს“, — თქვა ვაშაძემ („მედიანიუსი“). ამასთანავე, მან განაცხადა: „რუსეთი, როგორც ყოველთვის, სეპარატისტულად აღნიშნავს ამ დღესაც და ფაშიზმზე გამარჯვებას 9 მაისს ზეიმობს“ („GHN“).**

ეს ისტორია, ალბათ, რამდენიმე ჭრილში უნდა განვიხილოთ. იურიდიულ ასპექტში ყველაფერი ნათელია, საქართველოში აღინიშნება და უქმე დღედ გამოცხადებულია 9 მაისი. „შრომის კოდექსში“ (მუხლი 20, პუნქტი „თ“) და იმავე საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე შავით თეთრზე წერია: „9 მაისი — ფაშიზმზე გამარჯვების დღე“. ასე რომ, ერთობ გაუგებარია, რას აღნიშნავენ ვაშაძის უწყებაში „ტრადიციულად“, გნებავთ, არატრადიციულად. რაც შეეხება სუფთა ადამიანურ ასპექტს, გრიგოლ ვაშაძეს შეუძლია ნებისმიერ ვეტერანს ჰკითხოს: „როდისაა გამარჯვების დღე?“, ხოლო მას შემდეგ, რაც გაკვირვებული ვეტერანი პასუხს გასცემს, უთხრას: „თქვენ გამარჯვების დღეს მთელი ცხოვრება არასწორად აღნიშნავდით. ის უნდა გადავიტანოთ“, რა თქმა უნდა, თუ ამის თქმისათვის გამბედაობა ეყოფა და სინდისიც არ შეაწუხებს.

დავუბრუნდეთ ვაშაძის განცხადებას, სადაც ნათქვამია, რომ **„მთელი კაცობრიობა“ 8 მაისს, ხოლო რუსეთი „სეპარატისტულად“ 9 მაისს ზეიმობს.** დროებით თავი დავანებოთ რუსეთს; ბელარუსმა და უკრაინამ ომში გაცილებით მეტი შვილი დაკარგეს (თითოეულმა), ვიდრე ყველა დასავლელმა მოკავშირემ ერთად (ამ ფაქტის კონსტატაცია დასავლელი ჯარისკაცების წვლილს საერთო გამარჯვების მიღწევაში არავითარ შემთხვევაში არ აკნინებს).

თუ ვინმეს უნდა ვკითხოთ, უპირველესად, როდისაა გამარჯვების დღე, ალბათ, სწორედ უკრაინელებსა და ბელარუსებს. ერთნიც და მეორენიც გამარჯვების დღეს 9 მაისს ზეიმობენ. არადა, ვაშაძის განცხადებას თუ დავუკვირდებით, ვნახავთ, რომ მან ისინი „მთელი კაცობრიობის“ რიგებიდან, ფაქტობრივად, გარიცხა. ადოლფ ჰიტლერი ამ ერების წარმომადგენლებს არასრულფასოვან ადამიანებად თვლიდა, გრიგოლ ვაშაძე კი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო შორს წავიდა და ისეთი განცხადება გააკეთა, თითქოს უკრაინელები და ბელარუსები ბუნებაში არ არსებობენ, ისევე, როგორც აზერბაიჯანელები, სომხები და სხვა ერების წარმომადგენლები, რომელთათვის გამარჯვების დღე 9 მაისია, „ჩვენი წინაპრების გმირობის ზეიმი, რომლებიც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცნენ და ამით მილიონობით ადამიანს თავისუფლება აჩუქეს“ (ციტატა უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის მილოცვიდან, რომელიც ქართველებს გამოგვიგზავნა).

**მომდევნო დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში, როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ ვაშაძემ რაღაც ისეთი თქვა, რასაც დალაგებული ადამიანები ალკოჰოლური ინტოქსიკაციის უკანასკნელ სტადიაშიც კი არ ამბობენ და მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ „ვაშაძის ინიციატივაზე განმარტება გააკეთა. კალანდაძის განმარტებით, 8 მაისი ისტორიულად არის კაპიტულაციის დღედ მიჩნეული და სწორედ ამას ეფუძნება გრიგოლ ვაშაძის ინიციატივა, 8 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით. „თუმცა გაზიარებული იქნება თუ არა ის ინიციატივა, ფართო განხილვის საგანია, მათ შორის გათვალისწინებული იქნება იმ ადამიანების დამოკიდებულებაც, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ ომში, რადგან მათ 9 მაისისადმი ტრადიციული დამოკიდებულება გააჩნიათ“**, — განაცხადა ნინო კალანდაძემ („ინტერპრესნიუსი“).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნ. კალანდაძე ციცერონის მოწაფეთა რიგს არ მიეკუთვნება. ასე რომ, მისი განცხადების ზოგად რიტორიკულ გაუმართაობას ყურადღებას ნუ მივაქცევთ. მთავარი შინაარსი და ქვეტექსტია: **როგორც ჩანს, ხელისუფლებამ იგრძნო, რომ საზოგადოებაში ვაშაძის „ინიციატივამ“ მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია და მისი ნათქვამის შერბილება გადაწყვიტა; ეს, ფაქტობრივად, უკან დახევა იყო. საზოგადოებამ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ცხადია, „ბრძოლა 9 მაისისთვის“ ამით არ დასრულებულა, ხელისუფლება, ალბათ, კიდევ არაერთგზის შეეცდება ამ თარიღის ჩვენი მეხსიერებიდან ამოშლას. მაგრამ, თუ საზოგადოება მედგარ წინააღმდეგობას გაუწევს, ის საწადელს ვერ მიაღწევს.**

**დიმიტრი მონიავა**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

სოფელ ორხვისთვის გამოყოფილი თანხით მოსახლეობამ სალოცავის აშენება ისურვა, თუმცა ადგილობრივი საკრებულოს წარმომადგენლებმა მათ ამის უფლება არ მისცეს, სალოცავის აშენებაში ფული არ დაიხარჯება, ამით გზა უნდა გაკეთდესო. მოსახლეობა აღშფოთებას ვერ მალავს.

# დეპუტატი კარლო კოპალიანი რაჭა-ლეჩხუმის ადმინისტრაციასა და ცაგერის გამგეობას ფულის გათეთრებაში, მოსახლეობის დაწიოკებასა და რელიგიური ნიშნით დევნაში ადანაშაულებს

# ამ მაჟორიტარს ხელისუფლების არ ეშინია!

**ამასწინათ, ერთ-ერთ ტელეპროექტში მოეწყო ექსპერიმენტი — მაჟორიტარ დეპუტატებს ჟურნალისტმა პრეზიდენტ სააკაშვილის თუნდაც ერთი ნაკლის დასახელება სთხოვა. მაჟორიტარები ამ მარტივ კითხვაზე პასუხს გველნაკბენივით გაურბოდნენ. პრეზიდენტის ნაკლზე საუბარი ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაბედა. ხსენებულმა ტელეექსპერიმენტმა გაამყარა აზრი, რომ მაჟორიტარები სინამდვილეში ნაციონალური მოძრაობის ყურმოჭრილი მონები არიან და ისე ეშინიათ მმართველი პარტიის, რომ ნებართვის გარეშე ყურსაც ვერ გააპარტყუნებენ. ჩვენ ვცადეთ, კიდევ ერთხელ შეგვემოწმებინა მაჟორიტარების „ყურმოჭრილობა“ და მივაგენით დეპუტატს, ვისაც ხელისუფლების არ ეშინია. შორს ვართ აზრისგან, რომ ყველა მაჟორიტარი მმართველი პარტიის მონაა და პატრონის შიშს ისე მოუცავს, რომ ხმის ამოღებასაც კი უფრთხის.**
**ჩვენ მზად ვართ, თითოეულ მათგანს დავუთმოთ ტრიბუნა და მივცეთ საშუალება, კონსტრუქციულად გააკრიტიკოს ხელისუფლება ან დაიცვას საკუთარი ამომრჩევლის ინტერესები. მანამდე კი გთავაზობთ ინტერვიუს ცაგერის მაჟორიტარ დეპუტატთან, ბატონ კარლო კოპალიანთან:**



## გამგეობამ სოფელ ორხვის მოსახლეობას სალოცავის აგება აუკრძალა

— დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თქვენს გაზეთს, რომ რეგიონური პრობლემებით ინტერესდება და, ბევრისგან განსხვავებით, რეალობას აშუქებს. ამ მხრივ, ნამდვილად გამონაკლისთა რიგებს განეკუთვნებით. არავინაა რეგიონებში მცხოვრები ხალხის მომკითხავი — რით სუნთქავენ, რით არსებობენ, რა ტკივათ... **კვეზერელი, იმის მაგივრად რომ რეგიონების პროლემებს აგვარებდეს, ათასი უტოპიური იდეებით კვებავს მოსახლეობას.**

სხვათა შორის, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა, არჩევნებამდე არაერთხელ ვცადე ცაგერის ადგილობრვ ხელმძღვანელობასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება, რათა ერთად მიგვეხედა რაიონის პრობლემებისთვის, მაგრამ ამაოდ.

**— არც ისე დიდი ხნის წინათ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებელი შეიცვალა, მასთან თუ სცადეთ ურთიერთობის აწყობა?**

**— ცაგერის ახალი გამგებელი დიმიტრი ასათიანი რაიონს საერთოდ ვერ მართავს. მას მოსახლეობის არც ერთი პრობლემა არ გადაუჭრია აქამდე. ასეთი სუსტი გამგეობა ცაგერს ჯერ არ ჰყოლია.**

რაც შეეხება, მასთან საერთო ენის გამონახვას, არაფერი გამომივიდა. მოსახლეობის ინტერესები ფეხებზე ჰკიდიათ. მეტიც, ცაგერის გამგეობა პრივილეგირებულ მდგომარეობაში მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ამყოფებს, **„ნაცმოძრაობის“ იმდენი მომხრეები შეყარეს ადგილობრივ საკრებულოსა და გამგეობაში, რომ მაგდენი სავარძლებიც კი არ აქვთ.** ისინი კვირაში ერთხელ შეისეირნებენ „სამსახურში“ და თვის ბოლოს უსაქმურობისთვის ხელფასსაც იღებენ. საზოგადოების დანარჩენ წევრებს ადამიანებად არ თვლიან, შესაბამისად, არც მათი სატკივარი აწუხებთ.

**— კონკრეტულად რა პრობლემების წინაშე დგას დღეს რაიონი?**

— ზოგადად რეგიონში, განსაკუთრებით კი ცაგერში, საკმაოდ მსუყე ნიადაგი აღმოჩნდა კორუფციისა და ფულის გასათეთრებლად. რაიონს, უკვე ორი წელია, სასმელი წყლის პრობლემა აქვს. **გასულ წელს კომპანია შპს „ოდამ“ ცაგერში 7-კილომეტრიანი წყალსადენის მშენებლობა დაიწყო, რომლისთვისაც მუნიციპალური განვითარების ფონდმა ნახევარ მილიონზე მეტი გამოყო, მაგრამ პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. კომპანიამ ეს მშენებლობა ფულის გასათეთრებლად გამოიყენა, რაზეც ცაგერის ადგილობრივი ხელისუფლება თვალს ხუჭავს. ზაფხულობით ცაგერი ყარს, საპირფარეშოებსაც კი ვერ რეცხავს ხალხი და ამ დროს კომპანია ადგილობრივ ხელისუფლებას ობიექტის ჩაბარებაზე ხელისმოწერას სთხოვს.** ცაგერის სამხარეო ხელისუფლება უკვე გავაფრთხილე, თუ ამ უხარისხო ობიექტის ჩაბარებაზე ხელს მოუწერთ, აღნიშნულ ქმედებას ბევრი თანამდებობის პირი გადაყვება-თქო.

გარდა ამისა, არსებობს კერძო კომპანია „ცეკური“, რომელმაც გასულ წელს ცაგერის ცენტრალური წყალსადენისა და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციას მიჰყო ხელი. კომპანიამ ერთი წლის განმავლობაში სამჯერ გადათხარა ასფალტის საფარი და დღემდე შადრევნებივითასხამს წყალი მილებიდან.

იმავე კომპანიამ გაიმარჯვა ტენდერშიც, რომელსაც წყალტუბო-ცაგერის ცენტრალური გზის მშენებლობა დაევალა. ვერავინ დამაჯერებს, რომ, თუ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი არ ხარ, 10-12-მილიონიანი ტენდერი მოგცენ. კომპანიამ ასფალტის დაგება ნაწილ-ნაწილ დაიწყო, ჯერ 6 კმ, მერე 8 კმ და ა.შ. ერთი კილომეტრი გზის მშენებლობა კი დაახლოებით 700-800 ათასი ლარი ჯდება. **საქმე ისაა, რომ 6 თვის წინათ დაგებული ასფალტი უკვე აქა-იქ გადაკერებულია. არადა, ირწმუნებოდნენ გზები გერმანული ტექნოლოგიებით იგება და მინიმუმ 7-8 წელი გაძლებსო. როგორც აღმოჩნდა, ეს სამშენებლო კომპანიაც ფულს ათეთრებს. გამოყოფილი თანხის 20-25% მაინც მიდის მაგათ ჯიბეებში, მერე კი ხელისუფლების წარმომადგენლები ამ თანხებს არჩევნების გასაყალბებლად მიატანინებენ. ერთ წელიწადში 2 მილიონ-ნახევარი ნამდვილად არაა ცოტა თანხა. მოგებას ნახულობენ გაუთვალიწინებელი ხარჯების სახით გამოყოფილი თანხებიდანაც.**

ამაზონის ჯუნგლებში უკეთესი გზები იქნება, ვიდრე ცაგერის მიმართულებითაა. „მშენებლობა“ დღესაც გრძელდება. **ცაგერში ხუმრობდნენ: „თუ ერთი-ორი მანქანა ხრეში რომელიმე სოფლის გზაზე დაყარე, ჯიპი გარანტირებული გაქვსო“.** ეს უბრალო ხუმრობა კი არა, სამწუხარო რეალობაა.

**— სანდო წყაროს ინფორმაციით, კომპანია „ცეკურის“ მფლობელი სააკაშვილის ოჯახთან დაახლოებული პირი ვინმე სერგო ხაბულიანი გახლავთ, რომელსაც ხელისუფლება დეპუტატობისთვისაც ამზადებს...**

— სწორ ინფორმაციას ფლობთ, რაც შეეხება კომპანია „ცეკურის“ მფლობელობას, იგი იურიდიული მფლობელი მას შემდეგ აღარ არის, რაც დეპუტატობის ამბიცია გაუჩნდა. თუ ვინაა დღეს ამ კომპანიის იურიდიული მფლობელი, ინფორმაციაზე ხელი ჯერ არ მიმიწვდება, კვლევის პროცესში ვარ და მოკლე ხანში აუცილებლად დავადგენ. მინდა გავაფრთხილო ყველა, ნალმზე სხედან და ვერ ხვდებიან.

**— როგორც ვიცით, რეგიონს ელექტროენერგიის პრობლემაც გააჩნია.**

— ეს რეგიონის საკმაოდ მწვავე პრობლემაა. „ენერგო პრო-ჯორჯია“ სახელმწიფოა სახელმწიფოში.

**იყო შემთხვევა, როცა „ენერგო პრო-ჯორჯიამ“ სოფელ საირმის მოსახლეობას (სადაც ჯერ კიდევ კოლექტიური გამრიცხველიანობა არსებობს) რეალურად არარსებული დავალიანება — 500 ლარი დააწერა. არ არის ეს სახელმწიფოსაგან ხელშეწყობილი კორუფცია?**

სოფელ ჭალისთავში, როცა ელექტროენერგიის ბოძი დაზიანდა, დენი ნიადაგზე გადადიოდა, რამაც ელოქტროენერგიის უქმად დაკარგვა გამოიწვია. „ენერგო პრო-ჯორჯიამ“ კი ეს თანხა მოსახლეობას დააწერა. როცა კომპანიის წარმომადგენლობას მივმართე, მომახსენეს, სასამართლოს მიმართეთო. სასამართლო კი, ყველამ იცის, ვის დაკრულზე ცეკვავს. ასე რომ, ვერაფერს მივაღწიეთ.

**— „სოფლის დახმარების პროგრამა“ მაინც თუ ხმარდება მოსახლეობის პრობლემების გადაჭრას?**

— მიუხედავად იმისა, რომ სოფლის გადასაწყვეტია, თუ რას მოხმარდეს სოფელზე გამოყოფილი თანხა, მათ რეალურად ამის საშუალებას არ აძლევენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენს რეგიონში რწმუნებულები და საკრებულოს წარმომადგენლები თავად ქმნიან ინდსაწარმოებს. ინდმეწარმეებად კი თავიანთ აქტივისტებსა და პარტიის წევრებს ამტკიცებენ. ამ გზით რწმუნებულები თანხებს თვითონ აკონტროლებენ. ასათიანი და მისი გარემოცვა აღნიშნულ დარღვევებზე რატომღაც არ რეაგირებს.

**— თუ შეგიძლიათ დარღვევის კონკრეტული ფაქტები გაგვაცნოთ?**

**— სოფელ ორხვისთვის გამოყოფილი თანხით მოსახლეობამ სალოცავის აშენება ისურვა, თუმცა ადგილობრივი საკრებულოს წარმომადგენლებმა მათ ამის უფლება არ მისცეს, სალოცავის აშენებაში ფული არ დაიხარჯება, ამით გზა უნდა გაკეთდესო. მოსახლეობა აღშფოთებას ვერ მალავს.**

სოფელ ლაილაშში კი, გამოყოფილი თანხით, გასულ წელს სასმელი წყლის პრობლემა უნდა გადაჭრილიყო, მაგრამ დღემდე მოუგვარებელია.

მეტიც, სოფელ ლუხვანოში გამოყოფილი თანხა თავად საკრებულოს თავმჯდომარემ ამირან საღინაძემ აითვისა, რასაც კანონმდებლობა კატეგორიულად კრძალავს, ანუ პირდაპირ კორუფციასთან გვაქვს საქმე.

**მინდა აქვე აღვნიშნო, რომ სოფელ ტვიშში ასეთ პარადოქსსაც ვაწყდებით: ოჯახის ერთი წევრი რწმუნებულია, მეორე — საკრებულოს დეპუტატი, ხოლო მესამე — სოფლის პროგრამების თანამონაწილე. ეს მთელმა სოფელმა იცის, თუმცა შიშის ფაქტორიც იმდენად დიდია, ყველა დუმს. (რედაქციამ ტვიშის რწმუნებულის სახელი და გვარი საკუთარი წყაროებით დაადგინა, იგი მანანა გაბიდაშვილი გახლავთ. — ავტ.).**

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, არსებობს დევნილების პრობლემაც. ერთ-ერთ დევნილს, 84 წლის მარტოხელა კაკო კოპალიანს, რომელსაც თავშესაფარი დაენგრა და მის პირდაპირ მდებარე დევნილების სასტუმროში გადავიდა, მაგრამ გადამისამართება არ გაუკეთეს. ამის გამო მოხუცი ყველა სახის დახმარებას კარგავს.

**ასევე, თქვენს გაზეთში აქტიურად იწერებოდა უსახელაურის ჯიშის ყურძენზე. იმავე პრობლემის წინაშე დგას სოფელ ორბელში ოჯალეშის ჯიშის ყურძენიც. ვიდრე მოსახლეობასთან ერთად აქციები არ მოვაწყვეთ, სახელმწიფომ ეს ყურძენი არ ჩაიბარა. მერე კი გამოვიდა კვეზერელი და ურცხვად გამოაცხადა — რა განგაში ატეხეთ, ისეც ვაპირებდით ამ ყურძნის მიღებასო. უნდა აღინიშნოს, რომ ყურძენი მინიმალურ ფასად, კილო 80 თეთრად, ჩაიბარეს.**

**— აღნიშნული პრობლემების საქმის კურსში რაჭა-ლეჩხუმის გუბერნატორი თუ არის?**

— რაჭა-ლეჩხუმის გუბერნატორი დავით გაგოშიძე ამ პრობლემებს დეტალურად იცნობს, თუმცა მასაც ფეხებზე ჰკიდია. მეტიც, გასული წლის დეკემბერში, უცხოელ ექიმთა ბრიგადა მყავდა რაიონში ჩაყვანილი, 300 ავადმყოფი გასინჯეს, ორი დღე და ღამე გადაბმულად იმუშავეს. ადგილობრივი ხელმძღვანელობიდან ერთი კაციც არ მოსულა მათთან მადლობის სათქმელად, მითუმეტეს, ცაგერის ადგილობრივი ხელმძღვანელობა მათ ჩამოყვანამდე რამდენიმე დღით ადრე გავაფრთხილე. დანამდვილებით ვიცი, რომ ხელმძღვანელობას ჩემს ჩამოყვანილ ექიმებთან გამოჩენა გაგოშიძემ აუკრძალა. ამ პატარა კაცუნებს ეგონათ, აღნიშნულ ქმედებას, არჩევნებში პიარისთვის გამოვიყენებდი.

ჩემამდე უცხოელი ექიმები ცაგერის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩამოიყვანა. მათ მხოლოდ რამდენიმე ათეული ადამიანი გაასინჯინეს და ბიუჯეტიდან 1800 ლარი დახარჯეს. აქედან 400 ლარი ბენზინში გაუხარჯიათ, 400 ლარი — წამლებში, 1000 კი — სხვადასხვაშიო. ღმერთმა უწყის, რა იგულისხმეს ამ სხვადასხვაში. თვითონ ამხელა თანხა უმისამართოდ გაფლანგეს, ჩემი ინიციატივით ჩამოყვანილი ექიმების მასპინძლობისთვის კი ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ 200 ლარიც ვერ გაიმეტა, უფლება არ გვაქვსო. მიუხედავად მათი არაკაცობისა, აღნიშნულ პროექტს, მაინც მივანიჭებ პერმანენტულ სახეს და გაჭირვებულ თანასოფლელებს ამას ნამდვილად არ დავამადლი.

ესაუბრა
**ეკა რობაქიძე**

„მოსახლეობა შეძრწუნებულია, მაგრამ მამუკა მამარდაშვილს ისე ჰყავს „დატერორებული“ ყველა, რომ ხმის ამოღებას ვერ რისკავენ, მით უფრო, სამართლის პოვნის იმედი რაკი ნაკლებად აქვთ. ჩვენ კი, ვინც სიმართლეს ხმამაღლა ვამბობთ, „მომჩივრები“ ვყოფილვართ, გამგებლისა და მისი ახლო წრის აზრით. არადა, სხვა საშველი არ დაგვიტოვეს“.

ჩემპიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ოყურეშის გამგებელმა 70 კომლის საძოვარი აუქციონზე გაყიდა

**ცაგერის რაიონის სოფელ ოყურეშის პრობლემებზე მკითხველს უკვე არაერთხელ ვუამბეთ. მაგრამ ამჯერად სოფლის მოსახლეობის ახალ პრობლემას შევეხებით. ოყურეშის ორი უბანი გამგებლმა მამუკა მამარდაშვილმა საძოვრის გარეშე დატოვა. როგორც სოფლის მოსახლეობა ირწმუნება, სოფლის თავკაცმა საძოვარი უკანონოდ გაასხვისა. სამართლის ძებნით სასოწარკვეთილ მოსახლეობას ისღა დარჩენია, გამგებლის ხუშტურს დაემორჩილოს და მარჩენალი საქონელი საკუთარი ხელით დაკლას. არადა, სოფლის მეურნეობის მინისტრი კვეზერელი უტიფრად გვიმტკიცებს, სოფლის მეურნეობამ და კერძოდ, მესაქონლეობამ ქვეყანაში განვითარების პიკს მიაღწია.**



**ჟორა აკობიძე, ოყურეშის მკვიდრი:**

„ოყურეშის გამგეობამ ჩვენი სოფლის ზედა კუთხის მოსახლეობას ერთადერთი (8 ჰექტარი) საძოვარი გაგვიყიდა. რაკი **საძოვრის გაყიდვა კანონით შეუძლებელი იყო, ეს მიწა ჯერ სავარგულად „სცნეს“, შემდეგ გამგებელის — მამუკა მამარდაშვილის მეგობარს, ადგილობრივ მკვიდრ ავთო ყურაშვილს გადააუფორმეს, ბოლოს კი ვილაც გადამთიელზე გაასხვისეს (ყოველ შემთხვევაში, გაყიდული მიწა რომ ღატაკი ავთო ყურაშვილის სახსრებით არ მუშავდება, ეს მთელმა სოფელმა ვიცით).** არადა, ლეჩხუმი ოფიციალურად მცირემიწიანი რაიონია. ეს ცაგერის რეესტრშიც და სოფლის მეურნეობის სამინისტროშიც აღნიშნულია. საკვირველია, საიდან დაასკვნა მამარდაშვილმა, რომ ეს ერთადერთი საძოვარი სავარგულია?! პირადად მოვიპოვე შესაბამისი დოკუმენტაცია და მათი ასლებიც გავაკეთე. ყველაფერი მოკვლეული მაქვს, რაც კი ამ საძოვარს ეხება. გარდა ამისა, ეს მიწა, რაც თავი მახსოვს, საძოვრად გამოიყენებოდა, **ახლა კი მთელი 70 ოჯახის საქონელი საძოვრის გარეშე დარჩა. ოდესღაც ეს მიწა სავარგულად მართლა ითვლებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ადრეულ წლებში დაიმეწყრა, სოფელს, როგორც საძოვარი, ისე შემორჩა.**

როცა გავიგეთ, უბნის ერთადერთი საძოვარი წაგვართვეს და დახურული აუქციონის წესით გაასხვისეს, მაშინვე ქუთაისში **შესაბამის სამსახურს** მივმართეთ, რადგან აუქციონი ქუთაისში ჩატარდა. პასუხად კი ის მივიღეთ, რომ **აუქციონი წესების დაცვით ჩატარდა და არანაირ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. დაკვეთა სოფლიდან რომ არ მოსულიყო, ჩვენ ხომ არ დაგვესიზმრებოდა რა მიწების გაყიდვა სურდათ; რაც დაგვავალეს, ის შევასრულეთო.**

ამის შემდეგ მივმართე ეკონომიკის სამინისტროს, პრეზიდენტის კანცელარიას, მაგრამ წერილები, მგონი, არც კი წაუკითხავთ. ცაგერის ახლადდანიშნულმა გამგებელმა წერილობითი „გვირჩია“, სასამართლოს მიმართეთო. სამართალი რომ ვერსად ვიპოვეთ, ამან მამარდაშვილი კიდევ უფრო გაადიდგულა...

## ჟორა აკობიძე:
## როცა სიმართლეს ხმამაღლა ვამბობთ, გამგებელი და მისი გარემოცვა „მომჩივრებს“ გვიწოდებს

**მოსახლეობა შეძრწუნებულია, მაგრამ მამუკა მამარდაშვილს ისე ჰყავს „დატერორებული“ ყველა, რომ ხმის ამოღებას ვერ რისკავენ, მით უფრო, სამართლის პოვნის იმედი რაკი ნაკლებად აქვთ. ჩვენ კი, ვინც სიმართლეს ხმამაღლა ვამბობთ, „მომჩივრები“ ვყოფილვართ, გამგებლისა და მისი ახლო წრის აზრით. არადა, სხვა საშველი არ დაგვიტოვეს.**

ორი მანქანა გამოიცვალა ჩვენმა გამგებელმა ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ. საიდან აქვს ამხელა შემოსავალი, თუ პატიოსნად ემსახურება სოფელს?!

გამგებლის უპასუხისმგებლობამ მოსახლეობა იმ ზომამდე მიგვიყვანა, რომ საქონელი საკუთარი ხელით უნდა გავანადგუროთ, რადგან შიმშილით მაინც დაგვეხოცება. სად გაგონილა საქონელი საძოვრის გარეშე?!“

**ვიდრე გლეხები კანონებში გაერკვეოდნენ და გამგებლის ზრახვებს ჩასწვდებოდნენ, ისინი ადვილად გაბრიყვდნენ. მამარდაშვილმა ყველაზე მეტად სოფლის მკვიდრი, 80 წლის გურამ მამარდაშვილი მოატყუა.**

**გურამ მამარდაშვილი:**

„მამუკა მამარდაშვილმა მითხრა, სოფლის მიწა აუქციონზე იყიდება, ააგროვე აუქციონზე შესატანი თანხა და გლეხებმა საზიაროდ იყიდეთო. მოსახლეობა შემოთავაზებას დათანხმდა. ქვედა უბნის თანხის შეგროვება მე დავიწყე. სულ 170 ლარი მოვაგროვე იმ იმედით, რომ საძოვარი ჩვენ დაგვრჩებოდა. **მამუკა მამარდაშვილმა ისიც მითხრა, აუქციონზე შენი წაყვანა საჭირო არ იქნება, მხოლოდ შენი პასპორტი გაგვატანეო. როცა სახლში არ ვიყავი, გამგებელმა ეს შეგროვებული თანხა და სახელობითი სია ჩემი ოჯახის წევრებს გამოართვა, აუქციონზე უნდა ჩავრიცხოთო. დახურული აუქციონი მართლაც ჩატარდა, გვეგონა, მიწა ჩვენს მფლობელობაში იყო გადმოსული.** მესამე დღეს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ჩვენ თვითონ მოვთხოვეთ გამგებელს, რადგან თავად არ მოგვიტანა. **სწორედ მაშინ გავიგეთ, რომ მიწა სულ სხვა პიროვნებისთვის, გამგებლის ძმაკაცისთვის — ავთო ყურაშვილისთვის გადაუფორმებიათ** (აუქციონზე, თანასოფლელის გარდა, მიწის შესყიდვის უფლება გარეშე პირს არ აქვს. — **ავტ.), თან სავარგულის სტატუსით, რომ შემდეგ ამავე სტატუსით გაცილებით ძვირად გაეყიდათ.**

საქმე ისაა, რომ მოსახლეობას ის თანხაც არ დაგვიბრუნეს, რაც შევაგროვეთ. **ვიდრე გაირკვეოდა ამ თანხის ბედი, ყველა ეჭვის თვალით მიყურებდა ამ ხნის კაცს. ბოლოს თვითონვე ბრძანა, თანხა აუქციონზე ჩავრიცხეთ და უკან არ დაგვიბრუნებენ, რადგან დახურულ აუქციონზე ვერ მოვხვდითო**“.

## გურამ მამარდაშვილი:
## ფული ჩვენ შეგვაგროვებინეს, მიწა კი გამგებლის ძმაკაცს გადაუფორმეს

**ჩვენ ოყურეშის გამგებელს მამუკა მამარდაშვილს გავესაუბრეთ. შეტევაზე გადმოსულმა გამგებელმა ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები გააკეთა.**

**მამუკა მამარდაშვილი:**

„მივხვდი, ვინც არიან თქვენი რესპონდენტები. მაგათ ყველა ინსტანციას მიმართეს და არაფერი გამოუვიდათ. ჩვენ სოფლის სავენახე ნაკვეთი გავყიდეთ, რომელიც დახურულ აუქციონზე ერთმა კონკრეტულმა პიროვნებამ შეიძინა. 100 თანამონაწილე ჰყავს ამ მიწას და ყველა თანაბრად ისარგებლებს...

**ის ფაქტი, რომ მიწას ვინმე უცხო პირი დაეპატრონა, აბსურდია, იგი ჩვენმა თანასოფლელმა შეისყიდა თავისთვის, სავენახედ და უკვე ამუშავებს კიდეც. მართალია, მიწა სოფელს უნდა შეესყიდა, მაგრამ, რადგან ვერ მოახერხეს, ეს საკუთარ თავს დააბრალონ.**

თქვენ კი, მათი მონაყოლის რომ გჯერათ, თუ ნორმალური გაზეთი ხართ, ჩამობრძანდით და აქ, ადგილზე, გავარკვიოთ ყველაფერი“.

## მამუკა მამარდაშვილი:
## მიწა სოფელს უნდა შეესყიდა, მაგრამ, რადგან ვერ მოახერხეს, საკუთარ თავს დააბრალონ

**ფაქტია, რომ გამგებელმა უნებურად ზემოხსენებული რესპონდენტების მონათხრობი დაადასტურა. როგორც ჩანს, მამარდაშვილს გლეხების შეგროვებული თანხა ეცოტავა თავისი მაქინაციური გეგმისთვის და შეპირებული გლეხები ამიტომ „გადააგდო“.**

**შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა ამ გლეხებისთვის ვერ მოიცალა. ვინ იცის, რა კულმინაციას მიაღწევს მათი მდგომარეობა.**

**ეკა რობაქიძე**

# ჯანდაცვის მინისტრი საკუთარ მძღოლს ოჯახისთვის სახლის წართმევაში ეხმარება?

## სოფო გელაშვილი:
## მიკვირს, ასეთ ამორალურ საქმეში რომ ერევა ბატონი ურუშაძე!

**ჯანდაცვის მინისტრ ანდრია ურუშაძეს მისი პირადი მძღოლის — დავით გელაშვილის მფარველობასა და სასამართლოში საქმის მის სასარგებლოდ ლობირებაში ადანაშაულებენ და სასამართლოზე ზეწოლაშიც ამხელენ. სოფო გელაშვილი ამ საქმის პრეზიდენტამდე მიტანასა და ავლაბრის რეზიდენციასთან მჯდომარე აქციის მოწყობას აპირებს, რადგან მიაჩნია, რომ სასამართლო კანონს არღვევს და მაღალჩინოსანთა ინტერესების დამცველად გამოდის.**

**სოფო გელაშვილის განცხადებით, ამ ზომამდე იგი მათ წინააღმდეგ განხორციელებულმა უსამართლობამ მიიყვანა. ჯანდაცვის მინისტრის, ანდრია ურუშაძის მძღოლი სოფო გელაშვილის მამა გახლავთ, რომელიც თავის ოჯახს სახლს ართმევს, სასამართლოში საქმის მოგებაში კი მას ანდრია ურუშაძე და გურამ დონაძის ნათესავი ეხმარებიან.**

**სოფო გელაშვილი:**

— გაგიკვირდებათ და ჩვენი ოჯახის წინააღმდეგ გამოდის თვითონ მამაჩემი, დავით გელაშვილი, რომელიც ჯანდაცვის მინისტრის, ანდრია ურუშაძის პირადი მძღოლი და მისი მარჯვენა ხელია. საქმე ისაა, რომ **დავით გელაშვილი საკუთარ ოჯახს — დედას, ცოლსა და შვილს სასამრთლოში გვედავება ქუთაისში არსებულ სახლს. არ ვიცი, ეს რა ქვეყანაა, რომელ ქვეყანაში შეიძლება ანალოგიური ხდებოდეს, რომ ჯანდაცვის მინისტრი პირადად ურეკავდეს ქუთაისის სასამართლოს თავმჯდომარეს — ლევან თევზაძეს, ახდენდეს ზეწოლას სასამართლოზე.** მისი ზარის შემდგომ კი სასამართლო უგულებელყოფს ჩვენ მიერ წარდგენილ ყველა მტკიცებულებას, ჩვენი მოწმეების ჩვენებებს. სხვა ახსნა, უბრალოდ, არ აქვს იმ ფაქტს, რომ დავით გელაშვილი, რომელმაც, წლებია, ოჯახი მიატოვა, დედამისის კუთვნილი ბინის მითვისებას ცდილობს. ბებიაჩემი წლების განმავლობაში ლოგინად იყო ჩავარდნილი და ჩვენ ვუვლიდით. **ამის მიუხედავად, მამაჩემი იმ სახლის წართმევას გვიპირებს. მიკვირს, ასეთ ამორალურ საქმეში რომ ერევა ბატონი ურუშაძე!**

**— საიდან გაქვთ ინფორმაცია, რომ მინისტრი ერევა?**

— გარდა იმისა, რომ დავით გელაშვილი მისი კუთვნილი ჯიპით დაქრის ქუთაისში, თავადაც არ მალავს და თავი მოაქვს, რომ ამ საქმეს ჩვენ თურმე იმიტომ ვერ მოვიგებთ, რომ მის უკან ჯანდაცვის მინისტრი დგას — ერთი ზარი და მორჩაო, ამბობს. ხალხის თანდასწრებით განაცხადა, რომ ახლავე დავარეკინებ ურუშაძეს და სახლს ყადაღას დაადებენო.

ამ საქმის თაობაზე პირადად მივწერე მინისტრ ურუშაძეს და ადამიანურად, დეტალურად მოვუყევი ჩვენი პრობლემის თაობაზე. სამინისტროდან მიპასუხეს, რომ თქვენი პრობლემა სასამართლოს გადასაწყვეტიაო.

უკაცრავად, რომელი სასამართლოსი? რომლის თავმჯდომარე, ბატონი თევზაძე, ჯანდაცვის მინისტრის ერთ ზარზე ჰოპსტოპზე დგება? ამ სასამართლოს იმედი უნდა მქონდეს? არც ერთი ჩვენი შუამდგომლობა, მოწმეების ჩვენებები სასამართლომ არ გაითვალისწინა. გეკითხებით, რატომ? ამ საქმეს მე ასე არ დავტოვებ, ყველამ უნდა გაიგოს. ჩვენ ეს საქმე სააპელაციოში გავასაჩივრეთ, რადგან თევზაძემ გასაქანი არ მოგვცა. თევზაძე და მინისტრი უშუალო კონტაქტში არიან და თავად წყვეტენ ყველაფერს. არც ისე დიდია ქუთაისის საქალაქო სასამართლო, რომ ინფორმაციამ არ გამოჟონოს იქიდან, პირდაპირ გვითხრეს საქმის ვითარება.

**ეს ლევან თევზაძე, რომელიც კუბლაშვილების დანიშნულია, როგორც ქუთაისში ლაპარაკობენ, არის შსს-ს მაღალჩინოსნის — გურამ დონაძის ახლობელიც. ახლახან ლევან თევზაძემ ისეთი ქორწილი გადაიხადა, გადარეული იყო მთელი ქუთაისი. ბიზნესმენ კუპრაშვილის ქალიშვილი მოიყვანა ცოლად, რომლის ობიექტის გახსნაზე სააკაშვილიც იმყოფებოდა.**

**დავით ბაზაძე**

 საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**აზიზის მეჩეთი ქართულ მხარეს სპეციალურად არ დაუწვავს და ამ მხრივ თურქეთის მხარის პოზიცია დაახლოებით ისეთივეა, ჩვენმა მხარემ ოპიზის, ტბეთისა და ანჩის ეკლესიების თავიდან აშენება რომ მოითხოვოს, რომლებიც გასული საუკუნის სამოციან წლებში გაგვინადგურეს. ცნობილია, ტბეთისა და ანჩის ეკლესიები ბოროტგანზრახვით, პოლიტიკური და რელიგიური მოტივით ააფეთქეს, ოპიზა კი ავტობანის გაყვანას შეეწირა. ქართულ მხარეს შეეძლო ამ საკითხებზეც ემსჯელა და თავი დამთმობლურ და წამგებიან პოზიციაში არ ჩაეყენებინა, მაგრამ ეს ასე არ გააკეთეს.**

### თამაზ დიასამიძე:

# ბათუმში აზიზის მეჩეთის აშენება ჩვენთვის ძალიან სახიფათოა

**საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი თამაზ დიასამიძე სახიფათოდ მიიჩნევს თურქეთ-საქართველოს ხელშეკრულებას, რომელიც, ისტორიულ ტაოში 4 ქართული ძეგლის აღდგენის სანაცვლოდ, ბათუმში აზიზის მეჩეთის აშენებას და დანარჩენ საქართველოში გარკვეული მუსლიმანური საკულტო ნაგებობების აღდგენას ითვალისწინებს. ამ თემაზე სასაუბროდ თამაზ დიასამიძეს პარლამენტში შევხვდით.**



**— ბატონო თამაზ, როგორია თქვენი პოზიცია თურქეთ-საქართველოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით?**

— ქართულმა მხარემ თავი ძალიან უხერხულ და წამგებიან მდგომარეობაში ჩაიგდო. ეს იმდენად ცუდი ნაცვალგების საფუძველზე ხდება, რომ ხელშეკრულების ამგვარი ფორმით ხელმოწერა, ქართული პოლიტიკისთვის და ქართული სახელმწიფოსთვის შეიძლება ძალიან სახიფათო აღმოჩნდეს.

ქართული მხარის მიერ ხელმოწერილი საოქმო შეთანხმების ტექსტი თურქულ მხარეს ხელმოსაწერად გადაეგზავნა. ამგვარ შეთანხმებაზე ხელმოწერისთვის საკმარისი დრო, რა ხანია, გავიდა და თურქული მხარის ხელმოწერა ჯერ არ ჩანს. ამ საოქმო შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები საყოველთაოდაა ცნობილი. მათ მიხედვით ქართული მხარისთვის ყველაზე მძიმედ შესასრულებელი აზიზის მეჩეთის თავიდან აშენება და ამოქმედებაა. **ამ ხელშეკრულების მიხედვით, ისტორიულ ტაოში ჩვენი ძეგლები უნდა აღვადგინოთ, თურქეთის სახელმწიფო კი ახლის აშენებას ითხოვს. ქართული მხარე მოქმედი მეჩეთის აგებას რატომღაც არ განიხილავს ისე, რომ ეს იმ მოსახლეობის გადასაწყვეტია, რომელიც მოცემულ რეგიონში, ქალაქში ცხოვრობს; მოსახლეობას აღარაფერს ეკითხებიან, გამოაცხადეს, სახელმწიფომ გადაწყვიტაო და მორჩა! მაგრამ გასაკვირი ეს აღარ არის, მაშინ, როცა ამ საკითხზე იგნორირებას უკეთებენ საქართველოს საპატრიარქოს, რომელმაც ამაზე თავისი ავტორიტეტული და წონადი აზრი რამდენიმეჯერ გამოთქვა.**

ცხადია, საკითხავია, ვინ არის სახელმწიფო? სახელმწიფო და მთავრობა არის თუ არა ხალხის, მოცემული საზოგადოების ინტერესების გამომხატველი?! სახელმწიფომ რომ გადაწყვიტა, თვითმმართველი ერთეულის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებულ მოსახლეობას ხომ უნდა ჰკითხო, სჭირდება თუ არა ახალი მეჩეთის მშენებლობა?! **რატომ უნდა აიგოს თურქეთის მხარის მოთხოვნით ის მეჩეთი, რომელსაც ადგილობრივი, ბათუმის, მოსახლეობა არ ითხოვს და არ სჭირდება?! ბათუმში არის ორთაჯამეს სახელით ცნობილი მეჩეთი, რომელიც არავის დაუნგრევია, მოქმედებდა და მოქმედებს, 1992 წელს მინარეთიც მიუშენდა და ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიურ მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებს.**

ითქვა ისიც, რომ აზიზის მეჩეთში შეიძლება ისლამის ცენტრი გაკეთდეს და არ იყოს მოქმედი მეჩეთი. ორივე შემთხვევაში ეს იმ სოციუმმა უნდა გააკეთოს, რომელსაც ეს სჭირდება. თურქეთის სახელმწიფო რატომ გამოდის მისი გახსნის ინიციატივით?! ეს არ არის თურქების, მათი მთავრობის საქმე. **ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ბათუმის მოსახლეობის გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობას მეჩეთის აგება არ უნდა. ვისთვის აშენებენ ამ მეჩეთს, არ მესმის.**

**— რა უნდა გაეკეთებინა ქართულ მხარეს იმისთვის, რომ წამგებიან მდგომარეობაში არ ყოფილიყო?**

— თავიდანვე, 2005 წლიდან, ქართულმა მხარემ თურქეთის მთავრობასთან ტაოკლარჯეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე მოლაპარაკებისას, პასიური პოზიცია დაიჭირა. ჩვენს მხარეს წინა პლანზე არ წამოუწევია უკვე გაწეული საქმიანობა, აჭარაში ოსმალების ბატონობის დროს აშენებული, მუსლიმანური საკულტო ძეგლების აღდგენასთან, მშენებლობასთან და მზრუნველობასთან დაკავშირებით. **ქართულმა მხარემ ისეთი კუთხით არ წარმართა მოლაპარაკებები, რომ, „რის გაკეთებასაც თქვენ ითხოვთ, სანაცვლოდ ჩვენს მხარეს ჩვენს ტერიტორიაზე იმაზე ათჯერ მეტი აქვს გაკეთებული, მუსლიმანური საკულტო ძეგლების აღდგენის თვალსაზრისით", რომელიც ჩვენი ისტორიისა და ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია.**

## თურქი მესვეურები ბათუმს უკვე ისლამურ ცენტრად მოიაზრებენ

**— ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომხრეები ამბობენ, კიდევ ერთი მეჩეთის აშენება არაფერს დააშავებს, ეს სახიფათო სულაც არააო.**

— ბათუმში ოსმალეთის სულთნის, აბდულ-აზიზის მეჩეთის აშენება არ არის რიგითი მეჩეთის აშენება, ეს დიდი პოლიტიკის საკითხია. ხის რვაფერდიანი, ორსართულიანი მეჩეთი, რომელიც 1868 წელს აშენდა და აქ დისლოცირებულ ოსმალურ სამხედრო გარნიზონს ემსახურებოდა, განსაკუთრებულ ღირებულებას არ წარმოადგენდა. ეს მეჩეთი 1940 წელს ელგაყვანილობის გაუმართაობის გამო დაიწვა.

**სპეციალისტების შეფასებით, ნიკა ვაჩეიშვილის მხრიდან გადაჭარბებულია იმის მტკიცება, რომ შინაგანად და გარეგნულად ეს იყო კულტურის შესანიშნავი ძეგლი, რომ „მსგავს სილამაზეს ვერსად ნახავთ".**

**აზიზის მეჩეთი ქართულ მხარეს სპეციალურად არ დაუწვავს და ამ მხრივ თურქეთის მხარის პოზიცია დაახლოებით ისეთივეა, ჩვენმა მხარემ ოპიზის, ტბეთისა და ანჩის ეკლესიების თავიდან აშენება რომ მოითხოვოს, რომლებიც გასული საუკუნის სამოციან წლებში გაგვინადგურეს. ცნობილია, ტბეთისა და ანჩის ეკლესიები ბოროტგანზრახვით, პოლიტიკური და რელიგიური მოტივით ააფეთქეს, ოპიზა კი ავტობანის გაყვანას შეეწირა.** ქართულ მხარეს შეეძლო ამ საკითხებზეც ემსჯელა და თავი დამთმობლურ და წამგებიან პოზიციაში არ ჩაეყენებინა, მაგრამ ეს ასე არ გააკეთეს.

მოგეხსენებათ, ისლამური საკულტო ნაგებობების უმრავლესობა აჭარაშია კონცენტრირებული. მათ რესტავრაციასთან და აღდგენასთან დაკავშირებით ყველაზე მეტი აქ გაკეთდა და ახლა ყველაზე მძიმე მოთხოვნას აჭარის რეგიონში აყენებენ. ამ გეგმის თურქ მესვეურებს ბათუმი უკვე ისლამურ ცენტრად აქვთ მოაზრებული. აი, ამას ამოიკითხავ მათ განზრახვაში, რისი ხელშეწყობაც ქვეყნისთვის გამოუსწორებელ შედეგებს მოიტანს.

თურქეთის სახელმწიფო უზარმაზარი ტემპით ვითარდება, ეკონომიკურად აწყვეტილია, მზარდი მადა და თურანისტული იდეები აქვს. არ ვიტყოდი, რომ ისლამისტური და ძალიან სახიფათო სახელმწიფო გახდა, მაგრამ მისი დღევანდელი მმართველი პოლიტიკური კლასის საქმიანობასა და მენტალიტეტში ისლამი სერიოზულ როლს თამაშობს. ამ ძლიერ სახელმწიფოსთან ასეთმა უპრინციპო პოლიტიკამ და დათმობამ, შეიძლება გზა გაუხსნას დომინოს პრინციპს და ამ რეგიონში ძალიან წაახალისოს თურქეთის მხრიდან გამოკვეთილი ისლამისტური ტენდენციები. ამიტომაა ასეთ დათმობაზე წასვლა სახიფათო. მითუმეტეს, როცა არსებობს სხვა გზაც.

**თვალშისაცემია თურქეთის სახელმწიფოს ფინანსური გავლენა ჩვენს სახელმწიფოზე და განსაკუთრებით — აჭარის რეგიონზე; ეკონომიკური ექსპანსია ძალიან ძლიერი და დამაფიქრებელია, რადგან ერთი მხრიდან წამოსული ინვესტიციები სხვა ქვეყნის ინვესტიციებით დაბალანსებული არ არის. ინვესტიციების 70% თურქეთზე მოდის.** იქაურ ბიზნესმენებს სესხი იმ პირობით გამოეყოფათ, რომ თანხა ბათუმსა და მის შემოგარენში დააბანდონ. ვიმეორებ, თურქეთი ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძალიან მზარდი ქვეყანაა და რაღაც განზრახვები პოლიტიკაში სამომავლოდ, ცხადია, ექნება და ჩვენმა მხარემ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს.

**— თქვენი აზრით, რატომ გადაწყვიტა საქართველოს ხელისუფლებამ თურქეთში ქართული ძეგლების აღდგენაზე მოლაპარაკების განახლება?**

— წინ არჩევნებია და ამიტომ ცდილობენ, მოსახლეობის თვალში კარგად წარმოჩნდნენ, რაც ცუდი არ არის — ნებისმიერი მმართველი ელიტა ცდილობს კულტურის, ეკონომიკისა და პოლიტიკის ხაზით კარგი სახელის მოპოვებას, მაგრამ დღევანდელი მმართველი ძალა, სააკაშვილის ხელმძღვანელობით, ამისთვის ძალიან დიდ მსხვერპლს იღებს. ამ ძეგლების აღდგენას აქტიურად ის ხალხი ლობირებს, ვინც იქ სხვადასხვა სახის აღდგენითი სამუშაოები უნდა შეასრულოს.

## ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ბათუმის მოსახლეობის გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობას მეჩეთის აგება არ უნდა



საკითხის ინიციატორთა წინასწარი გათვლით, ოთხივე ქართული ძეგლის აღდგენა სამ ან სამწელიწად-ნახევარში უნდა მოესწროს (გავიხსენოთ ბაგრატის დაუსრულებელი აღდგენითი სამუშაოები!). ოცამდე მილიონ დოლარზეა საუბარი და ბევრი საეჭვო რამ იკითხება. **კულტურის სამინისტროს, მის სპეციალისტებსა და მრჩევლებს ასეთი გათვლა აქვთ — „ქართული ძეგლების აღდგენის სანაცვლოდ ნებისმიერი მსხვერპლი უნდა გავიღოთ". რეალურად, არც ასეა საქმე და არც ისე ტრაგიკულად, რომ სადაცაა ის ძეგლები ჩამოიქცევა.**

**— რის საფუძველზე ამბობთ ამას?**

— იმის საფუძველზე, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენი მხარე თურქეთის პირობებზე დათანხმდა, წინასწარ განზრახულობათა ოქმს ხელი მოაწერა და თურქეთში გაგზავნა, ისტორიულ ტაოში ორი ექსპედიცია მიავლინა. **ამზადებენ ძვირადღირებულ სატელევიზიო გადაცემებს, ფულს ხარჯავენ, რომ, რაც შეიძლება დამაჯერებელი გახადონ ძეგლების სავალალო, ტრაგიკული და კატასტროფული მდგომარეობა. არადა, რეალურად ათ და ოც ამნაირ ხელისუფლებას გაუძლებს ეს ძეგლები.** კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მოლაპარაკება არასწორი პოზიციით დაიწყეს და თავი რთულ ვითარებაში ჩაიგდეს.

ახლა უნდათ, ხელმოწერა ამ ვარიანტით შედგეს და ისტორიაში ოშკის ალმდგენებად ჩაეწერონ. ის კი, რისი გაკეთებაც იგეგმება, ჩვენი სახელმწიფოსთვის გამოუსწორებელი შეცდომა შეიძლება აღმოჩნდეს აღმოსავლეთთან, მათ შორის — თურქეთთან მომავალი ურთიერთობებისთვის.

საქართველოს ფართო საზოგადოება არაერთმნიშვნელოვნად აღიქვამს ჩვენი მთავრობის დაჟინებულ პოზიციას, უკმაყოფილება დიდია. საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, თუკი თურქეთის მხარე, როგორც მეზობელი და მეგობარი სახელმწიფო, გაითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-აღდგენის საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკების შინაარსი და შესაძლო შეთანხმება ზიანს მიაყენებს საქართველოს საშინაო საქმეს და უარს იტყვის ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელ მოთხოვნებზე.

**— რას გულისხმობთ სხვა გზაში, რაც ზემოთ ახსენეთ?**

— ეს არის იუნესკოსთან გამწვავებული ურთიერთობის მოგვარება და საქმეში მისი ჩართვა. რადგან ვთვლით, რომ ეს კულტურის ძეგლები ჩვენი სიწმინდეები, ჩვენი ისტორიისა და კულტურის განუყრელი ნაწილი და ამავე დროს, მსოფლიო მნიშვნელობის საგანძურია, ჩვენ უფლება გვაქვს, იუნესკოსთან საუბრისას თურქეთთან ერთად მხარედაც გამოვიდეთ. მოლაპარაკებები თურქეთთან ამ კუთხით უნდა წარიმართოს.

ესაუბრა
**ნინო მიქიაშვილი**

ძლიერი საპროტესტო ტალღის აგორების შემთხვევაში, ხელისუფლება წარმატებული მოლაპარაკებლის იმიჯის მორგებას შეეცდება და გარკვეულ დათმობებზე წავა. შესაბამისად, ოპოზიციური „რვიანის“ „ძალისხმევას“ წყალში არ ჩაყრის და საერთაშორისო საზოგადოების კეთილგანწყობასაც მოიპოვებს. ამით შეძლებს, საზოგადოების „მშვიდობისმოყვარე“ ნაწილთან ერთად, ოპოზიციური „რვიანი“ რევოლუციურ ეიფორიას გამოთიშოს და დიალოგისა და კონსტრუქციულობის პროპაგანდის იარაღად გამოიყენოს.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# რევოლუციის გარიჟრაჟი თუ ფსევდოოპოზიციის დაისი?

ზაფხულის მოახლოებასთან ერთად საქართველოში პოლიტიკური ტემპერატურა მატულობს. აქციების მოლოდინს სულ უფრო ამძაფრებს ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერის რადიკალური განცხადებები რევოლუციის გარდაუვალობის შესახებ.
როგორც ჩანს, რევოლუციის წინასწარ დაანონსება და თარიღიდან თარიღამდე „მოგზაურობა“ საქართველოს მწარე პოლიტიკური რეალობაა, რასაც ოპოზიცია საზოგადოების „ამამუშავებელ“ ინსტრუმენტად იყენებს. თუმცა რამდენად შეძლებს „დაანონსებული რევოლუცია“ რევოლუციური სიტუაციის შექმნას, ჯერ უცნობია.



## ქართული პოლიტიკა – დაპირისპირების მარათონი

ქართულ პოლიტიკაში შექმნილი კონტრასტული რეალობა ნამდვილად არასახარბიელოა. პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირება დევიზით „ყველა ყველას წინააღმდეგ“ სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს. „საბრძოლო არენაზე“ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის „სპარინგისთვის“ ადგილი არ რჩება, რადგან ოპოზიციურ დაჯგუფებებს შორის ანტაგონისტური დამოკიდებულება იმდენად თვალშისაცემია, რომ, გეგონება, მათი მთავარი მოწინააღმდეგე არა სააკაშვილის რეჟიმი, არამედ „კოლეგა“ ოპოზიციური პარტიებია.

დღეს ოპოზიციის ბრძოლის სტრატეგია ჩასაფრებულ მდგომარეობაში ყოფნაა. მაგრამ **საკვირველი ის არის, რომ ჩასაფრება ხორციელდება არა ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკის გამოსააშკარავებლად, არამედ „კოლეგა“ ოპოზიციური პარტიების ჩასაძირად. რადგან, თუ „სახალხო კრების“ იდეა ვერ გაამართლებს და ჩაფლავდება, მაშინ „ქართული პარტია“ გაიხარებს და რევოლუციის სამართლიან მედროშედ წარმოაჩენს თავს. მაგრამ, თუ რევოლუციურმა აღტკინებამ ხალხის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა და რადიკალების ორივე ფრთა პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა, მაშინ ოპოზიციურ „რვიანს“, როგორც კონსტრუქციულ და დიალოგზე ორიენტირებულ ძალთა ერთობას, დარჩება ბურთი და მოედანი.**

მაგრამ, თავის მხრივ, ოპოზიციურმა „რვიანმა“ თუ ვერ მოახერხა ხელისუფლებასთან მოლაპარაკების პროცესში მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა, მაშინ შეიძლება თავად აღმოჩნდეს პოლიტიკურ სანაგვეზე. საზოგადოება კი, ყორნების დასაკორტნად განწირული, მინდორში მიგდებული ჩვილის მდგომარეობაში აღმოჩნდება.

**და მაინც, ხელისუფლების რეალური ოპოზიცია საზოგადოებაა. თუმცა ეს უკანასკნელი ომის წინა ხაზზე უმეთაუროდ დარჩენილი ჯარის მდგომარეობაშია, რომელიც, რაც უნდა ბრძოლისუნარიანი იყოს, მეთაურის გარეშე გამარჯვებას ვერ მოიპოვებს. სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკურ ჰორიზონტზე არ ჩანს რეალური ლიდერი, რომელიც შეძლებს, საზოგადოების საპროტესტო ენერგია საზოგადოებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს და არა — საკუთარი ჯიბის გასასქელებლად.**

## ვემზადოთ რევოლუციისთვის?!

**ქართული ოპოზიცია რომ ცრუ მოლოდინებისა და იმედგაცრუების სამჭედლოა, ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა. საზოგადოება ელოდა, რომ 2 მაისს „სახალხო კრება“ პოლიტიკურად გააქტიურდებოდა და ხელისუფლებას თავდაჯერებულობას დააკარგვინებდა, მაგრამ ამაოდ... მხოლოდ მორიგი თარიღის დათქმითა და ხელისუფლებისადმი კრიტიკული განცხადებების გაჟღერებით შემოიფარგლა.**

ამჯერად „სახალხო კრება“ ახალ პოლიტიკურ პროგნოზს აკეთებს: **21 მაისიდან რევოლუციური „ამინდია“ მოსალოდნელი და სახლში დარჩენა საშიშია, უსაფრთხო ადგილი კი რუსთაველის გამზირია. ყველანი პარლამენტთან! — ეს ისე, ხუმრობით. სიმართლე კი ის არის, რომ „სახალხო კრება“ თარიღიდან თარიღამდე „მოგზაურობას“ განაგრძობს და გზადაგზა რევოლუციის გარდაუვალობას აანონსებს — გიხაროდენ, რევოლუცია მოდის! (?).**

**ისე, ეჭვი არავის ეპარება, რომ „სახალხო კრების“ მთავარი კურსორი ნინო ბურჯანაძეა. უფრო მეტიც, „სახალხო კრება“ მისი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად შექმნილი „საბრძოლო არმიაა“. მისი სტრატეგია რადიკალიზმია, ტაქტიკა — რევოლუცია, მიზანი — ძალაუფლების ხელში ჩაგდება. „სახალხო კრებაში“ გაერთიანებული ინტელიგენცია — საზოგადოებრივი ფონის შესაქმნელად გამოსაყენებელი იარაღია; „ერის მამების“ მხარდაჭერა ხომ ძლიერი პოლიტიკური ინდულგენციაა შავ-ბნელი წარსულისგან „გასათავისუფლებლად“. ამრიგად, ვინც მიშამ ჩარეცხა, ნინომ „გარეცხა“ და თავის „არმიაში“ მეწინავეთა რიგებში ჩააყენა.**

„ქართული პარტია“ კი პოსტბურჯანაძისეული პერიოდისთვის ემზადება, ანუ, თუკი „სახალხო კრება“ რევოლუციურ ტალღას ვერ ააგორებს და ჩაფლავდება, რევოლუციურ გარიჟრაჟზე ქართული პარტიის „მზე გამოანათებს“ და, როგორც ლევან გაჩეჩილაძემ განაცხადა: **„ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობას მალე „ქართული პარტია“ აიღებს“.** გაჩეჩილაძეს არც ოქრუაშვილი ჩამორჩა და თავის „პარიზულ მოძღვრებაში“ იქადაგა, რომ **„ქართული პარტია“ საკმაოდ სწრაფი ტემპით ემზადება, გადამწყვეტი და მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენოს სააკაშვილის რეჟიმს“.** ოქრუაშვილის ოპტიმიზმი, ალბათ, ბევრს შეშურდება, თუმცა ცოტა წარმოუდგენელია, თუ როგორ შეძლებს ოქრუაშვილი თავისი „პარიზული მოძღვრებით“, „გადამწყვეტი და მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენოს სააკაშვილის რეჟიმს“, მაშინ, როცა ციხის კედლებში ერთი დღეც ვერ გაძლო და იქიდან ლამის ატირებული გამოვიდა.

**როგორც ჩანს, ოპოზიციაში ისევ აქტუალურია ძველი პრაქტიკა: ისევ არაფრისმთქმელი დათქმული თარიღები, ისევ ფსევდო რადიკალიზმი, ისევ საზოგადოების სულში ჩაფურთხება. შედეგი: საზოგადოება მწარე დილემის წინაშეა — ავტორიტარული ხელისუფლება თუ უპრინციპო და გამყიდველი ოპოზიცია.**

## აწყობს თუ არა ხელისუფლებას პოლიტიკური პროცესების რადიკალიზაცია?

**ხელისუფლებას ნამდვილად აწყობს პოლიტიკური პროცესების რადიკალიზაცია, რათა შემდეგ მისი მარგინალიზაცია მოახდინოს. უფრო მეტიც, მისი მიზანია, საზოგადოებაში დანერგოს ნიჰილიზმი, რომ ოპოზიციას ძალა არ შესწევს ხელისუფლების შესაცვლელად და მათი ნებისმიერი მცდელობა, შეცვალონ ხელისუფლება, დამარცხებისთვის არის განწირული. ამიტომ ხალხის ქუჩაში გამოსვლა და პროტესტის გამოხატვა შედეგის მომტანი მაინც არ იქნება. ამით ხელისუფლება შეძლებს განამტკიცოს აზრი, რომ ოპოზიცია სუსტია და უპასუხისმგებლო, ხოლო ხელისუფლება — უალტერნატივო პოლიტიკური ძალა.**

გარდა ამისა, ხელისუფლებასა და ოპოზიციურ „რვიანს“ შორის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თაობაზე მოლაპარაკებათა პროცესის ჩიხში შესვლა ხელისუფლების გეგმის ნაწილია. ხელისუფლება ცდილობს მოლაპარაკებათა ჩაშლის ილუზიის შექმნას, რათა, ერთი მხრივ, დრო გაწელოს, სანამ პოლიტიკური ტემპერატურა პიკს მიაღწევს და რადიკალი ოპოზიციონერები რევოლუციურ „მრავალჟამიერს“ იმღერებენ; ხოლო, მეორე მხრივ, დააკვირდება საერთაშორისო საზოგადოების რეაქციასა და განწყობას, შემდგომში ადეკვატურად ლავირების მიზნით.

**ძლიერი საპროტესტო ტალღის აგორების შემთხვევაში, ხელისუფლება წარმატებული მომლაპარაკებლის იმიჯის მორგებას შეეცდება და გარკვეულ დათმობებზე წავა. შესაბამისად, ოპოზიციური „რვიანის“ „ძალისხმევას“ წყალში არ ჩაყრის და საერთაშორისო საზოგადოების კეთილგანწყობასაც მოიპოვებს. ამით შეძლებს, საზოგადოების „მშვიდობისმოყვარე“ ნაწილთან ერთად, ოპოზიციური „რვიანი“ რევოლუციურ ეიფორიას გამოთიშოს და დიალოგისა და კონსტრუქციულობის პროპაგანდის იარაღად გამოიყენოს.**

## მოხდება თუ არა საქართველოში რევოლუცია?

**დღეს ხალხს რევოლუციურად აღტკინების უამრავი მიზეზი აქვს, რადგან მათ ამისკენ ქვეყანაში არსებული კატასტროფული ვითარება უბიძგებს. კერძოდ, მოქმედი რეჟიმის პირობებში არჩევნების ობიექტურად და სამართლიანად ჩატარება ვერ ხერხდება, რაც საზოგადოებას დემოკრატიული მეთოდებით ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობას არ აძლევს; დემოკრატიული რეფორმები, რომლებიც უნდა მოჰყოლოდა „ვარდების რევოლუციას“, არ გატარდა და ავტორიტარიზმმა შეისხა ფრთები; წლების მანძილზე „გამყინვარების“ პროცესში მყოფი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა „ნაციონალური“ ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის შედეგად „გალღვა“ და ჩამოიშალა კიდეც; ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება; პროდუქტებზე ფასები მატულობს, ინფლაციის დონე ძალიან მაღალია, შესაბამისად, მოსახლეობის დიდი ნაწილის მსყიდველუნარიანობა — ძალიან დაბალი და ა.შ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ჩნდება კითხვა: მოხდება თუ არა რევოლუცია?**

არა, უფრო სწორად, ვერ მოხდება! რევოლუცია რომ მოხდეს, აუცილებელია, არსებობდეს რიგი წინა პირობებისა: საზოგადოება ძალიან უნდა იყოს გაბრაზებული ხელისუფლებაზე, მაგრამ უნდა ენდობოდეს და სჯეროდეს ოპოზიციის. ამ უკანასკნელს კი ხალხის ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვება ძალიან გაუჭირდება, რადგან სწორედ ამ რევოლუციაზე მეოცნებე რადიკალებმა წინა წლების პოლიტიკური მღელვარებისას საზოგადოებას თავზარდამცემი იმედგაცრუება მოჰგვარეს და უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენეს, როცა რამდენიმეჯერ „დაანონსებული რევოლუციის“ განსახორციელებლად ხალხი ქუჩაში გამოიყვანეს და თვეობით „აპროტესტებინეს“, შემდეგ კი თავიანთი მერკანტილური ინტერესების დაკმაყოფილებით დაკავდნენ. პირადი სარგებლის მიღების სანაცვლოდ, ხელისუფლებასთან გარიგების მსხვერპლად აქციეს საზოგადოება.

**ხელისუფლების ძალაუფლება უნდა იყოს მორყეული ან ხელისუფლების შიგნით უნდა არსებობდეს ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფები, რათა გადამწყვეტ მომენტში განხეთქილებამ იფეთქოს და „ციხე შიგნიდან გატყდეს“. ოპოზიციას უნდა ჰქონდეს ინფორმაციული მხარდაჭერა, რათა საზოგადოების ორგანიზება და ხალხის აქციებზე მობილიზება მოახდინოს. მაგრამ დღესდღეობით სატელევიზიო სივრცე ოპოზიციისთვის დახურულია, უფრო მეტიც, ყველა ნაციონალური არხი ხელისუფლების იარაღადაა ქცეული და ოპოზიციის წინააღმდეგ არის მომართული.** ოპოზიციას უნდა ჰქონდეს ძლიერი ფინანსური რესურსი, რათა შეძლოს გრძელვადიანი აქციების შენახვა; ასევე ოპოზიციას უნდა ჰქონდეს კარგად გააზრებული გეგმა, თუ რა მოხდება „რევოლუციის“ (?) შემდეგ და როგორი იქნება პროგრესისკენ მიმავალი გზა. წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუციურმა აღტკინებამ, შესაძლოა, სპონტანური, ბარბაროსული ხასიათი მიიღოს, რაც კარგი შედეგის მომტანი ნამდვილად არ იქნება ქვეყნისთვის.

გარდა ამისა, რევოლუციაზე მოტრფიალე რადიკალები იმედოვნებენ, ჩრდილოეთ აფრიკის რევოლუციონერთა მსგავსად, დასავლეთის ქვეყნების ლიდერთა მხარდაჭერის მოპოვებას. **თუმცა ამერიკა და მისი მეთაურობით ევროპის ქვეყნები საქართველოში პოლიტიკური პროცესების რადიკალიზაციასა და რევოლუციურ განვითარებას მხარს რომ არ დაუჭერენ, ჩანს აშშ-ის ელჩის — ჯონ ბასის სიტყვებიდან, სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის კომენტირებისას რომ გააკეთა:**

**„მიგვაჩნია, რომ ძლიერი ქართული დემოკრატია 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას მაქსიმალურად კონკრეტულ გარემოს საჭიროებს. ამიტომ საქართველოსთვის ჩვენი დახმარების დიდი ნაწილი (60 მილიონი) საარჩევნო რეფორმებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების, დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების დამცველი ორგანიზაციების მხარდაჭერისკენაა მიმართული“.** კომენტარის ბოლო ნაწილში ელჩი ეხება ლიბიას: **„მსურს, დავასრულო ჩემი მიმართვა ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარე მოვლენებით. როგორც პრეზიდენტმა ობამამ ლიბიის მოვლენების განხილვისას აღნიშნა, შეერთებული შტატები უნდა დადგეს მათთან, ვისაც სჯერა იმავე ძირითადი პრინციპების, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ მრავალი ქარტეხილის დროს; ჩვენი წინააღმდეგობა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოვლენილი ძალადობის მიმართ; ჩვენი მხარდაჭერა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების მიმართ, მათ შორის ხალხის ნების გამოხატვისა და საკუთარი ლიდერის არჩევის თავისუფლება“.**

ეს სიტყვები რადიკალურმა ოპოზიციამ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ და ოპოზიციის რადიკალური ნაბიჯების მხარდაჭერად აღიქვა. თუმცა, თუ კარგად ჩავუღრმავდებით ელჩის სიტყვებს, ნათლად დავინახავთ, რომ ამერიკა არ დაუჭერს მხარს ხელისუფლების რევოლუციური გზით ცვლილებას. ამას მოწმობს კანონით დადგენილ ვადებში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე ხაზის გასმა, რადგან მხოლოდ არჩევნების გზით მოხდეს ხელისუფლების ცვლილება.

**მეორეს მხრივ კი, ლიბიის მაგალითის მოშველიებით, ხელისუფლება გააფრთხილა ძალის გამოყენების მიზანშეუწონლობაზე, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ რევოლუციისთვის „განწირული“ აქციები ისევ უშედეგოდ და „მშვიდ“ ვითარებაში ჩაივლის და დიდი ალბათობით „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ გვამად ქცევამდე ოპოზიციას კიდევ ბევრჯერ მოუწევს თარიღის დასახელება.**

**ზურაბ ჯამბურია**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**ქეტრინ ეშტონი:**

**ჩვენ აღრიცხვაზე ავიყვანეთ თქვენი კრიტიკული მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ატარებს საკმარის ღონისძიებებს თქვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ევროკავშირი აგრძელებს მონიტორინგს, თუ როგორ ახორციელებს საქართველოს ხელისუფლება სამოქმედო გეგმას ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, დემოკრატიული მართვის ხელშემწყობი ზომების მიღებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემასთან დაკავშირებით.**

# ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტმა ეშტონმა ქართველი ჟურნალისტის წერილს უპასუხა

**მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელმა და „საერთო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის“ მედიაომბუდსმენმა, ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა ცოტა ხნის წინათ ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტს, ქეთრინ ეშტონს წერილი მისწერა და საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ დაწვრილებით ამცნო. პასუხმაც არ დააყოვნა. ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახურიდან გამოგზავნილ პასუხში ვკითხულობთ: „ჩვენ აღრიცხვაზე ავიყვანეთ თქვენი კრიტიკული მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ატარებს საკმარის ღონისძიებებს თქვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ევროკავშირი აგრძელებს მონიტორინგს, თუ როგორ ახორციელებს საქართველოს ხელისუფლება სამოქმედო გეგმას ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, დემოკრატიული მართვის ხელშემწყობი ზომების მიღებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემასთან დაკავშირებით“.**



## ირმა ინაშვილი: ტელემედია — ტელეკომპანიები: «რუსთავი 2», «იმედი» «რეგიონ ტვ» სააკაშვილის რეჟიმის მონები არიან

**ირმა ინაშვილი:**

— მედიაკავშირი „ობიექტივი“, უკვე ერთი წელია, ევროპაში ახორციელებს პროექტს, ჩავატარეთ რამდენიმე ძალიან სერიოზული ღონისძიება ბრიუსელში, სტრასბურგსა და პარიზში. შევხვდით ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს, ჰაიდი ჰაუტალას, გავაცანით კონკრეტული საქმეები და ველოდებით, როდის დაინიშნება აღნიშნულ საკითხებზე საკომიტეტო მოსმენა. ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს ევროპარლამენტთან, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტთან, ვცვლით ინფორმაციას, მათგან წერილებსაც ხშირად ვიღებთ, მაგრამ აღნიშნული წერილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი, ქეთრინ ეშტონის სახელით, პირადად მე გამომიგზავნეს. ცნობილია, რომ ასეთი წერილები ასე მარტივად არ იწერება და წერილის შინაარსი პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ისინი მხარს უჭერენ საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მხარს უჭერენ საყოველთაო ამნისტიის კანონპროექტს, საპროტესტო აქციებს, რომელთაც „საერთო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა“ თბილისში მართავდა, და გვაცნობეს, რომ ჩვენ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ბრიუსელში 2011 წლის ივლისში საქართველო-ევროკავშირის დიალოგის ფარგლებში განიხილავენ. **როგორც ცნობილია, მრავალი წლის მანძილზე ევროპაში არსებობდა მცდარი მოსაზრება, თითქოს ჩვენს ქვეყანაში დემოკრატია ყვავის, საქართველო „დემოკრატიის შუქურაა“, ხოლო მისი პრეზიდენტი სააკაშვილი — რეფორმატორი. დღეს ევროპაში უკვე ყველა ევროპელი კომისარი თუ ევროსტრუქტურის წარმომადგენელი აბსოლუტურად საღად აფასებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.** ისინი ძალიან კარგად ხედავენ, რომ ქვეყანაში პატიმრების რაოდენობა 40 ათასს, კატასტროფულ მაჩვენებელს, აღწევს; უკვე ღიად საუბრობენ აღნიშნულ ვითარებაზე და აცხადებენ, რომ ისინი არა რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტს, არამედ ქართველ ხალხს უჭერენ მხარს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილია ქართველი საზოგადოებისთვის, სადაც დღეს ნიჰილიზმი სუფევს. ქეთრინ ეშტონს არ შეუძლია ჩამოახრჩოს ან დასაჯოს მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ მას შეუძლია ჩაატაროს ისეთი ღონისძიებები და დაწეროს ისეთი დასკვნები, რომ მათ საფუძველზე მიხეილ სააკაშვილმა პასუხი აგოს და მოხდეს მისი იზოლაცია, ვინაიდან დღეს უკვე მთელი მსოფლიო ხედავს, რომ საქართველო პოლიციურ სახელმწიფოდ იქცა.

**— დაახლოებით ერთი წლის წინათ, ქეთრინ ეშტონი აცხადებდა, რომ საქართველო წარმატებით ასრულებს ევროკავშირის რეკომენდაციებს, ქვეყანაში შესამჩნევი პროგრესია და დემოკრატიული ინსტიტუტებიც წარმატებით ვითარდება. როგორ ფიქრობთ, საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ თქვენი წერილის შემდეგ მას აზრი შეეცვალა?**

— ნამდვილად შეეცვალა. ამას ეს წერილიც ადასტურებს. ძალიან გაბედული წერილია და ცხადადაა ნათქვამი, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ატარებს საკმარის ზომებს პატიმართა უფლებების დასაცავად. ნათქვამია, რომ განიხილავენ ყველა იმ საკითხს, რაც მივწერე როგორც „წინააღმდეგობის მოძრაობის“ მედიაომბუდსმენმა. **მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილს დისკომფორტს უქმნის თბილისის ცენტრში გამართული ფართომასშტაბიანი აქციები, გაცილებით დიდ დისკომფორტს უქმნის ევროპაში მის შესახებ წარმოდგენის შეცვლა, რადგან იგი ძალიან დიდ თანხას ხარჯავს მისი იმიჯისა და რეპუტაციის გასამყარებლად.** ცნობილი ბელგიური კომპანიები დაიქირავა, რომლებიც მის იმიჯზე ზრუნავენ. აგვისტოს ომის დროს სწორედ ეს კომპანიები უწევდნენ პიარს. ბრიუსელი პოლიტიკური ცენტრია, სწორედ აქ წყდება მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები და სააკაშვილისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რას ფიქრობენ მასზე ბრიუსელში, ჩვენ კი მას სწორედ ამ ბერკეტებს ვართმევთ.

**— 11-12 მაისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ღონისძიება გაქვთ დაგეგმილი. მომღერლებს მოუწოდებდით, მონაწილეობა მიეღოთ პატიმრებისა და მათი შვილების დასახმარებელ საქველმოქმედო კონცერტში, თუ გამოგეხმაურათ ვინმე?**

— რა თქმა უნდა, ვისაც ველოდით, ის მომღერლები გამოგვეხმაურნენ: ზურაბ დოიჯაშვილი, ჯემალ სეფიაშვილი, ზურა მანჯავიძე, ჯგუფები: „ფორტე“, „ვაკის პარკი“... ხალხური ანსამბლებიდანაც ძალიან ბევრი გამოგვეხმაურა, მაგალითად, შესანიშნავი ანსამბლი „ილორი“.

**— როგორც ჟურნალისტს, რა მიგაჩნიათ დღეს ქართული ჟურნალისტიკის ძირითად პრობლემებად და როგორ შეაფასებთ მათ?**

— დღეს ქართული ჟურნალისტიკის მთავარი პრობლემა უსინდისობა და უზნეობაა. ქართული ჟურნალისტიკა, განსაკუთრებით კი ტელემედია — ტელეკომპანიები „რუსთავი 2“, „იმედი“ „რეგიონ ტვ“ სააკაშვილის რეჟიმის მონები არიან. მინდა ვუთხრა ამ ჟურნალისტებს: ნუ დაკარგავენ ადამიანობას და კარგად გააცნობიერონ, რა ბოროტებას ემსახურებიან!

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

**ამ დღეებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მაისში დევნილების გამოსახლების მორიგი რაუნდი იგეგმება. „დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის“ ცნობით, რამდენიმე ობიექტზე დევნილებს საცხოვრებელი ფართის დატოვების გაფრთხილებები უკვე დაეგზავნათ. როგორც ირკვევა, გამოსახლება თბილისში, ენუქიძის ქ. №7-ში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე მდებარე შენობასა და გურამიშვილის ქ. №64-ში მცხოვრებთ ემუქრებათ. თბილისის გარდა, ლტოლვილების გამოსახლება იგეგმება გორში, ზუგდიდსა და წყალტუბოში არსებული ობიექტებიდან. „დევნილთა სამოქალაქო მოძრაობა“ აღნიშნული პროცესის გაპროტესტებასა და პერმანენტული აქციების გამართვას აპირებს. დეტალების გასარკვევად „დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის“ თავმჯდომარეს — ДИМИТРИ ОМАНАДЗЕ ვესაუბრეთ.**

## დიმიტრი ომანაძე: რასაც სააკაშვილი დევნილებს უკეთებს, ომის პერიოდში არძინბასაც არ გაუკეთებია



**— ბატონო დიმიტრი, როდის და როგორ შეიტყვეთ, რომ მაისში დევნილების გამოსახლების მორიგი ეტაპი იგეგმება?**

— ჩვენ გვაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ მაისში დევნილების გამოსახლების მესამე ეტაპი გორიდან დაიწყება. ეს ინფორმაცია თავად დევნილებისგან მივიღეთ, რომლებიც უკვე გააფრთხილეს საცხოვრებლის დაცლის თაობაზე. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება ამას, როგორც ყოველთვის, კანონის უხეში დარღვევით ჩაიდენს. მოვუწოდებ დევნილ მოსახლეობას, ფრთხილად იყოს, არ დაუშვას, რომ კიდევ ერთხელ აღმოჩნდეს დევნილი. ჩვენი მოძრაობა ყველანაირად შეეწინააღმდეგება ხელისუფლებას, რათა არ დაუშვას ადამიანების საცხოვრებლებიდან გამოყრა. თუ მთავრობა ძალის გამოყენებას შეეცდება, ადეკვატურად ვიმოქმედებთ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოს ხელისუფლებამ, რომ ყველაფრის უფლება არ აქვს!

**— ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, სად აპირებენ დევნილების გადაყვანას?**

— ალბათ, ისევ ფოცხოეწერის გზას გაუყენებენ, მაგრამ არამც და არამც არ მივცემთ ამის უფლებას. საქმის კურსში ჩავაყენებთ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, კბილებით დავიცავთ დევნილთა უფლებებს. მოვუწოდებ ყველა ოპოზიციურ პარტიასა და არასამთავრობო ორგანზიაციას, ამ საქმეში მაინც ვიყოთ სოლიდარულები და არ მივცეთ ხელისუფლებას ამ ნაბიჯის გადადგმის უფლება!

**— ერთ-ერთ განცხადებაში აღნიშნეთ, რომ ფოცხოეწერში ჩასახლებული დევნილები შიმშილის ზღვარზე არიანო...**

— დიახ, პირადად გახლდით ფოცხოეწერში. შევხვდი აქედან გაყრილ დევნილებს, გავეცანი მათ ყოფას და, ყოველგვარი გადამეტების გარეშე, ვაცხადებ, რომ ისინი შიმშილის ზღვარზე არიან. მათ დღემდე არ მიეწოდებათ ელექტროენერგია. არც მიწის ნაკვეთები დარიგებიათ, როგორც ამას ტელევიზორიდან გვეუბნებოდა სამინისტრო. დაპირებისამებრ, არც საცხოვრებელი ინვენტარი დაურიგებიათ მათთვის. ბევრ მათგანს პირდაპირ იატაკზე ძინავს... თავის რჩენის არანაირი შესაძლებლობა არ აქვთ. ფოცხოეწერში დევნილების საცხოვრებლად გადაყვანა, ფაქტობრივად, მათი სასიკვდილოდ გამეტებაა.

**— თქვენი აზრით, რატომ ექცევა ხელისუფლება დევნილებს ასე უგულოდ?**

— იმიტომ, რომ დღევანდელ ხელისუფლებას დევნილები არ ანაღვლებს, მეტიც, მათ დამოკიდებულებას დევნილების მიმართ პირდაპირ დავარქმევდი გენოციდს. სწორედ ეს არის გენოციდი და ცინიზმი საკუთარი ხალხის წინაშე! რასაც დღეს სააკაშვილი დევნილებს უკეთებს, ეს აფხაზეთში ომის პერიოდში ვლადისლავ არძინბასაც კი არ გაუკეთებია!

**აქ ერთ პარადოქსთან გვაქვს საქმე. სამწუხაროდ, დევნილი მოსახლეობის უმრავლესობამ არჩევნების დროს ხმა მისცა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს. დღეს კი ხელისუფლება, ალბათ, დამცირებითა და შეურაცხყოფით უხდის მადლობას დევნილებს. დევნილმა მოსახლეობამ სწორედ აქედან უნდა გააკეთოს ნორმალური დასკვნა — ვის უნდა დაუჭიროს მხარი და ვის — არა. აწი მაინც უნდა ეყოთ ჭკუა, რომ ერთ ტომარა ფქვილზე საკუთარი ხმა აღარ გაყიდონ.**

**— სუბელიანის უწყებას თუ მიმართეთ? გააკეთეს თუ არა რაიმე კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— სუბელიანის უწყება, როგორც ყოველთვის, ასეთ შემთხვევებში დუმს. არანაირად არ რეაგირებს ჩვენს მოთხოვნებზე. ამიტომ ჩვენი ორგანიზაცია მოუწოდებს მთელ ქართველ ხალხს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს დევნილების დაცვაში. ჩვენ ამ გაზაფხულზე ყველამ ერთად უნდა შევძლოთ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა. თუ ეს არ მოხდება, დამერწმუნეთ, საქართველოში დაიწყება უმართავი პროცესები და ამას მერე ვეღარც ოპოზიციური სპექტრი უშველის და ვეღარც ხელისუფლება. მივიღებთ იმაზე უარეს პროცესებს, რაც მოხდა ლიბიასა და ეგვიპტეში. ეს კი არც დევნილებს წაადგება და არც ქვეყანას. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება უნდა მოეგოს გონს და დაუყოვნებლივ უნდა შეცვალოს პოლიტიკა დევნილებისა და საერთოდ ქართველი ხალხის მიმართ. მიხეილ სააკაშვილის გუნდმა უნდა დატოვოს დაკავებული თანამდებობები, რადგან ეს ჯგუფი არის კრიმინალური ბანდა.

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**



**ალექსანდრე ჭაჭია:**
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲮᲐᲚᲮᲐᲓ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲣᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲒᲐᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ, ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲔᲕᲐ, ᲙᲝᲚᲝᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲫᲐᲚᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲡ ᲠᲝᲛ ᲔᲤᲣᲫᲜᲔᲑᲝᲓᲐ...

## ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲑᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ




**საბრძოლო დიდების ქალაქ ვლადიკავკაზში გამართულმა მეორე საერთაშორისო რეგიონულმა კონფერენციამ „ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ: ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ“ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ასეთი შეხვედრების აუცილებლობა. რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საერთაშორისო კავშირების განვითარების ხელშემწყობი არაკომერციული პარტნიორობა „კავკასიური თანამშრომლობისა“ და „ჰუმანიტარული თანამშრომლობის ცენტრის“ ორგანიზებულ პირველ კონფერენციას ტუაფსემ უმასპინძლა. ახლა კი, ერთი წლის შემდეგ, ვეტერანები დიდი სითბოთი და სიხარულით ხვდებოდნენ ერთმანეთს ვლადიკავკაზში და სიყვარულით გარემოსილნი საკუთარ ასაკს „მუშტს ულერებდნენ“...**



ჩემთვის, მათი შვილიშვილის კბილა ადამიანისთვის, საოცარი სანახავი იყო, როგორი მზრუნველობით მოიკითხავდნენ ერთმანეთს ორდენებისა და მედლების სიმძიმისგან წელში მოხრილი მოხუცები; როგორ ცდილობდნენ, ასაკი არ დასტყობოდათ და როგორ ცდილობდნენ, მხნედ მისულიყვნენ დიდების მემორიალის გვირგვინებით შესამკობად, დიდების ხეივანში დაკრძალულ მხედართმთავართა თუ სახელმწიფო მოღვაწეთა საფლავებისთვის პატივის მისაგებად, როგორ მოწიწებით აწყობდნენ ყვავილებს...

**ორი დღე, რომელიც ვლადიკავკაზში მათთან ერთად გავატარე, ჩემთვის წარსულში მოგზაურობა იყო, იმ წარსულში, რომელიც თვალწინ გაგვიცოცხლეს აქაურმა ახალგაზრდებმა — საველე სამზარეულოთი, ფრონტული სიმღერებით, დაჭრილთან მჯდომი მზრუნველი მედდითა და დატყვევებული „ფაშისტით“... ᲕᲣᲧᲣᲠᲔᲑᲓᲘ, ᲝᲡᲘ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲐᲡᲐᲙᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲮᲐᲠᲝᲓᲐ... ᲛᲘᲮᲐᲠᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲮᲐᲜᲛᲝᲗᲔᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲛᲫᲘᲛᲔ ᲖᲘᲓᲔᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ.**

თან მრცხვენოდა, რომ ჩემს სამშობლოში დიდების მემორიალი ააფეთქეს, დიადი გამარჯვების მთავარი გმირის — სტალინის ძეგლი მის მშობლიურ ქალაქ გორში ჩუმად, ქურდულად მოხსნეს და კაცმა რა იცის, სად გადამალეს...

ეს ამბები იმათაც იციან, მაგრამ მინიშნებითაც კი არაფერი უთქვამთ. პირიქით, ქართული დელეგაციის თითოეულ წევრს — **საქართველოს ეროვნული და სოციალური ურთიერთობების აკადემიის ვიცეპრეზიდენტს, რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐᲡ (დელეგაციის ხელმძღვანელი), საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ მთავარ რედაქტორ ᲐᲠᲜᲝ ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲡ, არასამთავრობო ორგანიზაციის „ისტორიული მემკვიდრეობა“ თავმჯდომარე ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲒᲐᲑᲜᲘᲫᲔᲡ, „ევრაზიის ინსტიტუტის“ დირექტორ ᲒᲣᲚᲑᲐᲐᲗ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔᲡᲐ და ამ სტრიქონების ავტორს კონფერენციის სტუმრებიცა და მასპინძლებიც განსაკუთრებული ყურადღებით გვეპყრობოდნენ, თითქოს აქეთ გვამშვიდებდნენ...**

**ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲩᲔᲑᲝᲢᲐᲠᲔᲕᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲥᲕᲐᲖᲔ ᲐᲛᲝᲢᲕᲘᲤᲠᲣᲚᲘ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘ.**

ვლადიკავკაზის დიდების მემორიალის გარდა, ყვავილებით შევამკეთ ქალაქის დამცველთა მემორიალური კომპლექსი, საბრძოლო დიდების ქალაქის სტელა, პეტრე ბარბაშოვისა და ძმებ გაძანოვების ძეგლები... სულ ვლადიკავკაზში ქალაქის დამცველთა ხსოვნის უკვდავსაყოფად 300-ზე მეტი ძეგლია აღმართული. როცა დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი ასეთი დიდი ყურადღებისა და პატივისცემის გამო მოწონება გამოვხატე, ვლადიკავკაზის მერის მოადგილემ გიორგი კალაევმა მიპასუხა — ბუნებრივიცაა, მათი გმირობა და თავდადება მეტსაც იმსახურებსო. ეს იმდენად ალალად წარმოთქვა, მის გულწრფელობაში ეჭვიც არ შემპარვია.

ვლადიკავკაზში მხოლოდ დაღუპულებს კი არა, მათ გვერდით მყოფ ვეტერანებსაც დიდი პატივისცემით ეპყრობიან. კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ვლადიკავკაზის მერმა სერგეი ძანტიევმა ჯერ ერთობით მიღწეულ დიად გამარჯვებაში ყველა მებრძოლის შეტანილი შეუფასებელი წვლილის შესახებ ისაუბრა, შემდეგ კი საზოგადოებას გააცნო ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის — ალანიის მეთაურის, თეიმურაზ მამსუროვის წინადადება, რომელიც ქალაქის ადმინისტრაციამ მოწონებით მიიღო: **ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲡ — „ᲨᲐᲮᲐᲠᲡ“ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ, ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲙᲝᲜᲘᲐᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ, რომელსაც მერმა იქვე გადასცა შესაბამისი გადაწყვეტილება და საჩუქრები.** არავინ იცოდა, რა იდო კოლოფში, ვიქტორ კონიაევს კი შესანიშნავი იუმორის გრძნობა ჰქონია. შესვენებისას გარეთ გამოსულმა იხუმრა, ახლა უკვე სპორტული ფორმაც მაქვს, ხვალ ფეხბურთის სათამაშოდ წავალო, რაზეც მისმა ვეტერანმა მეგობრებმა ხუმრობითვე უპასუხეს: მხოლოდ ფორმა კი არა, მთელი სტადიონი გაქვსო... უხაროდათ მის მეგობრებს, რომ სიცოცხლეშივე ასე დააფასეს მათი დამსახურებული თანამებრძოლი.

კონფერენცია კი, ბუნებრივია, მხოლოდ საზეიმო ღონისძიებებით არ შემოიფარგლებოდა. **ვეტერანებსა და მოწვეულ სტუმრებს გააცნეს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის — ალანიის მეთაურის, თეიმურაზ მამსუროვისა და ღონისძიების ორგანიზატორის, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სერგეი ნარიშკინის მიმართვები, რომლებშიც დიდი სამამულო ომის ვეტერანების მიმართ ღრმა პატივისცემაა გამოხატული.**

ვეტერანებს, ისტორიკოსებს, პოლიტოლოგებს, სახელმწიფო მოხელეებსა და საზოგადო მოღვაწეებს, მაძიებელთა მოძრაობის მონაწილეთ როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიიდან, ამ ერთი წლის მანძილზე სათქმელიც ბევრი დაუგროვდათ და გამომსვლელებიც მოზომილი ემოციით საუბრობდნენ. თუმცა ღონისძიების წამყვანს, „კავკასიური თანამშრომლობის“ ხელმძღვანელს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს — ნიკოლაი სილაევს რეგლამენტის შეხსენებაც ხშირად სჭირდებოდა.

**არადა, როგორი საქმეა, მოკლედ და კონკრეტულად ილაპარაკო იმაზე, თუ როგორ მოიპოვა გამარჯვება სსრ კავშირის ყველა ხალხმა ერთიანობითა და მეგობრობით, რა ისტორიულ მაგალითს იძლევა ეს გამარჯვება ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში კონსოლიდაციისთვის, როგორ ერთსულოვნებას იჩენდნენ კავკასიის ხალხები, რა მნიშვნელობა აქვს დიადი გამარჯვების ხსოვნის მოფრთხილებასა და დაცვას, როგორც კავკასიის ხალხთა გამაერთიანებელ ფაქტორს...**

მხოლოდ წარსულზე კი არა, სამომავლო პერსპექტივაზეც ვრცლად ისაუბრეს გამომსვლელებმა — კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვის აუცილებლობაზე და კავკასიურ ერთობაზეც საგანგებოდ იმსჯელეს; ხაზგასმით აღნიშნეს პატრიოტიზმის აღორძინების აუცილებლობის შესახებაც, რის მაგალითადაც კავკასიის დამცველთა მასობრივი გმირობა და ვაჟკაცობა მოიყვანეს; სამოქალაქო იდენტობაზეც გაამახვილეს ყურადღება.

**ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ალექსანდრე ჭაჭიამ თავისი გამოსვლა დაიწყო იმ „ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲣᲛᲐᲦᲚᲘᲗᲝ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡ“ აღნიშვნით, რომელიც ჩვენმა მამა-პაპებმა ჩაიდინეს.**

**„პოლონეთი გერმანელებმა 27 დღეში დაიპყრეს, საფრანგეთი — 39 დღეში, ნორვეგია — 23 დღეში, საბერძნეთი — 21 დღეში, ჰოლანდია — 5 დღეში, დანია — 24 საათში. ასეთი ტემპების შემყურე ამერიკელი ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ სსრკ 3 თვესაც ვერ გაუძლებდა. ბრიტანეთის გენშტაბის უფროსს — დილს მაქსიმალურ ვადად 6 კვირა მიაჩნდა, ინგლისის დაზვერვა კი ჩერჩილს მოახსენებდა, რომ საბჭოეთი 10 დღეზე მეტს ვერ გაუძლებდა. ევროპელთა წინააღმდეგობის შემყურეთ სხვა ვარაუდი ვერც ექნებოდათ. ყველა ამ ქვეყანაში თავი იჩინა „მეხუთე კოლონამ“, რომელიც დაუყოვნებლივ აცხადებდა პრეტენზიას ხელისუფლებაზე, ქვეყნის ხელმძღვანელობა კი სარდლებთან ერთად უკანმოუხედავად გარბოდა და თავიანთ ხალხებს ბედის ანაბარა ტოვებდა. საბჭოთა კავშირში ასეთი რამ არ მომხდარა, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲖᲐᲓ ᲘᲧᲝ, ᲔᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲒᲐᲔᲬᲘᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲐᲜᲘ ᲙᲘ, ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲜᲘ ᲫᲛᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲗ, ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲬᲕᲔᲗᲐᲛᲓᲔ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲓᲔᲑᲐᲓ ᲛᲐᲗᲘ ᲥᲕᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲐ ᲒᲐᲣᲪᲣᲓᲔᲡ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲚᲔᲑᲡ“,** — განაცხადა ალექსანდრე ჭაჭიამ. — **„მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, ათწლეულები მიილია, მაგრამ დრომ ვერ წაშალა ჩვენი ხსოვნიდან იმ გმირული წლების მოვლენები, ვერ წაშალა იმიტომ, რომ ცოტა ოჯახია ისეთი, რომელთა ბედს არ შეეხო ის ომი და ცოტა თუა ადამიანი, ვინც არ ამაყობს თავისი წინაპრებიდან ვინმეს მონაწილეობით იმ ომში. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲮᲐᲚᲮᲐᲓ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲣᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲒᲐᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ, ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲔᲕᲐ, ᲙᲝᲚᲝᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲫᲐᲚᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲡ ᲠᲝᲛ ᲔᲤᲣᲫᲜᲔᲑᲝᲓᲐ...“**

ალექსანდრე ჭაჭიამ ისაუბრა იმის შესახებაც, რომ ჰიტლერისა და მისი თანამოაზრეების მაშინდელი მარცხის შემდეგ მათი იდეების ხორცშესხმა უკვე 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის დაუფარავი, ინტენსიური პროცესით, რისკენაც იყო მიმართული მძლავრი დესტრუქციული საინფორმაციო-პროპაგანდისტული დარტყმები, მიმართული, **„უწინარეს ყოვლისა, ისტორიული მეხსიერების, წარსულის გამო სიამაყის გრძნობის მოსპობისკენ, უფროსი თაობის დისკრედიტაციისკენ...“;** პროპაგანდისტული დარტყმების მეორე მიმართულება კი, პროფესორის თქმით, ხალხების გახლეჩას ისახავდა მიზნად: **„ხალხებს მტრის ხატებად სახავდნენ და ერთმანეთს აძულებდნენ, რის შედეგადაც ერთიანი სახელმწიფო დაიშალა; მივიღეთ სეპარატიზმის საყოველთაო ესკალაცია, სისხლიანი ერთაშორის კონფლიქტები, ათეულ ათასობით დაღუპული თანამოქალაქე“.**

**„ვფიქრობ, რომ ამას გამიზნულად აკეთებენ. მრავალწლიანი აღვირახსნილი პროპაგანდის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს ჩვენი ხალხების მეხსიერებიდან ამოეშანთათ მამა-პაპათა ხსოვნა, ვერ შეძლეს ხალხების ურთიერთდაპირისპირება.** — აღნიშნა ალექსანდრე ჭაჭიამ, — **ᲞᲝᲡᲢᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲐᲚᲣᲠᲘ, ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲐ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲐᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲒᲐᲦᲕᲘᲕᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲘᲜᲢᲔᲒᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲞᲝᲡᲢᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲫᲚᲘᲔᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲮᲢᲘᲗ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ, ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝᲡ ᲫᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ“.**

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მრავალ გამოსვლას შორის ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას გამოსვლა გამოირჩეოდა თემის აქტუალობითა და გლობალურობით არამხოლოდ ისტორიულ, არამედ, და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მომავლის პერსპექტივის სწორად განსაზღვრის თვალსაზრისით.

ქართული დელეგაციის კიდევ ორი წევრის — **საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორის, არნო ხიდირბეგიშვილისა** და **„ევრაზიის ინსტიტუტის“ დირექტორის, გულბაათ რცხილაძის** გამოსვლებიც დიდი ინტერესით მოისმინეს კონფერენციის მონაწილეებმა.

კონფერენციაზე მიიღეს შემაჯამებელი განცხადება, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ **ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲛ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲐ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ.**

ვლადიკავკაზის კონფერენციამ ქართული დელეგაციის წევრებს იმედი გაგვიჩინა, რომ მომავალში ბევრი პრობლემის გადაწყვეტაა შესაძლებელი, თუკი ადამიანები ერთმანეთთან მისასვლელ გზებს მოვნახავთ. მთავარია, სწორად ავირჩიოთ მიზანი და თანამოაზრეები, ვინც ამ მიზნის მიღწევაში ერთგულად ამოგვიდგებიან მხარში. მანამდე კი არ უნდა დავივიწყოთ ერთობის ძალა, რამაც ჩვენი წინაპრები დიად გამარჯვებამდე მიიყვანა.

**ᲑᲝᲜᲓᲝ ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

საქართველო და მსოფლიო

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ძალიან ხშირად გვახსენდება აფხაზეთი, სამაჩაბლო — დაკარგული ჩვენი მიწები, სადაც ქართველები სახლობდნენ, მაგრამ არ გვახსენდება ის დაკარგული ახლობლები, რომელნიც ეკლესიის წიაღიდან წავიდნენ, რომელნიც არ მოდიან ეკლესიაში, რომელნიც საქართველოდან არიან წასულნი და ასეთები მილიონია, ჩვენ მათთვის არ ვზრუნავთ.**

მეუფე იობი:

# ჩვენი ხსნა მართლმადიდებელ ერთა ერთობაშია



„საქართველო და მსოფლიო“ აგრძელებს ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობთან საუბრების ციკლის გამოქვეყნებას, რომელსაც უძღვება გაზეთის „მახვილი მესიისა“ მთავარი რედაქტორი შორენა სიხარულიძე.

**საქართველოს ისტორიაში გვყავდა ისეთი მეფეები, დედოფლები, ღირსი და ღმერთშემოსილი მამანი და დედანი, რომელთაც თავიანთი ცხოვრების წესით დაამტკიცეს, სისხლის ფასად დაიცვეს მართლმადიდებლობა**

**— მეუფეო, ამ ბოლო ხანებში ძალიან ხშირად ბრძანებთ თქვენს ქადაგებებსა თუ პირად საუბრებში, რომ ძალიან რთულ დროში გვიწევს ცხოვრება და მომავალშიც ბევრი იქნება განსაცდელი. რას გულისხმობთ და როგორ უნდა გავუმკლავდეთ ამ განსაცდელებს?**

— მართლაც, ურთულეს დროში გვიწევს ცხოვრება. იაპონიის მიწისძვრით მოგეცათ თვალნათელი მაგალითი, თუ რა მოხდა, როგორ დაინგრა მთელი ქვეყანა. ამან გამახსენა ბიბლიიდან ეზდრა მესამე, რომელიც შესთხოვს უფალს — მაჩვენე ბოლო ჟამის ადამიანთა ცხოვრებაო, უფალი კი ეუბნება, რომ ბოლო ჟამის ადამიანები შემეწინააღმდეგებიან, გაამაყებულნი იქნებიანო. რითი ვართ გაამაყებულნი? ან იაპონელები რით იყვნენ გაამაყებულნი? ტექნოლოგიური მიღწევებით. მათ ეგონათ, რომ ეს ყველაფერია, რომ ყველაფერს მიაღწიეს და ტექნოლოგიაა მთავარი, მაგრამ დავრწმუნდით, რომ არაფერი ყოფილა არც ტექნოლოგიური მიღწევები, არც ფული, არც სიძლიერე. ათწლეულებისა და საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა იაპონია და უცბად, ერთ დღეში დაინგრა. აი, ეს შეუძლია უფალს! მინდა გაგახსენოთ ეზდრა წინასწარმეტყველს რას პასუხობს უფალი — **„გაამაყებული ხალხი ჩემი კანონებით აღარ იცხოვრებს და მათ საწინააღმდეგოდ მაქვს სასჯელები — მიწისძვრით, ცეცხლით, ქარიშხლებით, წყალდიდობით დავსჯიო“**. და ასეც ხდება მთელ მსოფლიოში. **ამიტომ ჩვენ გონს უნდა მოვეგოთ, რომ არ მივიღოთ ის სასჯელი ღვთისაგან, რაც იაპონიას და სხვა ქვეყნებს დაემართა. დროულად უნდა დავიწყოთ ღვთის მცნებებით ცხოვრება, დროულად გავხდეთ ერთგულნი საეკლესიო სწავლებისა და ვიცხოვროთ ისე, როგორც ჩვენი წინაპრები და წმინდა მამები მოგვიწოდებდნენ. თუ ასე არ მოვიქცევით, სასჯელი არც ჩვენ აგვცდება.**

უკვე მეცნიერულადაც მტკიცდება — თქვენ, ალბათ, თვალყურს ადევნებთ პრესით, ტელევიზიით, რომ 2012-2013 წლებში კაცობრიობა უამრავი ბუნებრივი კატაკლიზმის მომსწრე გახდება. ჩვენ იმის მომსწრეც გავხდებით, რომ ისეთი უცხო მწერები გაჩნდება, როგორიც აქამდე არ გვინახავს — რაღაც ახალი ჯიშის მწერები, რომლებიც, როგორც წმინდა მამების წინასწარმეტყველებაში წერია, ცოდვილ ადამიანებს შეესევიან, დაკბენენ და ისინი წყლულებით, ტანჯვით გარდაიცვლებიანო. იქ არ წერია, მართალ ადამიანებს შეესევიანო, იქ ცოდვილებზე წერია. თუ ჩვენ ცოდვას მოვერევით, თუ სიწმინდით ვიცხოვრებთ, პატიოსნად, ნამდვილად გვექნება ღვთის მფარველობა; მფარველად გვეყოლება ჩვენი მფარველი ანგელოზი. წმინდა მამათა ცხოვრებიდან უამრავი ხილვა შეიძლება გავიხსენოთ, როგორ დღენიადაგ ცდილობს ეშმაკი თოთოეული ჩვენთაგანის სულიერ მოკვდინებას. წმინდა მამები ამბობენ: **„ნამდვილი სიკვდილი მაშინ კი არ დგება, როცა სული და ხორცი ერთმანეთს გაეყრება, ნამდვილი, ჭეშმარიტი სიკვდილი მაშინაა, როცა ადამიანი ღმერთს დასცილდება, ღმერთთან საერთო აღარაფერი ექნებაო“.**

იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრებიდან შეგახსენებთ — როცა მას ერთ-ერთი მოწაფე ეუბნება, რომ მამა გარდამეცვალა და გამიშვი, რომ დავკრძალოო, უფალი იმას კი არ ეტყვის — წადი და დაკრძალეო, არამედ — აცადე „მკვდართა მკვდრის“ დაფლვაო. მკვდარმა მკვდარი როგორ უნდა დაფლას? მაგრამ აქ უფალმა იგულისხმა ის ადამიანები, რომელთაც ღმერთთან კავშირი აღარ ქონდათ. ჩვენ კი ღმერთთან კავშირი გვაქვს წმინდა ზიარებით, აღსარებით, იმ საიდუმლოებებით, რაც ეკლესიაშია მოცემული. „ვინც ჩემს სისხლსა და ხორცს ღებულობს, ის ჩემთანა ჰგიესო,“ — ასე ბრძანებს უფალი. ამიტომ ჩვენს ახლობლებზეც უნდა ვიზრუნოთ; **ძალიან ხშირად გვახსენდება აფხაზეთი, სამაჩაბლო — დაკარგული ჩვენი მიწები, სადაც ქართველები სახლობდნენ, მაგრამ არ გვახსენდება ის დაკარგული ახლობლები, რომელნიც ეკლესიის წიაღიდან წავიდნენ, რომელნიც არ მოდიან ეკლესიაში, რომელნიც საქართველოდან არიან წასულნი და ასეთები მილიონია, ჩვენ მათთვის არ ვზრუნავთ. პირიქით, უნდა გავაძლიეროთ ლოცვები, რადგან ესაა ერთადერთი საშუალება უფალთან ურთიერთობის, რომ ღვთის მადლითა და წყალობით დაუბრუნდნენ ღვთივკურთხეულ საქართველოს, ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს მიწას, რათა დაიწყონ ჭეშმარიტი, მართლმადიდებლური ცხოვრება. არაერთგზის მითქვამს და კიდევ გავიმეორებ — მხოლოდ მართლმადიდებლობაშია ჩვენი ხსნა!**



მართლმადიდებლობა — ეს არის მართლის დიდება, სიმართლის, ჭეშმარიტების დიდება. ეს არის უდიდესი საუნჯე, ეს არის ჩვენი ცხოვრება. მართლმადიდებლობა — ეს საქართველოს ისტორიაა, ეს ის რწმენაა, რომლითაც მივეახლებით უფალს. მართლმადიდებლობა — ეს არის მიტევების, კეთილი საქმეების კეთების უნარი და საერთოდ, ჩვენი თვითმყოფადობა განსაზღვრულია მართლმადიდებლობით — ჩვენი მეობა, ჩვენი ხასიათი, ჩვენი ბუნება. დიდი წყალობაა ღვთისა, რომ ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და ამისათვის უნდა ვმადლობდეთ უფალს. რადგან სწორედ იგია მსოფლიოში ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია; როგორც პავლე მოციქული ბრძანებს — **„ერთ არს ღმერთი, ერთ არს სარწმუნოება, ერთ არს ნათლისღება“.** მართლმადიდებლობაა სწორედ ის სულიერი საუნჯე, ის სულიერი საგანძური, რომელსაც უნდა მოვუფრთხილდეთ. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მართლმადიდებლობა საქმის გარეშე „მკვდარ არს“. თუ საქმით არ დავადასტურეთ, საქმით არ მოვემსახურეთ ჩვენს დედაეკლესიას, თუ წმინდა მამათა სწავლებით არ ვიცხოვრეთ, მაშინ ჩვენი მართლმადიდებლობა არაფერს ნიშნავს, რადგან მართლმადიდებლობას მაშინ აქვს ძალა, როცა მას საქმით ვამტკიცებთ.

...სახარებიდან მინდა გაგახსენოთ ის ეპიზოდი, სადაც მეორედ მოსვლაა აღწერილი — უფალი თავის მარჯვენითა და მარცხენით მდგომთ ერთნაირად მიმართავს. მარჯვენით მდგომნი ასრულებდნენ ღვთის მცნებებს — გაჭირვებულებს ეხმარებოდნენ, საპყრობილეში მიდიოდნენ და პატიმრებს ნახულობდნენ, საავადმყოფოში — დავრდომილებსა და ავადმყოფებს, მშიერს აჭმევდნენ, შიშველს აცმევდნენ, მწყურვალს ასმევდნენ; მაგრამ მარცხენით მდგომნი ამას არ აკეთებდნენ. უფალი მიმართავს ორივე მხარეს მდგომთ — **„ის, რაც მცირედთაგანს გაუკეთეთ, მე გამიკეთეთო!“.** მართლმადიდებლობა ცოცხალია მაშინ, როცა ჩვენ ქმედითად ვასრულებთ ღვთის მცნებებს.

საქართველოს ისტორიაში გვყავდა ისეთი მეფეები, დედოფლები, ღირსი და ღმერთშემოსილი მამანი და დედანი, რომელთაც თავიანთი ცხოვრების წესით დაამტკიცეს, სისხლის ფასად დაიცვეს მართლმადიდებლობა.

მართლმადიდებლური სამყარო განსაკუთრებულად აღნიშნავს ჩვენი რწმენის ზეიმს — დიდმარხვის პირველივე კვირას მართლმადიდებლობის ზეიმი იდღესასწაულება. დღესასწაული მერვე საუკუნის შემდეგ დაწესდა, როდესაც ათასნაირი ბრძოლა მიმდინარეობდა ჭეშმარიტი სარწმუნოების წინააღმდეგ; საბოლოო ბრძოლა იყო ხატმებრძოლობა — ხატებს შეურაცხყოფდნენ, წვავდნენ, ყრიდნენ, მაგრამ, როცა მეშვიდე საეკლესიო კრებაზე გაიმარჯვა ჭეშმარიტმა სწავლებამ, რომ ხატებისთვის თაყვანი უნდა გვეცა, მაშინ დაწესდა მართლმადიდებლობის ზეიმი და მეშვიდე საეკლესიო კრება ასე დაგვირგვინდა.

ჩვენ, ქართველები, მართლაც ის ერი ვართ, რომელნიც ყოველთვის ჭეშმარიტი სარწმუნოებით ვცხოვრობდით; ჩვენს წინაპრებს არასოდეს გადაუხვევია მართ- ▶

## სირიაში 30 დემონსტრანტი მოკლეს

**სირიაში ანტისამთავრობო დემონსტრაციის კიდევ 30 მონაწილე მოკლეს. ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები დემონსტრანტებს საბრძოლო ტყვიებს ესროდნენ.** სირიის ინფორმაციის სამინისტროს პრესმდივანმა რიმ ჰადადმა მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობის შესახებ ინფორმაცია არ დაადასტურა და აღნიშნა, რომ მისთვის არაფერია ცნობილი. ბოლო თვენახევრის განმავლობაში სირიაში სულ 580-ზე მეტი სამოქალაქო პირი და 100 სამხედრო მოკლეს.



## ამერიკელებმა ბენ ლადენი დახვრიტეს

**პაკისტანის უსაფრთხოების სამსახურის ინფორმირებულმა წყაროებმა ბენ ლადენის ქალიშვილთან გასაუბრების შემდეგ განაცხადეს, რომ ამერიკის სპეცსამსახურებმა ოსამა ბენ ლადენი ცოცხლად აიყვანეს და მხოლოდ ამის შემდეგ დახვრიტეს.** სოფია 12-13 წლისაა. იგი ბენ ლადენის სახლში იმყოფებოდა, როდესაც იქ ამერიკელი სამხედროები შეცვივდნენ. შენობაში კიდევ 8 არასრულწლოვანი იყო. სავარაუდოდ, ყველა მათგანი ბენ ლადენის ნათესავია.

**...უკვე მკაფიოდ და გამოკვეთილად უნდა ვთქვათ, რომ მთელი მსოფლიო ორ ნაწილად არის გაყოფილი — ერთი ნაწილი არის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სამყარო მართლმადიდებლური ქვეყნების სახით და მეორე — ეს არის წარმართულ-მწვალებლურ-სატანისტური სამყარო, სადაც, მართლმადიდებელთა გარდა, თითქმის ყველაა გაერთიანებული, სამყარო, რომელიც ეშმაკსაა დამონებული — ადამიანები, რომლებიც ან წარმართობაში არიან, ან ერეტიკულ მწვალებლობაში, ან პირდაპირ სატანას ემსახურებიან.**

## რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

◀ ლმადიდებლური რწმენისგან, როცა ხატბრძოლობის მწვალებლობა თითქმის ყველა ადგილობრივ ეკლესიას შეეხო, მაშინ ჩვენ მტკიცედ და შეურყევლად ვიდექით; ამ დროს საქართველოში ჩამოდის იოანე გუთელი და სვეტიცხოველში ხდება მისი ეპისკოპოსად კურთხევა. ეს არის ღვთის დიდი ნიშანი და დასტური იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთგულნი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა, აქამდე ამან გადაარჩინა საქართველო და მომავალშიც მართლმადიდებლობა გადაარჩენს.

**...უკვე მკაფიოდ და გამოკვეთილად უნდა ვთქვათ, რომ მთელი მსოფლიო ორ ნაწილად არის გაყოფილი — ერთი ნაწილი არის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სამყარო მართლმადიდებლური ქვეყნების სახით და მეორე — ეს არის წარმართულ-მწვალებლურ-სატანისტური სამყარო, სადაც, მართლმადიდებელთა გარდა, თითქმის ყველაა გაერთიანებული, სამყარო, რომელიც ეშმაკსაა დამონებული — ადამიანები, რომლებიც ან წარმართობაში არიან, ან ერეტიკულ მწვალებლობაში, ან პირდაპირ სატანას ემსახურებიან.**

ბრძოლა ამ ორ სამყაროს შორის მიმდინარეობს — ისინი არიან ეშმაკის მსახურნი, ჩვენ — მართლმადიდებლები კი, ვინც ეკლესიურად ჭეშმარიტი რწმენით ვცხოვრობთ, ჭეშმარიტ ღმერთს ვემსახურებით; სხვა „მესამე“ არ არსებობს. დღეს კი არის მცდელობა იმისა, რომ ხალხი დაარწმუნონ, თითქოს კათოლიკეები, პროტესტანტები, სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიები, მუსლიმანები და სხვ. ღმერთს ემსახურებიან. ეს ტყუილია,სიცრუეა! დღეს გამალებით ამზადებენ მსოფლიოს ანტიქრისტესთან შესახვედრად, ამ პროცესს კი მხოლოდ მართლმადიდებლები ეწინააღმდეგებიან, დანარჩენები ვერც კი მიხვდებიან, რომ ის ანტიქრისტე იქნება, რადგან ისინი მიყვებიან ცხოვრების იმ დინებას, რომელსაც მათ „ძლიერნი ამა სოფლისანი“ — მასონები სთავაზობენ; მათ — მასონებს აქვთ შემუშავებული გეგმა, თუ როგორ მოიყვანონ ანტიქრისტე. თუ თვალს გადაავლებთ დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას მსოფლიოში, ნახავთ, რომ თითქმის ყველა სახელმწიფოში ხალხი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდის, ხელისუფლების შეცვლა უნდა. ეს ერთ-ერთი ნიშანია იმისა, რომ ანტიქრისტეს ასეთი საზოგადოება როგორც მეფეს, მხსნელს, მესიას ისე მიიღებს! დღეს პრესით, ტელევიზიით, მასმედიის საშუალებებით საზოგადოების გამალებული შემზადების პროცესი მიმდინარეობს ანტიქრისტესთან შესახვედრად! დიდი სიბრძნე და სიფრთხილე გვმართებს! მხოლოდ მართლმადიდებელი ერები დაინახავენ, რომ ის ანტიქრისტე იქნება. იგი ეკლესიის წინააღმდეგ გამოვა.

**დღეს ელექტრონულ პირადობის მოწმობებს ურიგებენ ხალხს — ეს არის წინა სახე ანტიქრისტეს ბეჭდისა. მოდიან ადამიანები და მეკითხებიან — ავიღოთ თუ არა პასპორტები და პირადობის მოწმობებიო. მე ყველას ვპასუხობ, რომ არ შეიძლება მათი აღება. ისინი კი მპასუხობენ — რა ვქნათ, სამსახურიდან გაგვათავისუფლებენ, რა ვაჭამოთ შვილებს, რით შევინახოთ ოჯახიო? ზუსტად იგივე კითხვები ექნებათ მათ ანტიქრისტეს ბეჭდის მიღების დროსაც — ვინც ადვილად აიღებს ამ ელექტრონულ პასპორტს, ასევე ადვილად მიიღებს ანტიქრისტეს ბეჭედსაც. ამიტომ, ყველაფერი იქით უნდა წარვმართოთ, რომ არ ვიყოთ სახელმწიფოზე სრულად დამოკიდებული, კერძო მეურნეობას უნდა მივყოთ ხელი, მიწა დავამუშავოთ, ვიზრუნოთ, ვიმუშაოთ და „პური ჩვენი არსობისა“ ასე მოვიპოვოთ, ასე გადავირჩინოთ თავი.**

ხედავთ, რომ შიმშილობის პირასაა მისული მთელი მსოფლიო, ძვირდება პირველადი მოხმარების საგნები, საკვები პროდუქტები. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ მეორედ მოსვლის წინა პერიოდში ვიმყოფებით. იმ ბუნებრივმა კატაკლიზმებმა, რაც მსოფლიოში ხდება, უნდა დაგვაფიქროს და კიდევ უფრო მეტი შემართებით უნდა დავდგეთ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე, რადგან მხოლოდ ის გადაგვარჩენს, ის აგვიხსნის სულიერ თვალს, რათა დავინახოთ და გავარჩიოთ კეთილი ბოროტებისაგან. ამის გარეშე ადვილად მივენდობით ანტიქრისტეს სწავლებას, მის შემოთავაზებებს ბუნებრივად აღვიქვამთ. ამიტომაა ჩვენმა



დიდმა წინაპრებმა ფარზე (და ფარი ეს არის საფარველი), მართლმადიდებლობასთან დაკავშირებით, შემდეგი სიტყვები ამოკვეთეს **„სდექით მტკიცედ და შეურყევლად!“**. ჩვენ კი ეს სიტყვები უნდა ამოვიკვეთოთ ჩვენს გონებაში, ჩვენს გულში, რათა განსაცდელის ჟამს გამოგვაფხიზლოს! უნდა ვიცხოვროთ ჭეშმარიტი სარწმუნოებით! ვმადლობდეთ უფალს, რომ მართლმადიდებლები ვართ. ჩვენთვის, ქართველთათვის, სხვა იდეოლოგია, სხვა მოწოდება არ უნდა არსებობდეს.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ბევრი რამ მიეცა — უპირველესად, ჩვენ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ! ჩვენ მოგვეცა მაცხოვრის კვართი — სულიერი ერთიანობის სიმბოლო, ილია წინასწარმეტყველის ხალენი, რომელიც დიდ სულიერ ძალასთანაა დაკავშირებული. ჩვენ მოგვეცა ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი, ქრისტეს სამსჭვალი, ჩვენ გვაქვს მადლის ქვა, ძალიან ბევრი წმინდანის წმინდა ნაწილები — ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ვისაც მეტი მიეცა, იმას მეტიც მოეთხოვება! ამიტომ გულხელდაკრეფილნი არ უნდა ვიყოთ და იმით არ უნდა ვიამაყოთ, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ, ან ამდენი სიწმინდეები გვაქვს. პირიქით — უფრო მეტად უნდა გავისარჯოთ მართლმადიდებლობაში, უფლის სიყვარულში, ჭეშმარიტი სარწმუნოებით უნდა ვიცხოვროთ! სხვა გამოსავალი საქართველოს არ აქვს! მხოლოდ ეს გადაგვარჩენს, ეს გამოგვიყვანს ამ რთული მდგომარეობიდან. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება — უხილავი ბრძოლაა ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ჭეშმარიტი სარწმუნოების მიმდევარი ერის წინააღმდეგ! ტერიტორიები ჩამოგვაჭრეს, უამრავი განსაცდელი დაგვატყდა თავს. თუ გადავავლებთ თვალს ბოლო პერიოდის მოვლენებს, ყველაზე დიდი შეტევა არის მართლმადიდებლურ ქვეყნებზე.



**გავიხსენოთ, სერბეთი — დაბომბეს და სერბეთის ქალაქებისთვის ნასროლ რაკეტებს აწერდნენ: „გილოცავთ აღდგომის დღესასწაულსო!“ — ასე „მიულოცეს“ მართლმადიდებლურ ქვეყანას უფლის აღდგომა! ან თუნდაც რუმინეთი — მართლმადიდებლური ქვეყანა დაადანაშაულეს ბოშების დევნასა და შევიწროებაში. არც მოლდოვაა დაწყნარებული! ან თუნდაც: საბერძნეთში არეულობაა, გამოსვლები, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. ეს არ გეგონოთ შემთხვევითი! რა ხდება რუსეთსა და საქართველოში? ეს არის მსოფლიო შეთქმულება მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებელი ქვეყნების წინააღმდეგ! ისიც კი მოახერხეს, რომ დააპირისპირეს მართლმადიდებელი საქართველო ერთმორწმუნე რუსეთთან! არც ესაა შემთხვევითი! აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვილოცოთ ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის, ვინც უნდა იყოს, რა ეროვნებისაც უნდა იყოს ის, უნდა ვილოცოთ მართლმადიდებელი რუსეთისთვის, რუმინეთისთვის, სერბეთისთვის, მოლდოვისთვის და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის. ჩვენ, უბრალოდ, მოვალენი ვართ, ასე მოვიქცეთ, რადგან ჩვენი ხსნა მართლმადიდებელ ერთა ერთობაშია!**

...მსოფლიოს დიდი განსაცდელები დაუდგება და კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ მართლმადიდებელ ერებთან მჭიდრო სულიერი და ფიზიკური კავშირი გადარჩენისთვის აუცილებელია. ვმადლობდეთ უფალს, რომ ჩვენ ცხონების საშუალება მოგვეცა ჭეშმარიტი სარწმუნოების სახით. მართლმადიდებლობა — ეს არის ხიდი საიქიოდან სასუფევლისკენ, რადგან მხოლოდ ამით შეიძლება დაიმკვიდროს ადამიანმა ცათა სასუფეველი.

... არასოდეს დაგვავიწყდეს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის ანდერძი — „ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა!“ — მთელმა ჩვენმა ერმა მოიძია ქრისტესთვის სიკვდილი — ასი ათასი ქართველის, ექვსი ათასი გარეჯელი ბერისა და სხვა მოწამეთა მოწამეობა სწორედ ამ ანდერძის ასრულებაა. მსოფლიოში არ არსებობს სხვა მართლმადიდებელი ქვეყანა, რომელსაც ამდენი მოწამე და წმინდანი ყავს. ჩვენ ჯვარცმული ქვეყანა ვართ, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ჯვარცმას დაფლვა მოსდევს და შემდეგ აღდგომა და ამაღლება! აი, სწორედ ეს პროცესები ელოდება საქართველოს, ქართველ ერს ღვთისაგან — სწორედ საქართველოთი უნდა გამართლდეს მართლმადიდებელი სარწმუნოება, სწორედ აქ უნდა გაძლიერდეს მართლმადიდებლობა! სწორედ ამით გაბრწყინდება საქართველო და არა განათებებითა და ფიზიკური სინათლით, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია! ეს პროცესი კი უკვე დაწყებულია! იმედი არ უნდა დავკარგოთ, გულხელდაკრეფილნი არ უნდა ვიყოთ და არ უნდა ველოდოთ, რომ ვიღაც გვიხსნის — თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა გადაწყვიტოს საქართველოს ხსნა! საქართველოს გამთლიანება თითოეული ჩვენთაგანიდან იწყება!

**არ უნდა ვიყოთ დაიმედებული ვიღაცაზე, როგორც ბევრს გონია, რომ ამერიკა დაგვეხმარება, ზოგს კი რუსეთისკენ აქვს იმედი მიმართული! ჩვენი თავიდან დავიწყოთ საქართველოს გადარჩენა. თუ ჩვენ გამოვსწორდებით, თუ ჩვენ ეკლესიურად ვიცხოვრებთ, თუ უფალთან წრფელი ურთიერთობა გვექნება, მაშინ ღვთის მადლიც არ დააყოვნებს საქართველოზე.** საქართველო განიწმინდება ბოროტი ძალებისაგან და გამთლიანდება. მხოლოდ სულიწმინდა გააერთიანებს საქართველოს — ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს! არ უნდა ვიყოთ მომხრე სხვა სარწმუნოების მიმდევართა ტაძრების თუ მეჩეთების მშენებლობისა, რადგან სადაც ისინი შენდება, ის ტერიტორია საქართველოსი აღარ არის, **ჩვენ მხოლოდ ოკუპაციით კი არ ვკარგავთ ტერიტორიებს, არამედ ასეთი წარმართულ-ერეტიკული სამლოცველოების შენებითაც! ყველანი უნდა გავუფრთხილდეთ ამ ტერიტორიებს, რამეთუ ეს არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და ერიცა და ბერიც ვალდებულნი ვართ, გავუფრთხილდეთ დედა ღვთისმშობლის მიწას!**

ჩვენ მადლიერნი უნდა ვიყოთ ჩვენი მეფეების, დედოფლების, იმ ასი ათასი ქართველი მოწამის, ექვსი ათასი გარეჯელი ბერის, საქართველოს მნათობის — ქეთევან წამებულისა და სხვა მეფე-მოწამეების, რომელთაც სისხლის ფასად დაიცვეს მართლმადიდებლობა. რომ არა ისინი, ჩვენ დღეს შეიძლება მართლმადიდებლები არც ვყოფილიყავით, ან გავმქრალიყავით როგორც ერი — ყოველთვის ეს იყო გადამწყვეტი საქართველოსთვის, ამან გადაგვარჩინა და სწორედ ამ ჭეშმარიტი სარწმუნოების წყალობით გავაგრძელებთ ცხოვრებას, სანამ ეს ქვეყანა იარსებებს!

...არც ისაა შემთხვევითი, რომ ქართველ ერს მფარველად ჰყავს წმინდა დიდმოწამე გიორგი, რომელიც ქრისტესათვის ეწამა და სისხლის ფასად დაამტკიცა ჭეშმარიტი სარწმუნოება. ჩვენი ერიც ხომ თავისი მფარველი წმინდანივითაა წამებული?! როგორც წმიდა ილია მართალმა ბრძანა — **„ქრისტე ჯვარს ეცვა კაცობრიობისთვის, ხოლო ქართველი ერი ჯვარს ეცვა ქრისტესთვის!“**. სწორედ ესაა ჩვენი ხვედრი, ამით მტკიცდება, რომ ჩვენ ბოლომდე დავიცავთ ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. მართლმადიდებლობა ის სარწმუნოებაა, რომელიც მადლს გვაძლევს, რომელიც გვაახლოებს უფალთან, რომელიც ამ ქვეყნიდანვე სასუფეველს გვიმკვიდრებს, როგორც მისი უწმინდესობა ხშირად ბრძანებს — სასუფეველი ცათა დედამიწიდან იწყებაო. თუ ჩვენ დავიცავთ ღვთის მცნებებს, თუ დავიცავთ მოძღვრის ლოცვა-კურთხევას და საეკლესიო წეს-განგებას, აქედანვე ნეტარებას მივიღებთ — სულიერ ნეტარებას, სულიერ სიმშვიდეს, დიდ სიყვარულს და აქედანვე გვექნება ჭეშმარიტი ბედნიერება. აი, ამაში მდგომარეობს მართლმადიდებლობა და მართლმადიდებლური სარწმუნოება! ეს გადაგვარჩენს!

ღმერთმა განგამტკიცოთ მართლმადიდებლურ რწმენაში.

**ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა გაგახაროთ და გაგაძლიეროთ!**

**ქრისტე აღსდგა!**

ეკონომიკა

## პორტუგალიას 78 მილიარდ ევროს მისცემენ

**პორტუგალიამ, როგორც იქნა, მიაღწია შეთანხმებას ევროკავშირსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რის შედეგადაც ქვეყანა დახმარების სახით 78 მილიარდ ევროს (116 მილიარდი დოლარი) მიიღებს.** ქვეყანამ საერთო შიდა პროდუქტის მოცულობის 9,1%-იანი საბიუჯეტო დეფიციტი 5,9%-მდე უნდა დაიყვანოს. შეთანხმება, რომელიც მომდევნო სამ წელზეა გათვლილი, ეროვნული საბანკო სისტემის დახმარებასაც ითვალისწინებს. შეთანხმებები უნდა მოიწონონ როგორც ევროკავშირმა, ასევე თავად პორტუგალიის ოპოზიციურმა პარტიებმა.



## მეკობრე აშშ

**აშშ-ის გადაწყვეტილებას, კადაფის რეჟიმის გაყინული ანგარიშები ლიბიელ ამბოხებულებს გადასცეს, ლიბიის ხელისუფლებამ მეკობრეობა უწოდა.** „გაყინული ანგარიშებიდან რაიმე სახით თანხების გამოყენება იგივეა, რაც ღია ზღვაში — მეკობრეობა. ამბოხებულები სამართლებრივი სუბიექტები არ არიან. ისინი ქვეყანას არ წარმოადგენენ; ეს არალეგალურია. თუკი ჩვენ ამ საკითხთან მიმართებაში დუმილს ვამჯობინებთ, მაშინ ჩვენ ჯუნგლებში მოგვიწევს ცხოვრება“, — განაცხადა ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხალედ კაიმმა.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ყველაზე ექსტრემალური მაგალითი საქართველოა, რომელიც ფიქრობს, რომ შეუძლია ომები დაიწყოს იმაზე გათვლით, რომ შეერთებული შტატები მას ბირთვული რუსეთისგან დაიცავს. როდესაც 2008 წლის აგვისტოში რუსეთის არმია საქართველოს ჯარს ანადგურებდა, გაქცეული ჯარისკაცები და მშვიდობიანი მოსახლეობა ერთნაირად კითხულობდა: „სად არიან ამერიკელები?“. როგორც ჩანს, მათ გადაწყვიტეს, რომ 101-ე დივიზიის სადესანტო ნაწილები ციდან შეუტევდნენ რუსულ ურდოებს და გაანადგურებდნენ მათ.**

# და სად არიან ამერიკელები?

**კარგად გვახსოვს თითქმის სამი წლის წინანდელი იმედიანი მოლოდინი ამერიკული დახმარების თაობაზე. 2008 წლის აგვისტოს ავანტიურამ ის შედეგი გამოიღო, რომ რუსეთის ავიაციამ საქართველოს საჰაერო თავდაცვის სისტემები გაანადგურა, ხოლო რუსეთისავე 58-ე არმიამ ქვეყანა „შუაზე გაწყვიტა“. ამერიკულმა დახმარებამაც „არ დააყოვნა“: ამერიკულ სამხედრო ხომალდს ჯერ ნატოს წევრმა თურქეთმა არ მისცა მისი ტერიტორიული წყლების გავლით შავ ზღვაში შემოსვლის უფლება და სჯობდა, არც შემოსულიყო — დაგვიანებულმა დახმარებამ ყველა გააოგნა: გემიდან სასმელი წყალი და კიდევ რაღაც ჰუმანიტარული საკვები გადმოტვირთეს. საქართველოს ხელისუფლების იმედები, რომ აშშ და ნატო უპირობოდ დაუდგებოდნენ გვერდით ერთგულ ვასალს, არ გამართლდა: საქართველო პირისპირ მარტო აღმოჩნდა უდიდესი პრობლემის წინაშე. რომ გვეგონა, ეს მხოლოდ ჩვენ მიმართ გამოჩენილი გულგრილობა იყო, ასე არ ყოფილა. მთელ მსოფლიოში, სადაც კი მსგავსი უაზრო მოლოდინი გასჩენიათ, დიდი იმედგაცრუებაც უგემიათ. სწორედ ამას ადასტურებს დაგ ბენდოუს წერილი the national interest-ში, რომლის თარგმანსაც გთავაზობთ.**



## «ლიბიაში ამბოხებულთა ჯარები აცხადებენ, რომ ნატომ მათ იმედები გაუცრუა და მიატოვა»

**ამერიკის ბიუჯეტი კრიზისშია ე.წ. საკომპენსაციო ხარჯების გამო. ეს სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებია, რომელთაც, გარკვეული ადამიანების აზრით, ისინი დამსახურებულად იღებენ. მის მიმართ დამოკიდებულება ძირითადად ასეთია: მერე რა, რომ ბიძია სემი კოტრდება? მე ხომ გადავიხადე სოციალური დაზღვევის, სამედიცინო და ყველა სხვა დანარჩენი მომსახურების ფული სიბერისთვის!**

ამერიკის მოკავშირეებს, მეგობრებს და, უბრალოდ, ახლადშეძენილ ნაცნობებსაც კი ხშირად მიაჩნიათ, რომ აშშ-ისგან დაცვის გარანტიები ეკუთვნით და ომიც კი შეიძლება აშშ-ის მონაწილეობით. ამერიკული დახმარების უფლებაზე ასეთი რწმენა განსაკუთრებით სწრაფად ისეთ ადამიანებს უმძაფრდებათ, რომლებსაც ხშირად არანაირი კავშირი არ აქვთ აშშ-თან და ამერიკის მხრიდან დაცვის სანაცვლოდ არაფერი გაულიათ. **დღეს ლიბიელი აჯანყებულები მადლიერებას არ გამოთქვამენ ნატოს მხარდაჭერაზე და მხოლოდ ბრაზობენ, რომ დახმარება, რომელიც მათ აღმოუჩინეს, არასაკმარისია. ასეთი წარმოდგენები დაცვის უფლებაზე დიდი ხნის წინათ გაჩნდა. ყველაზე თვალსაჩინოდ ეს ვაშინგტონის ცივი ომის პერიოდის ევროპელ და აზიელ მოკავშირეებში ვლინდება.**

საბჭოთა კავშირი დაინგრა, ვარშავის ხელშეკრულება დაიშალა, მოსკოვის ძალაუფლება და ამბიციები კი შემცირდა. შემდეგ დაიწყო ევროკავშირის გაფართოება, რომელსაც დღეს ამერიკაზე მძლავრი ეკონომიკა და დიდი მოსახლეობა ჰყავს, მაგრამ ევროპელებს დღესაც ძველებურად იმის იმედი აქვთ, რომ ამერიკის არმია მუდმივ მზადყოფნაში იქნება, რათა დაიცვას მათი სტაბილურობა და იხსნას ისინი უხილავი საფრთხეებისგან. ამ მხრივ ყველაზე მომთხოვნი აღმოსავლეთ ევროპაა. ამ რეგიონის ქვეყნებს, კომუნისტური ტირანიისგან გათავისუფლების შემდეგ, მიაჩნიათ, რომ ამერიკელი ხალხი ვალდებულია, დაიცვას ის ქვეყნები, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის წინათ საბჭოთა სატელიტები და სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკებიც კი იყვნენ.

**როგორც ჩანს, ყველაზე ექსტრემალური მაგალითი საქართველოა, რომელიც ფიქრობს, რომ შეუძლია ომები დაიწყოს იმაზე გათვლით, რომ შეერთებული შტატები მას ბირთვული რუსეთისგან დაიცავს. როდესაც 2008 წლის აგვისტოში რუსეთის არმია საქართველოს ჯარს ანადგურებდა, გაქცეული ჯარისკაცები და მშვიდობიანი მოსახლეობა ერთნაირად კითხულობდა: „სად არიან ამერიკელები?“. როგორც ჩანს, მათ გადაწყვიტეს, რომ 101-ე დივიზიის სადესანტო ნაწილები ციდან შეუტევდნენ რუსულ ურდოებს და გაანადგურებდნენ მათ.**

როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ასეთი დახმარების ფასი გადახდილი ჰქონდა. სააკაშვილის რეჟიმმა თითქმის 1 მილიონი დოლარი დახარჯა ლობისტებზე, ასევე ქართული არმია ავღანეთსა და ერაყში გააგზავნა. **პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელსაც, მართალია, გაუკვირდა ის, რომ ამერიკის არმია საქართველოში არ გამოჩნდა რუსული ინტერვენციის შესაჩერებლად, მაგრამ თავის თანამემამულეებს მაინც უთხრა, რომ ისინი „დაინახავენ, როგორ შემოდიან ქართულ პორტებში აშშ-ის ხომალდები“, ხოლო ამერიკელი სამხედროები გააკონტროლებენ საქართველოს აეროპორტებს, პორტებს და დაიცავენ მათ რუსებისგან.**

ომის შემდეგ მან ამერიკელებს ქვეყნის ხელახალი შეიარაღება მოსთხოვა. **სააკაშვილს დღემდე იმედი აქვს საქართველოს ნატოში შეყვანის, რისი წყალობითაც თბილისი ამერიკულ დაცვაზე ისეთივე ოფიციალურ გარანტიებს მიიღებს, როგორც სხვის კმაყოფაზე მყოფი დანარჩენი ალიანსელები.**

დაცვის გარანტირებულ უფლებაზე ასეთივე განცდა აღმოსავლეთ აზიაშიც არსებობს. ამერიკულ არმიას ოკუპირებული აქვს იაპონია მას შემდეგ, რაც 1945 წელს მეორე მსოფლიო ომი დასრულდა. **იაპონელების უმრავლესობა ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამს იმას, რომ ამერიკამ ისინი ნებისმიერი საერთაშორისო უსიამოვნებისგან უნდა დაიცვას. ხომ უკიდურესი უსამართლობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ქვეყანამ, რომელსაც ეკონომიკის მოცულობის მხრივ შარშანდლამდე მსოფლიოში მეორე ადგილი ეკავა, თავად უნდა დაიცვას საკუთარი თავი?!** იმ უამრავ პაციფისტსაც კი, რომლებიც აშშ-ის სამხედრო კონტინგენტის მკვეთრ შემცირებას მოითხოვენ ან ლიკვიდაციასაც კი კუნძულ ოკინავაზე, მიაჩნიათ, რომ ამერიკამ მომავალშიც უნდა განაგრძოს მათი ქვეყნის დაცვა.

სამხრეთ კორეასთან დაკავშირებული სიტუაცია გაცილებით უარესია. დღეს ამ ქვეყანას, ჩრდილოეთ კორეასთან შედარებით, ეკონომიკისა და ტექნოლოგიების, ასევე, მოსახლეობის მხრივ უზარმაზარი უპირატესობა აქვს, მაგრამ ამერიკის დაცვის ქვეშ მყოფი კორეის რესპუბლიკა ფულს და სურსათსაც კი უგზავნიდა ჩრდილოეთს, რომელმაც შარშან მისი სამხედრო ხომალდი ჩაძირა და მის კუნძულს ცეცხლი გაუხსნა, მაგრამ სამხრეთკორეელებს იმის გაფიქრებაც კი შოკს ჰგვრიდა, რომ ქვეყნის დაცვაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აეღოთ.

**ასეთი მენტალიტეტი გავრცელდა ახლო აღმოსავლეთში. ისრაელის სხვადასხვა ოფიციალური წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ შეერთებულმა შტატებმა დაბომბოს ირანის ბირთვული ობიექტები, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი რეგიონის სამხედრო ზესახელმწიფოა, რომლის ბირთვული არსენალიც ორასზე მეტ ერთეულს მოიცავს. მსგავსი მოთხოვნები აქვთ საუდის არაბეთის მეფე აბდალას, ბაჰრეინის მეფე ხალიფას და აბუ-დაბის პრინც ზაიედს.**

საუდელებს და მათ დიქტატორ ძმებს სხვა სამეფო ოჯახებიდან ასევე მიაჩნიათ, რომ უფლება აქვთ, შიდა მტრებისგანაც ამერიკის დაცვის იმედი ჰქონდეთ.

მაგრამ გაცილებით დრამატულია ლიბიელ ამბოხებულთა ქმედებები. თავიდან ბევრი აჯანყებული უარყოფდა მოკავშირეთა არმიის ინტერვენციის შესაძლებლობას. ზოგიერთი მათგანი დასავლეთისთვის წინააღმდეგობის გაწევითაც კი იმუქრებოდა, თუკი ის ლიბიის კონფლიქტში ჩაერეოდა. იმ დროს, როდესაც გამარჯვების მოახლოების ილუზია არსებობდა, **ოპოზიციურ აქტივისტებს ყველაზე მეტად საკუთარი დამოუკიდებლობა აღელვებდათ. სიტუაცია შეიცვალა, როგორც კი კადაფიმ უკან არ დაიხია. მაშინ აჯანყებულებმა დასავლეთის დახმარების მოთხოვნა დაიწყეს – ჯერ ავიაციის, შემდეგ კი ქვეითი ჯარების.**

ამაში მოულოდნელი არაფერია: ამ მოვლენებამდე მრავალი წლით ადრე ამერიკელი რევოლუციონერებიც სთხოვდნენ ფრანგებს სამხედრო დახმარებას, მაგრამ ეს ამერიკელი ამბოხებულები აცნობიერებდნენ და აღიარებდნენ იმას, რომ პარიზს მათი არაფერი მართებდა და მათ თხოვნას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე პასუხობდა. საფრანგეთის მეფე მონარქიის წინააღმდეგი არ იყო, ის იყო ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგი, ხოლო ამერიკელებს ამ გარემოებით სარგებლობა სურდათ.

მათგან განსხვავებით, **ლიბიელი ამბოხებულები, როგორც ჩანს, დარწმუნებული არიან, რომ აშშ და მათი ნატოელი მოკავშირეები ევროპიდან, უბრალოდ, ვალდებული არიან, დაიცვან ისინი. მათ არანაირი მადლიერების განცდა არ აქვთ იმის გამო, რაც მიიღეს. ისინი აღშფოთებული არიან იმით, რომ მოკავშირეები მათთვის მეტს არ აკეთებენ.**

აშშ-მა, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა კადაფის ანტისაჰაერო სისტემებისა და მისი სახმელეთო დანაყოფების დაბომბვის სერიები დაიწყეს, მაგრამ წნეხი მალე შემცირდა, რადგან მარტივად ხელმისაწვდომი სამიზნეების რაოდენობამ იკლო, ამერიკამ მისი მონაწილეობის მასშტაბები შეამცირა, ხოლო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რიგებში ოპერაციისადმი წინააღმდეგობა გაძლიერდა. NBC-მ თავის ახალ ამბებში ბენგაზიდან გვამცნო: **„ამბოხებულთა ჯარები აცხადებენ, რომ ნატომ მათ იმედები გაუცრუა და მიატოვა“.** ერთ-ერთმა ლიბიელმა NBC-ს კორესპონდენტთან დაიჩივლა: **„ჩვენ ნატოსგან არაფერი გვინახავს. ისინი სუსტები არიან“.** სხვები კი კითხულობენ: **„სად არის ნატო?“**

კრის მაკგრილმა Guardian-ში დაწერა: **„ნატოს უუნარობას, გამოიყენოს მისი ავიაცია და აღკვეთოს ამბოხებულთა სამხედრო მარცხი, მოჰყვა ის, რომ კადაფის მტრები დასავლეთს ეჭვის თვალით უყურებენ. გაჩნდა შეთქმულების უამრავი თეორია. დასავლეთს სჭირდება გახლეჩილი ლიბია, რომ ნავთობი აკონტროლოს, ამბობენ ერთნი. ნატოს წევრი თურქეთი საავიაციო დარტყმებს ეწინააღმდეგება, რადგან კადაფის უჭერს მხარს, ამბობენ სხვები“.**

**სინამდვილეში უნდობლობა იმდენად გაძლიერდა, რომ ამბოხებულთა ზოგიერთმა მხარდამჭერმა იმაშიც კი შეიტანა ეჭვი, რომ ნატომ შეცდომით მიიტანა დარტყმა ტანკებისა და ჯავშანმანქანების ოპოზიციურ კოლონაზე. მათ გადაწყვიტეს, რომ აჯანყების წინააღმდეგ საიდუმლო შეთქმულება გაჩნდა.**

ქვეყნის აღმოსავლეთში საბრძოლო მოქმედებები გრძელდება და ამის შესახებ ექიმმა ქალაქ აჯდაბიადან Associated Press-ს განუცხადა: **„ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ აქ მშვიდობიან მოქალაქეებს იცავენ. ნატოს საავიაციო დარტყმები საკმარისი არ არის და ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ აქ ყოველდღე კლავენ მშვიდობიან მოსახლეობას“.** ბენღაზში ამბოხებულთა წარმომადგენელმა განაცხადა: **„მერყეობის დრო აღარ არის, საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რაც მისრათსა და სხვა ლიბიურ ქალაქებში ხდება“.**

ქვეყნის დასავლეთში მდებარე მისრათი, რომელსაც კადაფის ჯარები აკონტროლებენ, ალყაშია მოქცეული. ქალაქში საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს. ამიტომ მასზე ავიადარტყმების მიტანა მოუხერხებელია, მაგრამ ამბოხებულები დასავლეთს მაინც აკრიტიკებენ. ოპოზიციის რიგებიდან ერთ-ერთმა მებრძოლმა Washington Post-ს განუცხადა: **„ჩვენ გვსურს, რომ ნატომ შენობები დაბომბოს“.** ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე მუჰამადმა, რომელიც მხოლოდ საკუთარი სახელის თქმაზე დათანხმდა, განაცხადა: **„ნატომ ჩვენ ღიად გვიღალატა და იმედები გაგვიცრუა“. „ალიანსმა უნდა დაიცვას მშვიდობიანი მოსახლეობა,** – დასძინა მან, — **მაგრამ მისრათში რიგითი მოქალაქეები იღუპებიან**“.

სინამდვილეში უფრო ამბიციურ ამბოხებულებს საავიაციო მხარდაჭერა არ აინტერესებთ. აპრილის შუა რიცხვებში მისრათის სასამართლო კომიტეტმა ოფიციალურად მიმართა მოკავშირეებს სახმელეთო ინტერვენციის დაწყების თხოვნით.

აბსოლუტურად ბუნებრივია ის, რომ ლიბიელ ამბოხებულებს გამარჯვების მიღება დასავლეთის ხელიდან სურთ, მაგრამ კადაფის დამარცხება მათი ამოცანაა და არა — ამერიკის (ან ევროპის).

მსოფლიოში ყველა ისურვებდა ამერიკის შეიარაღებული ძალების დაქირავებას. ეს ნებისმიერ კონფლიქტში გამარჯვებისკენ ყველაზე მოკლე გზაა, თუმცა ვაშინგტონმა ამერიკული არმია მხოლოდ იქ და მაშინ უნდა გამოიყენოს, როდესაც სასწორზე დევს აშშ-ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები. ეს კი იშვიათად ხდება და მით უფრო — არა ლიბიაში.

**ამერიკული ინტერვენცია სოციალური დახმარების მორიგ ამერიკულ პროგრამად არ უნდა გადაიქცეს.**

**3 მაისი, 2011 წელი**
**(იბეჭდება მცირედი შემოკლებით)**

**6,5 ათასი რესპონდენტის გამოკითხვა 2008 წლის ნოემბერში დაიწყო. კიდევ 3 ათასი რესპონდენტის გამოკითხვის მეორე ტური 2009 წლის დეკემბერში ჩატარდა, როდესაც საერთო ჯამში ყველა ტელეარხი დღესასწაულების პერიოდში გასართობ გადაცემებს მეტ საეთერო დროს უთმობს. გამოკითხვის ჩატარებისთვის მომენტის შერჩევის დრო იწვევს ეჭვს, რომ იმ დროს რესპონდენტები უფრო გართობისთვის იყვნენ განწყობილი, ვიდრე სერიოზული ინფორმაციის მისაღებად.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# თბილისში ინფორმაციას მუსიკა ჩაახშობს?

**საქართველოს ხელისუფლების მიზანი, მოახლოებული არჩევნების წინ მთლიანად გააკონტროლოს მედიასივრცე, უკვე ეჭვს არ იწვევს. ამ ეჭვს აძლიერებს „ნაცმოძრაობის“ მიერ არაერთგზის დაქირავებული კომპანია BCG Research-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვა და შედეგების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ პრიორიტეტები გამოკვეთა. კერძოდ, თურმე საქართველოს მოსახლეობას აღარ სურს პოლიტიკური გადაცემების ხილვა და უპირატესობას გასართობ შოუებს ანიჭებს. მოლი კორსომ eurasianet.org-ზე გამოაქვეყნა წერილი, სადაც მხარეების პოზიციები თანაბრად წარმოადგინა. იგი ესაუბრა როგორც მარეგულირებელი კომისიის იურისტს, ასევე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელს. სტატიაში, რომელსაც აქვე გთავაზობთ, ნათლად იკვეთება ნაცხელისუფლების მზადება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, რისთვისაც მედიის შეზღუდვას საკანონმდებლო დონეზე ცდილობენ და ამას წარმოაჩენენ, როგორც საზოგადოების სურვილს.**

**საქართველოს რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის მთავარმა მარეგულირებელმა ორგანომ განაცხადა, რომ სამაუწყებლო საქმიანობის განხორციელებისთვის ლიცენზიის გაცემისას ამიერიდან უპირატესობა იმ პრეტენდენტებს მიენიჭებათ, რომლებიც გასართობ და არა საინფორმაციო სფეროში მუშაობენ, მაგრამ თბილისში, ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, ასეთი ნაბიჯი ხელისუფლების მხრიდან მომდევნო საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებით მანიპულირების მცდელობაა.**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (GNCC) ახალი პოლიტიკის შესახებ 18 აპრილს გამოაცხადა და აღნიშნული გადაწყვეტილება საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგებით დაასაბუთა, რომელსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართული სოციოლოგიური კომპანია BCG Research ატარებდა, კომპანია, რომელიც საზოგადოებრივი აზრის კვლევებს ასევე ატარებდა მიხეილ სააკაშვილის მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“. ეროვნული კომისიის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 3 ათასი რესპონდენტიდან 28,5%-მა პირად ინტერვიუებში ქვეყანაში მუსიკალური პროგრამების „დეფიციტზე“ დაიჩივლა, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების ნაკლებობაზე მხოლოდ 10,5%-მა გამოთქვა უკმაყოფილება, ხოლო გამოკითხულთა 11,3%-ის აზრით, რადიო და ტელეეთერში საინფორმაციო პროგრამების ნაკლებობაა.

**აღნიშნული განცხადება სამოქალაქო საზოგადოების რიგებში მოახლოებული საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გამო შეშფოთებას იწვევს. კერძოდ, ისინი შიშობენ, რომ სააკაშვილის ადმინისტრაციას არჩევნებისთვის მომზადების პროცესში ინფორმაციის ნაკადის კონტროლი სურს.**

„ვფიქრობ, ყველაზე მეტად ის გვაწუხებს, რომ მათ (კომპანია BCG-ის) კვლევა შეიძლება ლიცენზიის გაცემაზე უარის დასაბუთებისთვის იმ პრეტენდენტებისთვის გამოიყენონ, რომლებსაც სურთ საგანმანათლებლო პროგრამებზე ან მიმდინარე მოვლენებზე გადაცემების მომზადება,“ — აღნიშნავს თბილისში ანტიკორუფციული ორგანიზაციის — Transparency International-ის უფროსი მედიაანალიტიკოსი და პროგრამების მენეჯერი მათიას ჰუტერი.

კანონით, საზოგადოებრივი აზრის კვლევა კომისიას ტელერადიომაუწყებლობაზე ლიცენზიების გაცემისას „პრიორიტეტების“ გამოვლენაში უნდა დაეხმაროს. ბოლოს ასეთი გამოკითხვა 2004 წელს ჩატარდა.

**ქართულ სამაუწყებლო მედიას, დიდი ხანია, ხელისუფლების სასარგებლოდ მიკერძოებულობასა და არაობიექტურობაში ადანაშაულებენ. ანალოგიური ბრალდებები გაისმის კომუნიკაციის ეროვნული კომისიის მისამართითაც, რომლის ხუთი წევრიც სააკაშვილის დანიშნულია.**

კომისიის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი კახი ყურაშვილი შეეცადა იმ მოსაზრების მნიშვნელობის შემცირებას, რომ BCG-ის მონაცემები საქართველოს მედიის ლანდშაფტს კარდინალურად შეცვლის. ყურაშვილის განმარტებით, მაუწყებლობის განხორციელებაზე ლიცენზიები ორ კატეგორიად იყოფა: „საერთო“ ლიცენზიები უნივერსალური მაუწყებლობის არხებისთვის და სპეციალური ლიცენზიები იმ არხებისთვის, რომლებიც ეთერში ერთი კონკრეტული სახეობის პროგრამებით გადის. კონკურენციას ორი განსხვავებული კატეგორიის კომპანიებს შორის ამ კონკრეტულ მომენტში ადგილი არ აქვს. თეორიულად ეს ნიშნავს იმას, რომ ლიცენზიის პრეტენდენტ უნივერსალურ არხებს, რომლებსაც საინფორმაციო პროგრამები აქვთ, არ „დაჩაგრავენ“, მაგალითად — მუსიკალურ ტელეარხთან შედარებით. „ისინი კონკურენტები არ არიან. ეს ძალიან მნიშვნელოვანია,“ — ამბობს კახი ყურაშვილი.



მან ასევე აღნიშნა, რომ კომუნიკაციის ეროვნული კომისიის ახალი პრიორიტეტები მხოლოდ ახალ პრეტენდენტებს ეხება და არანაირად — ლიცენზიების მფლობელებს. მიუხედავად ამისა, გასართობ გადაცემებზე აქცენტი ნიშნავს იმას, რომ, მხოლოდ ერთი სიხშირის არსებობის შემთხვევაში, „საერთო“ და „სპეციალიზებულ“ კატეგორიებს შორის კონკურენციის გაჩენა შესაძლებელია.

მედიის სფეროში კანონმდებლობის ექსპერტი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სიტყვის თავისუფლების დაცვის აქტივისტი თამარ კორძაია ხელისუფლების ახალ კურსში პოლიტიკურ ქვეტექსტს ხედავს. **სპეციალური ლიცენზიების მიღების პრეტენდენტები საინფორმაციო არხების გახსნაზე უარს მიიღებენ, „რადგან, ხელისუფლებამ განსაზღვრა, რომ უახლოესი ორი წლის განმავლობაში საინფორმაციო პროგრამები პრიორიტეტული არ არის“.**

დღეს დაახლოებით 35 აპლიკანტი ითხოვს რადიო და სატელევიზიო სიხშირეების მიღებას, რომელთა რაოდენობაც დაკონკრეტებული არ არის. კომუნიკაციის კომისია არ აცხადებს, როდის მიიღებს ამ განცხადებებზე გადაწყვეტილებას. ერთ-ერთი აპლიკანტის, კერძოდ კი **რეგიონალური რადიოს — „გერგეთის“ წარმომადგენელმა, რომელსაც EurasiaNet.org-ის კორესპონდენტი დაუკავშირდა, განაცხადა, რომ ეჭვობს, მისი განაცხადი დააკმაყოფილონ, პირველ რიგში პოლიტიკური მიზეზების გამო.** კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ წარსულში უარყო პოლიტიკურ მიკერძოებულობასთან დაკავშირებული ბრალდებები.

ოპოზიციურ დეპუტატებს კომისიის განცხადებაზე ეცინებათ. დეპუტატმა „ქრისტიან-დემოკრატების“ პარტიიდან, წარსულში კი საინფორმაციო სატელევიზიო გადაცემის პროდიუსერმა ლევან ვეფხვაძემ გაიხუმრა, რომ საინფორმაციო არხ „რუსთავი 2“-ის წამყვანებს მალე კვალიფიკაციის შეცვლა ვიჯეობაზე მოუწევთ.

**ხელისუფლების ზოგიერთი ოპონენტი ეჭვქვეშ აყენებს კვლევის შედეგებს, რომელთაც ეყრდნობა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება გასართობი გადაცემების პრიორიტეტულობაზე. საერთო ჯამში, სიხშირეების გამოყოფაზე გადაწყვეტილების მიღების დროს კომისია ეყრდნობოდა BCG Research-ის რესპონდენტთა გამოკითხვის მონაცემებს ქვეყნის 23 რაიონიდან. პასუხები განისაზღვრა თითოეული რაიონის მცხოვრეთა მთლიანი რაოდენობის „პროპორციულად“, თუმცა BCG-ის ხელმძღვანელმა რუსუდან ნადირაძემ ამ დროს გამოყენებული მეთოდოლოგია ვერ ახსნა.**

როგორც ჩანს, კომისიის მიერ მოყვანილი მონაცემები მოიცავს იმ 9,5 ათასი რესპონდენტის მესამედზე ნაკლებს, რომლებიც ინდივიდუალურ საუბრებში მონაწილეობდნენ. მონაცემთა ასეთი შერჩევის მიზეზები გაურკვეველია.

**6,5 ათასი რესპონდენტის გამოკითხვა 2008 წლის ნოემბერში დაიწყო. კიდევ 3 ათასი რესპონდენტის გამოკითხვის მეორე ტური 2009 წლის დეკემბერში ჩატარდა, როდესაც საერთო ჯამში ყველა ტელეარხი დღესასწაულების პერიოდში გასართობ გადაცემებს მეტ საეთერო დროს უთმობს. გამოკითხვის ჩატარებისთვის მომენტის შერჩევის დრო იწვევს ეჭვს, რომ იმ დროს რესპონდენტები უფრო გართობისთვის იყვნენ განწყობილი, ვიდრე სერიოზული ინფორმაციის მისაღებად.**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის ფარგლებში საზოგადოებრივი აზრის კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიაზე დამატებითი ინფორმაცია მოითხოვა, მათ შორის — კითხვების სრული ჩამონათვალი და იმ მეთოდოლოგიის აღწერა, რომლის თანახმადაც რესპონდენტების შერჩევა მოხდა, — აღნიშნა თამარ კორძაიამ.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენელმა კახა ყურაშვილმა სოციოლოგიურ კვლევებში საინფორმაციო პროგრამებისთვის ნეგატიურ მონაცემებს „სამწუხარო“ უწოდა, მაგრამ განაცხადა, რომ კომისიას ჩატარებული კვლევის ხარისხში ეჭვი არ ეპარება.

**5 მაისი, 2011 წელი**

**The atlantic-ი აქვეყნებს WikiLeaks-ის დამფუძნებლის — ჯულიან ასანჟის კომენტარს Facebook-თან დაკავშირებით. ერთი შეხედვით გამაოგნებელი ინფორმაციაა: სპეცსამსახურები სოციალურ ქსელებს ჯაშუშური მიზნებით იყენებენ. ეს არც არის გასაკვირი — გლობალურ ქსელში გავრცელებული ღია ინფორმაცია ხშირად უფრო დამაჯერებელია, ვიდრე აგენტურული გზით მოპოვებული. სპეციალისტები ისედაც ეჭვობდნენ, რომ Facebook -ი სწორედ იმ მიზნით შეიქმნა, რომ აშშ-ის სპეცსამსახურებს მოსახლეობის პირად ინფორმაციაზე მეტი წვდომა ჰქონოდათ. ახლა კი ამ ეჭვს ადასტურებს ადამიანი, რომლის მიერ გავრცელებულმა საიდუმლო დოკუმენტებმა მსოფლიოში სერიოზული პოლიტიკური პროცესები გამოიწვია.**

## ჯულიან ასანჟი:

# Facebook-ი ამაზრზენი ჯაშუშური მექანიზმია



**ჯულიან ასანჟს, ადამიანს, რომელიც პროექტ WikiLeaks-ის უკან დგას, თავის საქმე ჯერ არ დაუსრულებია. ავსტრალიელმა მაცნემ უკვე გამოაქვეყნა ათასობით სამთავრობო „გრიფით საიდუმლო“ დოკუმენტი, მაგრამ კვლავ პრესის ყურადღების ცენტრში რჩება, არიგებს რა ინტერვიუებს და შენიღბულად იმუქრება იმის შესახებ, თუ რა იქნება შემდეგ. ამ ინტერვიუებში იგი ყურადღებას იპყრობს ხმამაღალი განცხადებებით, რომელთაგან უკანასკნელი ცხადყოფს მის დამოკიდებულებას ინტერნეტ-მომხმარებლების ანონიმურობის უფლების დაცვასთან დაკავშირებით.**

„ექსკლუზიურ“ ინტერვიუში ტელეკომპანია RT-სთან (Russia Today – გლობალური საინფორმაციო არხი, რომელიც რუსეთის მთავრობამ 2005 წელს შექმნა) ასანჟმა განაცხადა, რომ მსოფლიოს ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი სახიფათო „ამაზრზენი ჯაშუშური მექანიზმია“. პასუხს კითხვაზე, თუ რა როლს თამაშობენ სოციალური ქსელები ბოლოდროინდელი ახლოაღმოსავლური რევოლუციების ფორმირებაში, WikiLeaks-ის დამფუძნებელმა სხვა მიმართულება მისცა: **„FACEBOOK-Ი ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲖᲠᲖᲔᲜᲘ ᲯᲐᲨᲣᲨᲣᲠᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘᲐ, ᲘᲡᲔᲗᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘᲪ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲐ. ის ყველაზე ყოვლისმომცველი მონაცემთა ბაზაა ადამიანებზე, მათ ურთიერთობაზე, ვინაობაზე, მისამართებზე, ადგილსამყოფელზე, ნათესავებთან ურთიერთობაზე. და ეს ყველაფერი შეერთებულ შტატებშია და ხელმისაწვდომია ამერიკული დაზვერვისთვის. FACEBOOK-Ი, GOOGLE, YAHOO – ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ ᲛᲡᲮᲕᲘᲚ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲜᲐᲢᲐᲟᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲤᲔᲘᲡᲔᲑᲘ.**

აქ საქმე სასამართლოში გამოძახებას არ ეხება. მათ აქვთ ინტერფეისები, რომლებიც შემუშავებულია იმისთვის, რომ ის ამერიკულმა დაზვერვამ გამოიყენოს“.

მან განაგრძო საუბარი ისე, რომ მისთვის ზემოთ დასმულ შეკითხვას არ უპასუხა. **„ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ Facebook-ს სინამდვილეში ამერიკული დაზვერვა მართავს? არა, ეს ასე არ არის. უბრალოდ, ამერიკულ დაზვერვას აქვს მათზე სასამართლო და პოლიტიკური ზეწოლის განხორციელების საშუალება. მათ პროცესის ავტომატიზაცია მოახდინეს. ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲡᲛᲝᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ FACEBOOK-ᲨᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ ᲐᲛᲐᲢᲔᲑᲔᲜ, ᲐᲛᲘᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲛᲐᲗᲖᲔ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲑᲐᲖᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐᲨᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ“.**

ბოლო დროს Facebook-მა ძალიან გააკვირვა ზოგიერთები თავისი კონფიდენციალობისა და უსაფრთხოების ზომებით, რაც ყველას არ მოეწონა. **კომპანიის დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ანონიმურობას ინტერნეტში.** ამ განცხადებას ვებ-გვერდ 4chan-ის დამფუძნებლის — კრისტოფერ პულის მკვეთრად ნეგატიური რეაქცია მოჰყვა, რომელსაც მიაჩნია, რომ ანონიმურობა ადამიანებისთვის დამცავ ფარს უზრუნველყოფს და აძლევს მათ საშუალებას, საკუთარი თავი წარმოაჩინონ „შეულამაზებელი, გაუფილტრავი, პრიმიტიული გზით“.

**3 მაისი, 2011 წელი**

საქართველო და მსოფლიო
დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**კარლა დელ პონტე, რომელიც არამარტო ყოფილი იუგოსლავიის საკითხზე, არამედ რუანდის საკითხებზე ტრიბუნალის მთავარი პროკურორი იყო, თავის მემუარებში სიტყვაკაზმულად აღწერს, როგორ ბლოკავდნენ აშშ-ისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები მის მცდელობას — დაეწყო გამოძიება რუანდისა და ბურუნდის პრეზიდენტების, ჰაბიარიმანისა და ნტარიამირის მკვლელობის ფაქტზე. ამ დაწყვილებულმა მკვლელობამ ნიშანი მისცა რუანდის ხოცვა-ჟლეტის დაწყებას.**

# ჩვეულებრივი ბარბაროსობა,

## ანუ სახელმწიფოს მეთაურების მკვლელობა და საერთაშორისო სამართალი. ლიბიის პრეცედენტი

**გასული კვირის პარასკევს იტალიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ფრანკო ფრანტინიმ განაცხადა, რომ ლიბიის სამხედრო ოპერაცია ერთ თვეში დამთავრდება. ხომ არ ჰგავს ეს ვარაუდი საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის ელვისებური გამარჯვების მოპოვების წინასწარმეტყველებას, როცა ევროპისა და მსოფლიოს პოლიტიკურ მოღვაწეთა და დაზვერვის სამსახურების „დამაჯერებელი“ განცხადებით, „ბარბაროსას“ გეგმა რამდენიმე კვირაში ჰიტლერის გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო? ჰგავს. რით დამთავრდა ასეთი თავდაჯერება, ცნობილია. მაშ, რას შეიძლება ეფუძნებოდეს ფრანტინის განცხადება?**



მუამარ კადაფის არმია თანამედროვე შეიარაღებით სრულადაა აღჭურვილი. სამხედროები მას უპირობოდ უჭერენ მხარს, ხალხის დიდი ნაწილიც. ნატოს დაბომბვები ამბოხებულების წარმატებას ხელს ვერ უწყობს. პირიქით, ქალაქები, რომლებიც არეულობის დასაწყისში მათ ხელში აღმოჩნდა, მთავრობის ჯარებმა დაიკავა.

მოვლენები ფრანკო ფრანტინის პროგნოზის საწინააღმდეგოდ ვითარდება.

„საქართველო და მსოფლიომ“ წინა ნომერში სიტუაციის სრულიად განსხვავებული ანალიზი შემოგთავაზათ („მსოფლიო სტაბილური დესტაბილიაციის ვითარებაში ცხოვრობს“, №15), რომლის მიხედვით, ჩრდილოაფრიკული სამუმი აღმოსავლეთისკენ განივრცობა და დროში გაიწელება.

**იტალიის საგარეო უწყების ხელმძღვანელი, ანუ ლიბიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, ორთაგან ერთი ქვეყნის ხელმძღვანელობის კომპეტენტური პირი კი დარწმუნებით აცხადებს: ერთ თვეში ბოლოს მოვუღებთ მუამარ კადაფის რეჟიმსო.**

**თქვა და ბეჭედი დაუსვა.**

**ეს კი, უნდა ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ერთ რამეს შეიძლება გულისხმობდეს — კადაფის ლიკვიდაციით სასურველი შედეგის მიღწევას. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს თუნდაც კადაფის რეზიდენციის პერმანენტული სარაკეტო დაბომბვა, რის შედეგადაც მისი ოჯახის წევრები — ერთ-ერთი ვაჟიშვილი და შვილიშვილები ამოწყვიტეს. ეს მოხდა 1 მაისს, ღამით.**

ყოველ შემთხვევაში, ეს ფაქტი უფლებას გვაძლევს, ვიკითხოთ: **ხომ არ მზადდება ლიბიის სახელმწიფოს ხელმძღვანელის ლიკვიდაცია?**

ეს შეკითხვა ციდან ჩამოვარდნილი არ არის. როგორც ანალიტიკოსი ალექსანდრ ნეზიაევი წერს ინტერნეტგამოცემაში „სტრატეგიული კულტურის ფონდი“, **„სახელმწიფოთა მეთაურების მკვლელობა, დიდი ხანია, არავისთვის შოკისმომგვრელი არ არის“.**

მართლაც ასეა.

ახლახან, კერძოდ, 5 მაისს, შავიზღვისპირეთის ყასტამონუს პროვინციაში მეზობელი თურქეთის პრემიერ-მინისტრზე — რეჯებ ტაიპ ერდოღანის კორტეჟზე შეიარაღებული თავდასხმა ქართულმა საზოგადოებამ ისე აღიქვა, როგორც ჩვენი ოპოზიციის მორიგი გაცუდებული აქცია.

არადა, ეს იყო ნამდვილი ტერორისტული აქტი მსხვერპლით, რომელსაც ერდოღანი მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ შეიცვალა ტრანსპორტირების საშუალება და ვერტმფრენით დაბრუნდა სტამბოლში.

არც ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ ტერაქტების მთელი ციკლის მოწმენი შევიქენით.

თუ ვინმეს ამ ფაქტების სიმცირე და მასშტაბები ეხამუშა, გავიხსენოთ ამგვარ მკვლელობათა მთელი რიგი და დავრწმუნდებით, რომ **ტერაქტებზე, როგორც პოლიტიკური მოწინააღმდეგის უეჭველი მოცილების ეფექტიან საშუალებაზე, არასოდეს უთქვამთ უარი.**

შორს რომ არ წავიდეთ, მხოლოდ მეოცე საუკუნის მაგალითებით დავკმაყოფილდეთ.

**განათლებულ და დემოკრატიულ მეოცე საუკუნეში ამოწყვიტეს რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ მეორე და მისი ოჯახის წევრები; მოკლეს პერუს ორი პრეზიდენტი; იტალიის, შვედეთის, სერბეთის, გრენადის, აშშ-ის, ჩილეს პრეზიდენტები; ავღანეთის სამი პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი; ბანგლადეშის სამი პრეზიდენტი და სამი პრემიერ-მინისტრი; ბურუნდის რესპუბლიკის ორი პრეზიდენტი და სამი პრემიერ-მინისტრი; ეგვიპტის პრეზიდენტი და სამი პრემიერ-მინისტრი; ლიბერიის ორი პრეზიდენტი; ინდოეთის ორი პრემიერ-მინისტრი; ჩადის პრეზიდენტი; ირანის პრეზიდენტი და სამი პრემიერ-მინისტრი; კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი; რუანდის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი; ნიგერიის ორი პრეზიდენტი და ერთი პრემიერ-მინისტრი; ვენესუელის, გვატემალის, სალვადორის პრეზიდენტები და ა.შ.**

აქ რომ მთავრდებოდეს ეს სია, კიდევ, ჰო, მაგრამ მისი გაგრძელება, „ლიბიის პრეცედენტის“ ავტორის მტკიცებით, შეიძლება გაგრძელდეს იმ საზოგადო მოღვაწეთა მკვლელობის ფაქტებით, რომლებსაც სახელმწიფო თანამდებობები არ ეკავათ და სახელმწიფოთა ხელმძღვანელების „დაღუპვის“ შემთხვევებით. მაგალითად, ისეთით, როგორიც მოზამბიკის პრეზიდენტის — სამორა მაშელას ავიაკატასტროფაში „დაღუპვაა“ 1986 წელს.

**„სიის გარეთ დარჩა ბევრი „უცნაური სიკვდილი“,** — წერს ალექსანდრ ნეზიაევი, — **დღემდე არავის აუხსნია, როგორ მოხდა, რომ ერთსა და იმავე დღეს, 1998 წლის 7 ივლისს, უეცრად და არსებითი მიზეზების გარეშე დაიღუპნენ ნიგერიის პრეზიდენტი აბაჩა და პრეზიდენტად არჩეული ოპოზიციის ლიდერი აბიოლა. ეს უკანასკნელი აშშ-ის ელჩთან შეხვედრის დროს მოკვდა. აბიოლას დაცვის იმ თანამშრომლის მოწმობით, რომელსაც ევალებოდა პრეზიდენტისთვის მირთმეული ყველა სასმელისა და კერძის გასინჯვა, როცა მან ზუსტად შეასრულა სამსახურეობრივი მოვალეობა, უბრძანეს, დაეტოვებინა პოსტი. დაცვის თანამშრომელი წავიდა ისე, რომ არ გაუსინჯავს, მოწამლული იყო თუ არა ფინჯანი ჩაი, რომელიც მის პატრონს აშშ-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიაწოდა.**

**ამ ისტორიით არავინ დაინტერესებულა, არავითარი სასამართლო გამოძიება არ ჩატარებულა.**

ზუსტად ასევე არ გამოუძიებიათ ნეპალის მეფის მთელი ოჯახის მკვლელობის ფაქტი 2001 წელს, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის კვალი იქაც აშკარად ჩანდა“.

აქვს ჩვენს საზოგადოებას საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსული ხელისუფლების პირველი პრემიერ-მინისტრის — ზურაბ ჟვანიას „უცნაური სიკვდილის“ მიზეზებზე სრულყოფილი გამოძიების მიერ დადგენილი პასუხი?

ამ კითხვის დასმაც კი, მგონი, უადგილოა.

მაგრამ მივყვეთ ინტერნეტ-გამოცემა „სტრატეგიული კულტურის ფონდის“ საავტორო სვეტის ანალიტიკოსის სტატიას, რომლის დედააზრი, თუ დავუკვირდებით, ასეთია: **ბოროტმოქმედების გამოუძიებლობა ამგვარ შემთხვევებში ორმაგი სტანდარტებით კი არ არის განპირობებული, არამედ დანაშაულის მიჩქმალვის სურვილით, დამნაშავის კვალის დამალვით.** თუმცა, კაცმა რომ თქვას, მათ შორის მსგავსება უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება, მით უფრო მაშინ, როცა ამ უგვან საქმეს ჩადის დაინტერესებული ძალა, რომელსაც სამართლიანობისა და დემოკრატიულობის მსოფლიო მაგალითად ყოფნის პრეტენზია აქვს.

პუბლიკაციის ავტორი ასეთ პოზიციას შემდეგი მაგალითებით განამტკიცებს:

„რუანდის პრეზიდენტის 1994 წელს მკვლელობის გამოძიებას მონდომებით ამუხრუჭებს საერთაშორისო ტრიბუნალი რუანდის საკითხზე. იგი გამოიძიებს მხოლოდ ტუტსის ტომის (ხალხის) წარმომადგენელთა მკვლელობის საქმეებს, რუანდის ხელმძღვანელთა — ხუტუს ტომის წარმომადგენელთა მკვლელობა კი არ ეწერება ტუტსის „გენოციდის“ იმ ისტორიაში, რომლის წერითაცაა დაკავებული აღნიშნული ტრიბუნალი. **კარლა დელ პონტე, რომელიც არამარტო ყოფილი იუგოსლავიის საკითხზე, არამედ რუანდის საკითხებზე ტრიბუნალის მთავარი პროკურორი იყო, თავის მემუარებში სიტყვაკაზმულად აღწერს, როგორ ბლოკავდნენ აშშ-ისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები მის მცდელობას — დაეწყო გამოძიება რუანდისა და ბურუნდის პრეზიდენტების, ჰაბიარიმანისა და ნტარიამირის მკვლელობის ფაქტზე. ამ დაწყვილებულმა მკვლელობამ ნიშანი მისცა რუანდის ხოცვა-ჟლეტის დაწყებას.**

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურების მკვლელობებისადმი დამოკიდებულების უცნაურობა თვალშისაცემია: მათი უმრავლესობა დამძიმებულია აშკარა „გარეშე კვალით“, მაგრამ გამოძიება არ ტარდება. ხოლო იმ შემთხვევებში, როცა მაინც გამოიძიებენ, ისე უხეშად აკეთებენ ამ საქმეს, რომ შედეგების სიყალბეში დაეჭვება წარმოუდგენელია. **ასობით პოლიტიკური მკვლელობის ფონზე საერთაშორისო თანამეგობრობა „შეაფიქრიანა“ მხოლოდ ორმა შემთხვევამ — ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრ ჰარირისა და პაკისტანის პრემიერ-მინისტრ ბენაზირ ბჰუტოს მკვლელობებმა.** პირველი შემთხვევის გამოსაძიებლად შეიქმნა საერთაშორისო ტრიბუნალი, მეორისა — გაეროს საგამოძიებო კომისია. სულ ეს იყო. ლიბანის საკითხზე ტრიბუნალი 2008 წელს ჩამოაყალიბეს, მაგრამ დღემდე მას არც ერთი ბრალდება არ გამოუქვეყნებია. ბჰუტოს მკვლელობის საქმეზე შექმნილმა გაეროს კომისიამ 2010 წელს მუშაობა დაამთავრა მოხსენების პუბლიკაციით, რომლითაც ქვეყნის ხელისუფლება დაადანაშაულა იმაში, რომ მან ვერ უზრუნველყო პრემიერის საჭირო დაცვა და საქმის გამოძიება.

დანარჩენი მკვლელობები კი თანამეგობრობას არ აინტერესებს! 2010 წლის სექტემბერში გაეროს წევრმა ქვეყნებმა ხმა არ მისცეს წინადადებას გაეროს გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში „გაეროს შექმნის შემდგომ პერიოდში სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურების მკვლელობების გამოძიების“ საკითხის შეტანას. ამ საკითხის გაეროს გენასამბლეაზე განხილვის ინიციატორი იყო ლიბია“.

ხომ არ გრძნობდა მუამარ კადაფი, რომ რაღაც პერიოდის შემდეგ მასაც იგივე საშიშროება დაემუქრებოდა? ამის საფუძველს მას ორი რამ აძლევდა: პირველი, რომ მისი მმართველობის პერიოდში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ათობით პრეზიდენტი და პრემიერი გამოასალმეს წუთისოფელს; მეორე კი ის, რომ საკუთრივ მას არაერთხელ თავს დაესხნენ, მათ შორის, 1986 წლის აპრილში, როცა აშშ და მისი სატელიტები ბომბავდნენ ტრიპოლისა და ბენღაზს.

**„და აი,** — აღნიშნავს ნეზიაევი, — **დღესაც ნატო და აშშ კვლავ ცდილობს კადაფის მოკვლას. და კვლავ, როგორც 1986 წელს, კადაფის ნაცვლად იღუპებიან მისი ოჯახის წევრები“.**

დანაშაული თვით აგრესიაა. მის შედეგად ადამიანების დახოცვა მრავალგზისი დანაშაულია, მაგრამ მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს მეთაურის მკვლელობა განსაკუთრებული ხასიათის დანაშაულია. ეს არის მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში და საზოგადოდ საშიში საშუალებებით. მთავარია, მოსპონ კადაფი და რამდენი მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირება ამ მიზანს, არავის აწუხებს.

პუბლიკაციაში ნახსენებია იუგოსლავიის პრეზიდენტის — სლობოდან მილოშევიჩის რეზიდენციის დაბომბვები 1999 წელს ნატოს თავდასხმის დროს და ბელგრადში ჩინეთის საელჩოს დაბომბვა იმ დღეებში. **2008 წელს გამჟღავნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს დაბომბვა წინასწარგანზრახული იყო: „ამერიკელებმა იცოდნენ, რომ იმ მომენტში საელჩოს შენობაში იმყოფებოდა სლობოდან მილოშევიჩი, ე.ი. სახეზეა სახელმწიფოს მეთაურის მოკვლის მცდელობა.**

ის, რაც დღეს ლიბიაში ხდება, ამდიდრებს დანაშაულობათა იმ ჩამონათვალს, რომელსაც ამ პუბლიკაციიდან უკვე გაეცანით.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**



**როცა ისტორიის გადაწერის უფლებას ვაძლევთ და მისი გაკვეთილების ობიექტურად შეფასებას ვივიწყებთ, ამით მწვანე შუქს ვუნთებთ თვითმარქვია „კონსტებლებსა და შერიფებს“, იმ „ძლიერ რასებს“, რომლებსაც ჩერჩილი მოუწოდებდა, სამუდამოდ დაემყარებინათ ძალის უფლება მდაბალთა ზედა...**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# მასმედია როგორც საომარი მოქმედების საბრძოლო უზრუნველყოფის საშუალება

## «თავისუფალი მასმედიისა» და «გენერალური ხაზის» შესახებ

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ზემოქმედების ძალით მასობრივი განადგურების თავისებურ იარაღად იქცა: დასავლეთში არსებობს მრავალი სტრუქტურა, რომლებიც, როგორც წესი, ძალოვან უწყებათა შემადგენლობაშია მოქცეული და „ინფორმაციის სწორად მიწოდებასა“ და საზოგადოებრივი აზრის დამუშავებაზეა პასუხისმგებელი. მათი მიზანია ობივატელის მომზადება საიმისოდ, რომ რეფლექსების დონეზე მხარი დაუჭიროს ზოგიერთების დღესვე, დაუყოვნებლივ დაბომბვის, ხვალ სხვათა ოკუპირებისა და განადგურების ან შეწყალების იდეას.**

ამგვარი საქმიანობის წარმართვის მეთოდები და საშუალებანი მუდმივად იხვეწება. 1999 წელს იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატოს აგრესიის საინფორმაციო უზრუნველყოფა, 2003 წელს „ერაყის გათავისუფლებისა და დემოკრატიზაციისთვის“ მზადების პერიოდში საინფორმაციო შეტევები ლიბიის მოვლენების გაშუქების ფორმებსა და მეთოდებს რომ შევადაროთ, აშკარად დავინახავთ, რომ **პროცესი გაცილებით უფრო ტექნოლოგიური და აბსოლუტურად ცინიკური გახდა.**

„დეზინფორმაციის მებრძოლები“ გარკვეული სიამაყითაც კი აცხადებენ, რომ „ნიუსმეიკერები“ ინფორმაციის მკეთებლები არიან. სინამდვილეში კი სხვისი, უპირატესად შეთანხმებული და წინასწარ მოწონებული პოზიციის რეტლანსლატორებად გვევლინებიან. არსებულ ვითარებას „დავალებული სიმართლის“ შესაბამისად წარმოგვიდგენენ, გვიხატავენ ისეთ სურათს, რომელიც მხოლოდ დასახულ მიზნებზე, „განსახორციელებელი პროექტის“ მნიშვნელობასა და, შესაბამისად, დაგეგმილი ზემოქმედების ძალაზეა დამოკიდებული.

**დამოუკიდებელი პრესის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი — ობიექტურობა — ლიბიაში დაუფარავად შელახულია.**

ამის თვალსაჩინო მაგალითია რეპორტაჟები „მშობლიური კერებიდან“ აყრილი ლიბიელების შესახებ, რომლებიც ასიათასობით მიაწყდნენ ტუნისის საზღვარს, ცდილობენ, თავი დააღწიონ სისხლიან რეჟიმს. სინამდვილეში ეს ლტოლვილები იყვნენ გასტარბაიტერები აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდან, რომლებიც მშვიდობიან პერიოდში ლიბიაში ლუკმაპურს შოულობდნენ.

მართული მასმედიის ასეთი მასირებული შეტევა ორ კვირაში შეწყდა. ამოცანა შესრულდა და სანიმუშო-საჩვენებელი ბანაკები, რომლებიც „კადაფსგამოქცეული“ ლიბიელების მისაღებად იყო გამიზნული, ხმაურის გარეშე აკრიფეს. **ლტოლვილთა საქმეების გაეროს უმაღლესი კომისარიატი იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ლიბიელები თავიანთი ქვეყნიდან არ გარბიან, ხოლო „ლტოლვილები“ ეგვიპტის, ბანგლადეშის, ნიგერიის, ჩადისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეები არიან. 300 ათასი „ლიბიელი ლტოლვილის“ ნახევარზე მეტი ეგვიპტელები არიან, „გამარჯვებული რევოლუციის“ მკვიდრნი.**

ასეთია „სტრატეგიული კულტურის ფონდის“ გამოცემაში გამოქვეყნებული სერგეი შაშკოვის წერილის **„ლიბიის გარშემო: „თავისუფალი მასმედიის“ და „გენერალური ხაზის“ შესახებ“** დედააზრი.

მოკლედ, მავრმა გააკეთა თავისი საქმე — აამოქმედა მასობრივი გაბითურების იარაღი — მასმედია და დაარწმუნა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, რომ ამბოხი ლიბიაში არის ბრძოლა ძმობის, ერთობისა და თავისუფლებისთვის.

მაგრამ — არცთუ მთლიანად და არცთუ დაეჭვებულთა სიმრავლის გარეშე. ფრანგულმა ანალიტიკურმა პორტალმა Reseau Voltair-მა გამოაქვეყნა ურბინოს უნივერსიტეტის იტალიელი პროფესორის — დომენიკო ლოზურდოს ესე, რომელიც სცილდება ლიბიისა და კადაფის დაცვას და ეხება ისეთ მწვავე პრობლემას, როგორიც ორმაგი აზროვნებაა, არა ორაზროვნება, არამედ ორმაგი აზროვნება.

**ამის შესახებაა ირინა ლებედევას** ანალიტიკური წერილი, რომლის თარგმანსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

# ლიბია და ორმაგი აზროვნების ტექნიკა ორუელის გადაკითხვით

**იტალიელმა სოციოლოგმა, პროფესორმა დომენიკო ლოზურდომ თავისი ნაშრომის სათაურში ბრიტანელი მწერლის სახელი გამოიტანა, რითაც ხაზი გაუსვა დროთა კავშირსა და პრობლემათა ერთგვაროვნებას: „ორუელი, ნატო და ომი ლიბიის წინააღმდეგ“.**

„1949 წელს, — აღნიშნავს ავტორი, — როცა ბირთვული ომი ბირთვულ ხოლოკოსტად გარდაქმნით დაგვემუქრა, ორუელმა გამოაქვეყნა თავისი უკანასკნელი და ყველაზე სახელგანთქმული რომანი „1984“. თუ სახელწოდებაში წინასწარგანჭვრეტა იგულისხმებოდა, მაშინ სამიზნედ აშკარად გათვალისწინებული იყო საბჭოთა კავშირი, რომელიც „დიდ ძმად“ იყო წარმოდგენილი. იგი ამაოს ხდის კომუნიკაციის ყოველგვარ მცდელობას, ქმნის „ახალ ენას“, რომელშიც ნებისმიერი ცნება თავის საწინააღმდეგო მნიშვნელობით წარმოგვიდგება. ნატოს (სამხედრო ორგანიზაციის, რომელსაც მორალისა და სიმართლის დაცვის პრეტენზიაც ჰქონდა) შექმნის წელს რომანის გამოქვეყნებით ორუელმა თავისი წვლილი შეიტანა დასავლეთის მიერ დაწყებულ კამპანიაში. მაშინ იგი ვერც წარმოიდგენდა, რომ 1984 წლიდან სულ რამდენიმე წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც დამთავრდა ცივი ომი, დასავლეთის არა მარტო სამხედრო, არამედ მულტიმედიურ ძლიერებას არავითარი წინააღმდეგობა აღარ გადაეღობებოდა და სიმართლის დამხობა შესაძლებელი იქნებოდა დაუსრულებელი და აბსოლუტურად ტოტალიტარული ხასიათის მასმედიის მიერ განხორციელებული ძლიერი დაბომბვებით. ეს სავსებით ნათელი გახდა ლიბიაში ამჟამად მიმდინარე ომის დროს...“

პატივი მივაგოთ იტალიელი პროფესორის მცდელობას, გამოესარჩლოს ლიბიის დღევანდელ სიმართლეს, მაგრამ აქვე შევნიშნოთ, რომ იგი პრინციპულად ცდება, რადგან ენდობა დასავლეთის მასმედიის ინტერპრეტაციას.

იმ „ძველი“ სიმართლის შესახებ საუბარი დღევანდელი



მოვლენების შუქზე არ არის ფუჭი და ამაო. **„გლობალური პოლიციის“ შემქმნელთა მიზნები ორუელის რომანის დაწერისა და ნატოს დაარსების დროიდან პრაქტიკულად არ შეცვლილა ისევე, როგორც უცვლელი დარჩა თვით მეთოდი ორმაგად აზროვნებისა, ანუ ერთდროულად ორი, ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებისა, ორივეს ერთდროულად აღიარების, წარსულის მუდმივად შეცვლისა და „მშვიდობის“ პერმანენტულ ომად გარდაქმნის მოთხოვნით.** ორუელის რომანში ეს ომი მიმდინარეობდა აფრიკის სადღაც დასაკარგავში... ამაზე წერდა ორუელი თავის ანტიუტოპიაში — „1984“. საბჭოთა კავშირი არასოდეს ყოფილა მისი რომანის სამიზნე, ისევე, როგორც „დიდი ძმის“ ფიგურა მის ბრიტანულ-ამერიკულ „ოკეანიაში“ არაფრით ესადაგება სტალინს. ამის თაობაზე არაერთხელ განუცხადებია თვით მწერალს, ხოლო მის „აკრძალულ“ ბიოგრაფთაგან ყველაზე ცნობილმა, ბრიტანელმა ენტონი ბერჯესმა თავის რომან-გამოკვლევაში „1985“ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ **ორუელის ნაწარმოებში ფაქტები ამოკრეფილია ომისშემდგომი ინგლისის ცხოვრებიდან: ტელევიზიის დახმარებით ადამიანებზე ტოტალური თვალთვალის დაწესება** (ლაპარაკია იმ პერიოდში საწარმოებში მუშების თვალყურის სადევნებლად დამონტაჟებულ ტელედანადგარებზე), **„სიმართლის სამინისტროში“ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება, რის პროტოტიპადაც იქცა რადიო ბი-ბი-სი, სადაც ორუელი მუშაობდა, „სიძულვილის ხუთი წუთი“, რომელიც იმ წლების ამერიკულმა დებილურმა რეკლამამ უკარნახა...**

ორუელისთვის რომანი „1984“ ფანტასტიკა კი არა, სატირა იყო. სატირის საგანი კი ის, რასაც ამჟამად „ახალ მსოფლიო წესრიგს“ უწოდებენ. სამიზნედ წარმოდგა „მსოფლიო მთავრობა“, რომელსაც აღიარებს ფაბიანური საზოგადოება **(პარამასონური საზოგადოება. — ა.ს.)**, საიდანაც სხვადასხვა დროს გამოიჩეკა დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტია, ლიბერალები, სოცინტერნი, ლონდონის ეკონომიკური სკოლა, ომისშემდგომ გაერთიანებული ევროპის ფაშისტური იდეებიც კი.

**განა ანგლოსაქსური ფაშიზმისკენ არ მოგვიწოდებდა ჩერჩილი თავის ფულტონის სიტყვაში, რომელიც ნატოს შექმნას წინ უსწრებდა?! ჩერჩილის მოწოდებიდან მსოფლიოზე „რჩეული საძმოს“ მიერ გაერთიანებული კონტროლის დაწესების შესახებ დღევანდელ თეზისებამდე „არშემდგარი სახელმწიფოების“ შესახებ და არადასავლური ფასეულობების მატარებელი ადამიანების მიმართ აგრესიის გამართლებამდე ერთი ხელის გაწვდენაა.**

**როცა ისტორიის გადაწერის უფლებას ვაძლევთ და მისი გაკვეთილების ობიექტურად შეფასებას ვივიწყებთ, ამით მწვანე შუქს ვუნთებთ თვითმარქვია „კონსტებლებსა და შერიფებს“, იმ „ძლიერ რასებს“, რომლებსაც ჩერჩილი მოუწოდებდა, სამუდამოდ დაემყარებინათ ძალის უფლება მდაბალთა ზედა...**

პარამასონური ფაბიანური საზოგადოების სიმბოლო იყო კუ — ადამიანის შეგნების შესაცვლელ და ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლას ისინი ფარული მეთოდებით განახორციელებდნენ, თანმიმდევრობით, თუნდაც მთელი საუკუნის განმავლობაში გაწელილიყო. ერთ-ერთი ვერსიით, რომანის სახელწოდება სიმბოლურად უკავშირდებოდა იმ წელიწადს, როცა ფაბიანურ სოციალიზმს, რომელიც ოფიციალურად 1884 წელს აღმოცენდა, უნდა აღენიშნა ასი წლის იუბილე. მომავლის სურათი ორუელს ავისმომასწავებლად ესახებოდა: „წარმოიდგინეთ ჩექმა, რომელიც ადამიანის სახეზე აღიბეჭდა, — სამუდამოდ“.

**„ნატოს ჩექმის“ ამჟამინდელი აფრიკული სცენარი გაკვეთილი უნდა იყოს იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც ქარაფშუტულად გაუღეს კარი „ორმაგად აზროვნებას“ და სიამოვნებით მასპინძლობენ მრჩევლებსა და კეთილისმსურველ მშვიდობისმყოფელებს, რომლებსაც ჰუმანიტარული ინტერვენციის გამოცდილება აქვთ.**

ლიბიის სამხედრო ოპერაცია ამჟამად ხორციელდება აშშ-ის აფრიკული სარდლობის (Africom) მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალი კარტერ ჰემი. ოპერაციის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მან ამ თანამდებობაზე შეცვალა გენერალი უორდი, სულ ახლახან აშშ-ის მშვიდობისმოყვარულობაში რომ არწმუნებდა ლიბიის ლიდერს.

აშშ სამხედრო არმადას შეუერთდა კოალიცია დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, კანადის შემადგენლობით. ჟურნალისტები და ბლოგერები, რომლებიც დაბომბვების პირველივე დღეებიდანვე წერდნენ, რომ ლიბიას თავს ესხმის ნატო, ერთგვარად დაიბნენ და უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როცა უკვე დაწყებული ავიაშეტევების აკომპანიმენტის პირობებში გამოაცხადეს, რომ ლიბიის კომპანიას უერთდება... ნატო.

მაშ, ვინ ბომბავდა მანამდე?!

თუმცა ჟურნალისტებს შეუძლიათ არ შერცხვეთ თავიანთი „არაკომპეტენტურობის“, რადგან **ვის ბრძანებებს ასრულებს Africom-ის სარდლობა, გაუგებარი იყო შეიარაღებული ძალების საკითხებში აშშ-ის კონგრესის წევრებისთვისაც კი,** რომლებმაც აპრილის მოსმენის დროს შეკითხვებით მიმართეს ჰემ კარტერს და, როგორც გაირკვა, მაინც და მაინც კმაყოფილი არ დარჩენილან მისი რეპლიკით, რომ პასუხს შეკითხვებზე კონგრესმენები მხოლოდ დახურული მოსმენის ფორმატში მიიღებენო.

ამასობაში **„ჯვაროსნული ლაშქრობა“ აფრიკის წინააღმდეგ** (სწორედ ასე ჩამოაყალიბეს ნეოკონსერვატორებმა თეზისი მსოფლიოს ამ რაიონში აშშ-ის ჰეგემონობის დამყარების აუცილებლობის შესახებ) **ერთხმად იქნა ატაცებული მტრის ხატის — „საერთაშორისო ტერორიზმის“ — წარმოქმნისთანავე.**

მაგრამ უკვე ჩანს, რომ „ლაშქრობის“ ლოკომოტივს უჭირს და ამ საქმეში დაბანდებული ხარჯები აფრიკულ უდაბნოში ქარს მიაქვს... მშვიდობიანი მოსახლეობა კი უმოწყალოდ იხოცება.

**ვაშინგტონმა, რომელიც ბოლო პერიოდამდე არ ამჟღავნებდა აფრიკული ნავთობით განსაკუთრებულ დაინტერესებას, ბოლოს და ბოლოს აფრიკა „აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესების ზონად“ გამოაცხადა, თავის სტრატეგიულ კონცეფციაში ჩაწერა დებულება „უმართავი სივრცის“ შესახებ, რომელიც ამერიკის ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება.**

**Africom-ი ამ ინტერესების სადარაჯოზე დგას.**

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## ირანი აღარ ხუმრობს

**ირანი სამხედრო ბიუჯეტს 3 მილიარდი დოლარით გაზრდის. ეს გადაწყვეტილება ქვეყნის პარლამენტმა დაამტკიცა.** ოფიციალური მონაცემები ირანის სამხედრო ბიუჯეტის შესახებ არ არსებობს, თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, გასულ წელს მან 7 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.



## მოკლედ

### «Су-35С» მწყობრში დგება



**რუსეთში წარმატებით გამოსცადეს პირველი სერიული გამანადგურებელი „Су-35С“, რომელიც საჰაერო ძალებს უნდა გადაეცეს.** „Су-35С“ „4++“ თაობის, მოქმედების დიდი რადიუსის გამანადგურებელია, ის 2500 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს; მისი ფრენის სიშორე 3400, საბრძოლო რადიუსი კი 1600 კილომეტრია. „Су-35С“-ს სარაკეტო შეიარაღების (ან ბომბების) დამაგრებისთვის 12 წერტილი და 30 მმ. ქვემეხი გააჩნია; მისი რესურსი 6 ათასი საფრენი საათია.

### აზერბაიჯანი წინ მიიწევს



**თურქეთში აზერბაიჯანული სნაიპერული შაშხანა „Istiglal IST-12.7“-ის წარმოება დაიწყება. ნავარაუდევია, რომ შაშხანის თურქულ ვარიანტში გარკვეული ცვლილებები შევა და მას თურქეთის შეიარაღებულ ძალები გამოიყენებს.** „IST-12.7“ აზერბაიჯანული სამხედრო ტექნოლოგიების პირველი ტრანსფერია. ამასთანავე, აზერბაიჯანში იწარმოება ამ შაშხანის კიდევ ერთი, მსუბუქი ტექნიკის წინააღმდეგ მოქმედებისთვის გამიზნული ვარიანტი „Istiglal IST-14.5“ (სროლის სიშორე — 3000 მეტრამდე; წონა — 20 კგ.)

### ისრაელმა ახალი სუბმარინა იყიდა



**ისრაელი გერმანიაში კიდევ ერთ, რიგით მეექვსე, „Dolphin“-ის კლასის სუბმარინას შეიძენს. მისი წყალწყვა 19 ტონაა, სიჩქარე წყალქვეშ — 20 კვანძი, ავტონომიურობა — 30 დღე-ღამე.** სუბმარინას ექვსი 533 მმ. და ოთხი 650 მმ. სატორპედო აპარატი აქვს. მას ბირთვული ქობინებით აღჭურვილი ფრთოსანი რაკეტების გაშვებაც შეუძლია. მედიის ცნობით, ისრაელის წყალქვეშა ფლოტის გაძლიერება ირანთან ომის შესაძლებლობას უკავშირდება.

### ახალი „KIA“ — სამხედროებისთვის

**სამხრეთკორეულმა „KIA“-მ საშუალო ტაქტიკური ავტომობილის — „KIA MTV K511A1 2x4“-ის კონცეპტუალური მოდელი წარმოადგინა.** მის ბაზაზე სამხედრო მანქანების ახალი ოჯახი შეიქმნება. „K511A1 2x4“ მოდულური კონსტრუქციისაა, სატრანსპორტო ვარიანტში მას 12 მებრძოლის გადაყვანა შეუძლია, სამედიცინოში — 4-5 დაჭრილის, სატვირთოში — 4-6 ტონა ტვირთის. განსაკუთრებული ყურადღება ნაღმებისგან დაცვას დაეთმო. მანქანა ავიატრანსპორტაბელურია („A 400M“-ი, „Super Hercules“-ი და რიგი სხვა თვითმფრინავები).



# რა პერსპექტივა აქვს საზღვაო არტილერიას?

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სარაკეტო შეიარაღების სწრაფმა განვითარებამ საზღვაო არტილერიის პოზიციები ეჭვქვეშ დააყენა. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება პოლიტიკოსებსა და ადმირალებზე 1967 წლის 21 ოქტომბერს მომხდარმა შემთხვევამ მოახდინა, როდესაც ორმა ეგვიპტურმა „Комар“-ის ტიპის სარაკეტო კატარღამ (რაკეტები „П-15“) სწრაფად და უპრობლემოდ ჩაძირა ისრაელის საესკადრო ნაღმოსანი „Eilat“-ი. იმ წლებში ჩამოყალიბდა აზრი, რომ 76 მილიმეტრზე უფრო მსხვილი კალიბრი ხომალდებს არ სჭირდება.**



თუმცა მსოფლიო ომის შემდგომი სამხედრო კონფლიქტების ანალიზმა აჩვენა, რომ კორეაში „Iowa“-ს ტიპის ლინკორების 406 მმ. არტილერია ამერიკელთა მიერ გამოყენებული საარტილერიო სისტემებიდან ყველაზე ეფექტური გამოდგა, ხოლო ლინკორი „New Jersey“ ვიეტნამის ნაპირებთან ამ მხრივ უფრო დიდ წარმატებას აღწევდა, ვიდრე 50 ბომბდამშენი ერთდროულად. ამ ანალიზის საფუძველზე საზღვაო არტილერიის ერთგვარი „რენესანსი“ დაიწყო. **1975 წლიდან აშშ-ის ფლოტის შემადგენლობაში „Spruance“-ს ტიპის საესკადრო ნაღმოსნები შევიდნენ, ორი 127 მმ. საარტილერიო დანადგარით — „Mk45“** (სროლის სიშორე 23 კმ., სროლის ტემპი 20 ჭურვი წუთში). **იმავე წელს, 22-წლიანი პაუზის შემდეგ, ახალი საარტილერიო დანადგარი „Mk8“ თავის საესკადრო ნაღმოსან „Sheffield“-ზე ბრიტანელებმაც დააყენეს** (სროლის სიშორე 20 კმ., სროლის ტემპი 25 ჭურვი წუთში, ცეცხლის გახსნა ბრძანებიდან 15 წამში).

საბჭოთა კავშირმა ამ მხრივ სამი წლით დაიგვიანა, რადგან ნიკიტა ხრუშოვს რაკეტები ერთგვარ „აბსოლუტურ იარაღად“ მიაჩნდა და მუშაობა ამ მიმართულებით მისი მმართველობის წლებში პრაქტიკულად შეჩერებული იყო. მაგრამ სამწლიან დაგვიანებას დადებითი მხარეც ჰქონდა, რადგან **130 მმ. საბჭოთა დანადგარი „АК-130“** (სროლის სიშორე 23 კმ., სროლის ტემპი 90 ჭურვი წუთში) **უცხოურ ანალოგებზე უფრო დახვეწილი აღმოჩნდა. საესკადრო ნაღმოსანი „Современный“ მწყობრში 1978-ში ჩადგა. მას წუთში მოწინააღმდეგისთვის 6 ტონა ჭურვის სროლა შეეძლო;** ეს მაჩვენებელი რეკორდული იყო.

რაც შეეხება დამიზნებისთვის და სროლის მართვისთვის რადიოელექტრონულ მოწყობილობებს, სამივე საზღაო ზესახელმწიფოს აპარატურას დაახლოებით თანაბარი მახასიათებლები ჰქონდა, ზოგიერთ მახასიათებელში ერთი სჯობნიდა, ზოგში — მეორე, თუმცა ჩვენი ამოცანა არა მათი შედარება, არამედ საზღვაო არტილერიის პერსპექტივებზე საუბარია.

საინტერესოა, რომ **ზემოთაღწერილმა „რენესანსმა“ რიგი საბჭოთა და ამერიკელი კონსტრუქტორები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „მსხვილი კალიბრის ეპოქა ბრუნდება“.**



1983-84 წლებში გაჩნდა 406 მმ. დანადგარების პროექტები (სროლის სიშორე 42 კილომეტრამდე 110 კილოგრამიანი ჭურვებით, ხოლო 1,2 ტონიანი ჭურვებით 10 კილომეტრამდე; ტემპი — 15-20 გასროლა წუთში), **მაგრამ მეზღვაურებმა მათ აუხსნეს, რომ ასეთი მონსტრების ეპოქა წარსულს ჩაბარდა.**

მომდევნო ეტაპი, რეაქტიული ჭურვების გამოყენება გახდა. მაგალითად, ამერიკული 127 მმ. დანადგარი „Mk45“ 49-კილოგრამიან მართვად რეაქტიულ ჭურვს 36,5 კილომეტრზე ისვრის, რაც 1,5 ჯერ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ჭურვის გამოყენების შემთხვევაში. თუმცა სროლის სიშორე ერთია, ხოლო კორექტირება — სულ სხვა რამ, დიდ დისტანციებზე ჭურვი მიზანს შეიძლება რამდენიმე ასეული მეტრით ასცდეს. ზუსტი სროლისთვის ჭურვში საჭიროა ინერციული სანავიგაციო სისტემისა და GPS-ის მიმღების ინტეგრირება, რომელიც ძალიან მდგრადი უნდა იყოს, რადგან იმ მომენტში, როდესაც რეაქტიული ჭურვი ლულას ტოვებს, გადატვირთვა 12000 g-ს აღწევს. ამერიკელები ამ პრობლემის გადაჭრაზე 20 წელზე მეტ ხანს მუშაობდნენ. ბოლოს, **2003 წლის 24 სექტემბერს, კომპანია „ATK“-ს კონსტრუქტორების მიერ შექმნილმა რეაქტიულმა ჭურვმა „BTERM“-მა 96 კილომეტრი გაიფრინა და 20 მეტრის რადიუსის სამიზნეს მოხვდა. ეს უდავო წარმატება იყო, თუმცა 2008 წელს ეს პროგრამა, ისევე, როგორც ანალოგიური პროგრამა „ERGM“-ი, დაიხურა, რადგან ამ ჭურვების ღირებულებამ ასტრონომიულ მაჩვენებელს, 200 ათას დოლარს „მიუკაკუნა“.**

**მიუხედავად იმისა, რომ მართვადი რეაქტიული ჭურვების სრულყოფაზე მუშაობა ჯერ კიდევ დიდხანს შეიძლება, ეს გუშინდელი თუ არა, მაქსიმუმ დღევანდელი დღეა. მომავალი, როგორც ჩანს, ელექტრომაგნიტურ არტილერიას ეკუთვნის, რომელზეც დღეს აშშ-სა და რუსეთში (და შესაძლოა — ჩინეთში) მუშაობენ.** უკვე **დღეისთვის** მიღწეულია შემდეგი შედეგები: გასროლის ენერგია 10,64 მეგაჯოულს აღწევს, სამკილოგრამიანი ჭურვი 2,52 კმ/წმ სიჩქარით მოფრინავს. ამერიკელი კონსტრუქტორები ირწმუნებიან, რომ უახლოეს მომავალში ენერგიის 64 მეგაჯოულამდე გაზრდას მოახერხებენ, ჭურვის სიჩქარე 6 კმ/წმ-ს, ხოლო სროლის მაქსიმალური სიშორე 460 კილომეტრს მიაღწევს (აშშ-ის საზღვაო ძალების მოთხოვნა უფრო მოკრძალებულია, 370 კილომეტრი). ეს თორმეტჯერ უფრო მეტია, ვიდრე თანამედროვე საზღაო საარტილერიო დანადგარების რადიუსი. თავის მხრივ, რუსული წყაროები იტყობინებიან, რომ რუსული ელექტრომაგნიტური იარაღიდან („არციმოვიჩის რელსოტრონი“) გამოშვებული ჭურვი 6,25 კმ/წმ სიჩქარეს უკვე აღწევს. ჩინელები კი ჯერჯერობით (ტრადიციულად) სდუმან.

ცხადია, თანამედროვე ხომალდებზე ასეთი საარტილერიო დანადგარების დამონტაჟება შეუძლებელია. მათ აბსოლუტურად სხვა ტიპის ენერგეტიკული სისტემა დასჭირდება. **ელექტრომაგნიტური საარტილერიო დანადგარით აღჭურვილი პირველი ხომალდის მწყობრში ჩადგომა (ეს მომდევნო ათწლეულში მოხდება) საზღვაო სფეროში დაახლოებით ისეთივე რევოლუციას გამოიწვევს, როგორც დრედნოუტების გამოჩენა XX საუკუნის დასაწყისში.** მსოფლიოს ყველა სამხედრო ხომალდი ერთბაშად მოძველებული და დაუცველი გახდება, ფლოტების შექმნა ისევ ნულიდან დაიწყება და სამხედრო-საზღვაო ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშლება.





მე-10 დივიზიის მებრძოლებმა ენითაუწერელი გმირობა გამოავლინეს. მათ სტალინგრადის ბრძოლაში გაანადგურეს 15 ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 113 ტანკი, 8 ჯავშანმანქანა, 6 ქვემეხი, 2 თვითმფრინავი, 51 ნაღმსატყორცნი, 138 ტყვიამფრქვევი და ხელთ ვერმახტის ერთ-ერთი პოლკის დროშა იგდეს; რაც მთავარია, ყველაზე კრიტიკულ მომენტში პოზიციები შეინარჩუნეს და დრო მოიგეს. ბრძოლის დასასრულს მწყობრში დივიზიის 200 მებრძოლი დარჩა.

არსენალი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# გამარჯვება სტალინგრადში დაიბადა

**ჩვენ ვასრულებთ გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების სერიას და ამჯერად ომის კულმინაციურ წერტილს, სტალინგრადის ბრძოლას შევეხებით. ერთ სტატიაში შეუძლებელია მისი ყველა ასპექტის განხილვა და ჩამოთვლაც კი, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე ვისაუბრებთ.**





ბრძოლა სტალინგრადის ქუჩებში ძალიან ახლო დისტანციებზე მიმდინარეობდა. მათი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ქვედანაყოფები მუდამ ცდილობდნენ, ეს დისტანცია მინიმუმამდე შეემცირებინათ. საქმე ისაა, რომ გერმანული სამხედრო დოქტრინა ჯარების სხვადასხვა სახეობის მჭიდრო ურთიერთქმედებას ეფუძნებოდა, ხოლო ბლიცკრიგის პრაქტიკამ ეს ურთიერთქმედება საათივით აწყობილ მექანიზმად აქცია. დისტანციის შემცირება კი ვერმახტს ორი მნიშვნელოვანი კოზირის — არტილერიისა და ბომბდამშენების გამოყენების შესაძლებლობას უზღუდავდა. მაშინ, როდესაც ქუჩის ბრძოლებში მოწინააღმდეგეები ერთმანეთისგან 30-50 მეტრით იყვნენ დაშორებულნი, გერმანელ ქვეითებსა და ტანკისტებს მხოლოდ საკუთარი თავისა და მოიერიშე ავიაციის იმედად ყოფნა უწევდათ.

**მოგვიანებით, ვიეტნამის ომში, ამ ხერხს — აიძულო მოწინააღმდეგე ახლო დისტანციაზე იბრძოლოს — „ქამარში ხელის წავლება" ეწოდა. ის შეგვიძლია ორი მოკრივის შერკინებას შევადაროთ, რომელთაგან ერთ-ერთს უფრო გრძელი ხელები აქვს. ამ შემთხვევაში, მეორე მოკრივისთვის დისტანციის შემცირება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. ვერმახტს კი 1942 წლის შემოდგომაზე ჯერ კიდევ „გრძელი ხელები" ჰქონდა.**

**გერმანელები სტალინგრადს უფრო სწრაფად მიუახლოვდნენ, ვიდრე ამას საბჭოთა სარდლობა მოელოდა. ევაკუაცია და ქალაქის თავდაცვისთვის მომზადება დასრულებული არ იყო. სტალინგრადში 300 ათასამდე სამოქალაქო პირი იყო დარჩენილი, მათგან 40 ათასზე მეტი 23 აგვისტოს მასირებულმა დაბომბვამ შეიწირა. თავიდან ბრძოლაში დიდი საბრძოლო გამოცდილების მქონე მოწინააღმდეგესთან ის ქვედანაყოფები ჩაერთნენ, რომლებიც ამისთვის სათანადოდ არ მომზადებულან.**

სტალინგრადში დისლოცირებული საჰაერო თავდაცვის 1077-ე პოლკი, ძირითადად, ქალებით იყო დაკომპლექტებული. არავის ეგონა, რომ მათ წინა ხაზზე ბრძოლა მოუწევდათ, რადგან სახმელეთო სამიზნეების განადგურების არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ. მაგრამ **23 აგვისტოს, არნახული მასშტაბის დაბომბვის დასრულებისთანავე, 1077-ე პოლკს ვერმახტის 24-ე სატანკო დივიზიასთან ბრძოლაში ჩაბმა მოუხდა. წარმოუდგენელია, მაგრამ პოლკი 3 დღის განმავლობაში იბრძოდა. თითოეული ბატარეის პოზიცია ერთგვარ ციხესიმაგრედ იქცა. მეზენიტეებმა გაანადგურეს 84 გერმანული ტანკი, 14 თვითმფრინავი, 3 ბატალიონამდე ცოცხალი ძალა და, რაც მთავარია, მოიგეს დრო, რომელიც აუცილებელი იყო ქალაქში დამატებითი ძალების შესასვლელად. სტალინგრადის ბრძოლის ერთ-ერთი პირველი გმირები სწორედ ის მეზენიტე გოგონები იყვნენ, რომელთაგან ძალიან ცოტა გადარჩა.**

მათ გვერდით იბრძოდა სახალხო ლაშქარი, 62-ე არმიის მცირერიცხოვანი ქვედანაყოფები, რომლებმაც ქალაქის ელვისებურად აღების შესაძლებლობა არ მისცეს გერმანელებს.

მეორე კრიტიკული მომენტი 13 სექტემბერს დადგა, როდესაც გერმანელებმა ფრონტის ვიწრო მონაკვეთზე ბრძოლაში 6 დივიზია შეიყვანეს და ქალაქის დამცველების პოზიციების გარღვევა შეძლეს. მათ მოახერხეს იმ კორიდორის ბლოკირება, რომელიც მათ ქალაქის სამხრეთით მყოფ ძალებთან აკავშირებდა, ხოლო მდინარე ვოლგის ის მონაკვეთი, რომლითაც მათ რეზერვები და ტყვია-წამალი მიეწოდებოდათ, არა მარტო გამუდმებული საჰაერო დაბომბვის, არამედ არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლქვეშ მოექცა. ისე გამოვიდა, რომ აქაც წინა ხაზზე ისინი აღმოჩნდნენ, ვისაც განსაკუთრებული სამხედრო მომზადება არ ჰქონდა. შინსახკომის მე-10 დივიზიის ბირთვს ადგილობრივი მილიციელები, მეხანძრეები, საქალაქო სამსახურების თანამშრომლები და მოხალისეები შეადგენდნენ. მაგრამ მათ არ მისცეს გერმანელებს შესაძლებლობა, გაევლოთ ის მცირე მანძილი, რომელიც ვოლგის ნაპირს აშორებდა. ამ სამი დღის განმავლობაში კი ვოლგის მარცხენა ნაპირიდან სტალინგრადში გვარდიის მე-13 დივიზია გადაისროლეს, რომელმაც კონტრშეტევითი პოზიციების ნაწილობრივი აღდგენა მოახერხა.

**მე-10 დივიზიის მებრძოლებმა ენითაუწერელი გმირობა გამოავლინეს. მათ სტალინგრადის ბრძოლაში გაანადგურეს 15 ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 113 ტანკი, 8 ჯავშანმანქანა, 6 ქვემეხი, 2 თვითმფრინავი, 51 ნაღმსატყორცნი, 138 ტყვიამფრქვევი და ხელთ ვერმახტის ერთ-ერთი პოლკის დროშა იგდეს; რაც მთავარია, ყველაზე კრიტიკულ მომენტში პოზიციები შეინარჩუნეს და დრო მოიგეს. ბრძოლის დასასრულს მწყობრში დივიზიის 200 მებრძოლი დარჩა.**

სექტემბრის შუა რიცხვებიდან ნოემბრამდე სტალინგრადში სრული ჯოჯოხეთი სუფევდა, ბრძოლა თითოეული მეტრისთვის მიდიოდა. **ისტორიაში შევიდა „სერჟანტ პავლოვის სახლი", რომელსაც ორი ათეული საბჭოთა, 9 ეროვნების წარმომადგენელი ჯარისკაცი, მათ შორის ორი ქართველი და ერთი აფხაზი იცავდა.** ეს სახლი იმით იყო გამორჩეული, რომ, ქუჩის სხვა სახლებისგან განსხვავებით, მას ვოლგასთან პირდაპირი გზა აკავშირებდა, რაც ამ პოზიციის მომარაგებას აიოლებდა. **23 სექტემბრიდან 25 ნოემბრამდე შეტევებში ამ ერთ სახლზე ვერმახტმა, გენერალ-ფელდმარშალ ფრიდრიხ პაულუსის შეფასებით, მეტი ჯარისკაცი დაკარგა, ვიდრე გზად საფრანგეთის საზღვრიდან პარიზამდე.**

ნოემბერში დადგა კიდევ ერთი კრიტიკული მომენტი. გერმანელები ნებისმიერ ფასად ცდილობდნენ ქალაქზე სრული კონტროლი დაემყარებინათ. ვოლგა ყინულით დაიფარა, რამაც მარცხენა ნაპირთან კავშირი გაართულა. ბრძოლამ „მამაის ყორღანისთვის" და ქარხნებისთვის ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში კაცობრიობის ისტორიაში ჯერაც არნახულ გააფთრებას მიაღწია. დღეში 10-12 შეტევა და კონტრშეტევა ნორმად იქცა. სწორედ მაშინ, 10 ნოემბრიდან 17 დეკემბრამდე, ლეგენდარულმა სნაიპერმა ვასილი ზაიცევმა მოწინააღმდეგის 225 ჯარისკაცი და ოფიცერი (მათ შორის 11 სნაიპერი) გაანადგურა. **საერთოდ, იმ ბრძოლების ანალიზი ჩვეულებრივი ლოგიკის ფარგლებში შეუძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ გავიგებთ, რის ხარჯზე მოახერხეს საბჭოთა ჯარისკაცებმა პოზიციების შენარჩუნება.** აქ სხვა, ძნელად გამოსათვლელი ფაქტორებიც უნდა გავითვალისწინოთ, მაგალითად ისეთი, როგორიცაა საბრძოლო სულისკვეთება და სამშობლოს სიყვარული.

შედეგი ცნობილია: სტალინგრადში გერმანული არმია გამოიფიტა, ყველა რეზერვი ბრძოლაში ჩააბა, ფლანგები დაასუსტა, რამაც საბჭოთა სარდლობას შესაძლებლობა მისცა, განეხორციელებინა შეტევითი ოპერაცია, რომლის შედეგად გერმანელების მე-6 არმია ალყაში მოექცა, მისი 91 ათასი მებრძოლი ტყვედ ჩავარდა. საერთო დანაკარგები კი სტალინგრადის ბრძოლაში მესამე რაიხისთვის იმდენად მძიმე იყო, რომ ომის მოგების მისი შანსები, პრაქტიკულად, ნულს გაუტოლდა.

**სტალინგრადის ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობა ბევრმა ქართველმა მიიღო სააკო გმირობისა და სამშობლოსთვის თავდადების მაგალითად მუდამ დარჩება.**





## გა[illegible]ზებული

**დიმიტრი მედვედევი,**
**რფ-ის პრეზიდენტი:**



— რუსეთი ყოველთვის იყო და რჩება ქართველ ხალხთან კეთილმეზობლობისა და მეგობრობის საუკუნეებით განმტკიცებული ტრადიციების ერთგული. ჩვენ გვსურს, საქართველო ვიხილოთ მეზობლებთან მშვიდობიანად მცხოვრებ აყვავებულ და თავისუფალ სახელმწიფოდ. ამ დიად დღესასწაულზე მინდა, სამამულო ომის ქართველ ვეტერანებს გადმოგცეთ კეთილი სურვილები, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა, საქართველოს ხალხებს კი კეთილდღეობა და სტაბილურობა ვუსურვო.

*news.rambler.ru*

**ვლადიმერ პუტინი,**
**რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**



— აუცილებელია სასკოლო პროგრამის კორექტირება და მასში სასკოლო ისტორიის სახელმძღვანელოების მიმართ მოთხოვნების გაზრდა, რათა ბავშვებმა მეორე მსოფლიო ომისა და საბჭოთა ჯარის გმირობის შესახებ მეტი რამ იცოდნენ. პატრიოტული აღზრდის მიმართულებით მრავალი გადაუჭრელი პრობლემა დგას... პატრიოტული აღზრდის საკითხებში ქვეყნის ყველა პოლიტიკური ძალა უნდა გაერთიანდეს.

*rian.ru*

**ანდერს ფოგ რასმუსენი,**
**ნატოს გენერალური მდივანი:**



— ნატომ არ იცის, რა დროს დასჭირდება ლიბიაში სამხედრო ოპერაციის დასრულებას. ეს მხოლოდ ნატოზე არა არის დამოკიდებული. ლიბიის კონფლიქტის მხოლოდ სამხედრო ძალებით დარეგულირება შეუძლებელია. ამიტომ მხარს ვუჭერ კადაფიზე პოლიტიკური ზეწოლის გაძლიერებას, რათა მან დატოვოს თანამდებობა და გარდამავალი პერიოდის დაწყება უზრუნველყოს.

*Прайм-ТАСС*

**დოქტორი სტივ პეჩენიკი,**
**აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ექსპერტი:**



— უსამა ბენ ლადენი თორა ბორას გამოქვაბულთა კომპლექსში გენეტიკური დაავადების – მარფანის სინდრომის გამწვავების შედეგად გარდაიცვალა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. ამის შესახებ იცოდნენ როგორც ჯორჯ ბუშ უმცროსმა, ასევე სადაზვერვო სამსახურებმა. აშშ-ის ხელისუფლებამ ბენ ლადენის სიკვდილის შესახებ ჯერ კიდევ მაშინ იცოდა, ვიდრე აშშ ავღანეთში შეიჭრებოდა.

*vlasti.net*

მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**თბილისი, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აზიაში რუსების ძალაუფლების ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენდა“ და სტრატეგიული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე მდებარეობდა. თბილისის ხელში ჩაგდება ამიერკავკასიაში ბატონობას განაპირობებდა. ასე რომ, თურქეთისთვის კავკასიის ფრონტზე წარმოებული საომარი მოქმედების მთავარი მიზანი თბილისის აღება იყო. რუსეთისთვის კი კავკასიის შესანარჩუნებლად თბილისის დაცვა უპირველეს სტრატეგიულ აუცილებლობას წარმოადგენდა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საპატიო და პირველხარისხოვან ამოცანად იყო გამოცხადებული.**

# ყირიმის ომი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15

**რუსეთ-თურქეთის კონფლიქტის შედეგად კავკასია, კერძოდ საქართველო, უშუალო საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. რუსეთ-თურქეთის ომის დროს კავკასიის ფრონტს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა და მეფის მთავრობას სრულიადაც არ ჰქონდა გათვალისწინებული დამხმარე ჯარის ნაწილების გამოგზავნა. კავკასიაში მყოფი მოქმედი რუსეთის არმია კი სავსებით არ იყო საკმარისი თურქეთის ჭარბ ძალებთან გასამკლავებლად.**



მხოლოდ მეფისნაცვალ ვორონცოვის დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ ნიკოლოზმა შესაძლებლად ცნო მე-13 დივიზიის გამოგზავნა, მაგრამ ამ დახმარების მიღების შემდეგაც კავკასიის მდგომარეობა სავალალოდ გამოიყურებოდა. 530 ვერსამდე მანძილზე გადაჭიმული მისი სასაზღვრო ხაზის არც ერთი სექტორი არ იყო უზრუნველყოფილი მტრის თავდასხმისგან და მხოლოდ აქა-იქ იყო გამაგრებული უმნიშვნელო საგუშაგოებით. სამიმოსვლო გზების უვარგისობისა და ბუნებრივ-ტოპოგრაფიული პირობების გამო ერთიანი საომარი მოქმედების ფრონტზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. **კავკასიის კორპუსის ცალკეული რაზმები დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენდა და ერთმანეთისგან სრულიად მოწყვეტილად მოქმედებდა. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სახალხო ლაშქარს, ე.წ. მილიციას. მართლაც, ქართველმა ხალხმა, რომელიც 1806-1812 და 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში ოსმალეთის მიერ მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნებაში ცხოველ მონაწილეობას იღებდა, ამჯერადაც მთელი თავისი ძალები დარაზმა და აქტიურად ჩაება საუკუნოვანი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.**

მდგომარეობას განსაკუთრებით ის ართულებდა, რომ საქართველოს ჩრდილოეთის მხრიდანაც განუწყვეტელი საფრთხე ემუქრებოდა. აქედან ყოველთვის მოსალოდნელი იყო რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი მიურიდების — შამილისა და მაჰმად-ემინის შემოჭრა და ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული იყო კავკასიაში მოქმედი ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი მიურიდების წინააღმდეგ მოსალოდნელი ბრძოლისთვის მუდმივ მზადყოფნაში ჰყოლოდა.

**რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე თურქები შეუდგნენ თავიანთი ძალების კონცენტრაციას საქართველო-ამიერკავკასიის საზღვრების გასწვრივ. 1853 წლის სექტემბრის დასასრულისთვის ყარსთან 50 ათასი კაცისგან შემდგარი თურქების რეგულარული და ირეგულარული ჯარების კორპუსი იდგა. ეს კორპუსი 65 ზარბაზნით იყო აღჭურვილი. არდაღანთან იდგა რაზმი 14 ზარბაზნით, ბაიაზეთშიც დაახლოებით ასეთივე შემადგენლობის რაზმი იყო, ხოლო ბათუმის ახლოს თურქებმა 10 ათასი ჯარისკაცისგან შემდგარი კორპუსი გადმოსხეს.**

**მოწინააღმდეგის მთელი ყურადღება თბილისისკენ იყო მიმართული. თბილისი, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აზიაში რუსების ძალაუფლების ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენდა“ და სტრატეგიული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე მდებარეობდა. თბილისის ხელში ჩაგდება ამიერკავკასიაში ბატონობას განაპირობებდა.** ასე რომ, თურქეთისთვის კავკასიის ფრონტზე წარმოებული საომარი მოქმედების მთავარი მიზანი თბილისის აღება იყო. რუსეთისთვის კი კავკასიის შესანარჩუნებლად თბილისის დაცვა უპირველეს სტრატეგიულ აუცილებლობას წარმოადგენდა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საპატიო და პირველხარისხოვან ამოცანად იყო გამოცხადებული.

თბილისის დასაცავად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ალექსანდროპოლის (დღევანდელი ლენინაკანი) ციხესიმაგრეს, რომელიც კეტავდა ყარსიდან თბილისისკენ მიმავალ პირდაპირ გზას. ასეთივე მნიშვნელობისა იყო ყარსიდან არდაღანზე და ბორჯომის ხეობისკენ მიმავალ გზაზე მდებარე ახალციხეც. ითვალისწინებდა რა ამ მდგომარეობას, ადგილობრივი მთავარსარდლობის მიერ რეგულარული ჯარებისა და მილიციის ყველაზე დიდი ნაწილი სწორედ ყარსის მიმართულებით ალექსანდროპოლში, ახალციხესა და ახალქალაქში იყო თავმოყრილი. სახელდობრ, საომარი მოქმედების გადამწყვეტ პუნქტში **რეგულარული ჯარების 23,5 ბატალიონი, კაზაკთა 24 ასეული, 60 ზარბაზანი, მილიციის 8 რაზმი და რამდენიმე ასეული იყო განლაგებული; აქედან ალექსანდროპოლში 11 ბატალიონი, 10 ესკადრონი, კაზაკთა 9 ასეული, ადგილობრივი მილიციის რამდენიმე რაზმი და ასეული იმყოფებოდა.** თბილისში ბაიაზეთიდან წამოსულ მტერს არარატისა და ერევნის გავლითაც შეეძლო შემოჭრა. ერევანში მისი გამაგრების მიზნით, 4 ბატალიონი, 8 ზარბაზანი, კაზაკთა 6 ასეული და ადგილობრივი მილიციის 14 ასეული იდგა.

კავკასიის ფრონტის უკიდურეს მარჯვენა ფლანგზე, გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „რიონის მხარის“, დასაცავად მყოფი **„გურიის რაზმი“ მხოლოდ ქვეითი ჯარის 8 ბატალიონის, კაზაკთა 2 ასეულისა და 12 ზარბაზნისგან შედგებოდა. ბათუმში და ქობულეთში მდგარი თურქთა მძლავრი კორპუსი კი გურიას, სამეგრელოს, იმერეთს, აფხაზეთს სრული განადგურებით ემუქრებოდა. საერთოდ, კავკასიის საზღვრებზე თავმოყრილი თურქთა არმია რუსების ძალებს არა მარტო რიცხობრივად ბევრად აღემატებოდა, არამედ გაცილებით უკეთესად იყო შეიარაღებული.** მისი არტილერია მთლიანად ინგლისური წარმოშობისა იყო და ჯარისკაცები შორსმსროლელი შაშხანებით იყვნენ აღჭურვილნი, მაშინ როცა რუსული ჯარის ნაწილების უმრავლესობის იარაღს კაჟიანი თოფები შეადგენდა.

ნიკოლოზ I მე-18 დივიზიის საქართველოში გამოგზავნით კავკასიის საქმეებს მოგვარებულად თვლიდა და სავსებით ვერ ითვალისწინებდა იმ საფრთხეს, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ეს მხარე რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების შედეგად. ნიკოლოზი კავკასიის მეფისნაცვლისგან შეტევით მოქმედებებზე გადასვლასა და ყარსისა და არდაღანის აღებას მოითხოვდა. მაგრამ კავკასიის სარდლობამ კარგად იცოდა, რომ იმ მცირერიცხოვანი ლაშქრით, რომელიც მის განკარგულებაში იმყოფებოდა, არათუ შეტევაზე არ შეიძლებოდა ფიქრი, არამედ კავკასიის საზღვრების რამდენადმე ეფექტური დაცვაც კი დიდი სიძნელეების გადალახვასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ იგი ყოველმხრივ არიდებდა თავს შეტევითი ომის დაწყებას.

**კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედებები რუსეთ-თურქეთის ომის გამოცხადებამდე დაიწყო. ოსმალეთმა ისარგებლა იმ მდგომარეობით, რომ რუსეთის ძალები ჯერ კიდევ არ იყო კონცენტრირებული საზღვრებთან და 15-16 ოქტომბერს ღამით მოულოდნელად თავს დაესხა გურიის საზღვარზე შეკვეთილის საგუშაგოს, სადაც იმყოფებოდა მხოლოდ მცირერიცხოვანი რუსთა რაზმი და გურიის სახალხო ლაშქარი გიორგი გურიელის მეთაურობით. ერთმა მუჭა გარნიზონმა და სახალხო მილიციამ გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია მტრის 5000-მდე კაცისგან შემდგარ რაზმს. უთანასწორო ბრძოლამ შეკვეთილის საგუშაგოს დასაკავებლად მთელ ღამეს გასტანა, გარნიზონისა და მილიციის წინააღმდეგობა არ შეწყვეტილა, ვიდრე საბოლოოდ არ ამოწურეს ტყვია-წამლის მარაგი. თურქები სასტიკად გაუსწორდნენ მამაც მებრძოლებს. მათ თითქმის მთლიანად ამოხოცეს გარნიზონი. ისინი ბავშვებსა და ქალებსაც კი არ ინდობდნენ და უმოწყალოდ ხოცავდნენ. ბრძოლაში დაიღუპა მილიციის მეთაური გიორგი გურიელიც.**

გურიაში ოსმალების შემოსევის დროს დაემთხვა აღმოსავლეთ საქართველოში შამილის მეთაურობით მიურიდების შემოსევაც. შამილი საინგილოში შემოიჭრა და ზაქათალისა და ბელაქნის ციხეების აღებას ლამობდა, მაგრამ ქართველთა და რუსთა რაზმებმა გენერალ გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით ალაზანზე მომდგარი მტერი უკუაგდეს. შამილის ამ დივერსიას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ომის საერთო მსვლელობაზე.

2 ნოემბერს ალექსანდროპოლის მახლობლად სოფ. ბაიანდურთან რუსეთის ჯარებს მორიგი ბრძოლა ჰქონდათ თურქებთან. ალექსანდროპოლიდან დასაზვერად გასულ რუსთა მცირერიცხოვან ჯარს, რომლის შემადგენლობაში მხოლოდ 7 ბატალიონი შედიოდა, სრულიად მოულოდნელად თავს დაესხა მთელი ანატოლიის კორპუსი. რუსთა ჯარი ილია ორბელიანის მეთაურობით მთელი დღის განმავლობაში გმირულად იგერიებდა მტრის თავდასხმას. საღამოს გენერალ ბებუთოვის მიერ მაშველი ჯარის მოყვანის შემდეგ თურქები უკან გაბრუნდნენ და არფაჩაი გადალახეს; ბებუთოვმა კი იმავე ღამით სასწრაფოდ წამოიყვანა ჯარი ალექსანდროპოლში.

**4 ნოემბერს ოფიციალურად გამოცხადდა რუსეთ-თურქეთის ომი.**

**1853 წლის ნოემბრის დასაწყისში თურქების მნიშვნელოვანი ძალები ახალციხისკენ დაიძრა. ახალციხის ხელში ჩაგდება თურქებს ბორჯომის ხეობისა და სურამის გავლით თბილისისკენ გაუხსნიდა გზას.** მტერი ყოველი მხრიდან გარშემოერტყა ახალციხის ციხესიმაგრეს. თურქების ძალები გაცილებით სჭარბობდნენ ახალციხეში დაბანაკებულ რუსის ჯარებს. ყარსიდან, არდაღანიდან და აჭარიდან მტერს ახალ-ახალი ძალები ემატებოდა და ახალციხის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო კრიტიკული ხდებოდა. ახალციხის რაზმის უფროსი, გენერალი კოვალენსკი შეშფოთებული სასწრაფო დახმარებას თხოულობდა. იგი ამიერკავკასიაში სახელგანთქმულ გენერალს, ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს ემუდარებოდა, ჩამოსულიყო ახალციხეში და ხელში აეღო ახალციხის მისადგომებთან ოსმალების განდევნის ორგანიზაცია.

12 ნოემბერს გენერალი ანდრონიკაშვილი მაშველი ჯარებით მივიდა ახალციხეს. პირველივე დაზვერვამ იგი დაარწმუნა, რომ მტერს მეტად ძლიერი, ბატარეებით და თხრილებით გამაგრებული პოზიციები ეკავა. ანდრონიკაშვილის განკარგულებაში მყოფი ახალციხის რაზმი 800 კაცისაგან შედგებოდა. მათ რიცხვში 2 რაზმეული, ერთი ასეული ქართული მილიცია და მოხალისეები იყვნენ. ოსმალთა რაოდენობა კი 20 ათასს აღწევდა. **ახალციხეში მისვლისთანავე 14 ნოემბერს, დილიდან ანდრონიკაშვილმა ოსმალებს საარტილერიო ცეცხლი დაუშინა, მაგრამ დაინახა, რომ არტილერიით სასურველ მიზანს ვერ მიაღწევდა, ჯარი ხელჩართულ ბრძოლაზე გადაიყვანა. მისი იერიში იმდენად ელვისებური და მედგარი იყო, რომ მტერი შედრკა და უკანდახევა დაიწყო. იერიში რამდენიმე საათს გაგრძელდა და 14 ნოემბრის საღამოსთვის სრულიად დემორალიზებული თურქეთის არმია სასტიკად დამარცხებული არდაღანისაკენ გარბოდა.** რუსებისა და ქართველების ლაშქარს ხელთ ჩაუვარდა მდიდარი ნადავლი. თურქებმა ბრძოლის ველზე დატოვეს ზარბაზნები, საარტილერიო ყუმბარები, თოფისწამალი, ვაზნები და სხვ. მოკლული იყო 1500-ზე მეტი თურქი ჯარისკაცი, დაჭრილი — 2000. ახალციხესთან მოპოვებულ გამარჯვებაში განსაკუთრებით ისახელა თავი გორის რაზმმა.

**ახალციხესთან გამარჯვების შემდეგ თბილისში დაბრუნებულ გენერალ ანდრონიკაშვილს ქართველმა ხალხმა საზეიმო შეხვედრა მოუწყო. ქალაქის შემოსასვლელთან მას შეეგებნენ ქართველი თავად-აზნაურების ცხენოსანი რაზმი, მეფისნაცვლის ამალა და მთელი თბილისის მოსახლეობა, საბურთალოს მინდორი მთლიანად მოფენილი იყო ეტლებითა და საზეიმოდ განწყობილი ხალხით. მეზურნეები და საზანდრები სიმღერით მოაცილებდნენ ახალციხის გმირს.**

ქართველი ხალხი თურქებთან პირველ გამარჯვებას ზეიმობდა. ახალციხის ბრძოლის მონაწილენი უხვად იყვნენ დაჯილდოებულნი. რუს რეგულარულ ჯარებთან ერთად დაჯილდოვდა ქართული მილიციის 150-მდე მეთაური და მებრძოლი.

ახალციხესთან გამარჯვების შემდეგ ალექსანდროპოლის რაზმის მეთაურმა და კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა ბებუთოვმა თავისი ჯარები ყარსისკენ დაძრა. 19 ნოემბერს ყარსის მახლობლად სოფელ ბაშკადიკლართან მოხდა გადამწყვეტი შეტაკება ბებუთოვის რაზმსა და თურქეთის ძირითად ძალებს, ანატოლიის კორპუსს შორის. აქაც, მიუხედავად მტრის მრავალრიცხოვნებისა, ბებუთოვმა სასტიკად დაამარცხა ისინი. ბაშკადიკლარის ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ჭავჭავაძემ, რომელიც შემდეგში ამ ბრძოლისთვის გიორგის ჯვრით იყო დაჯილდოებული.

**ბაშკადიკლართან გამარჯვებით დაამთავრა 1853 წლის კამპანია. ბაშკადიკლართან ბრძოლის ერთი დღით ადრე, 18 ნოემბერს ადმირალ ნახიმოვმა სინოპთან თითქმის მთლიანად გაანადგურა თურქეთის ფლოტი.**

**ამიერკავკასიის ცენტრალურ პოზიციებზე მტრის განადგურების პარალელურად გურია-სამეგრელო-იმერეთის საზღვრებზე კვლავ დაძაბული მდგომარეობა გრძელდებოდა. გურიის** ▶

მემკვიდრეობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**სინოპთან თურქების ფლოტის განადგურებამ შეაშფოთა ინგლის-საფრანგეთი, ისინი აშკარად ხედავდნენ იმ საშიშროებას, რაც შავ ზღვაზე რუსეთის გაბატონებისგან მოელოდათ და 1854 წლის იანვარში მოკავშირეთა ფლოტი თურქეთის გემების დაცვის საბაბით, შავ ზღვაში შემოვიდა. ინგლის-საფრანგეთის გაერთიანებული ფლოტის შავ ზღვაში გამოჩენა და უახლოეს მომავალში მოსალოდნელი ომის გაჩაღება, ერთი მხრივ, რუსეთსა და, მეორე მხრივ, მოკავშირე სახელმწიფოთა შორის ძირფესვიანად ცვლიდა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მდგომარეობას — იგი აშკარა კატასტროფის წინაშე იდგა.**

◀ **საზღვრებზე თურქები აძლიერებდნენ ჯარების თავმოყრას, მათი რიცხვი იმ დროისთვის უკვე 30 ათასს აღემატებოდა. ისინი გურია-სამეგრელოდან აფხაზეთში გაჭრასა და მაჰმადიანებისა და შამილის ჯარებთან შეერთებას აპირებდნენ.** რეგულარული ჯარების ნაკლებობის გამო გურია-სამეგრელო-იმერეთის საზღვრების დაცვის სიმძიმე ადგილობრივ მილიციას დააწვა, რომელიც მედგრად იცავდა თავის სამშობლოს. ძალთა სიჭარბის მიუხედავად, ახალციხესთან, ბაშკადიკლართან და სინოპთან რუსების გამარჯვების შემდეგ ოსმალები გურია-იმერეთის საზღვრებზე შეტევითი ომების დაწყებას ველარ ბედავდნენ და მხოლოდ მილიციასთან შეტაკებით კმაყოფილდებოდნენ.

**სინოპთან თურქების ფლოტის განადგურებამ შეაშფოთა ინგლის-საფრანგეთი, ისინი აშკარად ხედავდნენ იმ საშიშროებას, რაც შავ ზღვაზე რუსეთის გაბატონებისგან მოელოდათ და 1854 წლის იანვარში მოკავშირეთა ფლოტი თურქეთის გემების დაცვის საბაბით, შავ ზღვაში შემოვიდა. ინგლის-საფრანგეთის გაერთიანებული ფლოტის შავ ზღვაში გამოჩენა და უახლოეს მომავალში მოსალოდნელი ომის გაჩაღება, ერთი მხრივ, რუსეთსა და, მეორე მხრივ, მოკავშირე სახელმწიფოთა შორის ძირფესვიანად ცვლიდა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მდგომარეობას — იგი აშკარა კატასტროფის წინაშე იდგა.**

მეფისნაცვალ ვორონცოვს კარგად ესმოდა ის საფრთხე, რომელიც შავ ზღვაში მოკავშირეების ფლოტის შემოსვლით შეექმნა საქართველოს. მართალია, მოკავშირეების მიზანი სევასტოპოლი იყო, მათ რუსეთის ფლოტის განადგურება და ყირიმის თურქეთისთვის დაბრუნება უნდოდათ, მაგრამ მათი მხოლოდ გამოჩენაც კი შავ ზღვაზე საკმარისი იყო იმისთვის, რომ რუსეთი კავკასიის საბოლოოდ დაკარგვის სერიოზული საფრთხის წინაშე დამდგარიყო.

შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ხაზის სიმაგრეებს ორი მხრიდან მოელოდა შეტევა, ზღვიდან და ხმელეთიდან, სადაც ჩერქეზები მუდამ მზად იყვნენ მათ შესამუსრავად. შავ ზღვაზე რუსეთის ფლოტის მიერ გაბატონებული მდგომარეობის დაკარგვის შემდეგ, სახმელეთო გზების უვარგისობის გამო, სანაპირო სიმაგრეების გარნიზონის საკვებით და საჭურველით მომარაგებაც კი შეუძლებელი გახდებოდა და გარდა იმისა, რომ სანაპიროს გარნიზონები წინასწარ განწირული იქნებოდნენ, მთელი დასავლეთ საქართველო დაუცველი რჩებოდა.

**ვორონცოვი ითვალისწინებდა, თუ რა განსაცდელში ჩავარდებოდა რუსეთი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან აშკარა განხეთქილების შედეგად და 1854 წლის 18 იანვრის წერილში ნიკოლოზ I-ს სთხოვდა, ყველა ღონე ეხმარა, რომ ინგლის-საფრანგეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე არ მისულიყო საქმე. იგი ურჩევდა იმპერატორს კეთილგონიერებისთვის მოეხმო და ზომიერება გამოეჩინა, ზოგიერთი უმნიშვნელო დათმობის ფასად მშვიდობიანი განწყობილება შეენარჩუნებინა ამ სახელმწიფოებთან, ყველაფერი გაეკეთებინა იმისთვის, რომ ეს უკანასკნელნი ნეიტრალურნი დარჩენილიყვნენ.** წინააღმდეგ შემთხვევაში, იმის გამო, რომ შავ ზღვაზე მტრის ძლიერ ფლოტს რუსეთი ვერ გაუმკლავდებოდა, მას ხელი უნდა აეღო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ყველა სიმაგრეზე. აქ მდგარ გარნიზონებს, გელენჯიკიდან დაწყებული აფხაზეთის საზღვრებამდე, უკანდასახევი გზა არ ჰქონდათ ე.ი. წინასწარ განწირულნი იყვნენ. ყოველივე ამას დამღუპველი შედეგები უნდა მოჰყოლოდა კავკასიაში რუსეთის ძლიერების შენარჩუნებისთვის. როგორც იმპერატორის საპასუხო წერილიდან ირკვევა, მასაც კარგად ჰქონია შეგნებული ის საფრთხე, რომელიც მოელოდა კავკასიას შავ ზღვაზე მოკავშირეების ფლოტის გაბატონებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, სრულიად შეუძლებლად და „დამამცირებლად“ თვლიდა, დათანხმებოდა ვორონცოვს და ევროპის სახელმწიფოების მიმართ წასულიყო თუნდაც უმნიშვნელო დათმობებზე.

**ომის შემდგომი მსვლელობისთვის ნიკოლოზ I აუცილებლად თვლიდა, გაერკვია ავსტრიის პოზიციები და ყოველივე ღონე ეხმარა მისი მხარდაჭერის თუ არა ნეიტრალიტეტის შესანარჩუნებლად მაინც. მაგრამ რუსეთის**



**მოსალოდნელი გამარჯვებით შეშფოთებულმა ავსტრიამ აგრძნობინა მას, რომ რუსი ჯარების მიერ დუნაის გადალახვის შემთხვევაში ავსტრია ყოველმხრივ ეცდებოდა, ხელი შეეშალა მისთვის, რუსეთის ჯარების მიერ ბალკანეთის გადალახვის შემდეგ კი მტრულ პოზიციებს დაიკავებდა. ავსტრიიდან, საზღვარზე, დუნაის სამთავროებისკენ, სასწრაფოდ აგზავნიდნენ ჯარს 50 ათასი კაცის შემადგენლობით.**

**1854 წლის მარტში რუსეთსა და ინგლის-საფრანგეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაწყდა და ინგლის-საფრანგეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. ყოველივე ამის გამო მეფის რუსეთი ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა; ომის შემდგომი მსვლელობა მას კარგს აღარაფერს უქადდა.**

როგორც აღვნიშნავდით, მოკავშირე სახელმწიფოების მიერ მტრული პოზიციების დაკავების შემდეგ, რუსეთი იძულებული იყო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სიმაგრეები დაეტოვებინა. ამ სანაპიროებისკენ ვიცე-ადმირალ სერებრიაკოვის მეთაურობით გაიგზავნა ესკადრა, რომელმაც გელენჯიკის, ნოვოროსიისკისა და ანაპის გარნიზონები დაღუპვას გადაარჩინა. 1854 წლის მარტში მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელმა, გენერალმა რეადმა, საჭიროდ მიიჩნია რუსი ჯარების გამოყვანა აფხაზეთიდან. ამ უაღრესად ძნელი ოპერაციის შესრულება მან აფხაზეთის მთავარს, გენერალ-ადიუტანტ მიხეილ შარვაშიძეს მიანდო. შარვაშიძეს ჩრდილო კავკასიის ტომებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და დიდი გავლენით სარგებლობდა მათ შორის. მიხეილმა ყოველი ღონე იხმარა ამ დავალების წარმატებით შესასრულებლად და, მართლაც, მოახერხა, სრულიად უდანაკარგოდ გამოეყვანა რუსის ჯარი აფხაზეთიდან სამეგრელოში.

**შავი ზღვის აღმოსავლეთ სიმაგრეებიდან და აფხაზეთიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ დასავლეთ საქართველო სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში ვარდებოდა — მტერს სამეგრელოსა და იმერეთში შემოსაჭრელად გზა გახსნილი ჰქონდა.** მართალია, აფხაზეთიდან გამოყვანილი 5 ბატალიონით გურიის რაზმი გაძლიერდა, მაგრამ ეს უმნიშვნელო გაძლიერება იმ საფრთხესთან შედარებით, რაც დასავლეთ საქართველოს სანაპირო სიმაგრეებისა და აფხაზეთის ევაკუაციით მოელოდა, არაფერს ნიშნავდა. 1854 წლის კამპანიაში კავკასიის ფრონტზე „რიონის მხარის“ დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. საჭირო იყო გურიის რაზმის გაძლიერება, კავკასიის ცენტრალური პოზიციებიდან მაშველი ჯარების გადასროლა დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ამ დროისთვის ყარსთან 60 ათასი კაცისგან შემდგარი ანატოლიის კორპუსი მოვიდა და სრულიად შეუძლებელი გახდა ამ ღონისძიების ჩატარება.

**ომის კრიტიკულ ეტაპზე ახალციხე-გურიის რაზმების უფროსად დაინიშნა გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი. ანდრონიკაშვილი სასწრაფოდ გაემგზავრა ოზურგეთში და ენერგიულად შეუდგა გურიის რაზმის საბრძოლო წესრიგში მოყვანას.** 1854 წლის მარტის ბოლოსთვის გურიის რაზმში სულ 10 ბატალიონი, 2 ასეული რეგულარული ჯარი და 40 ასეულამდე სახალხო მილიცია ითვლებოდა. ისინი განლაგებული იყვნენ ოზურგეთის განაპირა მხარეებსა და ჩოხატაურის მაღლობებზე. მოსალოდნელი იყო მტრის თავდასხმა ბათუმისა და სოხუმ-კალეს მხრიდან. გარდა ამისა, შესაძლებელი იყო თურქები შეტევაზე გადმოსულიყვნენ არდაღანიდან და აჭარიდან და თავს დასხმოდნენ ახალციხეს. ანდრონიკაშვილმა აუცილებლად მიიჩნია მჭიდრო კავშირის დამყარება გურიისა და ახალციხის რაზმებს შორის, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონოდათ, საჭიროების შემთხვევაში მსწრაფლ დახმარებოდნენ ერთმანეთს. ამ მიზნით, მან ბრძანა, წესრიგში მოეყვანათ იმერეთ-ახალციხის დამაკავშირებელი ყველაზე უფრო მოსახერხებელი აბასთუმნის გზა. აბასთუმნის გზის დაცვა ქუთაისის მცხოვრებლებს დაევალათ.

**ზამთრის განმავლობაში თურქებმა ახალციხესთან განადგურებული რაზმის ნაცვლად შეადგინეს 34-ათასკაციანი კორპუსი, რომელიც საუკეთესო მებრძოლებით იყო დაკომპლექტებული. ჯარს სელიმ ფაშა მეთაურობდა. იგი ბათუმიდან უნდა შემოჭრილიყო გურიაში. ამავე დროს ყარსში დაბანაკებული 60-ათასიანი ანატოლიის კორპუსი ალექსანდროპოლს ემუქრებოდა, ხოლო ბაიაზეთიდან თურქებმა ერევნისკენ ძლიერი რაზმი წამოსწიეს წინ. ამ ჯარებს თბილისში მოეყარათ თავი, ე.ი. კავკასიის კორპუსი იძულებული იყო 3 მხრით ებრძოლა.**

თურქები ბათუმიდან ქობულეთში გადმოვიდნენ, მოკავშირეების ფლოტმა რედუტ-კალეში, ანაკლიაში, სოხუმსა და სხვა მიტოვებულ სიმაგრეებში დესანტი გადმოსხა. ასეთ პირობებში ანდრონიკაშვილმა ოზურგეთში გაჩერება მიზანშეწონილად არ მიიჩნია და გადაწყვიტა, ვიდრე ციებ-ცხელებისგან განაწამები ჯარი გამოკეთდებოდა, საკვების, ფურაჟისა და ტყვია-წამლის მიწოდების საქმეს წესრიგში მოიყვანდა, დროებით უკან — რიონისკენ დაეხია. იგი სრულიად სამართლიანად ფიქრობდა, რომ, თუ რუსის ჯარი ოზურგეთში იქნებოდა გაჩერებული, სელიმ-ფაშა მოვლითი გზებით ქუთაისისკენ გასწევდა, ხოლო რიონზე მისი დაბანაკების შემთხვევაში, მტერი ოზურგეთში შეჩერდებოდა.

**ანდრონიკაშვილმა ჯარი რიონის ორივე ნაპირზე აკეთის სიმაღლეებთან დააბანაკა. რეგულარული ჯარის ოზურგეთიდან გამოყვანის შემდეგ თითქმის ნახევარი გურია სახალხო მილიციის ამარა რჩებოდა. მშვიდობიანი მოსახლეობა იარაღს ისხამდა და მტრის დასახვედრად ემზადებოდა. გურული თავად-აზნაურები და გლეხები საზეიმო ფიცს დებდნენ, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებდნენ.**

გურიის მილიციის მეთაური მალაქია გურიელი შეკვეთილში დაღუპული გიორგი გურიელის ძმა იყო. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში და, როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, ძალიან მოხდენილი ვაჟკაციც ყოფილა. კავკასიის მეფისნაცვალი მურავიოვი მას „გურული ხალხის მშვენებას“ უწოდებდა.

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**

**დასასრული შემდეგ ნომერში**




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეჩვიდმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ახალი თაობის და მსოფლიო ... არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**მთელი დედამიწა დაყოფილია ზონებად, რომელთა მასშტაბითაც ამინდს თანამგზავრები ადევნებს თვალყურს. აშშ-ის არმიის სარდლობა რამდენიმე წუთში იღებს მეტეოცნობებს იმ რეგიონის შესახებ, სადაც ოპერაცია უნდა განხორციელდეს. ამ ცნობების მიხედვით სამხედრო მეტეოროლოგები ირჩევენ კლიმატური დარტყმის ტიპს — გვალვას, ქარბუქს ან წყალდიდობას. ამის შემდეგ თვითმფრინავებში ჩატვირთავენ აუცილებელ რეაგენტებს და პიკის საათში მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ატმოსფეროს ამუშავებენ.**

# HAARP — კლიმატური იარაღი, ანუ ამინდის გამოყენება სამხედრო მიზნებისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10-15

**პირველად ამინდზე ხელოვნური ზემოქმედება 1946 წელს განხორციელდა. მაშინ ამერიკელმა ქიმიკოსმა ვინსტონ შატერმა თვითმფრინავიდან კილოგრამ-ნახევარი მშრალი ყინული გადმოყარა, რამაც თოვლის მოსვლა განაპირობა. ნალექების პროვოცირების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ღრუბლებში თვითმფრინავის, რაკეტების ან ჭურვების საშუალებით იფანტება სპეციალური რეაგენტები — ვერცხლის, მშრალი ყინულის ან ჩვეულებრივი ცემენტის შენაერთები. ისინი იზიდავს სისველეს, რომელსაც ატმოსფერო შეიცავს, მძიმდება და შემდეგ წვიმის ან სველი თოვლის სახით მოდის. აშშ-ში 40-იანი წლების დასასრულს ნალექების ხელოვნურად გამოწვევის შესაძლებლობათა ნამდვილი ბუმი იყო. კომერციული ფირმები პირდაპირ სთავაზობდნენ ფერმერებს კლიმატურ მომსახურებას. ბუნებრივი სტიქიის კოლოსალური ძალა შეიძლებოდა მასობრივი განადგურების იარაღად ქცეულიყო.**



**დოქტორი ავნი ბრუქსი, გეოფიზიკოსი, ინჟინერი:**

— ჩემი კვლევები იმაზე მეტყველებს, რომ არასწორად მიცემული გამოსხივების პარამეტრები შეიძლება ენერგიის კატასტროფული გამოფრქვევის მიზეზი გახდეს. ცა აფეთქდება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. პრაქტიკულად შეუძლებელია იმის გამოთვლა, თუ რა ტემპერატურაზე წარიმართება რეაქცია და რა შედეგებით დასრულდება. უნდა გავაცნობიეროთ ერთი უბრალო ფაქტი: ამგვარი ექსპერიმენტების შედეგი შეიძლება გახდეს ორგანული ნივთიერების აბსოლუტურად მთლიანი მასის განადგურება რამდენიმე შტატის ტერიტორიის მასშტაბით. არა მგონია, დედამიწელები აალებული ატმოსფეროს სანახაობით მოიხიბლონ. ამის მიზეზი კი შეიძლება გახდეს იმ ექსპერიმენტატორების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომლებმაც იონოსფეროზე ცდების ჩატარება გადაწყვიტეს.



დოქტორი ნიკოლას ბეგიჩი, წიგნის „ჰარპი — არმაგედონის იარაღი“ ავტორი, ამბობს: როდესაც წავიკითხე ნიკოლა ტესლას გამოგონების აღწერილობა და ბერნარდ ისტლანდის პატენტის აღწერილობა, მივხვდი, რომ ჰარპი არის ვარსკვლავური ომების იარაღის პროტოტიპი. **ვარსკვლავური ომების პროგრამის ძირითადი იდეა საბჭოთა ატომური ბომბებისგან აშშ-ის ერთგვარი დამცავი ფარის შექმნა იყო.** 1987 წელს დოქტორი ედვარდ ტელერი ვარსკვლავური ომების პროგრამის ახალ კომპონენტზე — ჩრდილოეთ ალიასკაზე დისლოცირებულ სხივურ იარაღზე საუბრობდა. ხომ არ შეიძლება, რომ ამ სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი სწორედ ჰარპი იყოს? დედამიწის ზედა ბაზირების სისტემას, კოსმოსურ ფარებთან შედარებით, თავის სასარგებლოდ სერიოზული არგუმენტები აქვს. თანამგზავრები ბევრად უფრო სუსტია, საექსპლოატაციო მომსახურება და სარემონტო სამუშაოები კი ორბიტაზე უდიდეს თანხებთანაა დაკავშირებული. ტეილორმა ალიასკაზე ლაზერული იარაღის სისტემის განლაგება განახორციელა. ეს ლაზერული სისტემა გასაიდუმლოებული იყო და მასზე ხმამაღლა არავინ საუბრობდა.

1995 წელს კონგრესმა სრულად შეწყვიტა პროგრამა „ვარსკვლავური ომების“ დაფინანსება, მაგრამ ჰარპმა განვითარება განაგრძო. რეიგანის ადმინისტრაცია მთელი ძალით ცდილობდა, ელექტრომაგნიტური საბრძოლო სისტემების სფეროში დიდი გარღვევა მოეხდინა. ამ მცდელობას პროექტი „მძინარე მზეთუნახავი“ დაერქვა.



**ბორის როდიონოვი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**

— 12 წლის წინათ ამერიკაში გახლდით, დიდ კონგრესზე. როდესაც დარბაზში შევედი, თვალები გამიფართოვდა. მეგონა, სამეცნიერო ღონისძიებაზე მივდიოდი, იქ კი უმეტესობა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სამხრეებიან ფორმებში დამხვდა. მათ დიდ ნაწილს პოლკოვნიკის წოდება ჰქონდა. განიხილებოდა სწორედ ჰარპის მსგავსი პროექტი პლანარული, ანუ ბრტყელი რადიოგამომსხივებლების სისტემის პროექტი. ბრტყელი სისტემები გამოიყენება იმ ანტენების სანაცვლოდ, რომლებიც ხელს უშლის თვითმფრინავებს. პლანარულის შემთხვევაში თვითმფრინავის ფრთაზე გამოსახულია რაღაც ნახატი, თვითმფრინავი მიფრინავს და ამავე დროს ის მშვენიერი გამომსხივებელია.

2002 წელს აშშ-ის სენატში გაიმართა დახურული მოსმენა, რომლის დროსაც წარადგეინეს მოხსენება სახელწოდებით „ამინდი, როგორც ძალის გამაძლიერებელი“. აი, როგორ წარმოუდგენიათ ამერიკელ სამხედროებს მეტეობრძოლების მომავალი: **მთელი დედამიწა დაყოფილია ზონებად, რომელთა მასშტაბითაც ამინდს თანამგზავრები ადევნებს თვალყურს. აშშ-ის არმიის სარდლობა რამდენიმე წუთში იღებს მეტეოცნობებს იმ რეგიონის შესახებ, სადაც ოპერაცია უნდა განხორციელდეს. ამ ცნობების მიხედვით სამხედრო მეტეოროლოგები ირჩევენ კლიმატური დარტყმის ტიპს — გვალვას, ქარბუქს ან წყალდიდობას. ამის შემდეგ თვითმფრინავებში ჩატვირთავენ აუცილებელ რეაგენტებს და პიკის საათში მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ატმოსფეროს ამუშავებენ.** მოხსენების მომმზადებელი სამხედროები კანონმდებლებს ურჩევდნენ, გასცდენოდნენ იმ კონვენციის ჩარჩოებს, რომლებიც გარემოზე სამხედრო ზემოქმედებას კრძალავს. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ კლიმატური იარაღი მსოფლიოში ისეთივე გადატრიალებას გამოიწვევდა, როგორიც პირველმა ატომურმა ბომბებმა გამოიწვია.







**კონსტანტინე სივკოვი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცეპრეზიდენტი:**

— ამჟამად ჰარპი განკუთვნილია, ძირითადად, იონოსფეროსა და გეოფიზიკურ პროცესებზე ზემოქმედებისთვის. მას შეუძლია მიწისძვრების გამოწვევა, ამინდის შეცვლა, მართვის ელექტრონული სისტემების, ელექტროკავშირგაბმულობისა და ნავიგაციის სისტემების მუშაობის მოშლა, კოსმოსური აპარატების მწყობრიდან გამოყვანა.

ასევე აუცილებელია, აღინიშნოს, რომ გეოფიზიკური იარაღის შემუშავებაზე კიდევ მთელი რიგი ქვეყნები მუშაობენ. მაგალითად, ჩინეთი ყოველწლიურად 40 მილიონ დოლარს ხარჯავს, რათა 35 ათასი ადამიანისგან შემდგარი შტატი შეინარჩუნოს და მათი დახმარებით წვიმის გამოწვევით მოსავალი გვალვისგან იხსნას.



**გაზეთი „ინდეფენდენტი“ 2001 წელს წერდა, რომ ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო კლიმატური ომებისთვის ემზადება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ირწმუნებოდნენ, რომ ანალოგიური სამზადისი მიმდინარეობს ისრაელში, იაპონიასა და სამხრეთ კორეაშიც.**



1999 წლის იანვარში ევროკავშირმა ჰარპს მსოფლიოს მღელვარების საგანი უწოდა და მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც მეტი ინფორმაცია უნდა იქნეს ხელმისაწვდომი ჯანმრთელობისა და გარემოსთვის შესაძლო ზიანის მიყენების თაობაზე. დღეისათვის მსოფლიოს წამყვანი ზესახელმწიფოების მეცნიერები ძალზე ახლოს არიან ამინდზე ზეგავლენის შესაძლებლობებთან, მაგრამ კაცობრიობას სიფრთხილე მართებს — ბუნებასთან ბრძოლისას გამარჯვება, შესაძლოა, ძალზე ძვირი დაჯდეს.



1968 წელს საბჭოთა მეცნიერები იტყობინებოდნენ, რომ მათ მოახერხეს, დაედგინათ, რა სიხშირის ელექტრომაგნიტური იმპულსები განაპირობებს ტვინისა და ფიზიოლოგიური პროცესების სტიმულირებას. დაადგინეს ისიც, თუ რა იმპულსები განაპირობებს უკურეაქციას, ანუ იმავე პროცესების შეფერხებას. 1975 წელს საბჭოთა კავშირში ჩატარდა ექსპერიმენტი, რომლის მიზანიც იყო უკიდურესად დაბალი სიხშირეების შესწავლა ტვინის რიტმების რეზონანსული სიხშირის დიაპაზონში. **დასავლურ პრესაში არაერთხელ გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საბჭოელები ზემოქმედებას ახდენდნენ ამერიკის საელჩოს თანამშრომლებზე, ამ ზემოქმედების შედეგად კი მათში ნერვულ აშლილობასა და დეპრესიას იწვევდნენ.**

აშშ-ის არიზონას შტატის ქალაქ იუჯინში მოსახლეობა ისეთი გამოსხივების მსხვერპლი გახდა, რომ სენატორმა ნელსონმა აიძულა აშშ-ის სარდლობა, გამოექვეყნებინა მონაცემები, რომელთა თანახმადაც უკიდურესად დაბალი სიხშირეების რადიოგამოსხივება ზეგავლენას ახდენს სისხლის ბიოქიმიაზე. 1976 წელს დოქტორმა სიუზენ ბოუინმა წარმოადგი- ▶

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ოთხწლიანი პროექტი „რეფლექსის“ ფარგლებში შეისწავლეს მობილური ტელეფონების გამოსხივების ზემოქმედება ადამიანისა და ცხოველების ცოცხალ უჯრედებზე. ექსპერიმენტის მსვლელობისას აღმოჩნდა, რომ გამოსხივება იწვევს დნმ-ის სერიოზულ დაზიანებას, რამაც შეიძლება სხვადასხვა დაავადება და, თუ დაზიანებულია სასქესო უჯრედები, არასრულფასოვანი ბავშვების დაბადება განაპიროზოს. დაზიანებული დნმ-ის შემცველი ერთი უჯრედი, შესაძლოა, კეთილი ან ავთვისებიანი სიმსივნის საწყისად იქცეს. დაავადებათა უმეტესობას ფარული პერიოდი აქვს. ამიტომ მიყენებული ზიანის მთელი მასშტაბის დადგენა მხოლოდ წლების შემდეგ გახდება შესაძლებელი.**

◀ნა ნერვული უჯრედები, რომლებმაც უკიდურესად დაბალი სიხშირის მაგნიტური ველის ზემოქმედების შედეგად პარალიზება განიცადა. 80-იანი წლების დასასრულს აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ უკიდურესად დაბალი სიხშირის ტალღების გენერირებისთვის კოშკების ქსელი გამართა.



**ლეონიდ ივაშოვი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-პოლკოვნიკი:**

— ჩვენთან, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში, სხვა, სამოქალაქო უწყებებშიც მუშაობდა სპეციალური სტრუქტურები, რომლებიც აფიქსირებდა, რომ, მაგალითად, 1999 წლის აგვისტოში ჰარპი მუშაობდა სწორედ მოსკოვის რაიონსა და კრასნოდარის ოლქზე. მაშინ ძალიან ცხელოდა და აქ არა მხოლოდ ცხელი ამინდი დაგვიყენეს, ჩვენ ვიგრძენით, რომ ხორციელდებოდა ჩვენი ხალხის, ჩვენი ხელმძღვანელობის ნებელობის ფსიქოტრონული დათრგუნვა. ეს არის იარაღის მეორე ტიპი, რომლითაც პერსპექტიულ შეიარაღებათა განყოფილების დეპარტამენტი „პ“ არის დაკავებული.



რამდენადაც ჰარპი ზემოქმედებას ახდენს დედამიწის ელექტრომაგნიტურ ველზე — იონოსფეროზე, ეს გარდაუვალ ზემოქმედებას მოახდენს ადამიანების ჯანმრთელობასა და ფიზიოლოგიაზე. **ზემძლავრ ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას შეუძლია არა მხოლოდ ადამიანის ფსიქიკა მოშალოს, არამედ მთლიანად გამოიყვანოს მწყობრიდან და ფიზიკურად გაანადგუროს კიდეც მოწინააღმდეგე.** გარკვეული სიხშირის სიგნალი, რომელიც მიმართული იქნება ადამიანთა ჯგუფისკენ, აბსოლუტურად ერთგვარად ცვლის მათ განწყობასა და ხასიათს. თუ ზემოქმედება განხორციელდება ამ სიგნალების გარკვეული კომბინაციითა და თანმიმდევრობით, მაშინ შესაძლებელი იქნება ადამიანის ემოციების კონტროლი. ამრიგად, აბსოლუტურად რეალურადაა შესაძლებელი ბედნიერების, მწუხარების ან ნებისმიერი სხვა ემოციის წინასწარ დაგეგმვა.

**კონსტანტინე სივკოვი:**

— ჰარპს შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის ცნობიერებაზე იონოსფეროში დაბალსიხშირიანი ტალღური პროცესების გამოწვევის შედეგად. ეს იონოსფეროში წარმოქმნილი ძალზე დაბალსიხშირიანი ტალღებია, რომელთა გარკვეულ სპექტრს ადამიანის ორგანიზმზე ფიზიკური ზემოქმედების უნარი ახასიათებს. ზემოქმედება უფრო მძლავრია, თუ ეს სიხშირეები ემთხვევა ადამიანის ტვინის 5-6-ჰერციან რითმებს. მხოლოდ იონოსფეროს მოდიფიცირებით და მასში დამატებითი ტალღური პროცესების ინიცირებით, შემდეგ კი ამ პროცესების ადამიანის ორგანიზმისკენ მიმართვით შეიძლება განპირობებულ იქნეს ადამიანთა განწყობილების ცვლილება — შეიძლება აბსოლუტურად უმიზეზოდ იქნეს გამოწვეული შიშის, სიხარულის ან რაიმე სხვა განცდა.





**ჯერი სმიტი, HAARP-ის წინააღმდეგ ბრძოლის აქტივისტი, დოკუმენტური ფილმის „შეთქმულების თეორია“ ავტორი:**

— მინდა, აღვნიშნო, რომ ეს არის აშშ-ის ხელისუფლების მიერ შემუშავებული ყველაზე საშინელი პროექტი, რომელიც სწორედ ახლა მოქმედებს ჩვენს ატმოსფეროზე და საზოგადოებამ კი ჯერაც არაფერი იცის ამის შესახებ. ჰარპის მიერ გენერირებულ ტალღებს შეუძლია იმაზე უფრო დიდ სიღრმეებში შეღწევა, ვიდრე ოკეანის სიღრმეა — ჩვენი ტვინის სიღრმეში. **იმ ტალღების სიხშირე, რომელთა საშუალებითაც ისინი აშუქებენ მიწისქვეშა ბაზებს და უკავშირდებიან წყალქვეშა ნავებს, დაახლოებით იმ სიხშირეს უტოლდება, რომელზეც ადამიანის ტვინი მუშაობს.**

ტვინის სიგნალებიც, თავისი არსით, იგივე რადიოტალღებია და ტვინის მართვა შეიძლება გარედან მიმართული სიგნალებითაც.

**ლეონიდ ივაშოვი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-პოლკოვნიკი:**

— ფსიქოტრონული იარაღის არსენალშია გადაცემული უზარმაზარი სარაკეტო კრეისერიც, ამ კრეისერის მხარდამჭერი ოთხი გემიც. როგორც კი სადღაც რაღაც პრობლემური საკითხები წამოიჭრება ხოლმე, მაგალითად, უკრაინის არჩევნების მდგომარეობის მსგავსი, კრეისერი პრობლემის ლოკალიზაციის ტერიტორიას უახლოვდება.



ის მუშაობდა თურქეთთან, ახლა ირანის ირგვლივ ტრიალებს, რათა ადამიანთა ნება სწორედ ამ ტალღური პროცესების გამოყენებით დათრგუნოს და ჩაახშოს. ეს ყველაფერი რეალობაა, მაგრამ, როგორც კი ჩვენმა მეცნიერებმა ამის თაობაზე მოხსენებების წერა დაიწყეს და აღნიშნეს, რომ მასების წინააღმდეგ ესოდენ მძლავრი იარაღი გამოიყენება, მათი სამუშაო სტრუქტურები დაიშალა, სპეციალისტები სამსახურებიდან დაითხოვეს. საუკეთესო შემთხვევაში თემატიკა გადაეცემოდა იმ ინსტიტუტებს, რომლის ხელმძღვანელობაც შედგება ამერიკის ავია, რადიოელექტრონული და სხვა კომპანიების დირექტორთა საბჭოებისგან.

ელექტრომაგნიტური ტალღებით ტვინზე გარეგან ზემოქმედებას შეუძლია მისი რიტმე-





ბის ცვალებადობა გამოიწვიოს და სიგნალის გარეგან წყაროს სიხშირეს დაუქვემდებაროს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **იმპულსების გარეგანი გენერატორი მაგნიტური ველის გარკვეული დაძაბულობის შექმნით ძალადობრივად ცვლის ტვინის მუშაობის დომინირებად სიხშირეს.** ეს კი განაპირობებს მისი ქიმიური შემადგენლობის შეცვლას და ფსიქიკური მდგომარეობის ცვალებადობას, მათ შორის ემოციების, აზრობრივი ქმედებისა და თვითშეგრძნების მერყეობას.

**ბორის როდიონოვი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**

— ადამიანში ბუნებრივად ცვალებადობის მთელი რიგი პროცესები მიმდინარეობს. როდესაც ამ ყველაფერს რამენაირად შეარყევთ, ამას შეიძლება არა მხოლოდ ფიზიოლოგიური, არამედ ფსიქიური რეაქციებიც მოჰყვეს.

**კონსტანტინე სივკოვი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცეპრეზიდენტი:**

— ეს არის ადამიანების ცნობიერებაზე ზემოქმედების მოხდენის, მისი მართვის გლობალური იარაღის შექმნის მცდელობა. იდეა ძალზე მარტივია: იონოსფეროში წარმოიქმნება ერთგვარი იონური ლინზა, შემდეგ კი იმავე ჰარპის სისტემის ერთ-ერთი ანძა ამ ლინზაზე მიმართავს მაღალსიხშირიან გამოსხივებას.



გამოსხივება მოდულირდება იმ სიხშირის შესაბამისად, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ტვინზე, კერძოდ თავად თავის ტვინის მოქმედების სიხშირის შესაბამის ან ადამიანის ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობისთვის მნიშვნელოვან სიხშირეებზე. ამ იონური ლინზიდან არეკლილი სიგნალი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს, ხანდახან — მთელ კონტინენტსაც კი. შესაბამისად, სწორედ ამ მასშტაბის ტერიტორიებზე ახდენს მოსახლეობის ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობაზე ზემოქმედებას.



**ჯერი სმიტი:**

— არსებობს თუ არა სამხედრო მიზნებით ამ ტექნოლოგიების გამოყენების დადასტურებული მაგალითები? დიახ, არსებობს! **არსებობს ფაქტები, რომლებიც ერაყთან ომის დროს სამხედრო მოქმედებების ტერიტორიაზე ადამიანთა ცნობიერებაზე ზემოქმედებას ადასტურებს.**

როდესაც ტანკები ბრძოლის ველს მიუახლოვდნენ, მოწინააღმდეგის ჯარები სამალავიდან გამოდიოდნენ, მაგრამ ბრძოლის უნარი მათ არ ჰქონდათ. ჯარისკაცები მასობრივად ნებდებოდნენ.

**მას შეუძლია ხანგრძლივად შეუნარჩუნოს ადამიანს ენერგიულობა, გამოიწვიოს მასში პანიკა, ნაწლავების მუშაობის მოშლაც კი განაპიროზოს. HAARP-ს შეუძლია ადამიანი გიჟად აქციოს, კოშმარული ჰალუცინაციები დამართოს.**

ახლა კალიფორნიის შტატში მთავრობა ტესტავს უსაფრთხოების ახალ სახეობას, რომელიც მსჯავრდებულთა მოსარჯულებლად მიკროტალღურ სისტემას გამოიყენებს. ცნობილმა ექიმმა ხოსე დელგადომ აღმოაჩინა, რომ ობიექტზე სხვადასხვა სიხშირის ელექტრომაგნიტური იმპულსების ზემოქმედებას შეუძლია მთლიანად აკონტროლოს მისი ფსიქიკური და ემოციური მდგომარეობა. გარდა ამისა, მეცნიერმა თვალნათლივ აჩვენა, რომ უკიდურესად დაბალი სიხშირის ტალღები ცხოველთა ემბრიონების განვითარების პროცესში გენეტიკური მუტაციებისა და პათოლოგიების რაოდენობის მნიშვნელოვან მატებას განაპირობებს. ამ კვლევების შედეგები თავისუფლად შეიძლება ადამიანის ემბრიონის განვითარებაზეც გავრცელდეს.



**მეცნიერთა კვლევების თანახმად, მობილური ტელეფონების გამოსხივება უდიდეს ზიანს აყენებს ადამიანთა ჯანმრთელობას.** შვედი მეცნიერი ლეიფ სალფორდი ამის თაობაზე ამბობს: **„ადამიანების ნებაყოფლობითი თანხმობა, საკუთარი ტვინი მობილური ტელეფონების მიკროტალღურ გამოსხივებას დაუქვემდებარონ, ისტორიის მანძილზე უმსხვილესი ბიოლოგიური ექსპერიმენტია“.**

ოთხწლიანი პროექტი „რეფლექსის“ ფარგლებში შეისწავლეს მობილური ტელეფონების გამოსხივების ზემოქმედება ადამიანისა და ცხოველების ცოცხალ უჯრედებზე. ექსპერიმენტის მსვლელობისას აღმოჩნდა, რომ გამოსხივება იწვევს დნმ-ის სერიოზულ დაზიანებას, რამაც შეიძლება სხვადასხვა დაავადება და, თუ დაზიანებულია სასქესო უჯრედები, არასრულფასოვანი ბავშვების დაბადება განაპირობოს. დაზიანებული დნმ-ის შემცველი ერთი უჯრედი, შესაძლოა, კეთილი ან ავთვისებიანი სიმსივნის საწყისად იქცეს. დაავადებათა უმეტესობას ფარული პერიოდი აქვს. ამიტომ მიყენებული ზიანის მთელი მასშტაბის დადგენა მხოლოდ წლების შემდეგ გახდება შესაძლებელი.

**კონსტანტინე სივკოვი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცეპრეზიდენტი:**

— მობილური ტელეფონების გამოსხივება ზემოქმედებას ახდენს უჯრედების სიცოცხლისუნარიანობაზე. თუ ამ გამოსხივების სიხშირე დაემთხვევა ადამიანის ორგანიზმისთვის მნიშვნელოვან სიხშირეებს, თავის ტვინის მოქმედების სიხშირეს, ან სიცოცხლისუნარიანობისთვის შესაბამის სხვა ნებისმიერ რიტმებს, მაშინ ეს სიგნალი, ცხადია, მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოახდენს ადამიანის ორგანიზმზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს სიხშირეები ერთმანეთს არ დაემთხვევა, მობილურის ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე უმნიშვნელო იქნება.



**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**კერძო კომპანიების ინტერესების შესაბამისად, დაზვერვაში ჩართული სპეცსამსახურები ხშირად სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, რაც სახელმწიფოს მხრიდან მათზე კონტროლის ნაწილობრივ დაკარგვას ნიშნავს. ინფორმაციის ყოველდღიური გაცვლითა და კერძო კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობით, სპეცსამსახურები გავლენას ახდენენ არა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკაზე, არამედ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის სხვა დონეებზეც და, ფაქტობრივად, მრავალ მსოფლიო პროცესში დამოუკიდებელ მოთამაშეებად ყალიბდებიან.**

# სპეცსამსახურები და აშშ-ის მსხვილი ბიზნესი

დასასრული. დასაწყისი იხ. №15

**ნაციონალური უშიშროების სააგენტო აგროვებდა ცნობებს, რომლებიც ინდონეზიისა და თანამგზავრული ალჭურვილობების მწარმოებელ იაპონიურ კორპორაციას შორის 200 მილიონი დოლარის ღირებულების გარიგებას ეხებოდა. საქმეში თავად პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ უფროსი ჩაერთო და საბოლოო ჯამში კონტრაქტი ამერიკულმა კომპანიამ „AT&T"-მა ჩაიგდო ხელში. 1992-1993 წლებში ნაციონალური უშიშროების სააგენტოს დახმარებით ჩაიშალა „ჯენერალ მოტორსის" ერთ-ერთი ტოპ-მენეჯერის მცდელობა, კორპორაციის სამრეწველო საიდუმლოებები გერმანულ კონცერნ „ფოლკსვაგენისთვის" გადაეცა.**

ნიკოლაი სიომინი






პრეზიდენტ კლინტონის განკარგულებით, ნაციონალური უშიშროების სააგენტომ და გამოძიების ფედერალურმა ბიურომ 1993 წელს სიეტლში მდებარე სასტუმროში აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის კონფერენცია ჩაატარა. როგორც გაირკვა, ვიეტნამში მომავალი თბო და ჰიდრო ელექტროსადგურების მშენებლობათა გეგმების შესახებ ინფორმაცია პირდაპირ სატენდერო შერჩევაში მონაწილე კომპანიის ხელმძღვანელობასთან გაიგზავნა. იგივე ორგანიზაცია ამერიკის დემოკრატიული პარტიის სპონსორიც იყო.

**1993 წელს პრეზიდენტმა კლინტონმა პირდად დაავალა ცსს-ს, იაპონური საავტომობილო კონცერნების მოწინავე გამოგონებებისთვის ედევნებინათ თვალი და ინფორმაცია პირდაპირ ამერიკული ავტომრეწველობის დიდი სამეულისთვის — „ფორდის", „ჯენერალ მოტორსისა" და „კრაისლერისთვის" მიეწოდებინათ.**

1994 წელს საუდის არაბეთის ნაციონალურ ავიაკომპანიასთან ექვსმილიარდიანი კონტრაქტის მოსაპოვებლად საქმეში ნაციონალური უშიშროების სააგენტო ჩაერთო. სატელეკომუნიკაციო თანამგზავრების დახმარებით იშიფრებოდა ფაქსები, ისმინებოდა ტელეფონები და გამოაშკარავდა საუდის არაბეთის მთავრობის მიერ ევროპულ კონსორციუმ „ეირბასისგან" ქრთამების მიღება. ინფორმაცია ამერიკულ „ბოინგსა" და „მაკდონელ-დუგლასს" გადაეცა, რის შედეგადაც კონტრაქტი ამ უკანასკნელთა საკუთრება გახდა.

შეიძლება ითქვას, რომ 90-იან წლებში ამერიკული დაზვერვის ეკონომიკურ მოღვაწეობაში შემდეგი ასპექტები, უფრო სწორად კი დონეები, ჩამოყალიბდა:

**მაკროეკონომიკური დაზვერვა — უცხოეთის ქვეყნების ეკონომიკის განვითარების შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის, მათ შორის ნედლეულის, კრიტიკული ტექნოლოგიების, ფინანსური სისტემების, საერთაშორისო ვალუტების შესახებ ცნობების შეგროვება;**

**ეკონომიკური კონტრდაზვერვა — უცხოელი კონკურენტებისა და სპეცსამსახურების მიერ ამერიკის სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინფორმაციის მოპოვების მცდელობათა აღკვეთა;**

**მიკროეკონომიკური დაზვერვა — უცხოელი კონკურენტების კომერციული და სამრეწველო საიდუმლოებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.**

1980-ან წლებში 50-წლიანი არსებობის ისტორიაში ყველაზე დიდი ბიუჯეტები ცსს-სა და ნაციონალური უშიშროების სააგენტოს 1990-იანი წლების დასაწყისიდანვე 14%-ით შეუმცირეს, მაგრამ სპეცსამსახურები მუდამ ცდილობდნენ, ამგვარი შემცირებები დამატებითი ფინანსირებით აენაზღაურებინათ. **ცსს-მ ახალი ფინანსური ნაკადების წყაროდ ბიზნესთან მჭიდრო ურთიერთობა და კერძო ფირმებისთვის სადაზვერვო ინფორმაციის გადაცემა აქცია.** ცსს-ს ყოფილი დირექტორის — ჯ. ვულსის თქმით, საკითხი, ოფიციალურად დაერთოთ თუ არა სპეცსამსახურებისთვის ბიზნესთან ურთიერთობის ნება, 1990-იან წლებში „დაზვერვის სტრატეგიის განვითარების დღის წესრიგის ყველაზე ცხელ თემად" იქცა. საკითხი ამდენადვე აქტუალური იყო ფირმებისთვისაც. ერთის მხრივ, ამ ინფორმაციის საფუძველზე ამერიკული კომპანიები მსოფლიო ბაზარზე პოზიციებს გაიმყარებდნენ, რაც, ცხადია, არგებდა ამერიკულ ბიზნესს და აშშ-ის ნაციონალურ ინტერესებსაც შეესაბამებოდა. მეორეს მხრივ კი, ამგვარი თანამშრომლობა კომპანიებს სპეცსამსახურებზე დამოკიდებულს ხდიდა.

## ცსს-მ ახალი ფინანსური ნაკადების წყაროდ ბიზნესთან მჭიდრო ურთიერთობა და კერძო ფირმებისთვის სადაზვერვო ინფორმაციის გადაცემა აქცია

**უნდა აღინიშნოს, რომ სპეცსამსახურებში მიკროეკონომიკური ჯაშუშობა, ფაქტობრივად, არ ემორჩილებოდა ხელმძღვანელობის კონტროლს და გაურკვეველი რჩება, ვის სასარგებლოდ მუშაობს კონკრეტული ოპერატიული მუშაკი. ბიუჯეტის შემცირების შემდეგ ალტერნატიული ფინანსური წყაროების ძებნის პროცესში სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლებმა მარტივი სქემა შეიმუშავეს. ისინი მიდიოდნენ სამსახურიდან და იწყებდნენ მუშაობას კორპორაციებში (ყველაზე ხშირად სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში) გაცილებით მაღალ ხელფასზე. მეორე დღესვე ისინი ცსს-ში ბრუნდებოდნენ, ოღონდ ამ დროს უკვე სინამდვილეში კერძო კომპანიების წარმომადგენლები იყვნენ.**

დღეისათვის პოპულარულ და სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად იყენებენ ტერმინს „კორპორატოკრატია". ის გამოიყენება იმ ფენომენის აღსაწერად, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოსა და ბიზნესის შერწყმის შედეგად. **კორპორატოკრატია არის ურთიერთობათა სისტემა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება უმსხვილესი კორპორაციებისა და ბანკების ურთიერთქმედება სახელმწიფო ორგანოებთან.**

უმაღლესი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკები ცდილობენ ბიზნესთან კავშირების შენარჩუნებას, თანამდებობებზე ხომ დიდხანს ვერ დარჩებიან. დაიკავებენ რა ამ თანამდებობას, ისინი იწყებენ მოქმედებას არა მხოლოდ სახელმწიფო ინტერესების, არამედ იმ კომპანიების ინტერესების გათვალისწინებითაც, რომლებმაც ხელისუფლებაში მოიყვანეს. ამ მტკიცებულების დასადასტურებლად ხშირად იშველიებენ ხოლმე ერაყის მაგალითს. **ერაყში შეჭრის მიზეზი ხომ ამ უკანასკნელის ხელთარსებული მასობრივი განადგურების იარაღი კი არა, ჯორჯ ბუშ-უმცროსის წინასაარჩევნო კამპანიაში დიდი ფულის დამბანდებელი ამერიკული ნავთობისა და გაზის კომპანიების ინტერესები გახდა. აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ თავად ჯორჯ ბუშ-უმცროსი, მისი ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი და სახელმწიფო მდივანი რაისი მაღალი სახელმწიფო თანამდებობების დაკავებამდე ასევე მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ ნავთობკომპანიებში.**

ამგვარი ურთიერთქმედება უკვე მრავალი წლის ისტორიას ითვლის და სპეცსამსახურების გარეშე ის ვერ ირსებებდა. ჯერ კიდევ ცივი ომის დროს შემუშავდა და წარმატებით მუშაობდა მოგვიანებით პერკინსის წიგნში „ეკონომიკური მკვლელის აღსარება" აღწერილი სქემა. ეგრეთ წოდებული ეკონომიკური ქილერი, როგორც წესი, პატივსაცემი კონსალტინგური ფირმის სპეცსამსახურების მიერ დამუშავებული ანალიტიკოსი სხვა ქვეყნის ხელისუფლებას ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის კრედიტების სახით მფარველობას სთავაზობს. მისი ამოცანაა, დაარწმუნოს ობიექტი, რომ ეს კრედიტები ქვეყანას ეკონომიკის მოდერნიზებასა და ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების დონეზე გასვლაში დაეხმარება.

მიუხედავად იმისა, რომ კრედიტორ კომპანიებს ფული თითქმის დაუყოვნებლივ უბრუნდებათ, მევალე ქვეყანამ ვალიც უნდა გადაიხადოს და მისი პროცენტებიც. თუ ქილერმა სრულ წარმატებას მიაღწია, კრედიტი იმდენად დიდია, რომ რამდენიმე წელიწადში მსხვერპლი დეფოლტს აცხადებს. ეს კი შეიძლება ნიშნავდეს ან გაეროში ხმის მიცემაზე კონტროლს, ან სამხედრო ბაზების განთავსებას, ან ღირებულ რესურსებთან წვდომას. ამის შემდეგ მევალე კვლავაც მევალედ რჩება და მას ისევ მართებს ფული, მაგრამ გლობალურ იმპერიას კიდევ ერთი ქვეყანა ემატება. ამ სქემამ თავისი ეფექტურობა მრავალ ქვეყანაში დაამტკიცა.

**უკვე ხსენებული კომპანია „კარლაილის" მაგალითი აშშ-ში კორპორატოკრატიის ფორმირების კლასიკური ნიმუშია.**

ფინანსური ჯგუფი „კარლაილი" (ხმამაღალ სახელს ის ბენ ლადენების კლანთან კავშირს უნდა უმადლოდეს: 2001 წლის 11 სექტემბერს ჯგუფი ვაშინგტონში მდებარე სასტუმრო „რიც კარლტონში" თავის 500 უმსხვილეს ინვესტორთან შეხვედრას გეგმავდა. სხდომა ტერაქტის გამო ჩაიშალა, მაგრამ ერთი დეტალი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მოწვეულ სტუმართა სიაში ეწერა ბენ ლადენიც. ოღონდ არა უსამა. ეს იყო ფარიშ ბენ ლადენი — უსამას ერთ-ერთი ძმა) მსოფლიოში უმსხვილეს საინვესტიციო ფონდად ითვლებოდა. ოთხი იურისტის ხუთმილიონიანი კაპიტალით 1987 წელს შექმნილ კომპანიას შეზღუდული ფუნქციები ჰქონდა — ალიასკაზე მდებარე ესკიმოსური კომპანიების ვალები წარმატებული კომპანიებისთვის გადაეცა მათთვის დაპირებული საგადასახადო შეღავათების სანაცვლოდ. ამ იურისტებიდან ერთ-ერთი ჯიმი კარტერის ყოფილი მრჩეველი დ. რუბინშტეინი გახლდათ.

**კომპანიის ისტორიაში ახალი ერა მას შემდეგ დაიწყო, რაც გენერალური დირექტორი ცსს-ს დირექტორის ყოფილი მოადგილე, ნაციონალური უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი, რეიგანის პრეზიდენტობისას თავდაცვის მინისტრი და დონალდ რამსფელდის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი კარლუჩი გახდა. მან თან მოიყოლა ცსს-ს ერთგული ოფიცრები, სახელმწიფო დეპარტამენტისა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები.** 1997 წლისთვის კომპანია უკვე იყო 11-დან ერთ-ერთი უმსხვილესი იარაღის მიმწოდებელი. ამ კომპანიაში მუშაობდნენ ან ინვესტირებას ახორციელებდნენ ჯორჯ ბუშ-უფროსის პერიოდში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, რეიგანისა და უმცროსი ბუშის ადმინისტრაციების წევრი ჯეიმს ბეიკერ III, აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ-უფროსი, აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ-უმცროსი, 1987-1989 წლებში აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ფრენკ კარლუჩი, ბუშ-უფროსის ადმინისტრაციაში თეთრი სახლის ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი რიჩარდ დარმანი, აშშ-ში კანადის ელჩი ალან გოტლიბი, კლინტონის პრეზიდენტობისას ბირჟებისა და ფასიანი ქაღალდების კომისიის თავმჯდომარე არტურ ლევიტი, 1993-94 წლებში თეთრი სახლის თანამშრომელთა აპარატის ხელმძღვანელი მაკ მაკლარტი, ჯორჯ ბუშ-უფროსის პრეზიდენტობისას ფინანსთა მინისტრის მოადგილე რენდელ კვარლსი, ჯორჯ ბუშ-უმცროსის პირველი ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი, თავდაცვის ექსმინისტრი კასპარ ვეინბერგერი, ფინანსური სპეკულიანტი ჯორჯ სოროსი, ექს სახელმწიფო მდივნის — მადლენ ▶



## „კარლაილის" მოღვაწეობა კორპორატოკრატიის ნათელი მაგალითი და იმ დონის მაჩვენებელია, რომელსაც სახელმწიფოს, სპეცსამსახურებისა და ბიზნესის სინთეზმა აშშ-ში მიაღწია

**სპეცსამსახურების მიერ მიკროეკონომიკური დაზვერვის წარმოება კერძო კომპანიების ინტერესების სასარგებლოდ სპეცსამსახურების ცხოვრებაში აჩენს სამუშაო სფეროს, რომელიც სახელმწიფოს კონტროლს არ ექვემდებარება. სახელმწიფო სპეცსამსახურებზე გავლენის ნაწილს კარგავს, ეს უკანასკნელი კი, მსხვილ ბიზნესთან კავშირის წყალობით, მსოფლიო ეკონომიკასა და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე გავლენას ამყარებს.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



## ამერიკული დაზვერვის მსხვილ ტრანსნაციონალურ ბიზნესთან კავშირი საერთაშორისო არენაზე აშშ-ის დომინირების მძლავრი იარაღი ხდება

◀ ოლბრაიტის ქალიშვილი ელის ოლბრაიტი, კავშირგაბმულობის ფედერალური კომისიის ექსხელმძღვანელი უილიამ კენარდი, 1995-2005 წლებში ჟურნალ „თაიმის" მთავარი რედაქტორი ნორმან პილსტინი.

**„კარლაილის" ინტერესებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკაზე. ჯორჯ ბუშ-უფროსი კი არა მხოლოდ ინვესტიციებს ახორციელებდა „კარლაილში" და საგარეო პოლიტიკას მართავდა ამ ინვესტიციების ინტერესების შესაბამისად, მას ასევე მიეწოდებოდა მისთვის საინტერესო ყველა ცნობა ცსს-დან, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი უკვე ჯორჯ ბუშ-უმცროსი იყო. სამმართველოში ამ ინფორმაციას „პრეზიდენტის მამიკოს ყოველდღიური ცნობები" შეარქვეს. „კარლაილის" მოღვაწეობა კორპორატოკრატიის ნათელი მაგალითი და იმ დონის მაჩვენებელია, რომელსაც სახელმწიფოს, სპეცსამსახურებისა და ბიზნესის სინთეზმა აშშ-ში მიაღწია.**

ტრანსნაციონალური კომპანიების ეკონომიკურმა დაზვერვამ და სამრეწველო შპიონაჟმა კადრების სპეცსამსახურებიდან გადინება და მათი პოტენციალის კლება განაპირობა. ამრიგად, დაზვერვის ეკონომიკური მიმართულებებით მომუშავე თანამშრომელთა შემადგენლობა ყოველწლიურად დაახლოებით 20%-იან განახლებას საჭიროებს, რადგან გამოცდილი მუშაკების უმეტესობა კერძო კომპანიებში გაცილებით მაღალანაზღაურებად სამსახურზე გადადის. მეორეს მხრივ, **კერძო კომპანიების ინტერესების შესაბამისად, დაზვერვაში ჩართული სპეცსამსახურები ხშირად სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, რაც სახელმწიფოს მხრიდან მათზე კონტროლის ნაწილობრივ დაკარგვას ნიშნავს. ინფორმაციის ყოველდღიური გაცვლითა და კერძო კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობით, სპეცსამსახურები გავლენას ახდენენ არა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკაზე, არამედ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის სხვა დონეებზეც და, ფაქტობრივად, მრავალ მსოფლიო პროცესში დამოუკიდებელ მოთამაშეებად ყალიბდებიან.**

მიუხედავად იმისა, რომ კერძო კომპანიებისა და სპეცსამსახურების ურთიერთქმედების პროცესი ობიექტური და კანონზომიერია, ეფექტი, რომელსაც ეს თანამშრომლობა სახელმწიფოთა ურთიერთობაზე ახდენს, ცალსახად უარყოფითია. ერთი სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური დაზვერვისა და სადაზვერვო ინფორმაციის ნაციონალური ბიზნესის სასარგებლოდ გამოყენება სხვა სახელმწიფოებსაც იმავეს გაკეთებისკენ უბიძგებს. საბოლოო ჯამში ბიზნეს-პარტნიორებსა და სახელმწიფოებს შორის ნდობა მინიმუმამდე დადის, რაც არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ პოლიტიკაზე, სამართალსა და საერთაშორისო ურთიერთობების სხვა მიმართულებებზეც აისახება. მეორეს მხრივ, **ტრანსნაციონალური კომპანიებისა და სპეცსამსახურების თანამშრომლობის გაძლიერება, როგორც წესი, დიდ დარტყმას აყენებს სახელმწიფოს.**

სადაზვერვო საზოგადოების წინაშე სტრატეგიის მიერ წამოყენებულ ამოცანათა შორის სპეციალურადაა გამოყოფილი საქმიანი ქმედითობის აქტივაცია. სახელმწიფო სპეცსამსახურებისთვის განკუთვნილ დოქტრინალურ დოკუმენტებში პირველად გამოჩნდა ღიად დაზვერვისა და ბიზნესის ურთიერთქმედების თემა.

საინტერესოა, რომ სტრატეგიაში სახელმწიფო სადაზვერვო სამსახურებისა და ბიზნესის ურთიერთქმედება განხილულია „გადასახადების გადამხდელთა სახსრების რაციონალური გადანაწილების" პრიზმაში. მასში პირველადაა აღიარება იმის თაობაზე, რომ დაზვერვას აქვს „საკუთარი" ბიზნეს-სტრუქტურები, რომელთა მოქმედებაც ხშირად არაეფექტურია არატრანსფარენტულობისა და ფინანსური კონტროლის დაბალი დონის გამო. ამრიგად, **ირიბადაა აღიარებული ის ფაქტიც, რომ ბიზნეს სტრუქტურებს აქტიურად იყენებენ დაზვერვის სასარგებლოდ, სახელმწიფო დაზვერვის შესაძლებლობებს კი — ბიზნესის ინტერესებისთვის.**

ასწლეულის მანძილზე სპეცსამსახურების როლი ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის მოპოვებასა და სამრეწველო შპიონაჟში იცვლებოდა. მათ წინაშე ამოცანები დგებოდა იმის მიხედვით, თუ რა ინტერესები ჰქონდა სახელმწიფოს კონკრეტულ პერიოდში. აშშ-ში ამავე დროს ითვალისწინებდნენ იმ მსხვილი კომპანიების ინტერესებსაც, რომელთაც თეთრ სახლთან ჰქონდა კავშირები. ამ ინტერესების სასარგებლოდ მოქმედება მხოლოდ ინფორმაციის მოკრებითა და დაინტერესებული სუბიექტებისთვის გადაცემით არ შემოიფარგლებოდა. **ზოგიერთ შემთხვევაში ხორციელდებოდა სპეცოპერაციები, რომელთა შედეგადაც პოლიტიკურ წყობასაც კი ცვლიდნენ ან კანონიერ ხელისუფლებებს ამხობდნენ. სსრკ-ის დაშლისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ამერიკული სადაზვერვო სამსახურების მუშაობის ერთ-ერთ პრიორიტეტად ჩამოყალიბდა და ეს მთელი რიგი ადმინისტრაციების ნაციონალური უშიშროების კონცეფციებშიც აისახა.**

ამავე დროს სპეცსამსახურების ეკონომიკურმა მოღვაწეობამ სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ხასიათი მიიღო. როდესაც დაზვერვა მიკროეკონომიკურ დონეზე მიმდინარეობს, ის თითქმის სრულად ექვემდებარება კერძო კომპანიების ინტერესებს.

ეკონომიკურ დაზვერვასა და კერძო კომპანიებთან კავშირში სპეცსამსახურების ესოდენ აქტიური ჩაბმა ორი მთავარი მიზეზით აიხსნება. პირველი მიზეზი აშშ-ის ეკონომიკის ყოველწლიური მრავალმილიარდიანი დანაკარგებია სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებისა და კერძო კომპანიების მიერ წარმოებული სამრეწველო შპიონაჟის გამო, მეორე კი — საბიუჯეტო ასიგნებების შემცირება და დაფინანსების ალტერნატიული გზების ძიების აუცილებლობა. **დაზვერვა ხორციელდება კორპორაციების დაკვეთით, აქტიურდება სამრეწველო შპიონაჟი როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურების მხრიდან. ამ სფეროში აშშ-ის წარმატებებს უზრუნველყოფს არა მხოლოდ პოსტინდუსტრიული ეპოქის ტექნოლოგიური მიღწევები, არამედ — სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობების პირთა ეკონომიკურ დაზვერვაში ჩართულობაც.**

**მთავარი ნეგატიური შედეგი, რომელსაც სპეცსამსახურები შეეჯახნენ, პოტენციალის დაკარგვა გახდა.** ერთის მხრივ, ეს გამოწვეულია ეკონომიურად უფრო მომხიბვლელი პირობების გამო კადრების გადინებით, მეორეს მხრივ კი — ბიზნეს-დაზვერვის სამსახურები და ამერიკის კერძო კომპანიები ეკონომიკური პრობლემატიკის შესახებ მთავრობისთვის ინფორმაციის მიწოდების მხრივ ხშირად ჯობნიან კიდეც სპეცსამსახურებს. ამგვარი მდგომარეობა ხელისუფლებას საიდუმლო უწყებებისთვის საბიუჯეტო ასიგნებების შემცირებისკენ უბიძგებს, საიდანაც გამომდინარეობს კიდევ ერთი ტენდენცია — სახელმწიფოსა და სპეცსამსახურებს შორის ერთ დროს უმტკიცესი კავშირის შესუსტება. აქ ინიციატივა მხოლოდ სახელმწიფოს არ ეკუთვნის. **სპეცსამსახურების მიერ მიკროეკონომიკური დაზვერვის წარმოება კერძო კომპანიების ინტერესების სასარგებლოდ სპეცსამსახურების ცხოვრებაში აჩენს სამუშაო სფეროს, რომელიც სახელმწიფოს კონტროლს არ ექვემდებარება. სახელმწიფო სპეცსამსახურებზე გავლენის ნაწილს კარგავს, ეს უკანასკნელი კი, მსხვილ ბიზნესთან კავშირის წყალობით, მსოფლიო ეკონომიკასა და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე გავლენას ამყარებს.** სახელმწიფოსთვის სამრეწველო შპიონაჟში მისი სპეცსამსახურების მონაწილეობის ფაქტის გამოვლენა ან თუნდაც დაეჭვება ამგვარ ქმედებაში, რეპუტაციის ვარდნას, მოკავშირეების მხრიდან ნდობის შემცირებას და კორუფციულ პრობლემებს ნიშნავს.

სპეცსამსახურების მხრიდან კერძო კომპანიების ინტერესების უზრუნველსაყოფად მიმართული ქმედებები ეჭვქვეშ აყენებს საბაზრო ეკონომიკის არსებობის ფაქტსაც კი, რადგან გამორიცხავს ბაზრის ფუნქციონირების ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმს — კანონიერ კონკურენციას. თვალნათელია მისი უპირატესობა, ვინც კონკურენტზე უფრო მეტი იცის, ვიდრე თავად კონკურენტმა — მასზე. ძალთა ამგვარი გადანაწილებისას ნებისმიერი მოლაპარაკება განწირულია დამარცხებისთვის, ვინც საბაზრო წესების შესაბამისად მოქმედებს. და თუ მსოფლიო ეკონომიკაზე ვისაუბრებთ, თავისუფალი ბაზრისა და მისი ფუნქციონირების სამართავი საერთაშორისო ბერკეტების შექმნის ყველანაირი მცდელობა აზრს დაკარგავს. **კორპორატოკრატიის გამყარებისთვის ერთადერთი ბარიერი შეიძლება გახდეს სპეცსამსახურების ქმედითი სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლი.**

**ამერიკული დაზვერვის მსხვილ ტრანსნაციონალურ ბიზნესთან კავშირი საერთაშორისო არენაზე აშშ-ის დომინირების მძლავრი იარაღი ხდება.** დღეს უკვე ცხადია, რომ ვაშინგტონი ამგვარ დომინირებაზე უარის თქმას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ ოფიციალურად ბუშის ყბადაღებულ დოქტრინაზე უარი განაცხადა, ამერიკა მსოფლიო არენაზე მომავალშიც აპირებს მთავარი როლის შესრულებას და ზესახელმწიფოდ დარჩენას. **აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში ძალოვანი ნაწილის შემცირების ოფიციალურად გამოცხადება საერთაშორისო ყოფიერების უკლებლივ ყველა სფეროში პრიორიტეტული პოზიციების შენარჩუნებაზე უარის თქმას არ გულისხმობს.** როგორც ვაშინგტონის 2009-2010 წლების დოქტრინული დოკუმენტებიდან ირკვევა, მსოფლიოს უშიშროების საკითხები ამერიკელი პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის წარმომადგენელთა ცნობიერებაში თავად აშშ-ის უშიშროებას ნიშნავს, რაც ამერიკის ეკონომიკური უპირატესობის შენარჩუნებასაც გულისხმობს.

**ნიკოლაი სიომინი,**
**ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აშშ-ისა და კანადის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიური უნივერსიტეტის დოცენტი**

## ამერიკელმა ჯარისკაცებმა ჩეხეთში უნიკალური სკულპტურა დაამსხვრიეს

## ვინ მოტეხა მკლავები ვენერა მილოსელს?

**ორმა მთვრალმა ამერიკელმა ჯარისკაცმა და ფინელმა ტურისტმა ქალაქ ჩეშსკი კუმლოვში დაამსხვრიეს უნიკალური სკულპტურა, რომელიც იუნესკოს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სიაში იყო შეტანილი. ეს ინფორმაცია გასულ კვირას გაავრცელა ჩეხურმა რადიომ. რა მოხდა?**



ჩეხური რადიოსადგურის მიხედვით, ორი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, 23 წლის ახალგაზრდები, რომლებიც სამხედრო ბაზაზე იწვრთნებოდნენ, ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერების შემდეგ, **კარგა გვარიანად გამოთვრნენ ლუდით და ღამის ქალაქში გასეირნებისას შენიშნეს უნიკალური სკულპტურა — ადამიანის მკლავის ფორმით, რომელიც შუასაუკუნეების დროინდელი შენობის კედლიდან იყო გამოჩრილი. ეს ქანდაკება ისე მოეწონათ, რომ რემბოებმა კედლიდან ამოგლიჯეს და ქალაქის ცენტრალურ მოედანზე წაიღეს. იქ მათსავით გამომთვრალი ფინელი ტურისტი შეუერთდათ და ხელის სკულპტურის ნატეხით ფეხბურთის თამაში გააჩაღეს, თან ისე ყვიროდნენ და წიოკობდნენ, რომ ფრიად შეაწუხეს მოქალაქენი.**

ამ „ამხანაგურ მატჩს" დასრულება არ ეწერა: ადგილობრივმა პოლიციამ ვანდალების „ნაკრები გუნდი" განყოფილებაში წააბრძანა.

**არავინ აპირებს ამ ხულიგნობის განზოგადებას და ბუზიდან სპილოს გამოქანდაკებას, აშშ-ის არმიის ლაფში ამოსვრას და, „ცივი ომის" პროპაგანდისტული ტრადიციისამებრ, ყვირილის ატეხვას — ამერიკელებმა თავიანთი ნამდვილი სახე დაგვანახეს.**

მაგრამ ფაქტი მოხდა და, როგორც იტყვიან, სიმღერიდან სიტყვებს ვერ ამოაგდებ. სიტყვებს — ვერა, მაგრამ გვერდს კი აუვლი, სიტყვას არ დაასველებ. იგნორირების ამ მეთოდს შესანიშნავად ფლობენ საქართველოს ნაცტელეარხები: რასაც ვერ ვხედავ, ის არც არსებობს.

მაშასადამე, არც ის სამარცხვინო ფაქტი მომხდარა, რომელმაც ჩეხები შუაღამეს შეაწუხა და რომელიც ლაქად დაედო აშშ-ის არმიის სტერილურად სუფთა სახელს თუ არა, იმ ქვედანაყოფს მაინც, რომელშიც ეს მოყვარული ქვის ხანის ფეხბურთელები მსახურობდნენ.

**კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი იყო?**
**არ იცოდნენ, მაშასადამე, არც იყო.**
**რაც ამერიკამ არ იცის, ის საერთოდ არც არსებობს?**
**ეგრეა და ეგრეც იცის თვალებჟუჟუნა ნაცმედიამ.**

რატომ დავიციკლე უსაზღვროდ თავისუფალ და ჭეშმარიტად დემოკრატიულ მედიაზე?

ნიძლავი მინდა დაგიდოთ, რომ უმალ „თავს მოიკლავს თეთრი გედი ამაღამ", მაგრამ არც თეთრი, არც შავი, არც ყვითელი და რა გინდა რა ფერისა და კონფიგურაციის ნასყიდი პრესა ხმას არ ამოიღებს ამ ფაქტის გამო, სიტყვას არ დაასველებს: ეს ხომ დისკრედიტაცია იქნება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ძლევამოსილი შეიარაღებული ძალების, რომლებიც 2008 წლის აგვისტოში „წითელ ხაზად" — გადაულახავ საზღვრად — გადაევლო კავკასიის ქედის კალთებს და პაჭანიკების ველურ ტომებს ფეხი არ შემოადგმევინა „ამ დალოცვილ მიწაზე".

არავინ იფშვნეტს სიამოვნებისგან ხელებს: **ესეც თქვენი ამერიკა და მისი მორალური სახე! ამერიკას გუანტანამოც ჰყოფნის თავსატეხად. ასეთი „კროხობორობა" (მენამცეცეობა) რა საკადრისია! მაგრამ იმ ეშმაკს რა ვუყოთ, რომელიც ამ ფაქტში ზის და ხითხითებს, შობელძაღლი?**

იჯდეს რა, ჩვენ ხომ ვერ ვხედავთ!

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. იქნებ, სწორედ ასეთმა გაბედულმა მეომრებმა მოატეხეს მკლავები ვენერა მილოსელს — ქალის სილამაზის სიმბოლოს — ჩვენს ერამდე 200 წელს, ანუ იმ დროს, როცა ამერიკის სახსენებელიც არ იყო?**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95




## უცნაური კანონები

**1. ლუიზიანის შტატში ბანკის ძარცვისას მოლარის წყლის სათამაშო თოფით გაწუწვა იკრძალება.**
2. დენვერში კვირა დღეს ქუჩაში შავი ფერის მანქანით მოძრაობა აკრძალულია.
**3. ოკლაჰომას შტატში თევზის დათრობა კანონით ისჯება.**
4. კოლორადოში ქორწილში ფეხსაცმლის სროლა სასტიკად აკრძალულია.
**5. აიდაჰოს შტატში ცეცხლმოკიდებულ შენობაში სადილობა კანონით ისჯება.**
6. ალიასკაზე, სილამაზის სალონებში კენგურუს შეყვანა კანონით იკრძალება.

# ყველაზე უცნაური ფობიები



**10. ნომოფობია – მობილურის არქონის შიში**
ერთი შეხედვით, შეიძლება ეს სისულელედ მოგვეჩვენოს, მაგრამ დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ მობილური ტელეფონით მოსარგებლე მოსახლეობის 53 % მომსახურების ზონიდან გასვლის დროს უტელეფონობის შიშს განიცდის.



**9. ემეტოფობია — გულისრევის შიში**
ეს უფრო მეტ ადამიანს აწუხებს, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ და ხშირად მათ ამის გამო ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები ექმნებათ. ზოგი მათგანი ხანდახან საკვების მიღებაზეც კი ამბობს უარს.



**8. ალბუტოფობია – აბაზანის მიღების შიში**
დაბანის შიში უმეტესად ბავშვობისდროინდელ ფსიქოლოგიურ ტრავმასთან — ვიღაცის დახრჩობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამ ტრამვის გადატანის შემდეგ ადამიანები ხშირად ზრდასრულ ასაკშიც კი ვერ ერევიან თავს და არა მხოლოდ ზღვის ან მდინარის, არამედ შხაპის მიღებისაც კი ეშინიათ.



**7. გეფიროფობია – ხიდების შიში**
უცნაური და ხშირად აბსოლუტურად წარმოუდგენელი ფობიების უმეტესობა ძირითადად სხვა, ბევრად უფრო გასაგებ შიშებს უკავშირდება. გეფიროფობია, ანუ ხიდების შიში იმის შედეგია, რომ ადამიანს სიმაღლისა და გახსნილი სივრცის ეშინია.



**6. გინოფობია – ქალების შიში**
ეს შიში მითიური მებრძოლი ქალებისა და ალქაჯების წყალობითაა განვითარებული და არც თუ ცოტა ადამიანს აწუხებს.



**5. ფაგოფობია — გადაყლაპვის შიში**
ადამიანს, რომელსაც ფაგოფობია სჭირს, ხშირად წყლის დალევის შემდეგაც შეიძლება რაიმე სახის შეტევა დაემართოს და დაიხრჩოს კიდეც. ამის მიზეზი მათი გონებაა, რომელიც აიძულებს მათ, წყლის დალევა დახრჩობად აქციონ.



**4. ტეტრაფობია – 4-ის შიში**
ეს შიში აღმოსავლურ ქვეყნებშია გავრცელებული. საქმე ისაა, რომ ჩინურსა და კიდევ რამდენიმე აზიურ ენაში სიტყვები „სიკვდილი“ და „4“ ომონიმებია (ანუ ერთნაირად იწერება). ტეტრაფობიით შეპყრობილებს კი სინამდვილეში სიკვდილის ეშინიათ.



**3. ქოულროფობია – კლოუნების შიში**
საკმაოდ გავრცელებული ფობია აშშ-ში.

**2. ფობოფობია — შიშის შიში**
ეს გლობალიზაციის ეპოქის ახალი სენია, რომელსაც მეცნიერები შიშის შიშს უწოდებენ. ეს არის გლობალური საყოველთაო შიში, რომელიც ადამიანებს ერთობლიობაში ჩამოუყალიბდათ უამრავი ტერაქტის შემდეგ და რომლის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებსაც მეცნიერებმა ჯერ კიდევ ვერ მიაკვლიეს.





**1. აუტოფობია (მონოფობია) – საკუთარი თავის შიში**
ამის სახესხვაობად შეიძლება ჩაითვალოს საკუთარ თავთან მარტო დარჩენის შიში, თუმცა აუტოფობიის სპექტრი გაცილებით ფართოა. მისი ყველაზე ცუდი სიმპტომი ისაა, რომ ადამიანს საკუთარი თავისადმი ნდობას აკარგვინებს. მისთვის ძნელია, გაერკვეს, სადაა რეალობა, რადგან ფიქრობს, რომ საკუთარი სხეული შეიძლება მას ატყუებდეს.

# მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ცხოველები



**გიუნტერ IV**
გიუნტერ IV გერმანული ნაგაზია, რომლის ქონებაც 224 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენს. მას ეს ფული გრაფინია კარლოტა ლიბენშტეინისაგან მემკვიდრეობით გადაეცა. ძაღლს საკუთარი რეზიდენცია აქვს მაიამიში და, ცხადია, ჰყავს თავისი პირადი მომსახურე პერსონალი.



**კალუ**
კალუს ანგარიშზე 53 მილიონი ფუნტი სტერლინგი აქვს. მან ეს ფული პატრიცია ონილისაგან მიიღო. კალუ კეიპტაუნის სასახლეში ცხოვრობს.



**ტობი რაიმსი**
პუდელმა ტობიმ 15 მილიონი ფუტი სტერლინგი პატრონის, ელლა ვანდელისაგან ჯერ კიდევ დაბადებამდე დიდი ხნით ადრე, 1930 წელს, მემკვიდრეობით მიიღო. ამჟამად ტობის ანგარიშზე 20 მილიონია და ფული, უკვე 80 წელია, ბანკში დევს.



**ოპრა უიმფრის ძაღლი**
ოპრას ძაღლს ძალიან გაუმართლა — მან პატრონისგან საჩუქრად 30 მილიონი ფუნტი სტერლინგი მიიღო.



**გიგუ**
ქათამმა გიგუმ 10 მილიონი ფუტი სტერლინგი გაზეთის მაგნატ მაილზ ბლექველისაგან მემკვიდრეობით მიიღო.



**ბლექი**
ბლექი ბენ რიის კატაა. მან ბლექისგან მემკვიდრეობით 9 მილონი დოლარი მიიღო.



**ტრაბლი**
მალტურმა ტერიერმა ტრაბლიმ 2007 წელს 7 მილიონი ფუნტი სტერლინგი თავისი პატრონისაგან ლეონა ჰელმსისგან მიიღო. ძაღლი დღემდე ცხოვრობს ნიუ იორკის ფეშენებელურ სასტუმროში.



**ფლოსი**
დრიუ ბერიომორის ლაბრადორმა ერთ დღეს თავისი მშვენიერი პატრონი ხანძრისგან გადაარჩინა, სამაგიეროდ მისი 3,5 მილიონად ღირებული სახლი დაიწვა. გულაჩუყებულმა დრუიმ საყვარელ ცხოველს სანაცვლოდ 5 მილიონი დოლარი აჩუქა.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## უცნაური კანონები



**7. მაიამის შტატში აფრენილი თვითმფრინავიდან გადმოსვლა აკრძალულია.**

**8.** კონექტიკუტის შტატში ძაღლისთვის განათლების მიცემა კანონით ისჯება.

**9. კანზასის შტატში ქალაქის მთავარ შადრევანში კბილების გახეხვა კანონით ისჯება.**

**10.** პენსილვანიაში მაცივრის თავზე დაძინება კანონით იკრძალება.

**11. კალიფორნიაში კედლებზე სკეიტბორდით სრიალი კანონით აკრძალულია.**

**12.** ტეხასის შტატში თუ ბიზონის მონადირებას სახლის მეორე სართულიდან შეეცდებით, კანონით დაისჯებით.

# 2011 წლის 100 ყველაზე გავლენიანი ადამიანი

**ყოველკვირეულმა ამერიკულმა გაზეთმა „თაიმმა" 2011 წლის 100 ყველაზე გავლენიანი ადამიანის სია გამოაქვეყნა. სიაში წარმოდგენილი არიან პოლიტიკოსები, მთავრობის წარმომადგენლები, ხელოვნებისა და სპორტის მოღვაწენი.**



ყველასთვის მოულოდნელად, სიაში პირველი ადგილი დაიკავა ეგვიპტელმა **ვაელ გონიმმა**, რომელიც ეგვიპტის რევოლუციას ედგა სათავეში. სწორედ მან შექმნა სოციალურ ქსელ Facebook-ში გვერდი, სადაც ეგვიპტელ ხალხს რევოლუციისკენ მოუწოდა.



მეორე პოზიცია დაიკავა ამერიკელმა ეკონომისტმა **ჟოზეფ სტიგლიცმა.** იგი 2008 წელს მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის საქმეს ჩაუდგა სათავეში და ქვეყნებს თავის გადარჩენის სხვადასხვა საშუალებებს სთავაზობდა.





მესამე ადგილზე აღმოჩნდა ამერიკელი ბიზნესმენი **რიდ გასტინგსი,** რომელმაც დააარსა ფირმა „Netflix"-ი. სწორედ მან შექმნა პროგრამა, რისი დახმარებითაც შესაძლებელი გახდა DVD ფილმების ელ-ფოსტით გაგზავნა, ხოლო შემდეგ — ამ ფილმების ამავე DVD-ხარისხში ჩამოტვირთვა.

ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსებად ჩაითვალნენ ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და ინგლისის პრემიერ–მინისტრი დევიდ კემერონი.

საბოლოო ჯამში მსოფლიოს ყველაზე გავლენიანთა პირველი ათეული შემდეგნაირად გამოიყურება:

**1. ვაელ გონიმი; 2. ჟოსეფ სტიგლიცი; 3. რიდ გასტინგსი; 4. ემი ფოლერი; 5. ჯოფრი კანადა; 6. მარკ ცუკერბერგი; 7. პიტერ ვესტერბაკა; 8. ანგელა მერკელი; 9. ჟულიან ასანჟი; 10. რონ ბრუდერი.**

# მინი იარაღების ახალი ერა

**დაახლოებით 1 წლის წინათ ინტერნეტსაიტ Youtube-ზე გამოჩნდა ვიდეო, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ვინმე თ. შამირმა მინი ქვემეხი შექმნა. ქვემეხის დიზაინი XVII-XIX საუკუნეების ცნობილ მოდელზეა დაფუძნებული. ის მთლიანად ხელთნაკეთია და ისვრის 3,2 მილიმეტრი დიამეტრის რკინის ბურთულებს, მაგრამ „კალიბრისა" და ქვემეხის მინიატურულობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი სიმძლავრეც მინიმალურია.**



მოგვიანებით შამირმა შექმნა მორიგი სათამაშო, რომელიც არ ჩამოუვარდება პირველს. ამჯერად მან შექმნა სასწაული ძალის მინი არბალეტი. არბალეტი დამზადებულია 22 კარატი ოქროსგან და ფოლადის დეტალებისაგან. რა თქმა უნდა, ისიც მთლიანად ხელთნაკეთია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მინი არბალეტის ძალა მისი უფროსი ძმებისას ბევრად აღემატება. მინი არბალეტი, ჩვეულებრივი ზომის არბალეტებთან შედარებით, დაახლოებით 4-ჯერ ძლიერია. „ძალიან ბევრი დრო და უთვალავი ექსპერიმენტი დამჭირდა იმისთვის, რომ სრულყოფილი არბალეტი გამოსულიყო", — ამბობს შამირი და მას ეს ნამდვილად გამოუვიდა. უამრავი თხოვნისა და წინადადების მიუხედავად, ავტორი უნიკალური იარაღების გაყიდვას არ აპირებს.



# 32 კილოგრამი



**გერმანელი ფოტოგრაფის — ივან ტეინის გამოფენა სახელწოდებით „32 კილოგრამი" ნამდვილი საშინელებათა ოთახისგან არაფრით განსხვავდება. მართალია, იქ არაა სისხლის მდინარეები, ბოროტი მონსტრები ან საწამებელი იარაღები, მაგრამ არიან გოგონები, რომელთაც ლამაზი ფიგურის სახელით საკუთარი სხეული აწამეს. ავტორმა მას შემდეგ გადაწყვიტა ამ პროექტის განხორციელება, რაც აღმოაჩინა საიტი, რომლის მომხმარებლებიც ცხოვრების წესად ანორექსიას ირჩევენ.**









# პოლონელმა ნახატზე დაქორწინება გადაწყვიტა



პოლონეთის მკვიდრი ტომაშ ურინოვიჩი ნახატზე დაქორწინებას აპირებს. 37 წლის მამაკაცმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ნახატზე გამოსახული ქალი რეალურ ცხოვრებაში ხანგრძლივი ძიების შემდეგაც ვერ იპოვა. ის მხატვრისთვის 1955 წელს პოზირებდა.

ურინოვიჩის თქმით, ეს ნახატი მან პირველად 2001 წელს გალერეაში ნახა და მისი შეძენა გადაწყვიტა. ბოლო 10 წლის განმავლობაში ის ნახატზე გამოსახულ ქალსა და ნახატის ავტორს, მხატვარ ანტონი მარიუ კვიკს ეძებდა. შეყვარებულმა ტომაშმა გაამხილა, რომ ნატურასთან ერთად ყავის დალევაზე და საუბარზე ოცნებობდა, მაგრამ, რადგან ძიება წარუმატებლად დასრულდა, ნახატის ცოლად შერთვას აპირებს.

**„არ ვიცი, შესაძლებელია თუ არა ამის პოლონეთში გაკეთება, თუ — არა, წავალ და, სადაც ეს შეიძლება, იქ დავქორწინდები",** — აცხადებს მსოფლიოში პირველი ადამიანი, რომელიც ნახატზე დაქორწინებას აპირებს.



# ყველაზე პატარა ქალი

**მსოფლიოში ყველაზე პატარა ქალი ინდური წარმოშობის ჯიოტი ამჯია. იგი დაახლოებით 5 კილოგრამს იწონის, სიმაღლეში კი 57,5 სანტიმეტრია. ჯიოტი 18 წლისაა. დაბადებისას გოგონა 1,2 კილოგრამს იწონიდა. მშობლები ყოველდღე მის სიკვდილს ელოდნენ, მაგრამ გადარჩა. ჯიოტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არ არის, მაგრამ, ძვლების ტრანსფორმაციის გამო, ბოლო დროს სიარულთან დაკავშირებით პრობლემები ექმნება.**



# მიხეილ გერგაული: ისტორიის გაყალბებით, პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად მისი «გადაწერით» მხოლოდ წავაგებთ

**დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ლეგენდარული გმირობა და თავგანწირვა რომ არა, საკითხავია, საერთოდ, თუ იარსებებდა ჩვენი თაობა. ლათინურად „ვეტერანი" გამოცდილს, მცოდნესა და ღირსეულს ნიშნავს. დღეს სამამულო ომის ვეტერანები ხელისუფლებას არა მარტო დავიწყებული ჰყავს, ღირსების გრძნობას ართმევს, დამსახურებულ პენსიასა და კაპიკებზე ევაჭრება. არადა, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ხელისგულზე უნდა ატაროს ყოველმა თავმოყვარე ხელისუფლებამ. ურიგო არ იქნება, რომ სააკაშვილმა ევროპას მიბაძოს — გაიკითხოს, როგორ ზრუნავენ სხვა ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე. საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და მეომართა კავშირის თავმჯდომარე მიხეილ გერგაული მიიჩნევს, რომ ვეტერანების უფლებების დაცვა სწორედ მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვაში უნდა გამოიხატებოდეს და არა — მათი ღირსების დაკნინებაში. აღნიშნულ ორგანიზაციას დიდი სურვილი აქვს, შეიქმნას მუზეუმი ვეტერანების, ღირსეული ადამიანების გმირობის ამსახველი ფოტო და დოკუმენტურ-ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით.**



## თუ ხელისუფლებამ ომი ითავა, ამ ომის ვეტერანების პატრონობაც უნდა ითავოს

**— გაგვაცანით თქვენი ორგანიზაციის მოქმედების გეგმა და მიზნები.**

— ჩვენი ორგანიზაცია 2004 წლის 23 თებერვალს დაფუძნდა, „საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და მეომართა კავშირის" სახელწოდებით. მეორე ორგანიზაცია რეგიონულია და „ვაზიანის კავშირი" ჰქვია. ვაზიანში არსებული სამხედრო ქონება ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს მიტოვებული იყო. აქ ცხოვრობენ როგორც სამხედროები, ასევე — დევნილები. ჩვენი ორგანიზაციის მიზანია, ვაზიანის მცხოვრებლები ჩავაბათ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ასევე, ჩვენი მიზანია, საერთაშორისო ვეტერანთა ორგანიზაციის დახმარებით, ვეტერანთა სოციალური, სამედიცინო უზრუნველყოფა, დასაქმება და მათთვის საცხოვრებელი პირობების შექმნა, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა მუზეუმისა" და ომის ვეტერანთა პროფილაქტიკურ-დიაგნოსტიკური და სამკურნალო ცენტრის დაარსება; ასევე სასტუმროების ქსელის აშენება, რომლის მომსახურებითაც ისარგებლებენ მხოლოდ ვეტერანები, ინვალიდები და მათი ოჯახის წევრები. პარიზში 2010 წლის 24-26 ნოემბერს გაიმართა მსოფლიოს ვეტერანთა და მებრძოლთა მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია. 2009 წელს დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გენერალურ ასამბლეაზე ჩვენი ორგანიზაცია აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახდა.

**— ბუნებრივია, ვეტერანების ინტერესების დასაცავად შესაბამისი კანონმდებლობა უნდა არსებობდეს. რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით?**

— ვეტერანთა უფლებების დაცვა ნებისმიერი ვეტერანის მოვალეობაა. ვეტერანთა უფლებებს იცავს საერთაშორისო კანონმდებლობა. საქართველოში 2005 წლიდან დაიწყო ვეტერანთა ტენდენციური შემცირებები, ამა თუ იმ კომპენსაციაზე შესაბამისი კანონი მიღებულია, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელები კი რაღაც ნორმატიული აქტებით ხშირად აჩერებენ ამ კანონის სრულფასოვან მოქმედებას. ზოგი არასამთავრობო ორგანიზაციაც თვითნებურად ცვლის გარკვეულ მუხლებს კანონმდებლობაში. **სახელმწიფო იღებს საბრძოლო მოქმედებების შესახებ გადაწყვეტილებას და, თუ სახელმწიფომ ბრძოლა ითავა, მანვე უნდა უზრუნველყოს დასახიჩრებულის, დაინვალიდებული და დაღუპული მეომრისა და მისი აღმავალი ხაზის ნათესავის საკუთარი ზურგით ტარება. დღეს ამ კანონმდებლობაში სრული ქაოსია...** ვეტერანის კანონის არარსებობა დიდ გავლენას ახდენს თვითონ საქართველოს ვალდებულებებზე ევროპის ქვეყნების შესაბამისი გაერთიანებების მიმართ.

**— 7 მაისს თქვენი ორგანიზაცია ვეტერანებს შეხვდა. რა საკითხებზე იყო ამ შეხვედრაზე საუბარი და რაიმე სახის გადაწყვეტილებები ხომ არ მიიღეთ?**

— ის წევრი ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენთან მემორანდუმით თანამშრომლობენ, ჩვენთან ერთად ცდილობენ იმ მიზნებისა და გეგმების განხორციელებას, რომლებზეც მე ახლა გესაუბრეთ. ჩვენი შეხვედრის მიზანიც სწორედ ეს იყო.

**— როგორ შეაფასებთ ხელისუფლების დამოკიდებულებას დიდი სამამულო ომისა და მისი ვეტერანებისადმი?**

— ეს იყო ფაშიზმის, ნაციზმის წინააღმდეგ წარმოებული ომი. ამ ომში ჩემი ოჯახის წევრებიც მონაწილეობდნენ, რომლებმაც ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობით უკვდავყვეს თავიანთი სახელი. კანონდებლობით, სამამულო ომის მონაწილეები და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ბრძოლებში მონაწილეები გათანაბრებული არიან. ვეტერანების შესახებ კანონი უნდა დაიხვეწოს. ევროპის ქვეყნებში შეჯიბრია გაჩაღებული, რომელი ქვეყანა დაიცავს უკეთ ომის ვეტერანების უფლებებს.

**— თუ მიგაჩნიათ 1945 წლის 9 მაისი საერთო სახალხო გამარჯვებად, რაშიც ქართველებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს?**

— რა თქმა უნდა, ორი აზრი არ არსებობს.

**— სამამულო ომში საქართველომ დიდი მსხვერპლი გაიღო, მაგრამ, ამის მიუხედავად, საზოგადოების ერთი ნაწილი აშკარად ცდილობს ისტორიის გადაფასებასა და ისტორიული ფაქტების გაყალბებას. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ პროცესის მიმართ?**

— ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი მართლაც სხვა სიბრტყეზეა. როგორ შეიძლება დიდ სამამულო ომში მონაწილეებს სხვა ფაქტებზე დაუწყო საუბარი, სხვა ისტორიული რეალობა დაანახო და არა ის სინამდვილე, რომელიც იმ დროს არსებობდა. საიდან მოაქვთ, სად ამოიკითხეს სხვაგვარი შეხედულებები ამ ომის შესახებ?! ევროპაში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს ხელის გულზე ატარებენ იმ ქვეყნების მთავრობები, უნდა ნახოთ რა მოვლილები არიან. საქართველოში კი სამკერდე ნიშანიც კი არა აქვს სამამულო ომის ვეტერანს.

მიდგომა, რომ აღარ ვახსენოთ არც სტალინი, არც ბერია, არც ჟუკოვი და სხვა სარდლები, არასწორია! **თუ არ ვთქვით, ვის რა როლი ჰქონდა საერთო გამარჯვებაში, თუ გავაყალბეთ ისტორია, რას მოვიგებთ ამით? ვფიქრობ, ისტორიის გაყალბებით, მისი პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად „გადაწერით" მხოლოდ წავაგებთ.**

ესაუბრა
**თამარ ნინიძე**


## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი" | 602602 |
| შპს „ახტელი" | 700818 |
| შპს „მაგთიკომი" | 200320 |
| შპს „ჯეოსელი" | 700305 |
| შპს „ბილაინი" | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის" ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო
საქინფორმი
www.saqinform.ge


გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ ჩვენს კოლეგასა და მეგობარს, ჯაბა ჟვანიას გარდაეცვალა ბებია და ბაბუა, ღირსეული ადამიანები

ნინელი ჯიქია
და ტიტე ჟვანია

და თანაუგრძნობენ მათი ოჯახის წევრებს.

დაკრძალვა ხუთშაბათს, 12 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ნაზარენში.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა გულითადად თანაუგრძნობს კოლეგასა და მეგობარს, ჯაბა ჟვანიას ბებიისა და ბაბუის

ნინელი ჯიქიას და ტიტე ჟვანიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციის თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძნობენ ბატონ დავით იაკობიძეს დედის

ელენე ჯიბლაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net